


აკადემიკოს ანდრია ავაქიძის სახელობის  
არქეოლოგიის ინსტიტუტი

# აქედოლოგია

სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი

№1





აკადემიკოს ანდრია აფაქიძის  
სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი

**არქეოლოგია**

**№ 1**



**AUREUS**

გამომცემლობა AUREUS

ISSN 2587-5175

თბილისი  
2018



მთავარი რედაქტორი: პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი

სარედაქციო კოლეგია:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი,  
პროფ. გურამ ლორთქიფანიძე
2. პროფ. გურამ გრიგოლია
3. პროფ. გურამ ყიფიანი
4. პროფ. ვალერი ვაშაკიძე
5. პროფ. ვახტანგ ლიჩელი
6. პროფ. გივი ინანიშვილი
7. არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი მადონა მშვილდაძე (პასუხისმგებელი  
რედაქტორი)
8. ლევან ხეცურიანი
9. გოჩა გერაძე

© 2018. აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი

© 2018. გამომცემლობა AUREUS

მხატვარ-დიზაინერი: გურამ ყიფიანი

საბა ნონეშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: პაატა ახრახაძე

დაიბეჭდა შპს-ში „ბეჭდვის სამყარო“

ელ-ფოსტა: info@wop.ge



ანდროს აზნაძე  
(1914-2005 წწ.)

სამამულო არქეოლოგიის ნაცადი წინამძღოლი

ყოველგვარი გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ გამოჩენილმა არქეოლოგმა ანდრია აფაქიძემ სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ჭეშმარიტად სახელოვანი გზა განვლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტობიდან (1937-1940 წწ.) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობამდე (1988-2002 წწ.).

ის ეკუთვნოდა ქართველ მეცნიერთა იმ ღიბებულ პლეადას, რომლის მხრებზე გადაიარა არქეოლოგიის – ამ მეტად მნიშვნელოვანი საისტორიო დისციპლინის – ფორმირების ხშირად წინააღმდეგობრივმა და ზოგჯერ მტკივნეულმა პროცესებმა. სამართლიანად აღნიშნავდა მისი დაბადების 80 წლისთავზე ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“ თავის სარედაქციო წერილში: „ქართული არქეოლოგიის პატრიარქი აკადემიკოსი ა. აფაქიძე XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული არქეოლოგიის აღიარებული ღიბერი და ყოველი მისი წარმატების მოზიარეა“ („ძეგლის მეგობარი“, 1994, №1, გვ. 68-70). ნიშანდობლივია, რომ ბატონი ანდრია აფაქიძე ერთ-ერთი დამაარსებელი გახლდათ საბჭოთა კავშირში პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების“ და მისი იმ წლებში მეტად პოპულარული აკადემიური ჟურნალისა „ძეგლის მეგობარი“. მისი პირველობის აღნიშვნა ხშირად მოგვიწევს. ქართველ არქეოლოგთა შორის ის პირველი გახლდათ, ვინც 1940 წელს წარმოადგინა და 1941 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (ხელმძ. პროფ. გ. ნიორაძე) და მოიპოვა „ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი“, ასევე პირველმა ჩვენს არქეოლოგთა შორის, 1961 წელს მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება, გზა გაუკვალა „წყალქვეშა არქეოლოგიას“ სოხუმის ყურესა და ბიჭვინთაში (1953 წ.), დანერგა ახალი გეოფიზიკური მეთოდები არქეოლოგიურ საველე-საძიებო სამუშაოებში სამოციან წლებში. ის იყო მთავე ქართულ არქეოლოგიაში ახალი კომპიუტერული საძიებო სისტემების დანერგვისა. ბატონი ანდრია აფაქიძე გახლდათ ეროვნული აკადემიის პირველი აკადემიკოსი არქეოლოგი, აკადემიის საზოგადოებრივ მეციერებათა განყოფილების პირველი აკადემიკოს-მდივანი არქეოლოგი. მან შექმნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმთან კომპიუტერული სამეცნიერო-საინფორმაციო ცენტრი, სადაც თავმოყრილი იყო ცნობები ქართული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. ამით როდი ამოიწურება ბატონ ანდრია აფაქიძის წვლილი ქართველოლოგიის, კერძოდ არქეოლოგიის განვითარებაში.

ეს ყველაფერი – გზა მეცნიერების მწვერვალებისაკენ კი დაიწყო ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე სწავლისას, მას შემდეგ რაც არქეოლოგიით გატაცებული ახალგაზრდა გამოარჩიეს ჯერ პროფ. გ. ნიორაძემ, შემდეგ პროფ. ს. ჯანაშიამ. თავად ბატონ ანდრიას არაერთხელ აღუნიშნავს ეს გარემოება და სიკვდილამდე მადლიერი იყო თავისი ღიბი მასწავლებლების.

ერთ-ერთ ხელნაწერ ავტობიოგრაფიაში, რომელიც 1947 წლითაა დათარიღებული (ინახება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის არქივში), ბატონი ანდრო აღნიშნავს: „სწავლასთან ერთად მიხდებოდა მუშაობა“. მას მამა, მელიტონი, ადრე, 1918 წელს გარდაეცვალა. განათლებისადმი მისი სწრაფვა ბაქოდან სოფელ ზანაში დაბრუნებულმა ძველი არისტოკრატიული საგვარეულო ტრადიციების მიძღვევარმა მისმა ოჯახმა უზრუნველყო. 1921

წელს სოფელ ზანის დაწყებით სკოლას ამთავრებს და საშუალო განათლების მიღებას ახალსენაკში, ყოფილ ცხაკაიაში აგრძელებს. 1932 წელს ამთავრებს ქ. ცხაკაიას პედაგოგიურ ტექნიკუმს. იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. 1936 წელს ამთავრებს აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელს, 1937 წლის თებერვალში მას ტოვებენ უნივერსიტეტის ასპირანტურაში, როგორც მაშინ ამბობდნენ, „საპროფესოროდ მოსამზადებლად“. პარალელურად, 1935 წლის ნოემბრიდან 1936 წლის ოქტომბრამდე კავკასიათმცოდნეობის, არქეოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს, რომლის რეორგანიზაციის შემდეგ აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის (ენიმკი) ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელია. ინსტიტუტს პროფ. ს. ჯანაშია ედგა სათავეში. როგორც ა. აფაქიძე თავად აღნიშნავს, 1937 წლის სექტემბრიდან კითხულობდა ლექციებს არქეოლოგიაში თსუ ისტორიის ფაკულტეტზე. 1940-1941 სასწავლო წელს მას მიჰყავდა კურსი „წინააზიის არქეოლოგიაში“. აქედან ის მეორე მსოფლიო ომის გამოცხადებასთან ერთად მობილიზებულ იქნა მოქმედ არმიაში. კავკასიაში უძველესი თბილისის სამხედრო საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ის ჩრდილო-კავკასიის ფრონტზე იბრძოდა, 1942 წლის 3 აგვისტოს დაიჭრა და გათავისუფლებულ იქნა სამხედრო სამსახურიდან. დემობილიზაციის შემდეგ, 1942 წლის ოქტომბრიდან ის ენიმკის მემკვიდრე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის აკადემიური „ისტორიის ინსტიტუტის“ უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი. 1943 წლის 19 ივლისს იგი ინიშნება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად, რომელიც ტრადიციულად არქეოლოგიური კვლევის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. დიდი მეცნიერისა და პედაგოგის, აკად. ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ, 1947 წელს, მუზეუმს მისი სახელი მიენიჭა. მუზეუმის დირექტორის მძიმე და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ბატონმა ანდრია აფაქიძემ ათი წელი იმუშავა. ეს პერიოდი მუზეუმის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრებით, წარმატებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებით და პუბლიკაციებით აღინიშნა. 1953-1980 წწ. ა. აფაქიძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების, დღევანდელი ტერმინოლოგიით „მიმართულების“ ხელმძღვანელია. პრაქტიკულად ის წარმართავს არქეოლოგიურ სამუშაოებს მთელ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთსა და შიდა ქართლში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი). დიდ დროსა და ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა არქეოლოგების აღზრდას. მისი აღზრდილი გახლდათ აფხაზი არქეოლოგი გიორგი შამბა, რომელსაც არასდროს უღალატია ქართულ-აფხაზური ძმობისთვის. მისი აღზრდილია ბიჭვინთის მუზეუმ-ნაკრძალის ხელმძღვანელი ზ. აგრბა. ამ მუზეუმის დაარსებაში, ისევე როგორც ბიჭვინთის ნაქალაქარის შესწავლაში. აკად. ა. აფაქიძის დამსახურება დიდია. ასევე, მისი დაფრთხილებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, დღეს საქართველოში ერთადერთი, ბათუმის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი პროფ. ა. კახიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი.

ახალგაზრდა არქეოლოგებისადმი კეთილგანწყობის მაჩვენებელია პირადად ჩემი და ბატონ ანდრია აფაქიძის, ქართველი არქეოლოგების ნაცადი ხელმძღვანელის ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდი. 1960 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ტარდებოდა აღმოსავლეთმცოდნეთა (ორიენტალისტთა) XXV საერთაშორისო კონგრესი. საქართველო წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვანი დელეგაციით, რომელმაც მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული გამოფენა მოაწყო. მე, დამამათავრებელი კურსის სტუდენტი, დამხმარე („შავ“) მუშად ვიყავი გაფორმებული და, ცხადია, საქართველოს სტენდს არ ვმორდებოდი. გაიგო რა, რომ

არქეოლოგობას ვაპირებდი, აკად. გ. ჩიტაიამ მირჩია მიმემართა წერილით ბატონ ანდრო აფაქიძისათვის. ჭკუად ვიღე დიდი მეცნიერის რჩევა, გავბედე და ბატონ ანდრიას წერილით მივმართე. თქვენ წარმოიდგინეთ სასწაული. მოკლე ხანში მივიღე პასუხი და ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში სამუშაოდ მიწვევა. ამ ექსპედიციას, რომელსაც ბატონი ანდრო აფაქიძე ხელმძღვანელობდა 1953-1974 წწ., უდიდესი როლი აქვს ნათამაშევი, მცხეთის შემდეგ, ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიის განვითარებაში. მის მიერ გამოვლენილი ძველი ბერძნული, რომაული წყაროების ციხე ქალაქი პიტიუნტ-პიტიუსი, ქართულ-აფხაზური „ბიჭვინტა“, ადრეული ქრისტიანობის ცენტრი, X-XI სს. კათედრალით, რომლის მოძღვრებითა შორის დავით აღმაშენებელიც გახლდათ, მსოფლიო არქეოლოგიის ყურადღების ცენტრშია. ბატონ ანდრიას ავტორობით, თანაავტორობითა და რედაქტორობით გამოიცა „დიდი პიტიუნტისადმი“ მიძღვნილი შრომების სამი მოზრდილი ტომი (იხ. ა. აფაქიძის ბიობიბლიოგრაფია). აქვე, ბიჭვინტაში, იწერებოდა ქართული ისტორიოგრაფიისათვის იშვიათი „არქეოლოგიური ლექსიკონი“, რომლის შემდგენელი და რედაქტორი ა. აფაქიძე გახლდათ. ოჯახში სათუთად ვინახავთ თსუ-ში 1980 წ. გამოცემულ ყოველი ქართველი არქეოლოგის სამაგიდო წიგნს, ავტორისეული წარწერით: „ჩემს ძვირფას მეგობრებს – ნინო კილურაძესა და გურამ ლორთქიფანიძეს, პატივისცემით ანდრია აფაქიძე“. ვისაც ერთხელ მაინც უუნახავს მისი ხელწერა, დამერწმუნება, თუ რაოდენ დიდია კალიგრაფიული მსგავსება მისი დიდი მასწავლებლის ივ. ჯავახიშვილის ხელთან. კვლავ მინდა აღვნიშნო, რომ ა. აფაქიძე გახლდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული, არქეოლოგიაში პირველი ქართული სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ავტორი და სამეცნიერო რედაქტორი. ბატონ ანდრია აფაქიძეს 1964 წ. მიენიჭა ს. ჯანაშიას სახელობის პრემია მონოგრაფიისათვის „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“. 1982 წ. საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა აკად. ა. აფაქიძის ღვაწლი „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“, ტ. I გამოცემაში. მცხეთაში კარგა ხნით შეწყვეტილი არქეოლოგიური სამუშაოების განახლების გამო, ბატონი ანდროს გადაწყვეტილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა. მან ექსპედიციის კონსულტანტობა იტვირთა, რაც, ბუნებრივია, უდიდესი პატივი იყო ჩემთვის. ვფიქრობ, რომ მე და ექსპედიციის სხვა წევრებს არ შეგვირცხვენია ჩვენი მასწავლებლისა და უფროსი კოლეგის აკად. ა. აფაქიძის სახელი. 1975-1980 წწ., მასთან შეთანხმებით, აფხაზეთის საბედისწერო მოვლენებამდე ბიჭვინთის ნაქალაქარზე ერთდროულად მუშაობდნენ თბილისისა და იენის უნივერსიტეტების ერთობლივი ექსპედიციები, ამენდა სტაციონარული ბაზა.

ანდრია აფაქიძის ერთ-ერთი ბოლო ასპირანტი, აკადემიური დოქტორი, არქეოლოგი ალექსანდრე (სანდრო) ნონეშვილი ხშირად იგონებს, თუ რა დიდი გულისხმიერებითა და ყურადღებით ადევნებდა თვალს ბატონი ანდრო მის არა მარტო სამეცნიერო, არამედ საველე სამუშაოებს. ვინც ახლო იყო ბატონ ანდროსთან, დამერწმუნება, თუ რა პრინციპული, მომთხონი, ზოგჯერ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი იყო იგი ხელქვეითების მიმართ.

თავისი პირველი სამეცნიერო ნაშრომი არქეოლოგიაში მან 1941 წელს გამოაქვეყნა. ეს იყო მისი საკანდიდატო დისერტაციის „ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები“ ოთხგვერდიანი მოკლე შინაარსი, თეზისების სახით. თავად სადისერტაციო, მანქანაზე გადაბეჭდილი ნაშრომი „ხელნაწერის უფლებით“, დიდხანს ინახებოდა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ათიოდე წლის წინ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა. სადისერტაციო კვლევას საფუძვლად დაედო კახეთში,



ალაზნის პირას, სოფელ ბაკურციხესთან აღმოჩენილი გვიან ბრინჯაოს ხანის მრავალფენოვანი არქეოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მის მიერვე იყო გამოვლენილი. 1938 წელს ის ხელმძღვანელობდა ბაკურციხის არქეოლოგიურ ექსპედიციას, ხოლო პირველი საექსპედიციო ნათლობა, როგორც ბატონი ანდრო თავად აღნიშნავდა, მან 1936 წელს მოწამეთაში მიიღო. ქართული არქეოლოგიის ისტორიაში აღნიშნულ ნაშრომს საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო პირველი საკანდიდატო დესერტაცია. მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მისი გამოცემა, შესაბამისი კომენტარებით, დიდად წაადგებოდა მკითხველ საზოგადოებას.

განსაკუთრებით დიდა ბატონ ანდრია აფაქიძის ღვაწლი საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის არქეოლოგიური შესწავლის საქმეში.

აკად. ს. ჯანაშიამ 1940-1941 წწ., დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, მცხეთაში უმნიშვნელოვანესი უბნების არმაზციხე-ბაგინეთის გათხრების ხელმძღვანელობა ახალგაზრდა არქეოლოგს ანდრო აფაქიძეს ანდო. 1943 წლიდან ის კვლავ აგრძელებს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას მცხეთაში, რომლის შესწავლას მან, შეიძლება ითქვას, მთელი სიცოცხლე მიუძღვნა. რაოდენ სიმბოლურია, რომ მისი საუკუნო განსასვენებელი სამთავროს მონასტრის წმინდა მიწაშია.

ბატონი ანდრო თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა: „1943 წლიდან დღემდე (1952 წ. გ. ლ.) ვარ ბაგინეთის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი“. ეს აკად. ს. ჯანაშიას მოღვაწეობის, სამწუხაროდ ხანმოკლე (1900-1947 წწ.) პერიოდი დაკავშირებულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართული არქეოლოგიის „ოქროს ხანასთან“.

მცხეთაში, 1938 წლიდან იწყება მასშტაბური არქეოლოგიური გათხრები. ველზე ბატონ ანდრია აფაქიძის მხარდამხარ იღვა ახალგაზრდა არქეოლოგთა ჯგუფი (გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლორთქიფანიძე და სხვ.), რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ საველე გათხრების მეთოდიკას და შესაბამისი თეორიული მომზადება ჰქონდათ გავლილი. ეს იყო ივ. ჯავახიშვილის, გ. ნიორაძისა და ს. ჯანაშიას აღზრდილი პროფესიონალი არქეოლოგების პირველი თაობა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა, დროის მოთხოვნის შესაბამისად ასეთი ფართო მასშტაბის გათხრების წარმოება. არქეოლოგიური თვალსაზრისით ასეთ რთულ მრავალფენიან ძეგლზე, როგორც „დიდი მცხეთა“ იყო, ბატონი ანდრო აფაქიძე არქეოლოგთა აღიარებული ლიდერი გახლდათ. 1939 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში 20 მეცნიერი თანამშრომელი ითვლებოდა და ოთხი ტექნიკური მუშაკი (არქიტექტორი, მხატვარი, ფოტოგრაფები) შედიოდა, აკად. ა. აფაქიძის გადმოცემით, ველზე შვიდი თვის განმავლობაში საკმაოდ მძიმე, ყოფით პირობებში იმყოფებოდა. მუშათა რაოდენობა 80 კაცს აღწევდა. ბატონმა ანდრია აფაქიძემ წლების განმავლობაში მცხეთაში ჩამოაყალიბა არა მარტო სწავლულ არქეოლოგთა ჯგუფი, არამედ შექმნა პროფესიონალ მიწის მთხრელ მუშათა მთელი ბრიგადა, „ძია არსენ გარსევანიშვილის“ ხელმძღვანელობით. ისინი ბატონი ანდროს ჩამოყვანილები იყვნენ ბიჭვინთის ექსპედიციაში, მათ ყველაზე რთულ ობიექტებს ანდობდნენ. ჩვენც ხშირად გვისარგებლია მათი რჩევა-დარიგებით. თუ რა მასშტაბის სამუშაოები ჩაუტარდა მცხეთასი, მათ შორის ბატონ ა. აფაქიძის – არმაზციხე-ბაგინეთის რაზმის ხელმძღვანელის მიერ, კარგად ჩანს ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემიდან. ექსპედიციის საველე დავორების მიხედვით, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება, მარტო 1939 წელს გაითხარა 1055-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის სამარხი, აღწერილია 6600-ზე მეტი არტეფაქტი – არქეოლოგიური მასალა. ომის დროს, როდესაც მუზეუმის დირექტორად ბატონი ანდრო

დანიშნა, ამ ზღვა არქეოლოგიური მასალის კამერალური დამუშავება, ჩახატვა-ფოტოგრაფირება, ფონდებში დავანება, კატალოგიზაცია ინტენსიურად მიმდინარეობდა. მომზადდა ექსპოზიცია. მაშინ ბატონი ანდრო აფაქიძე 29 წელს მიღწეული გამოცდილი არქეოლოგი გახლდათ. ეს თავდადებული შრომა რომ არა, არ მოხერხდებოდა საყოველთაოდ ცნობილი გამოცემის ე.წ. „მცხეთა-I“-ის (თბ., 1955) მომზადება და შემდეგ დაბეჭდვა. ამ პუბლიკაციას – „არქეოლოგიური კვლევა-ძიების 1937-1946 წწ. გათხრების შედეგები“ ქართულ არქეოლოგიურ ისტორიოგრაფიაში ბადალი არ მოეპოვება. მისი მასწავლებლის აკად. ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ 1947 წ. ამ საეტაპო წიგნის გამოცემის მთელი სიმძიმე, სხვა ავტორებთან: გ. გობეჯიშვილთან, ა. კალანდაძესთან ერთად, ა. აფაქიძემ იტვირთა. წიგნმ, რომელიც ჯერ ქართულად და მერე (1958 წ.) რუსულად დაიბეჭდა მოსკოვის „გოსზნაკის“ სტამბაში, არქეოლოგების საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და დღესაც ქართველ არქეოლოგთა სამაგიდო წიგნია. როგორც გადმოცემით ვიცი, ის საკავშირო სტალინურ (სახელმწიფო) პრემიაზეც ყოფილა წარდგენილი, მაგრამ კრემლში შექმნილი ანტიქართული კონინუქტურის გამო ავტორებს ჯილდო არ მიუღიათ. ამ წიგნის პირველი თავი „მცხეთისა და მისი მიდამოების ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა მოკლე მიმოხილვას“ მიეძღვნა. მის გარეშე წარმოუდგენელია „საქართველოს არქეოლოგიის ისტორია“, ისევე როგორც, მისი მომდევნო – „მცხეთა II-XI ტომების გარეშე. მათი ავტორი, თანაავტორი და სამეცნიერო რედაქტორი აკად. ა. აფაქიძე გახლდათ, რომელმაც თავის მოწაფეებთან ერთად 1974-2002 წწ. დიდი ამაგი დასდო მცხეთის, საქართველოს ძველი დედაქალაქის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას.

ბატონ ანდროს გული წყდებოდა, რომ მაშინ არ მოხერხდა ამ სერიალის VIII ტომის დაბეჭდვა, ტექნიკური მიზეზების გამო, პროფ. გ. დუნდუას მიერ შესწავლილი, მცხეთაში აღმოჩენილი ნუმისმატიკური მასალა (მონეტები) გამოუქვეყნებელი რჩება. ისევე როგორც ბატონ ანდროს მიერ სვეტიცხოვლის კათედრალის, საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთან, უშუალოდ მის კედლის მიჯნაზე 2001 წლის ზაფხულში გათხრილი აკლდამა, ე.წ. „ქვაყუთი“ №14. თავად ბატონი ანდროს სიტყვებით, „მისი მნიშვნელობა დიდად სცილდება საქართველოს ფარგლებს“ (ა. აფაქიძე, გ. ყიფიანი. დიდი აღმოჩენა მცხეთაში“. საინფორმაციო-სამეცნიერო ჟურნალი „მუდმივი კავშირის სამყარო“, 2002, №4, გვ. 37-39). აკლდამაში განისვენებდა 50 წლის დიდებული, სამეფო წრის ქალბატონი. თუ მისი მარცხენა ხელის შუა თითის ფალანგზე დაფიქსირებულ ოქროს ბეჭდის სარდონის გემა ინტალითზე ამოკვეთილი ბერძნული მთავრული წარწერით ვიმსჯელებთ, ესაა „დედოფალი ულპია მბრძანებელი“. მისთვის უამრავი ძვირფასი, ძალადი მხატვრული და მატერიალური ღირებულების ნივთი ჩაუტანებიათ. ერთ-ერთ ყელსაბამ-გულსაკიდად რომში მოჭრილი ლუცილას (164-183 წწ.) ოქროს მონეტაა გამოყენებული. სხვა არაფერი რომ არ აღმოეჩინა ბატონ ანდროს მცხეთაში, ესეც იკმარებდა მისი სახელის უკვდავსაყოფად! ის ტოლს უდებს ასევე უნიკალურ, ა. აფაქიძის მიერ 1985 წელს სამთავროს დედათა მონასტერთან აღმოჩენილ III ს-ის მდიდრულ აკლდამას (№905). კომპლექსი 1996 წელს გამოქვეყნდა (მცხეთა, XI).

1975 წლიდან ბატონი ა. აფაქიძე ხელმძღვანელობდა მცხეთის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც წარმატებით ასრულებდა მონიტორინგს მცხეთის ახალშენებლობებზე. ჩვენი არქეოლოგიის პრაქტიკაში, პირველად მან, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე, აკად. მ. აბდუშელიშვილთან ერთად ჩამოაყალიბა პალეოანთროპოლოგთა სამუშაო ჯგუფი. მათ მიერ ჩატარებულმა კრანიოლოგიურმა და ოსტეოლოგიურმა კვლევებმა ჩვენი არქეოლოგია ახალი წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ცნობებით გაამდიდრეს. ბატონმა

ანდრომ, მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავა საერთო კავკასიური კულტურის და ცივილიზაციის არსებობის კონცეფცია, რომელიც დღესაც აქტუალურია.

აკად. ანდრია აფაქიძე მცხეთაში და მის შემოგარენში გამოვლენილ არქეოლოგიურ კომპლექსებს უდიდეს მეცნიერულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის აღნიშნავდა: „ჩვენი აზრით, მცხეთა და მისი შემოგარენი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური კომპლექსია, რომლის ბადალი დღემდე არ იცის საქართველოს არქეოლოგიამ“ (იხ. მისი „ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა“, თბ., 1972, გვ. 94). დიდი ძალისხმევა დასჭირდა მას იმისათვის, რომ მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილიყო თანამედროვე, ახალი სამეცნიერო-კვლევითი „მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტი“. 1994 წელს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია გადაკეთდა დამოუკიდებელ ინსტიტუტად, რომელიც მყისეულად რეაგირებდა გახშირებული მშენებლობის პროცესში ახალგამოვლენილი ძეგლების დაცვით სამუშაოებში. აკად. ა. აფაქიძის მიერ 1995-2002 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შედეგები განხილული იყო მცხეთაში ჩატარებულ ექვს სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელთა სრული პუბლიკაცია ჩვენი ისტორიოგრაფიის ასევე გადაუღებელი ამოცანაა.

1999 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით ჩატარდა I სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს ანდრია აფაქიძის დაბადების 85 წლისთავისადმი. თავის მოხსენებაში ბატონი ანდრო აღნიშნავდა: ანტიკური საქართველოს „ძველი ქალაქების არქეოლოგიური კვლევა აღიარებულია XX საუკუნის დასასრულის ქართული არქეოლოგიის უპირატეს სამეცნიერო ამოცანად“ (იხ. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. კრ. „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება“, I, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1999, გვ. 3.4).

საეტაპო მნიშვნელობა ქართულ არქეოლოგიაში ჰქონდა ბატონ ანდრია აფაქიძის მიერ 1963 წელს გამოცემულ ამავე სახელწოდების მონოგრაფიას, რომელშიც განხილული იყო ანტიკური პერიოდის „დიდი მცხეთის“ არქეოლოგიური ძეგლები.

რამდენიმე ორდენის კავალერმა, თბილისის საპატიო მოქალაქემ, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, არაერთ საერთაშორისო ფორუმის მონაწილემ, აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე.

### **აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები**

1914 წლის 3 სექტემბერს დაიბადა სენაკის მაზრის, სოფელ ზანაში.

1914-1918 წწ. მშობლებთან მელიტონ და თამარ აფაქიძეებთან ერთად ცხოვრობს აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში.

1918 წ. მამის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახი ბრუნდება ზანაში.

1921 წ. მიაბარეს ზანის დაწყებით სკოლაში.

1925 წ. სწავლა გააგრძელა ახალსენაკის საშუალო სკოლაში

1932 წ. ამთავრებს სენაკის (ცხაკაიას) პოლიტექნიკუმს.

- 1932-1936 წწ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი.
- 1936-1937 წწ. მუშაობდა საქართველოს განათლების კომისარიატის არქეოლოგიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.
- 1937-1940 წწ. თსუ ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის კათედრის ასპირანტია, კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტში.
- 1941 წლის 21 მაისს თსუ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები“.
- 1941 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახელობის ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.
- 1941 წლის დეკემბერში გაიწვიეს ჯარში; განაწესეს თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტად.
- 1942 წ. მოქმედ არმიაშია ჩრდილო კავკასიის ფრონტზე.
- 1942 წლის 3 აგვისტოს საბრძოლო მოქმედებებისას დაიჭრა. ოქტომბერში არმიიდან დემობილიზებული იქნა.
- 1942 წლის ოქტომბრიდან 1943 წლის ივლისამდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი.
- 1943-1953 წწ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (1947 წ. აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის) დირექტორი.
- 1952-1972 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი, ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.
- 1961 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
- 1963 წ. საკავშირო საატესტაციო კომისიამ მიანიჭა პროფესორის წოდება.
- 1964 წ. მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.
- 1964 წ. მონოგრაფიისათვის „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“ (თბ., 1963, გამომც. „მეცნიერება“) მიენიჭა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის პრემია.
- 1967 წ. არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.
- 1967-1977 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანტიკური არქეოლოგიის განყოფილების გამგეა.
- 1977-1994 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ანტიკური არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელია.
- 1980-1988 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი.
- 1982 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომის გამოცემისათვის.
- 1983 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.
- 1990 წ. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი.

- 1992 წ. დაჯილდოვდა თსუ-ს უმაღლესი ჯილდოთი – ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით.
- 1988-2002 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარეა.
- 1998 წ. ირჩევენ თბილისის საპატიო მოქალაქედ.
- 1994 წ. ინიშნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის გ. ნიორაძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელად.
- 2002 წ. ინიშნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველად.

**სახელმწიფო ჯილდოები:**

- 1944 წ. – მედალი „კავკასიის დაცვისათვის“
- 1945 წ. – მედალი „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“
- 1941-1945 წწ. – მედალი „მამაცური შრომისათვის“ სამამულო ომში.
- 1946 წ. – „საპატიო ნიშნის“ ორდენი.
- 1984 წ. – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.
- 1986 წ. – შრომის წითელი დროშის ორდენი.
- 1994 წ. – „ღირსების ორდენი“.



## ანდრია ავაქიძის შრომები

### 1941

1. ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები: ისტ. მეცნ. კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომის თეზისები, – თბ., 1941. – 4 გვ.

### 1944

2. ანტიმონის წარმოების ისტორიისათვის საქართველოში // საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. – 1944. – ტ. 13-B. – გვ. 227-232. – რეზ. რუს.
3. ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან // საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. – 1944. – ტ. 12-B. – გვ. 441-448. – რეზ. რუს.

### 1945

4. არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქალაქში (მცხეთა) // ბოლშევიკი. – 1945. – №6. – გვ. 69-88.

### 1947

5. გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ურეკიდან // საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. – 1947. – ტ. 14-B. – გვ. 89-125.: 17 სურ-ით. – რეზ. რუს.

### 1948

6. შენიშენები Scythica et Caucasica-ს ახალი გამოცემის გამო // საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. – 1948. – ტ. 15-B. – გვ. 181-192. – რეზ. რუს.

### 1949

7. სიმონ ჯანაშია და საქართველოს არქეოლოგია: მოხსენება აკად. სიმონ ჯანაშიას ხსოვნისადმი მიძღვნილ საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წლიურ სამეცნ. სესიის საგანგებო სხდომაზე. 1947 წ. 25 ნოემბერი // აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია. 1900-1947 / რედ. შ. ძიძიგური. საქ. სსრ. მეცნ. აკად. თბ., საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1949. გვ. 104-131.

### 1952

8. ბიჭვინტა. 1952 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების შესახებ = Бичвинта. О результатах археологических раскопок 1952 года // საქ. სსრ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. აკად. გან-ბის სამეცნ. სესიები. 32-ე სესია, მიძღვნილი აკად. ს. ჯანაშიას ხსოვნისადმი. (სოხუმი. 1952 წ. 13-15 დეკემბერი). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები / რედ. ნ. ბერძენიშვილი. – თბ., საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა. 1952. – გვ. 18-19. – პარალ. ტექსტი რუს. – გვ. 41-42.
9. ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი კომკავშირული განათლების ქსელში // მებრძოლი (ზუგდიდი). – 1952. – 11 მაისი.

### 1953

10. ანტიკური წყაროების „სევსამორას“ ლოკალიზაციის საკითხისათვის = К вопросу о локализации «Севсаморы» античных источников // საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის მეოთხე სამეცნ. სესია (თბილისი. 1953 წ. 30. XI და 1. XII). – თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1953. – გვ. 8-9. – პარალ. ტექსტი რუს. – გვ. 20-21.
11. ბიჭვინტა. 1952 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგების შესახებ = Бичвинта. О результатах археологических раскопок 1952 года // საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის სამეცნ. სესია მიძღვნილი 1952 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბილისი. 1953. 20-21 მარტი. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები / რედ. ნ. ბერძენიშვილი. – თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1953. – გვ. 16-18. – პარალ. ტექსტი რუს.
12. Археологические раскопки в Грузии в 1952 года // Тезисы докладов на сессии Отд. истории философии и пленуме Ин-та истории материальной культуры, посвящение итогам археологических исследований 1952 г. – М., 1953. – с. 63-70.

### 1955

13. არქეოლოგიური მასალები მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში. – თბ., 1955. – 76 გვ.
14. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. I. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით / რედ. გ. ჩუბინაშვილი. – თბ.: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, 1955. – 9 253 გვ.: CXXXVIII ფურც. ილ.: 61 ფურც. ტაბ. თანაავტ.: გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. რეც.: ლომოური ნ. // ისტორიის ინ-ტის შრომები. – 1959. – ტ. 4, ნაკვ. 2. გვ. 201-210.  
– მიქელაძე, თ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები // მნათობი. – 1956. – №10. – გვ. 187-190.  
– მუსხელიშვილი, დ. ცქიტიშვილი, გ. მნიშვნელოვანი მონოგრაფია ძველი ქართული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა შესახებ // საბჭ. ხელოვნება. – 1956. – №5. – გვ. 46-47.  
– ჩიტაია, გ. // დროშა. – 1956. – №5. – გვ. 17-18.

### 1956

15. საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე: თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა. – თბ., 1956. – 56 გვ. / საქ. სსრ პოლ. და მეცნ. ცოდნის გამავრც. საზ-ბა.

### 1958

16. ანტიკური წყაროების – წიწამური (ლოკალიზაციის საკითხი არქეოლოგიური დაზვერვის შედეგებთან დაკავშირებით) // საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები. – 1958. – ტ. 4, ნაკვ. I. – გვ. 119-140.

17. არმაზისციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის: [უცხოურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით] // საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები. – 1956. – ტ. 4. ნაკვ. I. – გვ. 71-98.
18. მასალები საქართველოს ძველი ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიისათვის.: წ. I. მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი არქეოლოგიურ აღმოჩენათა მიხედვით. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებლად / საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტი. თბ., – 1958. – 510 გვ.  
რეც.: ჩიტაია, გ. ანდრია აფაქიძე. მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი არქეოლოგიურ აღმოჩენათა მიხედვით // წგ-ში: ჩიტაია გ. შრომები ხუთ ტომად. ტ. V. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წერილები, რეცენზიები / რედ. რ. მეტრეველი. შემდ.-რედ. თ. ცაგარეიშვილი. – თბ.: მეცნიერება. 2001. – გვ. 306-314.
19. ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე // საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები. – 1958. – ტ. 3. – გვ. 7-43. თანაავტ.: გ. ჩიტაია, ე. ხოშტარია.
20. Мцхета. Итогам археологических исследований. Кн. I. Археологические памятники Армазис-хеви по раскопкам 1937-1946 гг. / Ред. Г. Чубинашвили. – Тб.: Изд-во АН ГССР, 1958. – VIII, 182, с.: 76 л. ил.  
Соавт.: Г. Гобеджишвили, А. Каландадзе, Г. Ломтатидзе.

### 1959

21. მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. – თბ.: საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1959. – 128 გვ.
22. სამშენებლო კერამიკის წარმოების საკითხისათვის ანტიკური ხანის ქართლის სამეფოში // საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის შრომები. – 1959. – ტ. 4. ნაკვ. 2. – გვ. 101-133. – რეზ. რუს.
23. საქართველოს არქეოლოგია. პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვ. – თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა. 1959. – 396 გვ.: 37 ფურც. ტაბლ.  
თანაავტ.: ნ. ბერძენიშვილი, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, ო. ჯავახიშვილი, ნ. ხოშტარია.
24. Материалы по истории городов древней Грузии: Кн. I. Мцхета – древняя столица Картлийского царства в свете археологических открытий. Автореф. на соискание ученой степ. доктора исторических наук. На правах рукописи / Акад. наук ГССР. Ин-т истории им. Ив. Джавахишвили. – Тб., 1959. – 32 с.

### 1960

25. Об итогах новых археологических раскопок в Грузии / 25 междуна. конгресс востоковедов. Доклады делегации СССР – М., 1960. – С. 10.
26. Отчет о работах Причерноморской археологической экспедиции в 1959 г. // Научная сессия посвященная итогам полевых археологических исследований 1959 г. , АН Груз. ССР. Ин-т истории им. Ив. Джавахишвили. – Тб., 1960. – с. 34-42.  
Соавт.: О. Д. Лорткипанидзе.



## 1961

27. არქეოლოგია // მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე – თბ.: საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961. – გვ. 509-518.
28. ბაგინეთი-არმასციხე = Багинети-Армасцихе: [ბუკლეტი] / ტექსტის ავტორი ა. აფაქიძე. – თბ.: საბჭ. საქართველო, 1961. – I ფურც.: (დაკეც. 10 გვ.). – ტექსტი ქართ. რუს.
29. Итоги полевых археологических исследований причерноморской археологической экспедиции АН ГССР летом 1960 г. // საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი. (თბილისი. 1960 წ. 28.VI. – 30.VI.) / არქეოლოგიურ სამუშაოთა საკოორდინაციო კომისია და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტი – თბ.: საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1961. გვ. 32-36.  
Соавт. Т. К. Микеладзе, О. Д. Лорткипанидзе.

## 1963

30. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიცია 1961-1962 წლებისა // სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებათა ანოტაციები / საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტი. – თბ., 1963. – გვ. 55-61.  
თანაავტ.: რ. ფუთურიძე, რ. რამიშვილი, თ. ლორთქიფანიძე [და სხვ.].
31. საქართველოს არქეოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემა [რეც. სტატიაზე: აბრამიშვილი რ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს.) // საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. – 1961. – ტ. 22-В. – გვ. 293-382] // საქ. სსრ. მეცნ. აკად. საზ-რივ მეცნ. განყ-ბის მოამბე. – 1963. – №3. – გვ. 223-231.
32. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. წგ. 1. – თბ.: საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამ-ბა, 1963. – 263 გვ.: 36 ფ. ილ.
33. Новые материалы к археологии Диоскурии-Сébastополиса / Раскопки причерноморской археологической экспедиции Ин-та истории АН Груз. ССР в г. Сухуми в 1959 году // Труды Абхазской ин-та языка, литературы и истории им. Д. И. Гулия АН ГССР. – 1963. – Т. 33-34. – С. 209-223.: 7 л. табл.  
Соавт. О. Лорткипанидзе.
- 33<sup>ა</sup>. Результаты археологического изучения античных городов в Грузии // Античный город / Ред. А.И. Болтунова. – М.: Изд-во АН СССР. – 1963. – С. 146-152.

## 1964

34. ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ზოგიერთი საკითხი // XIII სამეცნ. სესია მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (ქვისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლები) / საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრაფ. ინ-ტი. – თბ.: მეცნიერება, 1964. – გვ. 26-27.
35. ქართული კულტურის ძეგლები – სახელოვან მემკვიდრეობას // ძეგლის მეგობარი. – 1964. – №1. – გვ. 14-17. – რეზ. რუს.

36. წარსული ცოცხლება: [ქართველ არქეოლოგთა 1964 წლის საველე სამუშაოების წინასწარი შედეგების შესახებ] // კომუნისტი. – 1964. – 27 ნომბერი.
37. წინაპართა ნაკვალევზე: ქართველ არქეოლოგთა „მოსავალი“ და ძიების ხვალინდელი დღე // კომუნისტი. – 1964. – 5 აგვ.

### 1965

38. აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი: [გარდაცვალების გამო] // სკოლა და ცხოვრება. – 1965. – №8. – გვ. 80-84.  
თანაავტ.: შ. მესხია.
39. არქეოლოგიური გათხრები და გეოფიზიკური ძიება ბიჭვინთაში // XIV სამეცნ. სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები / საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრაფ. ინ-ტი. – თბ.: მეცნიერება, 1965. – გვ. 42-45.  
თანაავტ.: დ. ციციშვილი, რ. ფუთურიძე, გ. ტაბალუა, რ. რამიშვილი.
40. გამოჩენილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე: [სიმონ ჯანაშიას დაბადების 65 წლისთავი] // კომუნისტი. – 1965. – 18 ნომბ. – გვ. 3.  
თანაავტ.: შ. მესხია.
41. დაიწყო არქეოლოგიური წელიწადი: [საუბარი ანდრია აფაქიძესთან] // თბილისი. – 1965. – 6 ივლ. – გვ. 3.
42. ერის ღვაწლმოსილი მემატთანე: [ნიკოლოზ ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავი] // კომუნისტი. – 1965. – 12 ივნ. – გვ. 3.  
თანაავტ.: შ. მესხია.
43. მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის // საქ. სსრ. მეცნ. აკად. მაცნე. – 1945. – №3. – გვ. 104-131.: 6 ფ. ტაბ. – რეზ. რუს.  
თანაავტ.: ო. ლორთქიფანიძე.
44. ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის მასალები // მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის. – 1965. – ტ. 4. – გვ. 157-166.

### 1966

45. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში // XV სამეცნ. სესია მიძღვნილი 1965 წელს საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მოხსენებათა ანოტაციები / საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრაფ. ინ-ტი. – თბ.: მეცნიერება, 1966. – გვ. 27-28.  
თანაავტ.: რ. რამიშვილი, რ. ფუთურიძე.
46. განთქმული მეცნიერი [აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილი] // კომუნიზმის განთიადი (ჩოხატაური) – 1967. – 25 მაისი. – გვ. 2.
47. გორა, გორანამოსახლარი, გორასამარხი // კრ-ში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. – თბ., 1966. – გვ. 7-11.
- 47<sup>ა</sup>. „ნათესავით ქართველი“ // XV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი (თეზისები) / საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრაფ. ინ-ტი. – თბ.: მეცნიერება, 1966. – გვ. 10-12.

48. Развитые археологической науки в Советской Грузии // Советская археология. – 1967. - №4. – С. 5-25.

#### 1967

49. 1966 წელს ბიჭვინტაში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები // XVI სამეცნ. სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები / საქ. სსრ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრაფ. ინ-ტი. – თბ., 1966. – გვ. 63-64.  
თანაავტ.: რ. ფუთურიძე.
50. ბაგინეთი-არმასციხე = Багинети-Армасцихе: [ბუკლეტი], თბ.: საბჭ. საქართველო, 1967. – I ფურც.: (დაკეც. 10 გვ.). – ტექსტი ქართ., რუს.
51. განთქმული მკვლევარი: [აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილი], // კომუნიზმის განთიადი (ჩოხატაური), – 1967. – 25 მაისი. – გვ. 2.
- 51<sup>ა</sup>. მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულში // ორიონი: საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი. – 1967. – გვ. 90-96.
52. ძეგლის ყველა მეგობარს!: [მოწოდება ქართული ხელნაწერების შეგროვებისა და დაცვის შესახებ] // ძეგლის მეგობარი. – 1967. – №10-11. გვ. 3-4.  
ხელმოწერა: ა. ჩიქობავა, ა. შანიძე, ი. აბულაძე. – ა. აფაქიძე [და სხვ.]
53. Развитие археологической науки в Советской Грузии // Советская археология. – 1967. - №4. – С. 5-25 ил.

#### 1968

54. ქართული საბჭოთა არქეოლოგია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე // საისტორიო წერილები: ნაკვ. I. – თბ., 1968. – გვ. 34-35.
55. Города древней Грузии. – Тб.: Мецниереба, 1968. – 296 с.: с-ил.
56. Сквозь толщу веков: О проблемах грузинской археологии // Веч. Тбилиси. – 1968. – 22 марта. – С. 3. 1969
57. ძველი ქალაქი არქეოპოლისი-ნოქალაქევი [ცხაკაიას (სენაკი) რაიონი] // ძეგლის მეგობარი. – 1969. – №19. – გვ. 10-15. – რეზ. რუს.: გაზ. კოლხეთი (ცხაკაია). – 1969. – 16 ღვე.
58. Археологические находки в Вани // Веч. Тбилиси. – 1969. – 10 сент.
59. Некоторые результаты исследования в напряженности по магнитного поля археомагнитным методом на территории Грузинской ССР // Сообщения АН ГССР. – 1969. – Т. 56, №1. – С. 81-84. – Рез.: груз., англ.  
Соавт.: М. Нодия, З. Челидзе.

#### 1970

60. ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა // საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I., პარაგრ. XV. – თბ., საბჭ. საქართველო, 1970. – გვ. 661-783.  
რეც.: ლორთქიფანიძე, ო. საქართველოს ისტორია ასე არ უნდა იწერებოდეს // ცისკარი. – 1971. – №10. – გვ. 145-158.

61. ეროვნული ზეიმი: [ნიკოლოზ ბერძენიშვილის დაბადების 75 წლისთავი] // კომუნიზმის განთიადი (ჩოხატაური). – 1970. – 5 თებ. – გვ. 3.
62. სამამულიშვილო საქმე: [ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვისათვის ცხაკაიას (სენაკი) რაიონში] // კოლხეთი (ცხაკაია). – 1970. – 14 თებ.
63. ღვაწლმოსილი მეცნიერის ხსოვნას: [ვერა ბარდაველიძის გარდაცვალების გამო] // ლიტ. საქართველო. – 1970. – 4 დეკ. – გვ. 4. თანაავტ.: ი. ჭყონია.
64. ჩვენი ძველი დედაქალაქი: [მცხეთა] // სამშობლო (თბილისი). – 1970. – 13 თებ.
65. Некоторые результаты археомагнитного исследования археологических объектов из Кинцвиси // Сообщения АН ГССР. – 1970. – Т. 58, №1. – С. 61-63. – Рез. груз., англ. Соавт.: М. Нодия, З. Челидзе.
66. Некоторые результаты исследования склонения геомагнитного поля на территории Грузии с помощью археомагнитного метода // Сообщения АН ГССР. – 1970. – Т. 58, №3. – С. 565-568. – Рез. груз., англ. Соавт.: М. Нодия, З. Челидзе.

### 1971

67. ამაგდარი: [ჟურნალისტ. ვ. წირღვავას შესახებ] // ლიტ. საქართველო. – 1971. 4 ივნ. თანაავტ.: ა. შენგელია.
68. არქეოლოგია საბჭოთა საქართველოში // ძეგლის მეგობარი. – 1971. – №25. – გვ. 8-13. – რეზ. რუს. – გვ. 87.
69. ბიჭვინთა: [წარსული და აწმყო] // კოლხეთი (ცხაკაია). – 1971. – 9 თებ.
70. ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში = Краткий отчет о работах Пицундской археологической экспедиции за 1969 г. // არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. – თბ.: მეცნიერება, 1971. – გვ. 78-79. – ტექსტი პარალ. რუს. ენ. – გვ. 188-189. თანაავტ.: გ. გობეჯიშვილი, გ. ცქიტიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი.
71. საუკუნეთა სიღრმეებში: [საუბარი ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენებთან დაკავშირებით] // საბჭ. პედაგოგი (ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედ. ინ-ტი). – 1971. – 23 დეკ.
72. От редактора // Чубинашвили. Т. К. древней истории Южного Кавказа. (Ч.) I / Древняя культура Южной Грузии (V-III) тыс. до н. э.) и проблема становления «Куро-Араксской» культуры на Южном Кавказе. – Тб.: Мецниереба, 1971. – с. 5-7.
73. 50 лет грузинской советской археология // Всесоюзная научная сессия, посвященная итогам полевых-археологических исследований в 1970 г. Тезисы докладов сессионных и пленарных заседаний. – Тб.: Мецниереба, 1971. – с. 5-11.

### 1972

74. ანტიკური ხანის საქართველოს კულტურის საკითხები: [პასუხი ო. ლორთქიფანიძის სარეცენზიო წერილზე „საქართველოს ისტორია ასე უნდა იწერებოდეს“. ჟურნ. ცისკარი. – 1971. – №10.] // ცისკარი. – 1972. – №5. – გვ. 14-158. რეც.: ლორთქიფანიძე, ო. ღია წერილი „ცისკარის“ რედაქციას [პროფ. ა. აფაქიძის „პასუხის“ გამო] // ცისკარი. – 1972. – №10. – გვ. 145-156.

75. არქეოლოგიაში დათარიღების არქეომანტიური მეთოდის გამოყენების საკითხისათვის // საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. – 1972. – ტ. 67. – №3. – გვ. 749-752. – რეზ. რუს., ინგლ. თანაავტ.: მ. ნოდია, ზ. ჭელიძე.
76. არქეოლოგიურ ობიექტთა არქეომანტიური მეთოდით დათარიღების საკითხისათვის // საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე. – 1972. – ტ. 65. – №1. – გვ. 249-751. – რეზ. რუს., ინგლ. თანაავტ.: მ. ნოდია, ზ. ჭელიძე.
77. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-1971 წლების საველე სამუშაოთა ანგარიში = Отчет о работах Пицундской археологической экспедиции за 1970-1971 гг. // არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს. – თბ.: მეცნიერება. 1972. – გვ. 67-70. – ტექსტი პარალ. რუს. – გვ. 134-136. თანაავტ.: ა. კალანდაძე, გ. გობეჯიშვილი, ზ. აგრბა, გ. გრიგოლია, ა. ბოხორაძე, ნ. მათიაშვილი, ლ. ასათიანი, ი. ცუხიშვილი.
78. სიტყვა მეგობარს [ირაკლი ანთელავას დაბადების 60 წლისთავის გამო] // ლიტ. საქართველო. – 1972. – 17 მარტი. თანაავტ.: მ. ლორთქიფანიძე, ზ. ანჩაბაძე.
79. ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ნახევარსაუკუნოვანი გზა. თბ.: მეცნიერება. – 1972. – 150 გვ.

### 1973

80. საქართველოს საბჭოთა არქეოლოგიის უმნიშვნელოვანესი წარმატებანი . საქ. სსრ საზ-ბა ცოდნა. – თბ., 1973. – 32 გვ.

### 1974

81. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიცია // საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წ.: (მოკლე ანგარიშები) / ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტი. – თბ.: მეცნიერება, 1974. – გვ. 43.

### 1975

82. არმაზი.: არმაზისხევი.: არმაზისხევის აბანო, II-III სს. // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ. I. – თბ.: 1975. – გვ. 575-576.
83. ასპარუგი // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ. I. – თბ.: 1975. – გვ. 639.
84. „დიდი პიტიუნტი“ – არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში // დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, ტ. I. / ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტი. არქეოლ. კომისია. – თბ.: მეცნიერება, 1975. – გვ. 13-127. – რეზ. რუს. ინგლ.

### 1976

85. ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს არქეოლოგიის განვითარების საკითხები // საქ. სსრ მეცნ. აკად. მაცნე. ისტორიის, არქეოლ. ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტ. სერია. – 1976. – №2. – გვ. 53-56.
86. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დედაბოძი: [ისტორიკოს სანდრო (ალექსანდრე) კალანდაძის ხსოვნას] // მცხეთა. – 1976. – 20 მოემბერი.

## 1977

87. არქეოლოგიის მოჭირნახულე: [ალ. (სანდრო) კალანდაძის გარდაცვალების გამო] // ლიტ. საქართველო. – 1977. – 28 იანვ. – გვ. 4. – ხელმოწერა: ა. აფაქიძე [და სხვ.].
88. აწანგვარა // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ. 2. – თბ., 1977. – გვ. 46.
89. ბარათაშვილი (ბარათაევი) მიხეილ პეტრეს ძე (1784-1856): [ისტორიკოსი, ქართული მეცნიერული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი] // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. – თბ., 1977. – გვ. 199.
90. ბიჭვინტა 1972: (ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის საველე-გათხრითი სამუშაოების ანგარიში) // დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, ტ. II. / ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტი. არქეოლ. კომისია. – თბ.: მეცნიერება, 1977. – გვ. 39-64. – რეზ. რუს. ინგლ.
91. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1970-1971 წლების საველე სამუშაოთა ანგარიში // დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. ტ. II. / ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტი. არქეოლ. კომისია. – თბ.: მეცნიერება, 1977. – გვ. 9-38. – რეზ. რუს. თანაავტ.: ზ. აგრბა.
92. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის საველე კვლევა-ძიების ანგარიში // დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. ტ. II / ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტი. არქეოლ. კომისია. – თბ.: მეცნიერება, 1977. – გვ. 165-82 სურ-ით. – რეზ. რუს.
93. ბიჭვინტის სამშენებლო კერამიკა // დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. ტ. II / ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტი. არქეოლ. კომისია. – თბ.: მეცნიერება, 1977. – გვ. 223-248 სურ-ით. – რეზ. რუს.
94. სამეუფეო ქალაქი ქართლისა: [არქეოლოგიური კვლევა-ძიება მცხეთაში] // ძეგლის მეგობარი. – 1977. – №46. – გვ. 6-16. – რეზ. რუს.
95. Большая Мцхета. 1976 // Археологическая открытия 1976 года. – М., 1977. – С. 462-463. Соавт.: А.Н. Каландадзе, В. В. Николайшвили, Т.Т. Джгаркава, Н.Э. Геладзе, Л.Г. Хецуриани.
96. Путешествие в легенду: (Беседа об итогах работы Мцхетской экспедиции по изучению памятников археологии и древнего зодчества) // Веч. Тбилиси. – 1977. – 16 июля.
97. Работа Пицундской экспедиции // Археологическая открытия 1976 года. – 1977. – С. 462. Соавт.: Г.А. Лорткипанидзе.
98. Работы Мцхета – Самтаврского отряда // Археологическая открытия 1976 года. – 1977. – С. 475-476. Соавт.: А.Н. Каландадзе, Г.И. Манджгаладзе, Г. Д. Гиунашвили, В.Г. Садрадзе, Г.Т. Татарашвили.

## 1978

99. გორასამარხი // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ. 3. – თბ., 1978. – გვ. 221.
100. მცხეთა. 1975. მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის სამუშაოების ანგარიში // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. II. – თბ.: მეცნიერება, 1978. – გვ. 8-80 სურ-ით. – რეზ. რუს. თანაავტ.: ა. კალანდაძე, ვ. ნიკოლაიშვილი.

101. მცხეთა. 1976. მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის სამუშაოების ანგარიში // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. II. – თბ.: მეცნიერება, 1978. – გვ. 81-156 სურ-ით. – რეზ. რუს. თანაავტ.: ა. კალანდაძე, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. მაჯგალაძე, ა. სიხარულიძე, ვ. სადრაძე, ლ. ხეცურიანი, თ. ჯღარკავა, მ. ძნელაძე, რ. დავლიანიძე, გ. გიუნაშვილი.
102. უპირველესი და უმნიშვნელოვანესი სამუშაო: [ძეგლების დაცვის საკითხებზე] // ლენინელი (საქ. პოლიტექნ. ინ-ტი). – 1978. – 30 სექტ.
103. წინასიტყვაობა // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. II. – თბ.: მეცნიერება, 1978. – გვ. 5-7.
104. Армазисхевские питиахши. – Тб., Мецниереба, 1978. – 12 с.
105. «Великий Питиунт». Археологические раскопки в Пицунде // დიდი პიტიუნტი. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. ტ. III / ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტი. არქეოლ. კომისია. – თბ.: მეცნიერება, 1978. – გვ. 9-99. – რეზ. ინგლ.
106. Мцхетская археологическая экспедиция // Полевые археологические исследования в 1975 году (краткие сообщения). – Тб.: Мецниереба, 1978. – С. 38-41.; XVI-XXI табл.
107. Мцхетская экспедиция // Археологические открытия 1977 года. – М., 1978. – С. 71-74. Соавт.: В. Николайшвили, Г. Хомасуридзе, А. Дзнеладзе, Г. Д. Гиунашвили, В.Г. Садрадзе, А. Сихарулидзе.

## 1979

108. ბარაქის, დოვლათის დღესასწაული: [სახალხო დღესასწაული „მცხეთობა“] // მცხეთა. – 1979. – 14 ოქტომბერი.
109. „დიდი პიტიუნტი“. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. ტ. III. [წინასიტყვაობა ამავე სახელწ. წიგნისათვის. – თბ.: მეცნიერება, 1978] // წიგნის სამყარო. – 1979. – №2. – გვ. 2.
110. კავკასიის არქეოლოგიისა და კავკასიის ცივილიზაციის გამოჩენილი მკვლევარი: [გერმანე გობეჯიშვილი] // მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. – 1979. – ტ. 7. – გვ. 5-12.
111. Краткие сообщения о результатах полевых археологических исследований на территории Большого Мцхета // Полевые археологические исследования в 1976 году (краткие сообщения). – Тб., 1979. – С. 149-162.; LXI-LXVI табл.  
Соавт.: А.Н. Каландадзе, В. Николайшвили, А. Сихарулидзе, Т. Джгаркава, В.Г. Садрадзе, Л. Хещуриани, Г.Т. Татарашвили, Г. Д. Гиунашвили.
112. Находка на берегу Куры: (Беседа с руков. археолог. экспедиции Ин-та истории, археологии и этнографии им. Ив. Джавахишвили. А. Апакидзе) // Веч. Тбилиси. – 1979. – 6 сент.
113. Работы в Церовани и Сатовле // Археологические открытия 1978 года. – М., 1979. – С. 493. Соавт.: В. Николайшвили, В.Г. Садрадзе, Ш. Иремашвили, Р. Давлианидзе.
114. Раскопки в Мцхета // Археологические открытия 1978 года. – М., 1979. – С. 495-496. Соавт.: В. Николайшвили, А. Сихарулидзе, Г. Манджгаладзе, Г. Гиунашвили, М. Дзнеладзе.

## 1980

115. ახალი ქართული არქეოლოგიის სათავესთან / აკად. სიმონ ჯანაშიას დაბადების მე-80 წლისთავი: [წერილები]. – თბილისის უნივერსიტეტი. – 1980. – 15 ნომბ.
116. დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი არქეოლოგიაში: [რეც. წგ-ზე Шамба, Г. Эшерское городище. – Тб., Мецნიერება, 1980. – 69 ს.: 39 ლ. ილ] // კომუნისტი. – 1980. – 9 ოქტ. – გვ. 4.
117. „ემერის ნაქალაქარი“: [რეც. წგ-ზე Шамба, Г. Эшерское городище. – Тб., Мецნიერება, 1980. – 69 ს.: 39 ლ. ილ] // ახალგაზრდა კომუნისტი. – 1980. – 18 სექტ. გვ. 4.
118. რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონი = Русско-грузинский археологический словарь; (მასალები) / რედ. ა. აფაქიძე. შემდგ.: ა. აფაქიძე, მ. ინასარიძე, ა. სიხარულიძე, გ. აფაქიძე. – თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა. 1980. – 888. ХХІХ გვ.: ილ.
119. წინასიტყვაობა // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. IV. სამთავრო. წინანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. – თბ.: მეცნიერება, 1980. – გვ. 5-7.
120. Важный труд по архологии: (Рец. на кн.: Шамба, Г. Эшерское городище. – Тб., Мецნიერება, 1980. – 69 ს.: 39 ლ. ილ.) // Советская Абхазия. – 1980. – 20 სენტ.
121. Мцхета. Результаты археологических исследований // Полевые археологические исследования в 1977 году (краткие сообщения). – Тб., 1980. – С. 130-146.; LXI-LXX табл.
107. Соавт.: В. Николайшвили, М. Абдушелишвили, М. Сихарулидзе, Г. Манджгаладзе, В.Г. Садрадзе, Т. Джгаркава, Г. Д. Гиунашвили, Ш. Иремашвили.

## 1981

122. გამოჩენილი მკვლევარი და პედაგოგი: [ისტორიკოსი ვალერიან გაბაშვილი] // ლიტ. საქართველო. – 1981. – 5 ივნ. თანაავტ.: კ. კუცია.
123. მცხეთა – 1977 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. V. – თბ.: მეცნიერება, 1981. – გვ. 119-152. – რეზ. რუს. ენ. – გვ. 170-175. თანაავტ.: მ. აბდუშელიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ა. სიხარულიძე, ვ. სადრაძე, გ. მანჯგალაძე, თ. ჯღარკავა, გ. გიუნაშვილი, შ. ირემაშვილი, ე. გავამელი, კ. მელითაური.
124. მცხეთა – 1978 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. V. – თბ.: მეცნიერება, 1981. – გვ. 153-169. – რეზ. რუს. ენ. – გვ. 175-178. თანაავტ.: მ. აბდუშელიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ა. სიხარულიძე, გ. მანჯგალაძე, გ. გიუნაშვილი, მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, შ. ირემაშვილი.
125. წარსულის კვლევა მომავლის სამსახურში: [საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის მიღწევები] // თბილისი. – 1981. – 22 იანვ. – გვ. 3.
126. Великая Мцхета. 1976 // Археологические открытия 1980 года. – М., 1981. – С. 396.
127. Мцхета // Полевые археологические исследования в 1978 году (краткие сообщения). – Тб., 1981. – С. 101-110.; XLVI-LIII табл.



107. Соавт.: В. Николайшвили, Г. Манджгаладзе, Г. Д. Гиუნაშვილი, М. Джанелидзе, А. Сихарулидзе, В.Г. Садрадзе, Р. Давლიანიძე, Э. Гавашели, Ш. Иремашвили, К. Мелитаური.

## 1982

128. დიდი მცხეთა. 1979 (დიდი მცხეთის ტერიტორიაზე 1979 წელს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები) // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. VI. – თბ.: მეცნიერება, 1982. – გვ. 191-218. – რეზ. რუს. თანაავტ.: ვ. ნიკოლაიშვილი, კ. მელითაური ა. სიხარულიძე, ა. სადრაძე, მ. ძნელაძე, გ. მანჯგალაძე, ლ. ხეცურიანი, თ. ჭანიშვილი, გ. გიუნაშვილი, რ. დავლიანიძე, ე. გავაშელი, შ. ირემაშვილი, თ. ბიბილური, ნ. ლლონტი.
129. მაღალი მეცნიერული დონე, პირადი პასუხისმგებლობა: რესპუბლიკის საზოგადოებრივ-ბათმცოდნეთა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ხუთწლიანი პროგრამა // კომუნისტი. – 1982. – 7 აპრ. – გვ. 2. თანაავტ.: ვ. კორძაია.
130. სჯა-ბაასი მომავლისათვის. გვესაუბრებიან საქართველოს ისტორიკოსთა ბორჯომის შეხვედრის მონაწილენი (ალ. ფრანგიშვილი, ა. აფაქიძე, გ. ძიდიგური და სხვ.) // კომუნისტი. – 1982. – 5 ოქტ. – გვ. 3.
131. ღვაწლმოსილი მკვლევარი: პროფესორ ირაკლი ანთელავას დაბადების 70 წლისთავი // კომუნისტი. – 1982. – 3 აპრ. – გვ. 4. თანაავტ.: გრ. მარგანი, ა. ბენდიანიშვილი.
132. Археологические исследования на новостройках Великой Мцхета (1976-1979 гг.) // Археологические исследования на новостройках Грузинской ССР (Сборник). – Тб., 1982. – С. 103-110.: XL-XLIV табл. Соавт.: В. Николайшвили, А. Сихарулидзе, Т. Джгаркава, М. Джанелидзе, Г. Садрадзе, Г. Манджгаладзе, Г. Гиუნაშვილი.
133. В интересах науки. Встреча ученых историков республики: в Боржоми. Беседы // Заря Востока. – 1982. – 29 сент. С. 3. Соавт.: З. Анчабадзе, Д. Хахутайшвили, Б. Техов.
134. В. памяти народной: Памяти Л.И. Брежнева // Заря Востока. – 1982. – 14 ноября.
135. Живая связь с историей народа. Грузинская советская археология за шесть социалистических десятилетий // наука в Сибири. – 1982. – 1982. – 30 сент. – С. 5.
136. Мцхетская Экспедиция в 1980 г. // Полевые археологические исследования в 1980 году. (Краткие сообщения). – Тб., 1982. – С. 35-39.; LX-LXIV табл. Соавт.: В. Николайшвили, Г. Манджгаладзе, А. Сихарулидзе, Л. Хецуриани, В. Садрадзе, Ш. Иремашвили, М. Джанелидзе, Т. Чანიшвили, К. Мелитаური, Г. Гиუნაშვილი.
137. Путь партии, путь народа // Молодежь Грузии. – 1982. – 14 ноября.
138. Результаты полевых исследований на территории Мцхета // Полевые археологические исследования в 1979 году. (Краткие сообщения). – Тб., 1982. – С. 68-80.; XL-I табл. Соавт.: В. Николайшвили, Г. Манджгаладзе, В.Г. Садрадзе, М. Дзнеладзе, Л. Хецуриани, Р. Давლიანიძე, Э. Гавашели, А. Сихарулидзе, Г. Д. Гиუნაშვილი, К. Мелитаური, Ш. Иремашვილი.

## 1983

139. ისტორიკოსთა წვლილი. რესპუბლიკის მეცნიერ-ისტორიკოსთა ბორჯომის მეხუთე შეხვედრის შედეგების გამო: ი. აბაშიძის, გ. მელიქიშვილის, მ. ლორთქიფანიძის, ა. აფაქიძის და სხვ. მოსაზრებები // კომუნისტური. – 1983. – 14 ივნ. – გვ. 1.
140. ქართული საბჭოთა მეცნიერება 1982 წელს // საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე. – 1983. – №1. – გვ. 181-195.
141. ძიება გრძელდება: [საქართველოს ისტორიისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა პანთეონი მოსკოვის დონის მონასტერში] კომუნისტური. – 1983. – 19 აპრ. – გვ. 1.
142. Великая Мцхета. 1976 // Археологические открытия 1981 года. – М., 1983. – С. 403-405.

## 1984

143. ავამაღლოთ საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლი // თბილისი. – 1984. – 15 ივნ. – გვ. 2.
144. ახალგაზრდობამ უნდა უპატრონოს! [წყალქვეშა არქეოლოგიური ექსპედიცია სოხუმის რაიონში 1952-1959 წლებში] // ახალგაზრდა კომუნისტური. – 1984. – 5 ივლ. გვ. 3.
145. გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე: [აკად. ლეონიდე გორგილაძის დაბადების 70 წლისთავის გამო] // კომუნისტური. – 1984. – 5 სექტ. – გვ. 3. თანაავტ.: რ. გრძელიძე, ი. ქობალია.
146. თვრამეტი მეცნიერის პასუხი [ს. ღურმიშიძის] ერთ შეკითხვაზე: [„აქვს თუ არა თავისი პოეზია მეცნიერებას და თუ აქვს, რაში გამოიხატება იგი“] // მნათობი. – 1984. – №9. – გვ. 137-138. თანაავტ.: ა. ბარამიძე, ლ. გაბუნია.
147. მეცნიერება – ერის სამსახურში: [დუშეთის არქეოლოგიური სამეცნ. კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლებიდან] // კომუნისტური გზა (დუშეთი). – 1984. – 1 ნოემბ. თანაავტ.: რ. რამიშვილი, გ. ფედოროვ-დავიდოვი, ა. აფაქიძე [და სხვ.].
148. მოღვაწის ნათელი მიზანი / გიორგი ძიძარიას დაბადების 70 წლისთავის გამო] // კომუნისტური. – 1984. – 25 აპრ. – გვ. 3. თანაავტ.: გ. ჯიბლაძე, ალ. ფრანგიშვილი, ი. კაჭარავა, შ. ინალ-იფა.
149. მცხეთა // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. – ტ. 7. თბ., 1984. – გვ. 255-257. თანაავტ.: ს. კინწურაშვილი, ლ. მენაბდე.
150. მცხეთის აკლდამა // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 7. თბ., 1984. გვ. 257.
151. საქმიანი შემობრუნების საიმედო დასაწყისი: [საქ. სსრ მეცნ. აკადემიის საქმიანობაში მომხდარი ძვრების შესახებ] // თბილისი. – 1984. – 2 ივლ. – გვ. 2.
152. ყურადღების ცენტრშია განვითარებული სოციალიზმის პრობლემები: [რესპუბლიკის სწავლულ ისტორიკოსთა ბორჯომის მეექვსე შეხვედრა] // კომუნისტური. – 1984. – 22 ივნ. – გვ. 3.
153. წარსული მომავლისთვის გვჭირდება: [საუბარი გაზ. ახალგაზრდა კომუნისტურის მრგვალი მაგიდის მონაწილეებთან ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით] / ა. აფაქიძე, ი. ციციშვილი, ა. ძიძიგური, ჩაიწერა ხოჭოლაგამ // ახალგაზრდა კომუნისტური. – 1984. – 29 მაისი.
154. „წიგნი – ჩვენი... სადარბაზო ბარათი“: [წიგნის მოყვარულთა საზ-ბის III ყრილობის დელეგატის საუბარი. 1984 წ. 18 ოქტ.] // წიგნის სამყარო. – 1984. – №19. გვ. 2.

155. В центре внимания – проблемы развитого социализма // Заря Востока. – 1984. – 21 июня. Соавт.: М. Лорткипанидзе, А. Куправа.
156. Его книги читаются всюду: О памяти писателя Н. Думбадзе // Веч. Тбилиси. -1984. – 20 сент. – С. 3.
157. Раскопки в Мцхета // Археологические открытия 1982 года. – М., 1984. – С. 419-420. Соавт.: В. Николайшвили.
158. Результаты полевых изысканий в Мцхета // Полевые археологические исследования в 1981 году. (Краткие сообщения). – Тб., 1984. – С. 45-50.; LI-LXIV табл. Соавт.: В. Николайшвили, А. Сихарулидзе, В.Г. Садрадзе Л. Хецуриани, Г. Д. Гиунашвили, Ш. Иремашвили.
159. Сердечно поздравляем: К 60-летию со дня раждения кинорежиссера Л. А. Кулиджанова // Веч. Тбилиси. – 1984. – 20 марта. – С. 4.

### 1985

160. დავიწყება არ უწერია: [აკად. არნოლდ ჩიქობავას გარდაცვალების გამო] // ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. – 1985. – №3-4. – გვ. 231-234.
161. მსოფლიო მეცნიერი: [აკად. ნიკო მარის დაბადების 120 წლისთავი] // კომუნისტი. – 1985. – 19 ოქტ. – გვ. 3. თანავტ.: ე. ხარაძე, შ. ძიძიგური, გ. ჯიბლაძე, ა. ბარამიძე, ე. მეტრეველი, თ. გამყრელიძე, ს. ცაიშვილი.
162. სარკინე // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9 – თბ., 1985. – გვ. 107.
163. საძვალე // ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9. – თბ., 1985. – გვ. 217.
164. Археологические исследования на новостройках Великой Мцхета (1976-1979 гг.) // Археологические исследования на новостройках Грузинской ССР (Сборник). – Тб., 1982. – С. 103-110.: XL-XLIV табл. Соавт.: В. Николайшвили, А. Сихарулидзе, Т. Джгаркава, М. Джанелидзе, Г. Садрадзе, Г. Манджгаладзе, Г. Гиунашвили.
165. В ногу со временем: Беседу акад. –секр. АН ГССР. А. Апакидзе о боржомских встречах груз. историков. Записал В. Ахалая // Заря Востока. – 1985. – 20 сент.
166. Плодотворная пятилетка: Беседы участников седьмой Боржомской встречи ученых-историков республики // Заря Востока. – 1985. – 25 сент. Соавт.: Г. Меликишвили, Ю. Качарава (и др.).
167. Работы в Мцхета // Археологические открытия 1982 года. – М., 1985. – С. 462-463. Соавт.: В. Николайшвили.

### 1986

168. კომენტარი ზ. ქიქოძის სტატიაზე „სახსოვარი“ მილიონი წლისა: [ფერსათის ზეგანზე აღმოჩენილი აშელური პერიოდის სადგომები და სადგომ-სახელოსნოები] // კომუნისტი. – 1986. – 19 იანვ. – გვ. 3.
169. მეგობრის ხსოვნას: [საქ. სსრ კულტ. დამსახ. მუშაკის ა. აბრამიშვილის გარდაცვალების გამო] // თბილისი. – 1986. – 25 ივლ. – გვ. 3. ხელმოწერა: გ. ჯიბლაძე, შ. ძიძიგური, ა. აფაქიძე [და სხვ.].
170. რწმენის, ცოდნის, მოქმედების ერთიანობისათვის / საუბარი ჩაიწერა შ. გულუამ // თბილისი. – 1986. – 29 ოქტ. – გვ. 2.

171. საქართველოს ისტორიკოსთა დიდი საბჭო: [მე-8 ტრადიციული შეხვედრის შესახებ ბორჯომში] // კომუნისტი. – 1986. – 24 სექტ. – გვ. 1-3.
172. ქართული ეთნოგრაფიის ბერძენი: [გიორგი ჩიტაიას გარდაცვალების გამო] // ძეგლის მეგობარი. – 1986. – №3. – გვ. 70-72. – რეზ. რუს. ინგლ.: ლიტ. საქართველო. – 1986. – 5 სექტ. – გვ. 14.
173. ქართული საბჭოთა არქეოლოგიის მესაძირკვე: [გიორგი ნიორაძის დაბადების 100 წლისთავი] // კომუნისტი. – 1986. – 18 დეკ. – გვ. 4.
174. Актуальные проблемы обществоведов // Веч. Тбилиси. – 1986. – 22 мая.
175. Большой Совет историков грузии: (Беседа с участником форума о проблемах археологии Грузии (в Боржоми) // Заря Востока. – 1986. – 25 сент. – С. 3.
176. Мцхетская экспедиция // Археологические открытия 1984 года. – М., 1986. С. 391-392. Соавт.: В. Николайшвили.
177. Мцхетская экспедиция // Полевые археологические исследования в 1983 году. (Краткие сообщения). – Тб., 1986. – С. 31-37.; LVII-LXVIII табл. Соавт.: В. Николайшвили, К. Мелитаური, Г. Манджგალაძე, ლ. ზეცურიანი, ა. აბუტიძე, მ. დავლიანიძე, გ. გიუნაშვილი, ნ. გლოტი, ნ. მოლაშვილი.
178. Раскопки в Мцхета // Археологические открытия 1985 года. – М., 1986. – С. 521-522. Соавт.: В. Николайшвили.

#### 1987

179. აღსრულდა დიდი ექვთიმეს ოცნება: [ნინო პოლტოროცკაია-თაყაიშვილის საფრანგეთიდან თბილისში გადმოსვენების გამო] // მნათობი. – 1987. – №3. – გვ. 175-176.
180. მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია ახალ მშენებლობაზე // ძეგლის მეგობარი. – 1987. – №3. – გვ. 16-24. – რეზ. რუს., ინგლ. თანაავტ.: ვ. ნიკოლაიშვილი.
181. შევინარჩუნოთ ეპოქათა ხიდები: [ისტორიული ძეგლების დაცვა და გამოყენების შესახებ] // კომუნისტი. – 1987. – 18 აგვ. – გვ. 3. თანაავტ.: ა. თავხელიძე, ი. აბაშიძე, ი. ციციშვილი.
182. Археологические раскопки в Мцхета и ее округе // Полевые археологические исследования в 1984-1985 г.г. (Краткие сообщения). – Тб., 1987. – С. 47-51.; LXIII-XCVIII табл. Соавт.: В. Николайшвили, А. Сихарулиძე, კ. მელთაური, ი. გაგოშიძე, ლ. ზეცურიანი, დ. ზეცურიანი, გ. მანჯგალაძე, გ. ნარამანიშვილი, რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე, ნ. გლოტი, შ. ირემაშვილი.
183. Радиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии. – Тб. – Мецნიერება, 1987. – 83 с. Соавт.: А. Бурчуладзе.

#### 1988

184. იწყო აღმოცენებად... [დიდგორზე ქართველთა ძლევაშობილი გამარჯვების მემორიალის შექმნასთან დაკავშირებით] // კომუნისტი. – 1988. – 3 მარტი.
185. მეცნიერი და მოღვაწე: გიორგი ჯიბლაძის დაბადების 75 წლისთავის გამო // კომუნისტი. – 1988. – 12 მაისი – გვ. 3.
186. მცხეთა – ქართული არქეოლოგიის დედაქალაქი // კომუნისტი. – 1988. – 9 აპრ. – გვ. 3. თანაავტ.: ა. თავხელიძე, შ. ძიბიგური, გ. ციციშვილი.

187. პოლიგონზე: [დავით გარეჯში] განხორციელებული ექსპერიმენტის შედეგები: [ი. ციციშვილის, ა. აფაქიძის და მ. ალექსიძის აზრი ამ ექსპერიმენტთან დაკავშირებით] // კომუნისტი. – 1988. – 25 ოქტ.
188. ჭუმბურიძე ი. „საარაკო ჩვენი გადარჩენა“: [ე. თაყაიშვილის საიუბილეო საღამო გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწ. მუზეუმში: ა. აფაქიძის, ვ. ბერიძის, გ. ჟორდანიას მოგონებები] // თბილისი. – 1988. – 14 მაისი. – გვ. 4.
189. Мцхетская экспедиция // Археологические открытия 1986 года. – М., 1988. – С. 436-438. Соавт.: Г. Гиунашвили, Р. Давлишвидзе, Г. Нариманишвили, В. Садрадзе.
190. Служба народу: (Беседа вице-президента АН ГССР акад. А. Апакидзе) // Юный ленинец. – 1988. – 30 дек.

### 1989

191. ამაგდარი [აკად. გიორგი ჯიბლაძის გარდაცვალების გამო] // კომუნისტი. – 1989. – 28 სექტ. თანაავტ.: რ. მეტრეველი, გ. ციციშვილი.
192. ახალი ქართული არქეოლოგიის ფუძემდებელი გიორგი ნიორაძე // საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე. – 199. – ტ. 40-В. – გვ. 9-12.
193. განვაგებდეთ დინჯი გონებით: [საუბარი ქართველებსა და აფხაზებს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით] / ჩაიწერა შ. გულუამ // თბილისი, – 1989. – 3 ოქტ. – გვ. 4.
194. დიდი მცხეთა. 1980. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები) // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. IX. – თბ.: მეცნიერება, 1989. – გვ. 6-40. – რეზ. რუს. თანაავტ.: ვ. ნიკოლაიშვილი, ა. სინარულიძე, თ. ბიბილური, გ. გიუნაშვილი, შ. ირემაშვილი, გ. მანჯგალაძე, ვ. სადრაძე, მ. ძნელაძე, ლ. ხეცურიანი.
195. დიდი მცხეთა. 1981. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები) // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. IX. – თბ.: მეცნიერება, 1989. – გვ. 40-76. – რეზ. რუს. თანაავტ.: ვ. ნიკოლაიშვილი, ა. სინარულიძე, თ. ბიბილური, გ. გიუნაშვილი, შ. ირემაშვილი, გ. მანჯგალაძე, ვ. სადრაძე, ლ. ხეცურიანი.
196. რწმენით, იმედით, გეგმებით: [საზოგადოებრივ მეცნიერებათა მკვლევარების სამომავლო გეგმები და პერსპექტივები] / ჩაიწერა გ. ხარებაშვილმა // კომუნისტი. – 1989. – 11 იანვ. – გვ. 4. თანაავტ.: რ. მეტრეველი, გ. ციციშვილი.
197. ფიქრები ყრილობაზე: [საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა. 1989. დეკ.] // ახალგაზრდა კომუნისტი. – 1989. – 19 დეკ. – გვ. 2.
198. Звучи радной язык: (По поводу утверждения государственной программы грузинского языка ЦК КП Грузии и правительством республики. Высказывания: А. Апакидзе, В. Джорбенадзе, Р. Глonti) // Заря Востока. – 1989. – 17 фвг. – С.3.
199. Культура Грузии в античную эпоху. §1. Иберия // Отчерки Грузии. Т. 1. Грузия с древнейших времен до IV в. н. э. – Тб.: Мецниереба. 1089. – С. 393-448; 122 ил.
200. Мцхета – столица грузинской археологии // Кутаисская правда. – 1989. – 11 мая.
201. О страницах истории – без гнева и пристрастия // Заря Востока. – 1989. -25 февр. Веч. Тбилиси. – 1989. – 25 фев.

## 1990

202. ამხ. ა. მ. აფაქიძის სიტყვა: [საქ. კპ. 28-ე ყრილობაზე] // კომუნისტი. – 1990. – 18 მაისი.
203. არმაზისხევი (006). არმაზციხე (007), არმასციხე, არმაზის ციხე // საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. წგ. 5 – თბ., 1990. – გვ. 235-241.
204. განვითარების ეროვნული გზა / საუბარი ჩაიწერა შ. გულუამ // რესპუბლიკა. – 1990. – 18 სექტ. – გვ. 5.
205. დიდი ნღობა. დიდი ამოცანები [საუბარი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის ავტონომიის მინიჭებასთან დაკავშირებით] // კომუნისტი. – 1990. – 28 ოქტ.
206. ეროვნული მეცნიერების წინსვლისათვის // კომუნისტი. – 1990. – 5 აპრ.
207. სარკინე (170) // საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა წგ. 5. – თბ., 1990. – გვ. 307-308.
208. წიწამური, ნაქალაქარი (255) // საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა წგ. 5. – თბ., 1990. – გვ. 437.
209. Георгий Ниорадзе и археология Грузии // Палеолит Кавказа и сопредельных территорий. (Сборник, посвященный 100-летию со дня рождения член-корр. АН ГССР проф. Г. К. Ниорадзе). – Тб., 1990. – С. 3-10.
210. История Грузии – духовная сила народа: («О государственной программе научного исследования, преподавания и популяризации истории Грузии». Высказывания: А. Апакидзе и др.) // Заря Востока. – 1990. – 26 апр. – С. 3.
211. Тогда в 78-ом.: (К вопросу формулировки в Конституции Грузии отношение к языку) // Заря Востока. – 1990. – 14 апр. – С. 3.

## 1991

212. ღვაწლი მამულიშვილისა: [ვალერიან გაბაშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო] // საქ. რესპუბლიკა – 1991. – 18 აპრ. – გვ. 4. თანავგტ.: ო. ცქიტიშვილი.
213. ხსოვნის ნათელი საუკუნე: [აკად. პაატა გუგუშვილის დაბადების 85 და მეცნიერული მოღვაწეობის 60 წლისთავი] // ეკონომიკა. – 1991. – №11-12. – გვ. 103-106.
214. Знать прошлое, видеть настоящее, думать о будущем. Обращение деятелей науки и культуры Грузии в газету «Известия» (на «Обращение осетинской интеллигенции...») // Вестник Грузии. – 1991. – 1 марта. – С. 2. Подпись: А. Апакидзе (и др.).
215. Мцхетская экспедиция // Полевые археологические исследования в 1986 году. (Краткие сообщения). – Тб., 1991. – С. 79-84; 184-205. табл. Соавт.: В. Николайшвили, Г. Гиუნашвили, Р. Давлианидзе, Т. Джгаркава, Г. Нариманашвили, В. Садрадзе, А. Сихарулидзе.
216. Открытое письмо президенту СССР Михаилу Сергеевичу Горбачеву: (по поводу событий в Шида Картли в осетинского населения в освещении средствах массовой информации) // Вестник Грузии. – 1991. 2 марта. С. 2. Подпись: А. Апакидзе (и др.).

### 1993

217. ანტიკური სამყარო და მცხეთა უკანასკნელი წლების არქეოლოგიური მონაპოვრების შუქზე // მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). სამეცნიერო სესია (1993; თბილისი). მოხსენებათა თეზისები. – თბ., 1993. – გვ. 36-37. თანაავტ.: ვ. ნიკოლაიშვილი
218. რას ნიშნავს სამოქალაქო ომი ქართულად / საუბარი ჩაიწერა ქ. ხატიაშვილმა // ახალგაზრდა ივერიელი. – 1993. – 30 ოქტ. – გვ. 1,2. თანაავტ.: ლ. ტუხაშვილი.

### 1994

219. რომაული სამშენებლო ხელოვნების ტრადიცია გვიანანტიკური ხანის საქართველოში: (ახლადამოჩენილი რომაული ტიპის აბანო არმაზციხე-ბაგინეთზე) // მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). სამეცნიერო სესია (1994; თბილისი). მოხსენებათა თეზისები. – თბ., 1994. – გვ. 23-24. თანაავტ.: ვ. ნიკოლაიშვილი.
220. An aristocratic tomb of the Roman period from Mtskheta. Georgia // The Antiquaries journal. LXXIV.: London. 1994. – 54 p. Co-author.: V. Nikolaishvili.

### 1995

221. მცხეთა – 82. 1982 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. X. – თბ.: მეცნიერება, 1995. – გვ. 6-57. – რეზ. რუს. თანაავტ.: ვ. ნიკოლაიშვილი, გ. გიუნაშვილი, გ. მანჯგალაძე, მ. ძნელაძე, ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე.
222. Мцхетская экспедиция // Полевые археологические исследования в 1987 году. (Краткие сообщения). – Тб., 1995. – С. 83-89; 144-179. табл. Соавт.: В. Николайшвили, Г. Нариманишвили, Р. Давлианидзе, В. Садрадзе, Л. Хецურიани, Ш. Иремашвили, А. Нонешвили.

### 1996

223. განძი არ უნდა დაიკარგოს: გაუფრთხილდეთ მემკვიდრეობას [სატყეო მეურნეობის მკვლევარ სოლომონ ქურდიანის ღვაწლსა და შემოქმედებაზე] // საქ. რესპუბლიკა. – 1996. – 12 ივლ. – გვ. 3. თანაავტ.: გ. სანაძე, ლ. გაბუნია, მ. ზაალიშვილი (და სხვ.).
224. ვის და რისთვის სჭირდება თურქული უნივერსიტეტი? / საუბარს უძღვებოდა ნ. მიშელაშვილი // საქართველოს მოამბე. – თელავი. – 1996. – №1. – გვ. 5.
225. მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე: [ისტორიკოს ვლადიმერ მერკვილაძის დაბადების 75 წლისთავი] // საქ. რესპუბლიკა, – 1996. – 23 აპრ. – გვ. 3. თანაავტ.: ლ. ჩიქავა, დ. სტურუა.
226. მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ. წ. III საუკუნის – აკლდამა 905 // მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. XI. – თბ.: მეცნიერება, 1996. – გვ. 7-79. – ტექსტი პარალ. – რეზ. რუს. ინგლ. თანაავტ.: ვ. ნიკოლაიშვილი.
227. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს! თქვენო უწმინდესობავ: [ქართული ეკლესიის სინოდის წინაშე ცოტნე დადიანის წმინდანად შერაცხვის საკითხის დასმის თაობაზე // ცოტნეიძელი (ფაზისის საერო აკადემია).

თბილისი-ფაზისი. – 1996-2015. ტ. I. ფაზისის საერო აკადემიის სამეცნიერო სესიების მასალები. – გვ. 120. ხელმოწერა: ა. აფაქიძე, პ. ზაქარაია, ნ. ჭითანავა [და სხვ.].

### 1997

228. საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ელუარდ შევარდნაძეს: [მიმართვა მოსე ჯანაშვილის მუზეუმის დაარსების საქმეში დახმარების მოთხოვნით] // ლიტ. საქართველო. – 1977. – 25 ივლ. 1. აგვ. – გვ. 2. ხელმოწერა: ა. ომარაშვილი, ა. აფაქიძე, გ. ფანჯიკიძე [და სხვ.].
229. Мцхетская экспедиция (Табл. 60-65) // Полевые археологические исследования в 1988 году. (Краткие сообщения). – Тб., 1997. – С. 65-70. Соавт.: В. Николайшвили, Г. Нариманишвили, Р. Давлианидзе.

### 1998

230. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის 1995-1997 წლების საველე მუშაობის შედეგები // კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია. I მოხსენებათა მოკლე შინაარსები. – თბ., 1998. – გვ. 9-10. – პარალ. ტექსტი რუს. ენ. – გვ. 51-53. თანავტ.: ი. ციციშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, გ. ყიფიანი.
231. მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის საველე სამუშაოთა ძირითადი შედეგები // მეორე სამეცნ. სესია მიძღვნილი მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1997 წელს ჩატარებულ საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. მცხეთა 1998 წლის 23 აპრილი. – თბ., 1998. – გვ. 3-5.

### 1999

232. ნარეკვავის ახლად აღმოჩენილი სამაროვანი: [მცხეთის რ-ნი] // მილსადენის არქეოლოგია. – 1999. – ტ. I. – გვ. 32-38. – რეზ. რუს.

### 2002

233. დიდი აღმოჩენა მცხეთაში: [სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთან გათხრილი აკლდამა. ე.წ. „ქვა-ყუთი“ №14] // მუღმივი კავშირის სამყარო. საინფ. სამეცნ. ჟურნალი. – 2002. – №4(16).
234. ირაკლი ციციშვილი: [გახსენება] // კავკასიის მაცნე. სპეციალური გამოცემა. – 2002. – გვ. 11-12. – რეზ. რუს., ინგლ.
235. საუკუნის აღმოჩენა [მცხეთაში] // ასი (100) მწერლის გაზეთი. – 2002. – 14-20 ნომბ. №36(44).
236. Археологические исследования в древней столице Грузии. – Мцхета // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის არქეოლოგია (IV) და ეთნოლოგია (III)“ = Международная научная конференция «Археология (IV) и этнология (III) Кавказа». მოხსენებათა მოკლე შინაარსების კრებული (რუს. ენ.) – თბ., ნეკერი, – 2002. – გვ. 29-32. Соавт.: Г. Кипиани, В. Николайшвили, Г. Манджгаладзе, А. Сихарулидзе, Г. Гиунашвили, Э. Гавашели, Т. Бибилури, М. Рчеулишвили, Д. Лекашвили, М. Капанадзе.



### 2003

237. ხნულით ღრმად გავლებული კვალი: [პროფ. ილია მირცხულავას 90 წლისთავის გამო] // საქ. რესპუბლიკა. – 2003. – 21 მარტი. – გვ. 6.

### 2004

238. ასე ტკბილად დამიბერდით... [არქეოლოგიურ მონაპოვრებზე ცხოვრების განვლილ წლებზე] / საუბარი მიყავდა ლ. დვალაძეს // ახალი ეპოქა. – 2004. – 23-29 იანვ. – გვ. 15.: სურ.

### 2005

239. ალექსი პირველი რუსეთის პატრიარქად სვეტიცხოველში აკურთხეს [1945]; მეცნიერის უბის წიგნაკიდან / ჩაიწერა დ. ცინცაძემ // საქ. რესპუბლიკა. – 2005. – 10 დეკ. – გვ. 8.
240. ოქრო, რომელსაც პატრონი გამოეცვალა: [ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმის კულტურის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ] / ესაუბრა ს. ალექსიძე // საქ. რესპუბლიკა. – 2005. – 27 თებ. – გვ. 4. სურ.

### 2010

241. პაატა გუგუშვილის საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ: ცნობილ მეცნიერთა (ფ. გოგიჩაიშვილი, რ. მეტრეველი, ა. აფაქიძე) შეხედულებები აკად. პაატა გუგუშვილზე დაბადების 105-ე წლისთავთან დაკავშირებით // ეკონომისტი. – 2010. – მაისი-ივნისი. – №3. – გვ. 50-51.

### 2011

242. წინასიტყვაობა // წგ-ში: ნიორაძე გიორგი (1886-1951). შრომები = Die Werke = Труды: 5 ტომად / (შემდგ., რედ. მედეა ნიორაძე; რედ. ანდრია აფაქიძე; საქ. ეროვნ. მუზეუმი. – თბ.: [მეცნიერება] (შპს. „ფავორიტი პრინტი“). ტ. I: საქართველოს გვიანბრინჯაოს, ანტიკური და შუასაუკუნეების ხანის არქეოლოგიური ძეგლები = Spatbronzezeitliche, antike und mittelalterliche archaologische Fundorte aus Georgien = Археологические памятники позднебронзовой, античной и средневековой эпох Грузии. – 2011. – გვ. 3-5.

### 2012

243. საქართველოს ისტორია: 4 ტომად: (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე) / საქართველოს მეცნ. ეროვნული აკად. ისტ. ეთნოლ., რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნ. ცენტრი სარედ. კოლ.: მ. ლორთქიფანიძე (მთ. რედ.), ო. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი, რ. მეტრეველი: [მთ. რედ.: მ. ალუდაური]. – თბ.: [პალიტრა I], 2012. ტ. I. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე / [ავტ. გ. მელიქიშვილი], ა. აფაქიძე, ო. ჯაფარიძე, დ. მუსხელიშვილი; რედ. დ. მუსხელიშვილი], 2012. – 304 გვ. + 16 ჩართ. ფ. ილ.
244. ძველი ქალაქი არქეოპოლისი-ნოქალაქევი // სამეგრელო. – 2012. №12. გვ. 38-39.
- 244<sup>ა</sup>. ქართული დამწერლობა // იხ. ინტერნეტსაიტი ბურუსი-BURUSI. <http://burusi.wordpress.com/2009/10/13/afaqidze/>.

## კავკასიის ქვის ხანის არქეოლოგიის პატრიარქი (ვასილ ლიუბინი 100 წლის გახდა)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების კონსულტანტ – წამყვან მეცნიერ თანამშრომელს ვასილ ლიუბინს მიმდინარე წლის იანვარში ასი წელი შეუსრულდა. ოდესის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის მასწავლებლები შემდგომში იყვნენ ცნობილი რუსი არქეოლოგები ე.გ. პჩელინა და ბ.ბ. პიოტროვსკი. დიდი ხნის განმავლობაში 1978-1988 წწ. იგი სათავეში ედგა ჯერ აღნიშნულ სამეცნიერო კოლექტივს, შემდეგ კი 10 წლის განმავლობაში ხემძღვანელობდა პალეოლითის ხანის განყოფილებას. 1955-1987 წწ. გახლდათ კავკასიის პალეოლოგიური ექსპედიციის უფროსი. ის ავტორია კავკასიის ქვის ხანისადმი მიძღვნილი 276 სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა შორის აღსანიშნავია მონოგრაფიები: „კავკასიის ადრეული პალეოლითი“ (მოსკოვი, 1984); „კავკასიის აშელური ეპოქა“ (სანკტ-პეტერბურგი, 1998); „ჰომო ერექტუსის სადგომი კუდარო I (ცენტრალური კავკასია)“ (ე.ვ. ბელიაევასთან თანაავტორობით; სანკტ-პეტერბურგი, 2004).




შედარებით ახლახან, სანკტ-პეტერბურგში, 2011 წელს გამოვიდა მისი გამოკვლევა „აფხაზეთის ადრეპრეისტორიის ფურცლები“. ვ. ლიუბინის სამეცნიერო წერილები ქვეყნდებოდა ფრანგულ, ინგლისურ ენებზე. მისი სამეცნიერო კვლევის ინტერესების სფერო – კავკასიის ადრე და შუა პალეოლითი – ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში განისაზღვრა. 1953 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „სამხრეთ ოსეთის ქვის ხანა“, სადაც წარმოაჩინა ამიერკავკასიის – საქართველოს და წინა აზიის ქვეყნების ქვემო პალეოლითის ძეგლების ერთობა. დისერტაციის ხელმძღვანელი გახლდათ აკად. ბ.ბ. პიოტროვსკი. მას შემოვლილი ჰქონდა არა მარტო შიდა ქართლი, არამედ მთელი საქართველო, მეგობრობდა ქართველ არქეოლოგებთან, ქვის ხანის სპეციალისტებთან, აკად. გ. ნიორაძესთან, დ. თუშაბრამიშვილთან ალ. კალანდაძესთან და სხვ.

1976 წელს ლენინგრადში მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „კავკასიის მუსტიეს კულტურები“. ის სწავლობს ევრაზიის თავდაპირველი მოსახლეობის მატერიალურ კულტურას. ქვის ინდუსტრიის ტექნიკურ-მორფოლოგიური ანალიზის საშუალებით იკვლევს კავკასიის პალეოეკოლოგიის პრობლემებს, ადგენს ამ ვრცელი და უნიკალური რეგიონის გეოქრონოლოგიას. ამით მას თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს ქართული ქვის ხანის არქეოლოგიის კვლევის საქმეში.

ქართველი არქეოლოგები ულოცავენ ვასილ ლიუბინს სახელოვან იუბილეს, უსურვებენ კავკასიურ ჯანმრთელობას და ახალ აღმოჩენებს არქეოლოგიაში.

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის  
ინსტიტუტის ემბლემის წარმომავლობა და შინაარსი



გამოსახულება, რომელიც აკად. ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის „ლოგო“-ს დაედო საფუძვლად ანტეფიქსზეა ასახული, მისი დაბალი რელიეფის „გრაფიკა“ დახვეწილია და თითქმის არავითარი სტილისტური ცვლილება არ განუცდია მისი ემბლემად გააზრებისათვის.

გამოსახულება სიმბოლოა, სიმბოლო კი ძირეულად განსხვავდება „ნიშანი“-საგან. სიმბოლო თავის თავში შეიცავს წარმოდგენების კომპლექსს, რომელიც წაკითხვადია მათთვის, ვინც ზიარებულია ენას, ანუ ვინც გაცნობიერებულია ძველი სამყაროს აზროვნების სისტემებში (ცხადია ისიც, რომ უკიდურესი სირთულის გამო, ეს გაცნობიერება ბოლომდე სრულყოფილი შესაძლოა არც იყოს).

ნიშანი კი წაკითხვადია ყველასათვის, რადგან იგი გამოსახულებით იმეორებს საგნებს. ნიშანი გავს საგანს და მასში არ იმალება სისტემური და სიმბოლური აზროვნება. თუ მაგალითად რომელიმე ნაგებობის კედელზე ვხედავთ ნახევარმთვარის გამოსახულებას ეს მხოლოდ ნიშანია და ასახვს სწორედ იმას, რასაც ის გავს, ანუ მთვარეს.

ანტეფიქსი მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთით, მისგან ხუთიოდე მეტრის დაშორებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ნიორაძის სახელობის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტმა მიაკვლია, რომელიც ტაძრის გარშემო მიმდინარე კეთილმოწყობის სამუშაოებს მეთვალყურეობას უწევდა ბატონ ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის, თუ რა აღმოჩნდა აქ კიდევ 2000 წელს<sup>1</sup>, მგონია, რომ მათი ჩამონათვალით უფრო ნათელი სურათი უნდა შეგვექმნას, თუ რა პროცესები წარიმართა „სამოთხეში“ ანუ „სამეფო ბაღში“ იქ სადაც ახლა სვეტიცხოვლის ტაძარია აღმართული.

ტაძრის გალავნის სამრეთის კედელში, გარე მხრიდან ჩაშენებული იყო სვეტის დოლი, იგი 12 კანელურს შეიცავს, ხოლო მათ შორის ბილიკები (striatum) მახვილი კუთხითაა ჩალარული. გამოიყოფა სვეტის ფუძეც, ჰორიზონტალური „სარტყლით“. ამდაგვარი სვეტის დოლები, ე.ი. ისეთნი, რომელთა სტრიარუმები ჩალარულია ვერტიკალურად, არაერთია აღმოჩენილი „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე<sup>2</sup>, მაგრამ მათი თარიღის დადგენა მეტ-ნაკლები

<sup>1</sup> გ. ყიფიანი, სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალები. მცხეთი არქეოლოგიის ინსტიტუტის 2000 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები - „ანგარიშები“, თბ. 2001. გვ. 40-44; გ. ყიფიანი წმინდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი, თბ. 2002.

<sup>2</sup> გ. ლეჟავა, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ. 1979. ტაბ. IX; გ. ყიფიანი, არქიტექტურული დეტალები, თბ. 1979. გვ. 44-45, ტაბ. XXIX.

სიზუსტით ყოველთვის ჭირდა, რადგან უცნობი იყო არქეოლოგიური კონტექსტი. ასევე ეს ჩვენს შემთხვევაშიც.

ამასთანავე ჩაკვეთილი „ბილიკები“ კანელურებიან სვეტებზე ერთგვარი არქაული ტრადიციაა.<sup>1</sup> ელინისტური ხანის ამდაგვარი სვეტი ჩემთვის უცნობია.<sup>2</sup>

გალანის დასავლეთ კედელთან ნაცრისფერი ქვიშაქვის სვეტის ბაზისის ფრაგმენტი გამოვლინდა. იგი პროფილირებულ პლინტუსს შეიცავს. მისი ფორმა და შედგენილობა მხოლოდ გვიანანტიკურ ხანაზე მიგვანიშნებს - კვადრატული პლინტუსი, ნაოთხალი ლილვი, კვადრატული პლინტუსი, მასზე დაფუძნებული ცილინდრი, სკოცია და ცილინდრი (ქვემოდან ზემოთ).

მის სიახლოვეს კიდევ ერთი სვეტის ბაზისი გამოვლინდა ე.წ. ლილვისებური. სრულფასოვანი ლილვი მაღალ კუბზეა დაფუძნებული ლილვიანი ბაზისების (მათ შორის ნაოთხალლილვიანი) არეალი უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს, თითქმის მთელს აღმოსავლეთს. მათთვის ვერც მკაცრი ქრონოლოგიური ჩარჩო დასტურდება.<sup>3</sup> ლილვიანი ბაზისები X საუკუნის ჩათვლითაც კი გვხვდება, ხოლო აქ კუბური „პლინტუსი“ მის რამდენადმე უჩვეულო იერზე მიგვანიშნებს.

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან მოყვითალო კირქვის ფრიზის ფრაგმენტიც გამოვლინდა კარნიზითურთ. აქ ის ჩანს, რომ მასში გვიანრომაული ხანის აღმოსავლური პროვინციებისათვის დამახასიათებელი დეკორატიული სახეებია თავმოყრილი. კარნიზზე ქვედაშვებულ და ზეადმართულტანიანი პალმეტები მონაცვლეობენ.<sup>4</sup> ფრიზში კი ასახულია აკანთოსის მსგავსი „სიცოცხლის ხე“ დერივატებითურთ (ზოგიერთი სახე სრულად იმეორებს ბოლნისის სიონის დეკორატიული პლასტიკის ელემენტებს).

აქვე იქნა მიკვლეული მარკირებული კირქვის კვადრი (Δ), უნდა აღინიშნოს, რომ სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიაზე ბერძნული ასო-ნიშნებით აღნიშნული ქვათლილები სხვა დროსაც არაერთხელ აღმოჩენილა.

თიხის ანტეფიქსი კი, რომლის გამოსახულება ინსტიტუტის „ლოგო“-ს დაელო საფუძვლად რელიეფურია და ყალიბში ჩაწნეხვითაა მიღებული.

„სიცოცხლი ხე“ კვარცხლბეკზეა დაფუძნებული. ასეთი შემთხვევები საკმაოდ დასტურდება აღმოსავლეთის სიმბოლურ გამოსახულებებში, ასევე ხშირია ხეთა სამწვერა დაბოლოებანი, ჩვენი შემთხვევის ანალოგიურნი, და რაც მთავარია „ხეები“ შეიცავენ ნაყოფს,<sup>5</sup> პირობითად ბროწეულებს, როგორც გარკვეული სიმბოლური აზრის შემცველთ<sup>6</sup> (ასეა ეს ჩვენს ნიმუშშიც).

რომ არა განივი მკლავები ჩვენს ანტეფიქსზე იგი შესაძლოა მიგველო ასურული სიცოცხლის ხის ერთ-ერთ ვარიანტად. განივი მკლავებითაა სწორედ „ხე“ შერწყმული ჯვართან.

<sup>1</sup> И. Р. Пичикян, Малая Азия – Северное Причерноморье, М. 1984, гв. 154. sur. 55.

<sup>2</sup> ერთადერთი შემთხვევა ანალოგიური სვეტისა (მინიატურული და პილასტრისა) ტაქსილადანა ცნობილი, ძვ. წ. II-ისა, იხ. შირ. ყ. არსცჰალლ. თახილა III ჩამბრიდვე, 1951. პლ. 214. 25; თანადროული ძეგლებიდან ანალოგები ავტორისთვისაც უცნობია. იხ. მისივე: თახილა, I. გვ. 695.

<sup>3</sup> И. Р. Пичикян, Торovidные бaзы (происхождение хронология) в кн. КИНСАДН, М. 1979.

<sup>4</sup> შდრ. მაგ. ბაალბეკის ტაძრის კარნიზებს. . ურმ, იე აუკუნსტ დერ ლ მერ. შტუტგარდ 1905. გვ. 27. ფიგ. 464დ.

<sup>5</sup> S. Parpola, The Assyrian tree of Life, YNES, v. 52, 1993, N3. 200-201.

<sup>6</sup> Y. Cooper, Lexikon Alter Symbole, გვ. 10, 132.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გვიანხეთურ სამყაროში ცნობილია „სიცოცხლის ხის“ განივი მკლავებით აღჭურვა.<sup>1</sup> ამდენად შესაძლოა, რომ განივი მკლავები, როგორც ჯვრის ასახულობა დანამატი კი არაა „ხისა“, არამედ სქემის ტრანსფორმაცია.

ასეა თუ ისე ჩვენს წინაშე ფრიად საყურადღებო ნიმუშია. მისი რამდენადმე მიახლოებული პარალელი უცნობია. გამოსახულებას სიმარტივისა და ლაკონიკურობის მიუხედავად იგი თხრობითი ტექსტის შემცველია. გვამცნობს დიალოგის პროცესს სიცოცხლის ხესა და ჯვარს შორის, ანუ სვეტიცხოველსა და ძელს შორის.<sup>2</sup>

აკად. ა. აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი ძველი და ახალი სამყაროების გამომზეურებას, შესწავლასა და საზოგადოების აზროვნების სისტემაში მათ ჩართვას ისახავს მიზნად.

ანტიფეიქსის სიმბოლური გამოსახულება, ხომ წარსულსაც გადმოგვცემს „სიცოცხლის ხის“ (სამყაროს ხის - arbor vitae) სახით და ჯვრის ანუ ამ შემთხვევაში განივი მკლავების სახით, ახალი, წიგნიერი რელიგიის დაფუძნებასაც საქართველოში, და თუ გნებავთ დიალოგსაც სამყაროებს შორის.

ინსტიტუტი კი სწორედ დიალოგისაკენაა მოწოდებული, ეს უნდა იყოს დიალოგი წარსულსა და თანამედროვეობას შორის, რაც გულისხმობს იმას, რომ წარსულის ყოველი გამოვლინება უნდა მიეზას საზოგადოების აზროვნებასა და ქმედებებს. ანუ წარსულით ნაკარნახევი მომავლის შექმნას. თანამედროვეობა, როცა ტვირთულობს თავის წარსულს ყველა თავის გამოვლინებით, მხოლოდ მაშინ ფლობს იგი განვითარებადობას.



<sup>1</sup> E. und R. Wurz, Die Entstehung der Säulenbasen des Altertums unter Berücksichtigung verwandter Kapitelle, ZGA. Bl. 15, Heidelberg. 1925. გვ. 101, სურ. 260.

<sup>2</sup> А.А. Иерусалимская, Находки христианско култа в могильнике Мошечая Балка, гв. 103-104. წიგნი: Художественные памятники культуры Востока, Ленинград 1985.

## უძველესი სამთამადლო წარმოების ძეგლები პრეისტორიულ საქართველოში (საყდრისი)


პრეისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი სამთამადლო და მეტალურგიული წარმოების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნედლეულის ბაზას მცირე კავკასიონის მთიანეთის ზონაში განლაგებული ძირეული (სამადლო) და ქვიშრობული – ოქროს საბადოები, პოლიმეტალური მადნები წარმოადგენდა. ამ რეგიონის ოქროშემცველ გამადნებათა სისტემა მოიცავს რამდენიმე საწყის (ელოვიურ) მადნეულის ზონას, რომელიც იყოფა ცალკეულ მადანგამოსავლებად. ამ მიმართულებით საინტერესოა ბოლნისის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული პოლიმეტალური გამადნების სისტემა, სადაც აღმოჩენილია ოქროს მოპოვება-დამუშავებასთან დაკავშირებული, საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვი, რომლის მადანგამოსავლებზე დადასტურებულია ოქროს მოპოვების უძველესი მადაროგამონამუშევარი (5).

საყდრისის ბორცვზე პირველი სამეცნიერო სამუშაოები გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარდა სამთო საქმის ცნობილი სპეციალისტის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, თეიმურაზ მუჯირის ხელმძღვანელობით. საველე-კომპლექსური ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და სამთო მექანიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო არქეოლოგიის (დ. გოგელია, გ. გობეჯიშვილი), გეოლოგიის (გ. კორინთელი, ი. ლავკილავა) და მეტალურგიის (გ. ინანიშვილი) სპეციალისტებით, რომელთაც დიდი გამოცდილება ჰქონდათ ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ზონაში ცნობილი ბრინჯაოს ხანის სამთამადლო-მეტალურგიული ძეგლების კვლევა-ძიების საქმეში. ამ პერიოდში მომზადებულ ანგარიშებში პირველად გამოითქვა მოსაზრება აქ შესაძლო პრეისტორიული გამონამუშევრების არსებობის შესახებ (2, 3, 6). 2004 წელს საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე პირველადი არქეოლოგიური კვლევები დაიწყო. 2007 წლიდან 2013 წლამდე საველე სამუშაოებს აწარმოებდა ქართულ-გერმანული არქეოლოგიური ექსპედიცია პროფესორ თომას შტოლენერისა და დოქტორ ირინა ლამბაშიძის ხელმძღვანელობით.

ძეგლის ცალკეული ამორტიზირებული უბნების განვითარების გათვალისწინებით, გეოლოგიური მონაცემებით (მადნის გავრცელება, მინერალური ფორმულა), არქეოლოგიური შეფასებით (დათარიღება) და ანალიტიკური ანალიზის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს პრეისტორიული სამთამადლო წარმოების რეალური ისტორიული მნიშვნელობა.

მოგვყავს ძეგლის ცალკეული სამუშაო უბნების გავრცელების სქემატური გეგმა (თ. მუჯირის მიხედვით), (სურ., 1, 2, 3).


საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უძველეს მადაროთა (საბადოთა) ათვისება-გამოყენების ისტორიის დასადგენად, კერძოდ, აღმოჩენილი საყდრისი-ყაჩაღიანის მადაროს შესაბამის გამადნებათა სისტემის გეოლოგიური აგებულების გათვალისწინებით, მადნეული წიაღისეულის გავრცელების კანონზომიერებათა კვლევას და ამასთან ერთად მეცნიერულ პროგნოზირებას არსებითი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.



სურ. 1. მცირე კავკასიონის მთიანეთი. ს. საყდრისი (აბულმუგის პოლიმეტალური გამადნება). ოქროს მოპოვების ძველი მალარო, უბანი №1 (გეგმა და ჭრილები): 1. ოქროშემცველი ძარღვი; 2. მეორადი კვარციტები; 3. ზედაპირის გრუნტი

ცნობილი მეცნიერი გეოლოგის გიორგი თვალჭრელიძის გამოკვლევებისა და ნაშრომების შესაბამისად, ბოლნისის მადანგამოსავალთა ველში ოთხი სამადნო სხეულია. აბულმუგის პოლიმეტალური გამადნების დამბლუდის მონაკვეთზე 0,5-1,0 მ-ის სიმძლავრის სამი ათეული ოქროს შემცველი ძარღვია დაფიქსირებული, ოქროს განსხვავებული შემცველობით. ზოგიერთ შემთხვევაში ის 50 გ/ტ აღწევდა. სავარაუდოა, რომ საყდრისის ოქროს შემცველი კვარციტული ძარღვი ძველი სამთოელის ყურადღებას ადვილად მიიპყრობდა. ოქროს ქიმიური ინერტულობის გამო მადნების დაქუცმაცებისა და დისპერგირების პროცესში თვითნაბადის ნაწილაკები ცილდებიან კვარციტის ფუჭ ქანს და ფლოტაციით დამუშავებისას გრავიტაციით მდიდრდებიან. მიღებული ოქროს ნაწილი გამოდნება და ზოდად იქცევა. აღნიშნული პრიმიტიული, ემპირიული პროცესი და გამოცდილება პრეისტორიული პერიოდის ოქროს მოძიებისა და დამუშავების საფუძველია (1, გვ. 47).


საყდრის-ყაჩალიანის მალარო გაყვანილია ოქროშემცველი პოლიმეტალური მადნის ძარღვებზე, რომლებიც მეორად კვარციტებშია გავრცელებული. გამოღებულია და გადაამუშავებულია 0,5-1,5 მ სიმძლავრისა და ოქროს შედარებით მაღალი შემცველობის ზონური განლაგება. აქ მადნის მოპოვება ხდებოდა ღია, მიწისქვეშა და კომბინირებული გამონამუშევრების საშუალებით. ქანის დამუშავება განხორციელებულია სხვადასხვა ზომის ღრმულებისა და გაყვანილობების გამოყენებით, ხვრელის ტიპის დიდი მოცულობის ღრმულებით, კომბინირებული მეთოდით.



სურ. 2. მცირე კავკასიონის მთიანეთი. ს. საყდრისი (აბულმუგის პოლიმეტალური გამადნევა). ოქროს მოპოვების ძველი მადარო, უბანი №2 (გეგმა და ჭრილები): 1. ოქროშემცველი ძარღვი; 2. მეორადი კვარციტები; 3. ზედაპირის გრუნტი

მადანგამოსავლების ღია წესით დამუშავების შემდეგ, შესრულებულია მიწისქვეშა სამუშაოები, მათი გაერთიანებული გამოძეგვის სისტემა ქმნის მადაროს ღია-დახურულ გამონამუშევართა კონსტრუქციის ტიპურ ობიექტს.





სურ. 3. მცირე კავკასიონის მთიანეთი. ს. საყდრისი (აბულმუგის პოლიმეტალური გამადნება). ოქროს მოპოვების ძველი მადარო, უბანი №3 (გეგმა და ჭრილები): 1. ოქროშემცველი ძარღვი; 2. მეორადი კვარციტები; 3. ზედაპირის გრუნტი

საყდრისის ძველი მადაროს სისტემაში ერთიანდებიან ჰორიზონტალური, დახრილი და ვერტიკალური მადარო-გამონამუშევრები (კამერის განივკვეთი = 1,0 X 1,2 მ; სიღრმე = 30-40 მ). ძეგლზე მოპოვებულია ქვის ჩაქუჩები და უროები საერთო ზომებით 13 X 8 X 6 სმ – 23 X 14 X 10 სმ. ოქროშემცველი ქანის გამდიდრება ხდებოდა მადაროს შესასვლელის სიახლოვეს, სადაც დადასტურებულია ქვის იარაღი და არაერთი ფუჭი ქანის გადანაყარი. როგორც მოსალოდნელი იყო, ქვის იარაღი ფორმით და ზომებით ანალოგიურია ცენტრალური კავკასიონის მეტალურგიული ცენტრის სამთამადნო ძეგლებზე მოპოვებული ამ დანიშნულების

იარაღისათვის. ასევე იდენტურია მაღაროთა გაყვანა-დაბუშავების ტექნიკა-ტექნოლოგიური სქემა, მაღარო გამონამუშევართა ფორმები, განივკვეთის ზომები და ა.შ. (3, გვ. 102).

თანამედროვე სამთო საქმის თეორიულ და პრაქტიკულ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ განზომილებათა შესაბამისად, ძველი სამთო მეტალურგიული ცენტრის სამთამადნო ობიექტი მოიცავდა შრომატევად ოპერაციებს: შემცველი ქანის გახსნას, მცირე ღია კარიერის მომზადებას, მაღაროს გაყვანას, მადნის ტრანსპორტირებას და გამდიდრებას.

მადნის შემცველი ქანის ძიება, თვითნაბადი ოქროს ფერის, გავრცელების ხასიათისა და ზედაპირის რელიეფის მიხედვით წარმატებით ხორციელდებოდა. თანამედროვე გეოლოგიურ-სადაზღვევო გვირაბი არაერთხელ თანხვედრილი აღმოჩნდა ძველ მიწისქვეშა გამონამუშევრებთან. სამთამადნო წარმოების ძეგლების არქეოლოგიური შესწავლისას, დადასტურებულია სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო ორმოები, თხრილები, მიტოვებული მცირე ზომის მაღაროს ღრმულები და ა.შ., რომლებიც მადნის საძიებო ობიექტებია. პრეისტორიული ხანის სამთამადნო წარმოების ადრეულ ძეგლებზე, სადაც საძიებო სამუშაოდან მაღაროს ტიპის გამონამუშევრის საექსპლუატაციო გამოყენებაზე გადასვლის პრინციპულ სქემებზე გვაქვს საუბარი, მათი ათვისებისათვის საჭირო ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებასთან ერთად, მადნის ძიება-გამოღების შემუშავებული მეთოდები და კრიტერიუმები უნდა ვივარაუდოთ, რაც კარგად შესაძენვეია საყდრისი-ყაჩაღიანის მაღაროს გაყვანილობისა და კონსტრუქციის მიხედვით (4, გვ. 13).

დიდად მნიშვნელოვანია და მეცნიერულად საინტერესო ინფორმაცია, რომ ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც მუშავდებოდა პრობლემა: ოქროს შემცველი მადნების ბაქტერიული მეთოდებით გამდიდრებისათვის, 2009 წელს შესწავლილ იქნა საყდრისის მაღაროს კედლებიდან აღებული ნიმუშები. სინჯების მინერალოგიური, ქიმიური, ფაზური და მიკროსკოპული კვლევის შედეგებით გაირკვა, რომ მადნის ძარღვიდან აღებული ნიმუში შეიცავდა 4 გ/ტ-მდე ოქროს, რომლის შემცველობა გამდიდრების პირობებში ოთხჯერ გაიზარდა (1, გვ. 44).

მაღაროს წარმატებულ ფუნქციონირებას ადასტურებს საყდრისის მიმდებარე ტერიტორიაზე მიკვლეული და შესწავლილი ბალიჭი-ძებვების ნამოსახლარი, რომელიც სამთოელთა საქმიანობას უკავშირდება: აღმოჩენილია ქურა, დიდი რაოდენობით ქვის სასრესი იარაღი, სანაყები, უროები და სხვა მადნის გამდიდრება-გამოდნობისათვის გამოყენებული მასალების ნაშთები.

სამთამადნო წარმოების ძეგლი დათარიღებულია რადიოკარბონული C-14-ის მეთოდით, მაღაროში აღმოჩენილი ნახშირის ფენის სინჯების შესაბამისად, ასაკი ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულით და III ათასწლეულით განისაზღვრება. ჩვენი აზრით, სრულიად მართებულია მაღაროს ფუნქციონირება ძვ. წ. III ათასწლეულით განისაზღვროს, თარიღი შეესაბამება ადრე-შუა ბრინჯაოს ხანის გარდამავალ პერიოდს, როდესაც სამხრეთ კავკასიაში ცნობილია სამარხეული წარმომავლობის საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ოქროს ინვენტარი.

საყდრისის მაღაროსთან დაკავშირებული კვლევებისა და არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური დასკვნების შესაბამისად, საქმე გვაქვს უძველეს მაღაროსთან, რომელიც ბრინჯაოს ხანის სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე უძველეს სამთო-მეტალურგიული წარმოების ძეგლების არსებობაზე მიუთითებს.

პრეისტორიული სამთო-მეტალურგიული ძეგლები უნიკალური კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც სათანადო სახელმწიფო ყურადღებას იმსახურებს, რათა

არქეოლოგიურ-ისტორიული მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველზე განისაზღვროს ძეგლის კულტურული არსი, დაცული იქნეს ხელყოფისაგან მოქმედი კანონმდებლობით.

### ლიტერატურა

1. თავაძე გ., სახვაძე დ., ხანთაძე ჯ., 2013. გასტეხს ქვასაცა მაგარსა. ჩვენი მწერლობა. თბ., (44-48).
2. ინანიშვილი გ., ჩართოლანი შ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., მუჯირი თ., 1998. საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები. ძიებანი, №2, თბ., (52-62).
3. ინანიშვილი გ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., 2010. საქართველოს უძველესი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოება. თბ.,
4. ჩართოლანი შ., მუჯირი თ., გობეჯიშვილი გ., 1994. ტექნიკური პროგრესი სამთამადნო წარმოებაში საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. IV-I ათასწლეულებში. სამეცნიერო სესია: მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო. თბ., (10-14).
5. Барская Р. Р., Гоциридзе К. С., 1958. Золото. Природные ресурсы Грузинской ССР. I, М., (221-229).
6. Муджири Т. П., Квирикадзе М.В., 1979. Полевые исследования древних рудников Грузии эпохи бронзы, ИГНТ, I, Тб., (67-83 ).

## რომაული იმპორტი ქართლის (იპერიის) სამეფოში

საქართველოსა და რომის იმპერიის ურთიერთობები რამდენიმე ასწლეული გრძელდებოდა და გამოირჩეოდა მრავალმხრივობით, რომელთა შორის თვალშისაცემი იყო სამხედრო-პოლიტიკური მახასიათებელი; თუმცა, საკითხში ოდნავ ჩაღრმავებისას დავინახავთ, რომ ორ ქვეყანას შორის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სხვა სახის, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები.

აღნიშნულმა ურთიერთობებმა ასახვა ჰპოვა ქართულ, ბერძნულ და ლათინურენოვან მატრიანებსა, ქრონიკებსა და ეპიგრაფიკულ მასალაში; საკითხის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არქეოლოგიურ მასალას; მათ შორის, საქართველოში მიკვლეულ რომაულ იმპორტს.

საზოგადოდ იმპორტისა და, კონკრეტულად, ჩვენში აღმოჩენილი რომაული ნაწარმის კვლევისადმი, არაერთი ყურადსაღები ნაშრომია მიძღვნილი. ცხადია, წინამდებარე წერილს არა აქვს ამ მიმართულებით რაიმეს ახლის თქმის პრეტენზია. მიზანი გაცილებით მოკრძალებულია -- გავაცნო საქართველოს წარსულით დაინტერესებულ მკითხველს, გარე სამყაროსთან ჩვენი ურთიერთობის ერთი მხარე.

მასალის სიმრავლის გამო, ვერ შევძლებ მოცულობით მცირე მიმოხილვაში, შევეხო ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული იმპორტის სრულ მასივს. შევეცდები, დაინტერესებული მკითხველს გავაცნო რომაული იმპორტული მასალის მხოლოდ გამორჩეული ეგზემპლარები და რამდენიმე მნიშვნელოვანი ჯგუფი.<sup>1</sup>

მიმოხილვაში ვერ მოხვდა რომის იმპერიაში დამზადებული ის ნივთები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე რომაული სამხედრო შენაერთების ყოფნის კვალს ასახავენ; ეს, მეტად საინტერესო საკითხი, სხვა თემის საგანია.

ქართლის სამეფოში რომაული იმპორტის უადრესი ნიმუშები ძვ. წ. II-I სს. განეკუთვნება და წარმოდგენილია ბეჭდის შესამკობად განკუთვნილი იტალიკური და რომაული ჭრილა ქვებით [9. გვ. 14, 17,18]. საყურადღებოა, რომ სამივე გემა აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში (ს. ბორსა და საციხურში).

ქრონოლოგიურად შემდგომი ჯგუფი მოდის ახ. წ. I საუკუნეზე, როდესაც რომსა და ქართლის სამეფოს შორის აქტიურდება სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა. იბერიაში ესაა მეფე ფარსმან I ზეობის დრო; ფარსმანისა, რომელმაც ქვეყნის სიძლიერესა და პოლიტიკურ ამბიციებს შესწირა საკუთარი ძმა მითრიდატე და ძე რადამისტი. ამ უკანასკნელის ტრაგიკული ისტორია, ხატოვნად აღწერილი რომაელი ქრონისტის ტაციტუსის მიერ, საფუძვლად დაედო არა ერთ ფერწერულ, ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ნაწარმოებს, მათ შორის გეორგ ჰენდელის ცნობილ ოპერას „რადამისტი“.

ახ. წ. I საუკუნიდან სავაჭრო ურთიერთობები რომთან აქტიურდება და ეს პროცესი განუხრელად იზრდება ახ. წ. II-III სს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, სწორედ დროის ამ მონაკვეთზე მოდის გაცხოველებული სამხედრო პოლიტიკური და შესაბამისად, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიც ორ ქვეყანას შორის. შემოტანილი საქონელი გამოირჩევა არა

<sup>1</sup> გულწრფელი მადლობა ეროვნული მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლებს დარეჯან კაჭარავას, ქეთევან ჯავახიშვილს და ანა გაბუნას ფოტომასალის შეჩვენა-მოწოდებისათვის; მარიამ ხოსროშვილს ფოტომასალის დამუშავებისათვის.

მარტო რაოდენობით, არამედ მრავალფეროვნებითაც - ჭრილა ქვებს დაემატა მინის, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების ნივთები; მათ შორის, საკულტო დანიშნულების(ბატილუმები, პატერები), სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი (ლანგრები, ფიალები, კოვზები, ჩაჩები, კათხები,სურები, თასები, ივივე პატერები...), სამკაულები და სამშენისები (ჭრილა ქვები, ბეჭდები, მძივები, მშვილდასინძები და ა. შ.), სამელნეები და სტილოსები; ცხადია,სავაჭრო-ეკონომიკური აქტივობის აუცილებელი ელემენტი - მონეტები,დაფიქსირებული ნამოსხლარებისა და სამაროვნების არქეოლოგიური კვლევისას; და სამონეტო განძები, ჩაფლულ-გადამალული შიშიანობისა თუ, სხვა რამ მიზეზის გამო...

ქართლის სამეფოს სამეფო კარის და სოციალურად მათთან ახლო მდგომი ფენების წარმომადგენლები, ისევე მიიღებოდნენ ფუფუნებისაკენ, როგორც რომის იმპერიისა თუ პართიის მმართველი ფენები. ცხადია, მათ აღარ აკმაყოფილებდათ ადგილობრივ ოსტატთა ნახელავი და ისინი პართიისა და რომის იმპერიის საყოველთაოდ აღიარებულ ცენტრებში დამზადებულ ნივთებს უკეთავდნენ. რიგ შემთხვევაში, ამას ინდივიდუალური შეკვეთების ხასიათიც ჰქონდა. შიდა და გარე ვაჭრობის გზით შეძენილ ნივთებს უნდა დაუმატოთ რომისა და პართიის სამეფო კარისა და დიდგვაროვნებისაგან დიპლომატიური გზით მიღებული საჩუქრები, აგრეთვე საგარეო ომებისას მოპოვებული ნადავლი...

თავის მხრივ, სამეფოს პროვინციების მცხოვრებნიც მაქსიმალურად ცდილობდნენ არ ჩამორჩენოდნენ დედაქალაქელებს ცხოვრების წესით. ქართლის სამეფოს ახ. წ. I - IV სს. სამაროვნებზე დაფიქსირებული არქეოლოგიური მასალის შესწავლით ირკვევა, რომ ეს მათ მეტ-ნაკლები წარმატებით გამოდიოდათ.

ყურადღებას იქცევს აღმოჩენების ტოპოგრაფია - ფაქტობრივად, რომაული იმპორტი ფიქსირდება სამეფოს მთელს ტერიტორიაზე, როგორც დედაქალაქ დიდ მცხეთაში (ქალაქის აკროპოლისი -არმაზციხე-ბაგინეთი, პიტიანშების დასახლება არმაზისხევში, ხელოსანთა უბანი კარსნისხევში, სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორია, საერთო საქალაქო სამაროვანი სამთავროს ველზე და ა.შ.), ასევე, სამეფოს ადმინისტრაციულ ერთეულებისა (კლდეეთი, ბორი, არაგვისპირი, მოლინახე, არაგვისპირი, ერწო, ზღუდერი) და მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ (ურბნისი, ჟინვალი ...) ცენტრებში; ცალკეული ნივთები ცნობილია სხვა პუნქტებიდანაც (აღაიანი, ნიჩბისი, ახმეტის ახალდაბა, ატოცი...).

აღნიშნული არტეფაქტები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1. ვაჭრობის გზით შემოსული; 2. დიპლომატიური ეტიკეტის თანმდევი ნივთები. ნაკეთობების გარკვეული ოდენობა, ცხადია, საგარეო ომების დროს, ნადავლის სახით უნდა იყოს მოხვედრილი ჩვენში; თუმცა მათი გამორჩევა საერთო მასიდან, საკმაოდ რთულია, თუ შეუძლებელი არა.

რომის იმპერიიდან შემოტანილი ნაწარმი წარმომავლობის მიხედვით სამ ძირითად ჯგუფში ერთიანდება: იტალიკური (უპირატესად სამხრეთი რაიონებიდან), რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან და საკუთრივ რომიდან მომდინარე ნამუშევრები; არტეფაქტების გაცილებით მცირე რაოდენობა რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებში მოქმედ სახელოსნოებშია დამზადებული (გალია, რეინის მხარე).

რომაული იმპორტის განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან ვერცხლისაგან დამზადებული ნივთები. მათგან უდიდესი ნაწილი, ყოველდღიური გამოყენებისაა. სამეფოს ტერიტორიაზე მიკვლეული ვერცხლის ჭურჭლის უდიდესი ნაწილი დამზადებულია ძალზედ მაღალი ხელოვნებით და რაც მეტად საყურადღებოა, მათი ნაწილი მაინც, შექმნილია არა პროვინციებში, არამედ იმპერიის დედაქალაქ რომის სახელოსნო ცენტრებში.

რომაული ვერცხლის ნაწარმიდან მრავალფეროვნებით გამოირჩევა ლანგრები. დღეისათვის ამ ტიპის ჭურჭელი ცნობილია დიდი მცხეთის არმაზციხე-ბაგინეთისა და არმაზისხევის უბნებიდან, სამთავროს ველზე არსებულ საქალაქო სამაროვნის სამხრეთი უბნიდან, სადაც კრძალავდნენ არისტოკრატიის უმაღლესი ფენის წარმომადგენლებს; ზღუდერის (ქარელის მუნიც.), ახალი ჟინვალის, არაგვისპირისა (დუშეთის მუნიც.), მოდინახეს (საჩხერის მუნიც.) და ურეკის (ოზურგეთის მუნიც.) სამაროვნებიდან (ტაბ. I, 2-4).

ნაკეთობათა საინტერესო ჯგუფს ქმნის ვერცხლისაგან დამზადებული ენოხოის ტიპის სურები, ძირითადად წყვილ-წყვილად დაფიქსირებული სამარხებში (ტაბ. II, 2).

დაკრძალვის წესის ეს მხარე დაცული იყო არმაზისხევიშე შესწავლილ ასპარუგ პიტიახშისა და დიდგვაროვან მანდილოსანთა ორ განსასვენებელში, ასევე ერწოსა და არაგვისპირის სამაროვნებზე გათხრილ პიტიახშების, ან რანგით მათთან მიახლოებულ პირთა საკრძალავებში; ვერცხლის თითო სურაა ცნობილი ბორის, ზღუდერისა და ცხინვალის სამაროვნებიდან.

შესაძლოა, მომავალში, ამ სურების საერთო რაოდენობიდან გამოიყოს ირანში, პართიასა ან სულაც ქართლის სამეფოს რომელიმე სახელოსნო ცენტრში შექმნილი ეგზემპლარები [პროფ. კ. მაჩაბლის ვარაუდით, ლითონმქანდაკელობის აღნიშნული ძეგლები ადგილობრივ უნდა იყოს დამზადებული. იხ. 25. გვ. 77-78].

ვერცხლის ნაკეთობებიდან გამოვარჩევ პატერას (იხ. ტაბ. I, 1), აღმოჩენილს არმაზისხევიშე, არისტოკრატი ქალბატონის სარკოფაგში ( 6) [იხ. 2. გვ. 75-77]. პროფ. კიტი მაჩაბლის შეფასებით, „პატერა არმაზისხევიდან წარმოადგენს ერთგვარ უნიკუმს. მიუხედავად იმისა, რომ ლითონისაგან დამზადებული პატერები - იტალიკური მხატვრული ნაკეთობების ტიპური ნიმუშები - გვხვდება რომის იმპერიის თითქმის ყველა კუთხეში ..., ჩვენთვის ცნობილია პატერის ვერცხლისაგან დამზადების ერთადერთი შემთხვევა- არმაზისხევიური [25. გვ. 36] (ხაზი ჩემია - თ. ბ.).

ქართლის სამეფოს ახ. წ. I-III სს. საკრძალავებში არაერთი სარკეა აღმოჩენილი, რომელთაგან მკვეთრად განსხვავდება სამთავროს სამაროვნზე, სამეფოს უმაღლესი სოციალური ფენის (სამეფო ოჯახის?) ორი მანდილოსნის განსასვენებელში მიკვლეული ცალი. ვერცხლისაგან დამზადებული ორბუდიანი სარკე, რომლის ზედა ნაწილზე გამოსახულია დიონისეს გამიჯნურების სცენა თეზევსის მიერ კ. ნიქსოზე მიტოვებულ მძინარე არიადნასთან [4. გვ. 11-13]. საოცარი ხელოვნებით შექმნილი სარკე, რომელს იმპორტს წარმოადგენს [იქვე, გვ. 13]. (ტაბ. სურ. IV, 1)

დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბრინჯაოს ჭურჭელი, რომლის საერთო რაოდენობიდან, რიცხოვნობით გამოირჩევა სურები. ბრინჯაოს სურები აღმოჩენილია დიდ მცხეთაში, ალაიანსა და ნიჩბისში (მცხეთის მუნიც.), კლდეეთში (ზესტაფონის მუნიც.), ბორში (ხარაგაულის მუნიც.), ახალდაბაში (ახმეტის მუნიც.). ამასთან, ნიჩბისში მიკვლეული ცალები განეკუთვნება სამხრეთ იტალიის სახელოსნოებში დამზადებული ჭურჭლის საუკეთესო ნიმუშებს, ისეთებს, როგორებიცაა პომპეასა და ბოსკორეალები აღმოჩენილი სურები [ვუთ. 21. გვ. 200]; იგივე ითქმის „რიყიანების სამაროვანზე“ (ს. ალაიანი, მცხეთის მუნიც.) მიკვლეულ, ღვთაება დიონისეს რელიეფური გამოსახულებით შემკულ სურაზეც [11. გვ. 65, 66]. ამ სახის ბრინჯაოს ნივთების წარმოების ცენტრად დიდი ხანია მიჩნეულია სამხრეთ იტალია, მომეტებულად კამპანიის მთავარი ქალაქი კაპუა;

ბრინჯაოს ჭურჭლის ერთ-ერთ საინტერესო ჯგუფს ქმნიან პატერები, რომელთა დანიშნულების შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი მიიჩნევენ სამზარეულო ჭურჭლად; მეორენი საკულტო დანიშნულებისად, რომელსაც იყენებდნენ მსხვერპლთშეწირვის დროს. პირადად მე ვემხრობი მოსაზრებას, რომ ამ სახის ჭურჭელს იყენებდნენ როგორც საკულტო, ასევე საერო დანიშნულებით [შდრ. 2. გვ. 89].

ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მიუთითებდეს ის გარემოება, რომ პატერები სურებთან ერთად, დაფიქსირებულია არა მარტო სამარხებში, არამედ სახლებსა და ვილებში. ისინი დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად განადგურებულ პომპეიში, ჰერკულანუმსა და სტაბიუმში; პატერა ნაპოვნია უნგრეთში, ახ. წ. I საუკუნის რომაელთა სამხედრო ბანაკში.

საქართველოში აღმოჩენილი პატერები დამზადებულია იტალიაში მოქმედ სახელოსნო ცენტრებში, რომლებსაც თავისი ნაწარმი გაჰქონდათ არა მარტო რომის იმპერიის სხვადასხვა რეგიონში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ჩვენში მათი ხშირი აღმოჩენები, დამატებითი არგუმენტია ქართლის სამეფოს გარე სამყაროსთან, კერძოდ კი, რომის იმპერიასთან მჭიდრო სავაჭრო კავშირებისა.

ფართოდ იყო გავრცელებული ვერცხლის კოვზები და ჩამჩები, სუფრის სერვირების აუცილებელი ელემენტი, მიკვლეული სამეფოს არაერთ პუნქტში; სპეციალისტები აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ ჩვენში აღმოჩენილია რომაულ სამყაროში ცნობილი კოვზის ყველა ნაირსახეობა, ერთის, ცოკლეარ-ის ტიპის გარდა, რომელიც გამოიყენებოდა კვერცხებისა და მოლუსკების საჭმელად [25. გვ. 71,72]. (იხ. ტაბ. II )

ბრინჯაოს ნაკეთობები არ შემოიფარგლება მხოლოდ ჭურჭლით. დიდ მცხეთაში აღმოჩენილია იტალიის სახელოსნოებში დამზადებული საწერი კომპლექტები (სამელნები, სტილოსები). ერთ-ერთ სამელნეზე დატანილი წარწერა კი გვამცნობს, რომ ის დამზადებულია კალპურნიის სახელოსნოში.

ბრინჯაოს ნივთებიდან გამოვარჩევ ახ. წ. II-III სს. ტიპოლოგიურად მრავალფეროვან მინანქრიან მშვილდსაკინძებს, დამზადებულს რომის იმპერიის დასავლეთ ოლქებში, სახელდობრ კი გალიის სახელოსნო ცენტრებში [16. გვ. 206]. საინტერესო ჩანს, მკვლევართა მიერ მათი საქართველოში გავრცელების ტოპოგრაფიისა და შემოტანის გზის დადგენაც. საქართველოში, ნახსენები ფიბულები აღმოჩენილია კავკასიონის მთისწინა ზონაში: შოშეთი (ონის მუნიცი.), ცხეთა (ცაგერისმუნ.), კლდეეთი ბორი, სტიფარზი და სოხთა (ჯავის მუნიცი.).

რომაული იმპორტის ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი წარმოადგენილია მინის ნაწარმით, რომელიც გამოირჩევა როგორც რაოდენობით, ასევე დამზადების ცენტრების, დანიშნულებისა და ფორმების რავგარობით. მინის ჭურჭელი, ვითარცა ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და ხელმისაწვდომი ნაწარმი, მთელს იმდროინდელ სამყაროშია ფართოდ გავრცელებული. გამონაკლისს არც იბერიის სამეფო წარმოადგენდა, სადაც ძვ. წ. მიწურულიდან ეფემერულად, ახ. წ. I საუკუნიდან კი, საკმაოდ ინტენსიურად ხდება მინისაგან დამზადებული ნივთების გავრცელება-გამოყენება. ახ. წ. I-IV სს. მინის ნაწარმი საქართველოს იმდენ პუნქტშია აღმოჩენილი, რომ მათი ჩამოთვლაც კი დიდ ადგილს დაიკავებდა. ფაქტობრივად, არ დარჩენილა სამეფოს არცერთი რეგიონი, სადაც არ აღმოჩენილა მინის სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი; იქნება ეს გადასაზიდ ტარად გამოყენებული დიდ-პატარა ბოთლები (სამეცნიერო ლიტერატურაში "კუბიკოსებად" ცნობილი) (იხ. ტაბ. III, 8-12), სუფრის სერვირების აუცილებელი ელემენტები (სურები, თეფშები, ლარნაკები, და ა.შ.), სურნელოვანი

ზეთებისათვის განკუთვნილი სანელსაცხებლები და მომცრო ზომის, ამფორისკის ტიპის ჭურჭლები სუნამოებისათვის, სამშვენისები (ტაბ. III,1,3-7).

რომის იმპერიიდან შემოტანილ მინის ნაწარმში გვხვდება როგორც იმპერიის დასავლეთი, ასევე აღმოსავლეთი პროვინციების სახელოსნოების პროდუქცია. დასავლეთი პროვინციების, სახელდობრ, ჩრდილო იტალიაში მოქმედი მრავალრიცხოვანი სახელოსნოებიდან ერთ-ერთშია დამზადებული მოზაიკური ამფორისკი, აღმოჩენილი დედოფლის გორის (შიდა ქართლი, ქარელის მუნიცი.) სასახლის არქეოლოგიური კვლევისას [12. გვ.83,84]; იქვეა დამზადებული დედოფლის გორის სასახლეშივე აღმოჩენილი ახ. წ. I ს. დათარიღებული კოლბისებური ფორმის სანელსაცხებლების ჯგუფი და ცილინდრულ ყელიანი ბოთლები [2. გვ. 86].

რომის იმპერიის დასავლეთი პროვინციების (გალია, რენის მხარე) სახელოსნო ცენტრებშია დამზადებული კუბიკოსების (ზოგ ავტორთან შეხვედრით სახელწოდებას „ლაგონა“-„ბოთლი“) უმეტესობა, აღმოჩენილი ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე შესწავლილ ახ. წ. II – III სს. ძეგლებზე (დიდი მცხეთა, ზღუდერი, ურბნისი, ახალი ჟინვალი) [6. გვ.97-99].

საერთო მასიდან განცალკევებით დგას კუბიკოსი სამთავროს სამაროვნიდან, რომელიც ძირზე დატანილი განსხვავებული დამლის გამო, მიჩნეულია იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციის-სირიის ერთ-ერთი სახელოსნოს ნაწარმად [13. გვ. 40, 43-44].

ყურადღებას იქცევს პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული მინის ნაწარმის სიმრავლე და მრავალფეროვნება, დაფიქსირებული ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელთა საკრძალავებში. მათგან ნაწილი დამზადების მაღალი დონით გამოირჩევა. ასეთებია, ფიგურული მინიატურული ფლაკონები სუნამოსა და ნელსაცხებლებისათვის მცხეთიდან რელიეფური ორნამენტით შემკული ამფორისკები, მათარის მოყვანილობის ორყურა და მრავალწახნაგა სანელსაცხებლები ურბნისიდან დამზადებული რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციის ქ. სიდონში (სირია) მოქმედი მინის წარმოების ცენტრებიდან ერთ-ერთ უძველესში, ენიონის სახელოსნოსა და ქ. ღურა - ევროპოსში. [13. გვ. 11-16];

ქართლის სამეფოში ჰიგიენური ნორმების მაღალი დონის უტყუარი დასტურია რთული წყალგაყვანილობის სისტემების ნაშთების გამოვლენა არაერთ ნაქალაქარის ტერიტორიაზე; მეტიც, მარტო დიდი მცხეთის ორ უბანზე გათხრილია ახ. წ. II- III სს. ხუთი აბანო; მოზაიკურ იატაკიანი აბანოა შესწავლილი ნაქალაქარ ძალისაში...

იმპერიის აღმოსავლეთი ოლქების სახელოსნო ცენტრებში დამზადებული მინის ჭურჭლის შემოტანა ხორციელდებოდა უპირატესად საერთაშორისო სავაჭრო გზით, რომლის ერთი განშტოება მდ. მტკვრის გაყოლებით მიდიოდა კასპიის ზღვამდე; მეორე - მდ. არავის ხეობაზე გავლით, ჩრდ. კავკასიისაკენ. ამ გზით წამოსული რომაული იმპორტი გზადაგზა ილექებოდა დასახლებულ პუნქტებში, ძირითადი მასა კი შემოდიოდა დედაქალაქში. ეს ფაქტი, ნათლად ჩანს მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობებში არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე დაკვირვებით.

რომის იმპერიიდან შემოსულ ნივთებს შორის, რაოდენობრივად გამოირჩევა ჭრილა ქვების ორივე სახეობა (კამეები, გემა-ინტალიოები), რომლებიც უპირატესად დამზადებულია იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში.

ჭრილ ქვებზე უპირატესად ბერძნულ-რომაული ღვთაებებია გამოსახული (ზევსი, ათენა, აპოლონი, არტემიდა, ტიქე-ფორტუნა, ნემეზიდა, ჰერმესი, დიონისე, და ა. შ.), თუმცა გვხვდება სხვაგვარი სიუჟეტები (მცენარეული და ცხოველური სამყარო წარმომადგენლები და ა.



შ.). ღვთაებების გამოსახულებიანი ინტალიოებიდან, რაოდენობრივად ჭარბობს სიუხვისა და ნაყოფიერების ბერძნულ-რომაული ღვთაება ტიქე-ფორტუნას გამოსახულებიანი გემები, რომელთა რიცხვმა დღეისათვის 30-ს გადააჭარბა. თანაც, ორიოდ გამონაკლისის გარდა, ისინი აღმოჩენილია მხოლოდ დიდ მცხეთასა და ურბნისში.

გლიპტიკის ერთობ საინტერესო ნიმუშები შემოგვინახეს ქართლის სამეფოს მთისწინა ზოლის ძეგლებმა. ასე მაგ., ს. მაგრანეთში (თიანეთის მუნიცი.) გათხრილ ქუშანანთგორის სამაროვანზე შესწავლილ სამარხებში რომის იმპერიის სახელოსნოებში დამზადებული მშვენიერი ეგზემპლარები იქნა აღმოჩენილი; აქაც, სამეფოს სხვა სამაროვნების მსგავსად, არა მარტო წარჩინებულ პირთა, არამედ რიგითი მოქალაქეების საკრძალავებშიც, ჭარბობს გემები ბერძნულ-რომაული ღვთაებების გამოსახულებებით. მათგან, შესრულების უზადო ტექნიკითა და ქვაზე ჭრის გამორჩეული მანერით, განყენებულად დგანან საფირონის გემა-ინტალიო მჯდომარე ზევსისა და მუქი გრანატის ინტალიო, ღვთაება ათინას გამოსახულებებით [11. გვ. გვ. 36,94. ტაბ. 43, სურ. 1; 19. გვ. 52]. ორივე ეგზემპლარი ხელოვნების უზადო ნიმუშია. დოქ. ქ. ჯავახიშვილის მოსაზრების მიხედვით, ათინას გამოსახულებიანი გემა-ინტალიო რომის იმპერატორ ოქტავიანე ავგუსტუსის კარზე მოღვაწე ოსტატის "ჰილოსის ნახელავი იყოს..." [იქვე].

იმპერატორ ავგუსტუსის ეპოქის კიდევ ერთი მშვენიერი ჭრილა ქვა იქნა აღმოჩენილი კლდეში ნაკვეთ ნაქალაქარ უფლისციხის არქეოლოგიური კვლევისას. გემაზე, მსგავსად მაგრანეთული ცალისა, გამოსახულია ათენა, მხოლოდ სიუჟეტია განსხვავებული [18. გვ.64-67].

ჭრილა ქვების ამ რიგს განეკუთვნება კამეო, ზღუდერის სამაროვანზე შესწავლილი პიტიახშის რანგის საკრძალავიდან [20. გვ.134; ტაბ. VIII-3,4]. "სამფენოვან სარდიონის... ქვის ზედაპირზე გამოსახულია მოცურავე დელფინის ზურგზე წამოწოლილი ზღვის ნიმფა ნერეიდა...კამეო რომაულ ხანას ეკუთვნის და ახ. წ. II ს. გვიანდელი არ უნდა იყოს" [იქვე-გვ. 134, 136]. (ტაბ.IV,6).

ისმის კითხვა, რით იყო განპირობებული ბერძნულ-რომაული ღვთაებებიანი ჭრილა ქვების ასეთი პოპულარობა ქართლის სამეფოს საზოგადოებაში, შემთხვევითობით თუ კანონზომიერებით? როგორ შეიძლება აიხსნას ეს ფაქტი - სამეფოს მოქალაქეების უბრალო კაპრიზით, ჩვენში შემოტანილი სამკაულის ამ სახეობის ერთფეროვნებითა თუ სხვა რამ მიზეზით? ან, იქნებ სულაც რელიგიური მონენტით; რადგან "მფარველი ღვთაების ამორჩევა - გარკვეულწილად ბეჭდის მფარველსაც ახასიათებს" [23. გვ. 229].

ღვთაებათა გარდა, გვხვდება ჭრილა ქვები პორტრეტული გამოსახულებებით, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნიმუშია ზღუდერშივე აღმოჩენილი ოქროს ბეჭედში ჩასმული მინის ინტალიო, რომლის "პირზე გამოსახულია შუახნის ნახევრად მელიტი მამაკაცი, მხრებზე მოხვეულიწამოსასხამით..." და ორ სტრიქონიანი ბერძნული წარწერით [იქვე-გვ. 145, ტაბ. X-1,2]. მკვლევარებს უჭირთ გადაჭრით იმის თქმა, სადაა დამზადებული აღნიშნული გემა, თუმცა, თვლიან, რომ "ყველა შემთხვევაში დამუშავების ტექნიკისა და სტილისტური თავისებურებების მიხედვით ზღუდერის გემა რომაული გლიპტიკის ხელოვნებას უნდა ეკუთვნოდეს" [იქვე-გვ.148]. ტაბ.IV,7)

საინტერესოა, რომ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე არც თუ იშვიათია გემები არწივის გამოსახულებით; მათ შორის, რომაელი ლეგიონების ატრიბუტებით.

ორიოდ სიტყვით მინდა შევეხო დიპლომატიური ურთიერთობების გზით შემოსულ ნივთებს.

რომის იმპერია, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, აქტიურ დიპლომატიურ საქმიანობას აწარმოებდა გარე სამყაროსთან; ამ მხრივ, გამონაკლისი არც ქართლის (იბერიის) სამეფო ყოფილა. არაერთგვაროვანი, ხშირ შემთხვევაში, ძალზედ დაძაბული და მტრული ურთიერთობების მიუხედავად, ორივე მხარე ცდილობდა საკითხების მოგვარებას დიპლომატიური დიალოგით. დიპლომატიური ეტიკეტის თანმდევი კი იყო (და დღესაც რჩება) საჩუქრების გაცვლა. წერილობითი წყაროების მოწმობით, მსგავს ფაქტს არაერთგვაროვანი ადგილი ორი ქვეყნის ურთიერთობაში.

რომის იმპერია, დიპლომატიურ საქმიანობაში მიღებულ ამ ხერხს, სისტემატურად იყენებდა, რაც კარგადაა ასახული რომის საიმპერატორო კარის ოფიციალურ ქრონიკებსა თუ საისტორიო ნარატიულ წყაროებში. ასე მაგ., ქრონიკის ტაციტუსი, რომელიც ამავდროულად რომის იმპერიის ოფიციალური მოხელე იყო, თავის „ანალებში“ გვაუწყებს, რომ იმპერატორმა ბარბაროსული ტომის ბელადებს საჩუქრად ვერცხლის ლარნაკები უძღვნა [ანალები, V, 31].

პარალელების საძებნელად შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ფარსმანის საჩუქარი იმპერატორ ადრიანესადმი და პირუკუ, რომის იმპერატორების საჩუქრები იბერიის მეფეებისადმი; ან თუნდაც, იმპერატორ ანტონინუს პიუსის მიწვევით მეფე ფარსმანის სტუმრობა რომში. უდავოა, ეს ვიზიტიც საჩუქრების გაცვლის გარეშე არ ჩაივლიდა.

დიპლომატიური საჩუქრების გზით შემოსული ნივთების გამორჩევა იმპორტის საერთო მასიდან, ან თუნდაც საბრძოლო ნადავლიდან, საკმაოდ რთულია. თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ნივთის მიკუთვნება დიპლომატიური ძღვენისადმი ეჭვგარეშეა.

უდავოდ საჩუქარია ქართლის პიტიახში (=ერისთავს) ასპარუგის საკრძაღვში მიკვლეული ვერცხლის ფიალა რომის იმპერატორ ადრიანეს უახლოესი მეგობრის ანტინოეს პორტრეტული გამოსახულებით [2. გვ.22, ტაბ.](იხ. ტაბ. I,3).

აღნიშნული ფიალა წარმოადგენს იმპერატორის, ან მაღალი რანგის რომაელი დიდმოხელისაგან, მეფის შემდგომ ქართლის სამეფოს უმაღლესი სახელისუფლო პირისადმი გაკეთებულ საჩუქარს [7. 1. გვ. 42. შდრ.; 24. გვ. 26]. უფრო გასაგები რომ გახდეს ამ კონკრეტული საჩუქრის არსი, მკითხველს მოკლედ შევასხენებ ანტინოეს პიროვნების შესახებ.

ბითონიელი ყმაწვილი, იმპერატორ ადრიანეს ფავორიტი ანტინოე, ტრაგიკულად დაიღუპა 130 წელს მდ. ნილოსში. მისმა დაღუპვამ იმდენად შეძრა იმპერატორი, რომ ბრძანა ანტინოეს გაღმერთება; მის სახელზე მონეტების მოჭრა და მისი გამოსახულებიანი მედალიონების ჩამოსხმა; მზადდებოდა სხვადასხვა სახის პორტრეტული ჭურჭელი ანტინოეს გამოსახულებით, რომელიც აუცილებელი საჩუქრების კატეგორიაში შედიოდა.

განსახილველი ჯგუფის ნივთებიდან გამოირჩევა ვერცხლის თასი არმაზციხე-ბაგინეთში მიკვლეულ მეფის ასულის საკრძაღვად ცნობილი სარკოფაგიდან [5. გვ. 59; 25გვ.48-52].

თასის ოქროფერილ შუაგულში დატანილია მედალიონი, იმპერატორ მარკუს ავრელიუსის (ახ. წ. 161-180) პორტრეტით პროფილში (იხ. ტაბ. I,4). მარკუს ავრელიუსი ისტორიას შემორჩა არა მარტო როგორც გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, არამედ სტოიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი. მისი საყოველთაოდ აღიარებული ფილოსოფიური ტრაქტატი „ფიქრები“ (ასე იწოდება ქართულ თარგმანში), გასული საუკუნის 70-ან წწ. ითარგმნა ქართულად და უკვე დიდი ხანია იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

არმაზციხე-ბაგინეთში აღმოჩენილი ვერცხლის ლანგარი, პროფ. კიტი მაჩაბლის შეფასებით, რომის საიმპერატორო კარის ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია და, რომ ის წარმოადგენს რომსა და საქართველოს შორის, ტრადიციასა და ადრიატის ღროს დაწყობული ურთიერთობების გაგრძელების თავისებურ დადასტურებას [25. გვ. 52].

მარკუს ავრელიუსის ზეობის წლები, ემთხვევა რომსა და საქართველოს შორის აქტიური და მრავალმხრივი ურთიერთობის დროს და სრულიად ბუნებრივია, რომ ლანგარი მისი პორტრეტული გამოსახულებით აღმოჩნდა სამეფო ოჯახის წევრის საკრძაღავში.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ამავე კატეგორიას ეკუთვნის მცხეთაში 1920 აღმოჩენილი ბრინჯაოს მედალიონი ანტიჩოეს გამოსახულებით [10. გვ. 177. სურ. 5; 24. გვ. 26].

ვაჭრობისა და, მომეტებულად, საგარეო ვაჭრობის განსავითარებლად ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სათანადოდ აღჭურვილ-დაცული გზების არსებობა.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ფუნქციონირებდა გზები, რომელთა მნიშვნელობა სცილდებოდა ერთი კონკრეტული ქვეყნის ან თუნდაც ლოკალური რეგიონის ინტერესებს და საერთაშორისო სტრატეგიულ სავაჭრო არტერიებს წარმოადგენდნენ. ინდოჩინეთიდან ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებისაკენ მომავალი "აბრეშუმის გზის" სამი განშტოებიდან ერთი, ჩრდილოეთის მაგისტრალი საქართველოზე გადიოდა. საერთაშორისო სავაჭრო გზის ეს მიმართულება, სულ ცოტა, ადრეელინისტური ხანიდან (ძვ.წ.III ს.) ფუნქციონირებდა, რაზეც თვალნათლივ მიუთითებს მდიდარი არქეოლოგიური მასალა აღმოჩენილი გზის მთელს გაყოლებაზე; აღნიშნული გზის მნიშვნელობა იზრდებოდა იმ გარემოებითაც, რომ ელინისტური ხანიდან მოყოლებული მაინც, მაგისტრალის მდ. ამუდარიის მონაკვეთზე მდებარეობდნენ სავაჭრო - ეკონომიკური თვალსაზრისით ისეთი მდიდარი ოაზისური სახელმწიფოები, როგორებიც იყვნენ ბაქტრია და სოგდიანა, (მოგვიანებით მათ ჩაენაცვლა ქუშანის სამეფო), ხორეზმი. ცხადია, მათი მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში, კიდევ უფრო მასშტაბურს ხდიდა ამ პროცესს, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული ქართლის სამეფო.

წელთაღრიცხვათა მიჯნაზე მცხოვრები ცნობილი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ. წ.64/63- ახ. წ. 23/24 წწ), არისტოტელ კასანდრიელის მემუარებზე დაყრდნობით წერს, რომ "სანაოსნო მდინარე ოქსით ( ტაჯიკ. ამუ-დარიო - თ. ბ.), ბევრი ინდური საქონელი მოაქვთ ჰირკანიის (კასპიის - თ. ბ.) ზღვამდე; იქიდან ზღვით გადააქვთ ალბანეთში (კავკასიის ალბანეთი - თ. ბ.) და მდინარე კიროსისა (მტკვარი - თ. ბ.) და მომდევნო ადგილებითააქვთ ევქსინის პონტამდე (შავ ზღვამდე - თ. ბ.). სტრაბონი "გეოგრაფიის" სხვა ადგილას წერს, რომ "მდინარე ფასისზე (=რიონს - თ. ბ.) მდებარეობს იმავე დასახელების ქალაქი - კოლხების სავაჭრო ცენტრი...". ბერძენი ენციკლოპედისტი გვაუწყებს, რომ ფასისამდე მიმავალი გზა "სარაპანისამდე (დღევ. შორაპანი - თ. ბ.)- ციხე-სიმაგრემდე, რომელშიც შეიძლება მოთავსდეს მთელი ქალაქის მოსახლეობა, სახმელეთოა, ხოლო აქედან ფასისამდე მდ.რიონით სანაოსნო" [26. გვ. 472, 474].

"აბრეშუმის გზის" აღნიშნული მიმართულება, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ქართლის სამეფოს დედაქალაქ დიდ მცხეთას, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური და რელიგიური გარდა, ქვეყნის უმნიშველოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრიც იყო.

დიდ მცხეთაზე გადიოდა მეორე სტრატეგიული მაგისტრალიც, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა.მტკვრის, ხოლო დიდი მცხეთიდან არაგვის ხეობაზეგამავალი

საკმაოდ დიდი მონაკვეთი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას-სთან დამაკავშირებელი გზა იყო, რეგიონისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო (და არა მხოლოდ სავაჭრო) არტერიას წარმოადგენდა. ამ გზის მნიშვნელობას, საგანგებოდ აღნიშნავს მკითხველისათვის უკვე კარგად ნაცნობი ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი: "არმენიიდან გადმოსასვლელი - ესაა კიროსისა და არაგას (არაგვის - თ. ბ.) ხეობები. მათი შეერთების ადგილს ზემოთ კლდეებზე ერთმანეთისაგან 16 სტადიონით დაშორებული ორი გამაგრებული ქალაქია: კიროსზე - ჰარმოზიკა (ქართული მათიანების "არმაზციხე"), ხოლო მეორე მდინარეზე (არაგვზე - თ. ბ.) - სევსამორა (წიწამური - თ. ბ.);

მტკვრისა და არაგვის ხეობებზე დიდი სავაჭრო გზის ხანგრძლივი და ინტენსიური ფუნქციონირების ნივთიერ საბუთს წარმოადგენს ასობით და ასობით სხვადასხვა დანიშნულების ნივთი, იმპორტირებული აზიიდან თუ ევროპიდან და ჩრდ. აფრიკიდან, აღმოჩენილი ნახსენები მდინარეების ორივე ნაპირას და მათი შენაკადების ხეობებში შესწავლილ ნაქალაქარებსა, ნადაბებსა თუ ნასასოფლარებში. მთავარი სავაჭრო მაგისტრალების განშტოებები კარგადაა შესწავლილი მდინარეების ლიახვის, ქსნის, ალაზნისა და ივრის, ყვირილის, ცხენისწყლის ხეობებში. სწორედ ამ ხეობებში არსებულ დასახლებულ პუნქტებშია აღმოჩენილი ადგილობრივი და შემოტანილი, მათ შორის, რომის იმპერიის აღმოსავლეთ თუ დასავლეთი ოლქების სახელოსნო ცენტრებში შექმნილი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნაწარმი.

მნიშვნელოვანი სატრანზიტო-სავაჭრო გზების არსებობა და უცხო სახელმწიფოებთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების გაძლიერება არ იქნებოდა საკმარისი აქტიური საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განსახორციელებლად. მსგავსი აქტივობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ქართლის სამეფოს გამართული ფუნქციონირება, მოსახლეობის ეკონომიკური წელმაგრობა და მაღალ გემოვნება; ამ ფაქტორების გარეშე ძნელი წარმოსადგენია, თუ შეუძლებელი არა, მსგავსი სავაჭრო აქტივობა და შედეგად, ასეთი დიდი რაოდენობის მაღალი ხარისხისა და ძვირადღირებული ნაწარმის შემოტანა-რეალიზება ცალკერძ, აღმოსავლეთიდან (ინდოეთი, ავღანეთი, ქუშანის სამეფო, ხორეზმი, ირანი, პართია), ცალკერძ, რომის იმპერიიდან.

ქართლის სამეფოს ეკონომიკურ სიძლიერესა და აქ მცხოვრები საზოგადოების მაღალ კულტურაზე თვალნათლივ მიუთითებენ როგორც წერილობითი, მათ შორის ბერძნულ-რომაული წყაროები, ასევე არქეოლოგიური კვლევის შედეგები.

ქართულ და ბერძნულ-რომაულ საისტორიო ქრონიკებში, ქართლის სამეფოში არაერთი ქალაქია დასახლებული. "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ანონიმმა ავტორმა, ძვ. წ. III-II საუკუნეებისათვის იცის ქალაქები სარკინე, კასპი, ურბნისი, ოძრახე, ძველი მცხეთა, არმაზი, უფლისციხე, მცხეთა [17. გვ. 329, 330].

ლეონტი მროველი ს საისტორიო ნაშრომში, იმავე დროისათვის შემდეგ ქალაქებსა და ციხე-ქალაქებს ჩამოთვლის: "...წუნდა..., ოძრხე..., თუხარისი..., ურბნისი..., კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა, და რუსთავი, და დედა-ციხე სამშვილდე, და მტკვრის ციხე, რომელ არს ხუნანი და კახეთისა ქალაქნი" [ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება. 1. თბილისი. 1955. გვ. 17,18].

ქ. ალექსანდრიაში მოღვაწე ენციკლოპედისტის (ამ ცნების აბსოლუტური გაგებით) კლავდიოს პტოლემეაიოსის (ახ. 100 - 170 წწ.) "გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში" ქართლის (იბერიის) სამეფოში ნახსენებია ქალაქები "აგინა" (დღევ. სოფ. ძალინა), "უასიდა" (ლოკალ. ვერ

ხერხდება), "უაირიკა" (ლოკალ. ვერ ხერხდება), "სურა" (სურამი), "არტანისა" (არტაანი, ან არტანუჯი), "მესტლეტა" (მცხეთა), "ძალისა" (სოფ. ძალისა) [8].

სტრახონი არ ასახელებს კონკრეტულ ქალაქებს (ზემოთ ნახსენები სევსამორასა და ჰარმოზიკეს გარდა), თუმცა იძლევა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ლაკონურ და ბევრის მთქმელ დახასიათებას: „მართლაც, იბერია (= ქართლის სამეფოს - თ.ბ.) დიდწილად იმდენად კარგადაა განაშენიანებული ქალაქებითა და დაბებით, რომ იქ არის კრამიტის სახურავები, საბაზრო მოედნები, და სხვა ნაგებობები, აღმართული ხუროთმოძღვრების კანონებით“ [სტრახონი. გეოგრაფია 17 წიგნად, წ. XI. თ. III. პ.1].

ქართლის სამეფოში ქალაქთმშენებლობის სტრახონისეულ დახასიათებას, ზურგს უმაგრებენ ქართველი არქეოლოგების მიერ გასული საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დღემდე შესწავლილი ელინისტურ - გვიანრომაული დროის საქალაქო ცხოვრების ამსახველი ძეგლები (დიდი მცხეთის სხვადასხვა უბანი, სამადლო-ნასტაგისი, უფლისციხე, დედოფლის მინდორი, ძალისა, ურბნისი, მოდინახე, შორაპანი; კლდეეთის, ბორის, ძევის, ჟინვალის, არაგვისპირის, ერწოს ველის, ზღუდერის სამაროვნები ...).

სწორედ ქართლის სამეფოს სიძლიერე, მისი მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური დონე და გემოვნება იყო დროის მოცემულ მონაკვეთში, საგარეო ვაჭრობის გააქტიურებისა და ამ გზით მრავალფეროვანი ნაწარმის შემოტანის ერთ-ერთი უმთავრესი საწინდარი.

### **ბიბლიოგრაფია**

1. აფაქიძე ა. საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე. თბილისი. 1955
2. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., მცხეთა. 1. არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრები. თბილისი. 1955
2. აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. II. თბილისი. “მეცნიერება”. 1978
3. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ. წ. III საუკუნისა – აკლამა 905. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. XI. თბილისი. 1996
4. აფაქიძე ა. ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი. ძმ. 33. თბილისი. 1973
5. ბიბილური თ. თიხის ფილასამარხები ხარის საქართველოში. საკ. დისერტ. თბილისი. 1983
6. ლომთათიძე გ. ქართველი ხალხის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ. წ. I-III სს. თბილისი. 1976
7. ლომოური ნ. კლავდიოს პტოლემეაიოსის “გეოგრაფიული სახელმძღვანელო”. მსკი. ნ. 32. თბილისი. 1955
8. ლორთქიფანიძე მ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. III. თბილისი. 1961
9. მაკალათია ს. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. სმმ. ტ. 4. თბილისი. 1927
10. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი. 1983
11. რამიშვილი რ. ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბილისი. 1979

12. საგინაშვილი მ. მინის ჭურჭელი დედოფლის გორის სასახლიდან (ახ. წ. I ს. ქარტლის სამეფოს საგარეო-ეკონომიკური კონტაქტებისათვის). ძიებანი. 11. თბილისი. 2003
13. საგინაშვილი მ. ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი. თბილისი. 1970
14. საგინაშვილი მ. მინის “დამლიანი” ოთხკუთხა ბოთლი მცხეთიდან. კრებ.: იბერია-კოლხეთი, მიძღ. აკად. ოთარ ლორთქიფანიძის 75-ე წლისთავისადმი. 2. თბილისი. 2005
15. სულავა ნ. მინანქრიანი ფიბულები საქართველოში. იბერია-კოლხეთი. საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი. თბილისი. 4. 2008
16. ჯავახიშვილი ქ. გლიპტიკური ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები. I. გემა უფლისციხიდან. ძიებანი, 7. თბილისი. 2001;
17. ჯავახიშვილი ქ. გლიპტიკური ძეგლებზე ასახული ანტიკური მონუმენტური ხელოვნების ნიმუშები. II. გემა ერწო-თიანეთიდან. ძიებანი. 10. თბილისი. 2010
18. ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. ზღუდრის სამაროვნის გლიპტიკური ძეგლები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXVI-B. თბილისი. 1982.
19. Лордкипанидзе О. Итальянские бронзовые изделия, найденные на территории древней Грузии. СА. 1964. 4
20. Лордкипанидзе О. Наследие древней Грузии. Тбилиси. «Мецниереба». 1989
21. Максимова М. И. Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XVI-B. თბილისი. 1950
22. Мачабели К. Серебряные фиалы из Армазисхеви (из истории античной торевтики Грузии). Тбилиси. Мецниереба». 1970
23. Мачабели К. Позднеантичная торевтика Грузии (по материалам торевтики первых веков нашей эры). Тбилиси. «Мецниереба». 1976
24. Страбон. География в 17 книгах. перевод, статья и комментарии Г. А. Стратановского. Москва. 1994









1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11

**წოდორეთის მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია  
(ბათხრების მოკლე ანბარიში)**

ძველი მდებარეობს ქ. მცხეთის რაიონის სოფ. წოდორეთის სამხრეთ-დასავლეთით 4კმ-ზე. (ადგილი „შინდაკრავა“), უსახელო მშრალი ხევისა და „შინდაკრავას“ ხევის შესართავთან ხერთვისში. შეერთებული ხეები 2კმ-ის დაშორებით უერთდება დიდმის ხევს მარჯვენა მხრიდან. ამ ადგილას ხევს ადგილობრივი მაცხოვრებლები „ძალაანთ“ ან „ძალაანთ“ ხევს უწოდებენ.

ამჟამად ეკლესია მთლიანად დანგრეულია. მისი ნანგრევები დაფარული იყო ნიაღვრებით ჩამოტანილი მიწით და ტყით. ჩანდა დანგრეული კედლების ფრაგმენტები და მცირე ქვაყრილი.

ნაეკლესიარის აღმოსავლეთით, 50მ-ის გაცილებით მდებარეობს ნასოფლარი. ნასახლართა ზოგიერთ ბუდობში გადარჩენილია შენობათა კედლების საძირკვლები, რომლებიც ნაშენებია კლდის ფლეთილი ქვით, კირის ხნარზე. მის ტერიტორიაზე მიმოფანტულია კარგად დამუშავებული დიდი ზომის სააშენებლო ქვები. აქვე დადასტურდა 1მ. სიგანის კედელი, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 16 მეტრზე გრძელდება. ეს კედელიც კლდის ფლეთილი ქვითაა ნაგები კირის ხსნარზე, შემორჩენილია კედლის ქვედა წყობის 2-4 რივი.

ნასოფლარისა და მისი მიმდებარე ტყის მასივი გამოირჩევა შინდის ხეების სიჭარბით. გადმოცემის თანახმად ამ ადგილას კრავი უპოვიათ და ამიტომ შეურქმევიათ „შინდაკრავა“. ეს ტოპონიმი ერთ-ერთ სიგელში მე-17 საუკუნეში იხსენიება, რომლის მიხედვითაც როსტომ მეფე „შინდაკრავას“ მიწებს მფლობელობაში გადასცემს ვინმე ყორღანაშვილს.<sup>1</sup> საბუთში ეკლესია არ არის ნახსენები.

ადგილობრივები დღესაც მიდიან სალოცავად „შინდაკრავას“ ნაეკლესიარზე და სანთლებს ანთებენ. ეკლესიის დანგრევის შემდეგ, როგორც ჩანს თაობიდან თაობას გადაეცემოდა ცოდნა იმის შესახებ, რომ აქ იდგა ეკლესია. მათი გადმოცემით ეკლესია მარიამ ღვთისმშობლის სახელზე უნდა ყოფილიყო აშენებული. ნაეკლესიარის მახლობლად ბევრეთში მდებარეობს საქართველოს საპატრიარქოს წმ. თეკლას დედათა მონასტერი (წინამძღვარი – დეკანოზი თეიმურაზ ჩაჩიბაია). ამ მონასტერთან არსებულმა წმ. იოანე ნათლისმცემლის მამათა სკიტმა თხოვნით მიმართა კულტურის სამონასტროს ნაეკლესიარი აეყვანათ აღრიცხვაზე და მიენიჭებინათ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. მომხდარიყო მისი სრული პასპორტიზაცია და ჩატარებულიყო კონსერვაცია-რესტავრაცია. ხელოვნებათმცოდნე გიგა მისრიაშვილის დასკვნა ნაეკლესიარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად ცნობის შესახებ სამინისტრომ არ დაამტკიცა იმ მოტივით, რომ არ იყო ძეგლის რაობა გარკვეული. მოითხოვა არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარება. ამის საფუძველზე საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო მეთოდურმა საბჭომ თხოვნით მიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს გაეცა ნებართვა ნაეკლესიარზე ჩატარებულიყო არქეოლოგიური გათხრები. სააგენტომ დააკმაყოფილა თხოვნა და გასცა ნებართვა 09/12/221. ჩამოყალიბდა არქეოლოგიური ექსპედიცია,<sup>2</sup> რომელმაც ველზე იმუშავა 2014 წლის 29 დეკემბრიდან 2015 წლის 16 იანვრამდე.

<sup>1</sup> ფუთურიძე ვ. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1955 წ.

<sup>2</sup> ექსპედიციის შემადგენლობა: შოთა ირემაშვილი – ხელმძღვანელი, გიორგი დოცენკო (მამაო ნექტარი) – მოადგილე, მამუკა კიკნაძე – არქიტექტორი, აკაკი მიქანაძე – კომპიუტერული უზრუნველყოფა, პროფ. ვასტანგ ჯაფარიძე – კონსულტანტი.

გათხრების დაწყებამდე ჩატარდა ტერიტორიის ტოპი ან აზომვები და ფოტოფიქსაცია.

ფენების თანდათანობით მოხსნით ეკლესიის ინტერიერი ამოიწმინდა იატაკამდე, ხოლო გარე პერიმეტრი ცოკოლამდე.<sup>1</sup> კარგად გათლილი ქვის კვადრებით ნაგები ერთსაფეხურიანი ცოკოლი ნულოვანი ხაზიდან აღმოსავლეთის კედელთან – 0,70მ-ზე, სამხრეთით შესასვლელ კარებთან – 0,80მ-ზე, დასავლეთის კედელთან – 0,90მ-ზე, ხოლო ჩრდილოეთის კედელთან – 0,60მეტრზე დადასტურდა, ხოლო ეკლესიის იატაკი ნულოვანი ნიშნულიდან – 0,94 – 0,95მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა. თიხატექანილი იატაკი კირხსნარით იყო გადალესილი. დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში იატაკზე მიცვალებულის ჩონჩხის არეული ძვლების მცირე ფრაგმენტები აღმოჩნდა. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იატაკი დაზიანებული ჰქონდა სამარხს. იატაკიდან 10 სმ სიღრმეში დადასტურდა მიცვალებულის ჩონჩხის არეული ძვლების ფრაგმენტები. ორივე სამარხის ნაშთი ისე იყო დაზიანებული და ძვლები არეული, რომ ვერ დადგინდა დაკრძალვის პოზა და მიცვალებულის დამხრობა ორივე, სამარხის ნაშთი უინვენტარო იყო. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, დაზიანებული იატაკის ქვეშ აღმოჩნდა შედგენილი სამარხი, რომელიც აგებულია კლდის ფლეთილი ლოდებით, სამარხის გვერდითი კედლების აშენებაში მონაწილეობს ქვის თხელი ფილები და კრამიტის ნატეხები. საანგარიშო წელს ეს სამარხი არ გაგვიხსნია.

შემორჩენილია კედლების ქვედა წყობის არქაული სტრუქტურა, რომელიც ორთოსტატული (ვერტიკალური) წყობითაა ნაგები. დაშენებულია კარგად გათლილ კვადრებზე. კედლების შიდა პირი ნაგებია კლდის ფლეთილი დამუშავებული ქვით, სისქე კედლისა შეადგენს 1 მეტრს, კედლის შუაში ხურდა ქვაა გამოყენებული. ცოკოლი დაფუძნებულია საძირკველზე, რომელიც კლდის ფლეთილი ქვის ლოდებითაა აშენებული კირის ხსნარზე. კირის ხსნარზეა კედლებიც აგებული.

ეკლესიის აღმოსავლეთის კეტელი შემორჩენილი ნულოვანი ნიშნულიდან 0.70 მეტრზე, სამხრეთის – 0,75მ, დასავლეთის – 0,55მ, ჩრდილოეთის – 0,48მეტრი. შესასვლელი კარი სამხრეთის მხრიდანაა გაჭრილი. ეკლესიას ეტყობა აღდგენა-გადაკეთების კვალი. ეს კარგად ჩანს ჩრდილოეთის კედელზე. აქ გვხვდება ჰორიზონტალური წყობა, როცა დანარჩენ სამ კედელზე ვერტიკალურადაა ქვები აშენებული. აღდგენისას ჩრდილოეთის კედლის წყობაში გამოყენებულია კარგად გათლილი თალის ქვები, რაც ქვების მეორად გამოყენებაზე მიგვანიშნებს. დარბაზის წმენდისას მრავლად ჩნდებოდა ჩაქცეული სახურავის წითლად გამომწვარი ბრტყელი და ღარიანი კრამიტის ნატეხები. ღარიანი კრამიტების ზოგიერთი ცალები შემკულია ირიბად ნაჭდევი რელიეფური სარტყლებით. როგორც ჩანს ეკლესია კრამიტით ყოფილა გადახურული. დარბაზის კედლების შიგნითა მხარეს შემოუყვება მაღალი ხარისხი (მერხი). საკურთხევლის ჩრდილოეთ კუთხეში სამკვეთლო, ხოლო სამხრეთ კუთხეში სადიაკვნე ნიშებია ჩაშენებული. ორივე ნიში ზედა ნაწილში ნაკლულია. რაც შეეხება აბსიდას ის არც ნახევარწრიულია და არც ნალისებური. იგი უსწორო რკალია.

საკურთხეველი დარბაზიდან მაღალი ერთსაფეხურიანი ხარისხითაა გამოყოფილი, რომელიც იატაკის დონიდან აწეულია 0,31 მეტრით. დარბაზის სამხრეთ ნაწილში ხარისხის კედელში დადასტურდა კანკელის სვეტის საყრდენი ბალიში, ხოლო კანკელის ქვის სვეტი გადმოვარდნილია დასავლეთის მხარეს და შუაზეა გატეხილი. აბსიდის ცენტრალურ ხაზზე დგას ოთხკუთხა, გათლილი ტრაპეზის ქვა, რომელიც საკურთხევლის აღმოსავლეთ კედელზეა

<sup>1</sup> მუშების ნაცვლად სველე სამუშაოებს სრულიად უანგაროდ ასრულებდნენ ტაძრის მრევლის წევრები.

მიდგმული. ძირიდან ზემოთკენ თანდა–თან განიერდება და მთავრდება ბრტყელი მოგლუვებული ზედაპირით.

ზომები: სიმაღლე – 0,75მ, ზედაპირის ფართობი – 0,44 X 0,36მ.

ტრაპეზის ქვის შუა ნაწილის სიგანე – 0,35მ, სისქე – 0,30მ. ტრაპეზის ქვის ზედა ნაწილში ფეხიანი „ბოლნური“ ჯვარია, ამოკვეთილი („კონსტანტინეს ძლევის ჯვარი“).

მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ძირითადად თიხის ნაწარმითაა წარმოდგენილი. გვხვდება, როგორც მოჭიქული, ასევე მოუჭიქავი ცალებიც.<sup>1</sup>

უმეტესი მათგანი პირგადაშლილია, გვხვდება სწორპირიანი ჭურჭლებიც. ზოგიერთი მათგანის ზედაპირი ხაოიანია, ზოგის მოგლუვებული. სქელკეციან ჭურჭლებთან ერთად აღმოჩნდა თხელკეციანებიც. კეცი შავი, მონაცრისფრო და მოყავისფრო. ორნამენტიდან ძირითადად ჩალარული ხაზები გვხვდება.

მოჭიქული ჭურჭლებიდან ჭარბობს (ახ.წ.XI-XII ს.ს.) ქუსლამოდარული, ბორბლისებურძირიანი ჯამები. მოჭიქულ ჭურჭლებზე მოხატულობა შესრულებულია თეთრ ანგობზე, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი და შავი საღებავებით. ძირითადად ყვავილები და მცენარეული მოტივებია გამოსახული. გვხვდება ლვიძლისფერი ნაღვენთებიც.

დანიშნულების მიხედვით ძირითადად სუფრის ჭურჭელია წარმოდგენილი (ხელადა, ჭინჭილა, ჯამი, სამარილე, ფიალა, დოქი და სხვ.) სამზარეულო–ქოთანი, სამეურნეო – დერგი).

### ეკლესიის აღწერა

ეკლესია წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას, რომლის ზომებია 6,92X4,56მეტრი (ცოკოლით). აბსიდა არც ნახევარწრიულია და არც ნალისებური. იგი უსწორო რკალია. საკურთხეველი დარბაზიდან გამოყოფილი ყოფილა სატრიუმფო თალით. როგორც ჩანს, თალი თლილი ყოფილა (ინტერიერში აღმოჩენილია ფრაგმენტები), საკურთხეველის ორივე მხარეს თითო ნიშია განთავსებული: ჩრდილოეთ კუთხეში – სამკვეთლო (ზომები: სიგანე – 0,53მ, სიღრმე – 0,47მ), ხოლო სამხრეთ კუთხეში – სადიაკვნე (ზომები: სიგანე – 0,55მ, სიღრმე – 0,47მ). ორივე ნიში ზედა ნაწილში ნაკლულია. მათი დონე ნულოვანი ნიშნულიდან – 0,13–0,15მეტრია. აბსიდის ცენტრალურ ხაზზე დგას ოთხკუთხა ქვის ტრაპეზი, რომელიც აღმოსავლეთ კედელზეა მიდგმული. დაბლა შედარებით ვიწროა, ზემოთკენ თანდათან განიერდება და მთავრდება ბრტყელი, მოგლუვებული ზედაპირით (ზომები: სიმაღლე – 0,75მ, ტრაპეზის ზედა ნაწილში წრეში ჩასმული ფეხიანი „ბოლნური“ ჯვარია (კონსტანტინეს „ძლევის ჯვარი“) ამოკვეთილი. საკურთხეველი დარბაზიდან გამოყოფილია ხარისხით, რომელიც იატაკიდან აწეულია 0,31მ–ით დარბაზის სამხრეთ ნაწილში, ხარისხის კედელში დადასტურდა კანკელის სვეტის საყრდენი ქვის ბალიში, ხოლო კანკელის ქვის სვეტი გადმოვარდნილია დასავლეთის მხარეს და შუაზეა გატეხილი. დარბაზის იატაკი ნულოვანი ნიშნულიდან – 0,94–0,95მ–დან იწყება, ხოლო საკურთხეველის აღმოსავლეთ კედელთან – 0,52–0,55მ–ზე.

დარბაზს სამივე მხრიდან შემოუყვება მაღალი ხარისხი – მერხი (ზომები: სიგანე – 0,32–0,33მ. სიმაღლე – 0,30–0,35მ). 0,00 ნიშნულიდან ხარისხი იწყება სამხრეთით – 0,50მ–ზე, დასავლეთით – 0,63მ–ზე, ჩრდილოეთით – 0,55მ–ზე). ეკლესიას ერთი შესასვლელი კარი აქვს სამხრეთის მხრიდან, რომლის სიგანეა 0,87მ.

<sup>1</sup> მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ჩაბარდა მცხეთის სახელმწიფო მუზეუმ–ნაკრძალს.

ეკლესიას გარეთა მხრიდან მთელ პერიმეტრზე შემოუყვება ერთსაფეხურიანი ცოკოლი, რომლის შვერილი კედლიდან 0,14–0,15მ-ია. იგი კარგად გათლილი კვადრებითაა ნაშენი, ნულოვანი ნიშნულიდან ცოკოლი აღმოსავლეთ კედელთან +0,07მ-ზე იწყება, სამხრეთით შესასვლელ კართან + 0,08მ-ზე, დასავლეთის კედელთან +0,09მ-ზე, ხოლო ჩრდილოეთის კედელთან +0,06მ-ზე.

ცოკოლი დაფუძნებულია საძირკველზე, რომელიც კლდის ფლეთილი ლოდებითაა ნაგები კირის ხსნარზე, ეკლესია გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარიანი კრამიტით. საკურთხევლისა და დარბაზის იატაკი კირხსნარით ყოფილა გადალესილი.


## დათარიღება

მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ძირითადად თიხის ჭურჭლითაა წარმოდგენილი, როგორც მოუჭიქავი აგრეთვე მოჭიქული ცალებით. მათში ჭარბობს ქუსლამოღარული ბორბლისებურძირიანი მოჭიქული ჯამები. ძირითადად გვხვდება სუფრის ჭურჭელი (ჯამი, ფიალა, ხელადა, ჭინჭილა, სამარილე, დოქი და სხვ.), აგრეთვე სამეურნეო (დერგი) და დანიშნულების სამზარეულო (ქოთანი) ჭურჭელი.


მოჭიქული ჭურჭელი სხვადასხვა ფერებითაა მოხატული. ძირითადად ყვავილოვანი და მცენარეული ორნამენტებია გადმოცემული. პარალელური მასალების გათვალისწინებით (თბილისი, რუსთავი, ვარძია, უჯარმა, სათოვლე-ნაბარები და სხვა) მასალა (ახ.წ. XI-XII ს.ს.) თარიღდება. ამ თარიღთან შედარებით უფრო ადრეული ჩანს ეკლესია. კედლების ორთოსტატული წყობა, ტრაპეზის ფასადზე ამოკვეთილი წრეში ჩასმული ფეხიანი „ბოლნური“ ჯვარი, აბსიდის ხაზის მოხაზულობა, და სხვა დეტალების გათვალისწინებით ყოველივე ეს დეტალი უფრო აძველებს თარიღს.

პროფ. გურამ ყიფიანი – „შემორჩენილია წყობის ქვედა სტრუქტურა, რომელიც ორთოსტატული წყობითაა ნაგები, რაც ზოგადად ძეგლს „არქაულ“ იერს ანიჭებს. ამასთანავე მისი ზომები – 6,92X4,56მ - ძალიან ახლოს დგას „ოქროს კვეთის“ შეფარდებასთან. ძეგლს „არქაულ“ იერს ანიჭებს აგრეთვე სატრაპეზოს „ფართზე“ ამოკვეთილი მედალიონიც – ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულება. ყველა ამ ნიშნის მიხედვით ძნელია ეკლესია VIII საუკუნეზე გვიანდელად მივიჩნიოთ“. პროფესორი ვახტანგ ჯაფარიძე (უმცროსი), ძეგლზე აღმოჩენილ ნაწარმს განვითარებული შუა საუკუნეების (ახ.წ. XI-XII ს.ს.) კუთვნილებად მიიჩნევს. რაც შეეხება ტრაპეზზე ამოკვეთილ ბოლნურ ჯვარს, იგი მას არქაულად თვლის და მისი ვარაუდით ტრაპეზი ძველი, დანგრეული ეკლესიიდან უნდა იყოს მოტანილი. არქიტექტორი მამუკა კიკნაძე ეკლესიას (ახ.წ. VIII -IX ს.ს.) ათარიღებს. ხელოვნებათმცოდნე გიგა მისრიაშვილი კი ძეგლს (ახ.წ. XI ს.) კუთვნილებად მიიჩნევს. როგორც ვხედავთ ძეგლის დათარიღების საკითხში აზრთა სხვაობაა.

ძეგლზე არქეოლოგიური გათხრები არ ჩატარებულა. ფაქტიურად მოხდა ძეგლის გაწმენდა. ამდენად, ჩვენთვის უცნობია არქეოლოგიური ფენების სტრატეგრაფია, მათი ქვედა ფენის თარიღი. შესაძლებელია ძეგლის მომავალი შესწავლით არქეოლოგიური მასალის თარიღმაც ქვემოთ ჩამოიწიოს. ეკლესიის მშენებლობის ყველა არქაული დეტალების გათვალისწინებით (კედლის ორთოსტატული წყობა, ტრაპეზზე ამოკვეთილი „ბოლნური“ ჯვარი, აბსიდის მოხაზულობა და სხვა) გვაკარაუდებინებს, რომ ეკლესია (ახ.წ. IX – X ს.ს.) უნდა დათარიღდეს.




განიკვეთი აღმოსავლეთისაკენ







ადმოსკუტუთის ფასადი



განიკვეთი სამხრეთისაკენ




სამხრეთის ფასადი





N1



N2



N3



N4



N5



N6



N1



N2



N3



N4



N5



N6



N1



N2



N3



N4



N5



N6



N1



N2



N3



N4



N5



N6



N1



N2



N3



N4



N5



N6





N1



N2



N3



N4



N5



N6



N1



N2



N3



N4



N5



N6

## ტაბულების აღწერა

- ტაბულა 1. ეკლესიის გეგმა  
ტაბულა 2. განივკვეთი აღმოსავლეთისაკენ  
ტაბულა 3. აღმოსავლეთის ფასადი  
ტაბულა 4. განივკვეთი სამხრეთისაკენ  
ტაბულა 5. სამხრეთის ფასადი  
ტაბულა 61. დიღმის ხეობა  
ტაბულა 62. ეკლესიის საერთო ხედი – დასავლეთიდან  
ტაბულა 63. გათხრის პროცესი  
ტაბულა 64. საერთო ხედი გათხრების დაწყებამდე  
ტაბულა 65. სამხრეთის კედლის ფრაგმენტი  
ტაბულა 66. ტრაპეზი ჯვრის გამოსახულებით.  
ტაბულა 71. გათხრის პროცესი  
ტაბულა 72. სამშენებლო ქვის დეტალი  
ტაბულა 73. გათხრის პროცესი  
ტაბულა 74. სამშენებლო ქვის დეტალი  
ტაბულა 75. გაწმენდილი კედლების დეტალი  
ტაბულა 76. გაწმენდილი კედლების დეტალი  
ტაბულა 81. ტრაპეზი ჯვრის გამოსახულებით  
ტაბულა 82. საკურთხეველი, ტრაპეზის ქვა, ხედი დასავლეთიდან  
ტაბულა 83. გათხრილი კედლების დეტალი  
ტაბულა 84. სამშენებლო ქვის დეტალი  
ტაბულა 85. კედლის დეტალი  
ტაბულა 86. ეკლესიის საერთო ხედი – დასავლეთიდან  
ტაბულა 91-3. მოჭიქული კერამიკა  
ტაბულა 94. თიხის ჭურჭლის ნატეხები  
ტაბულა 95. კერამიკის ფრაგმენტი ჯვრის გამოსახულებით  
ტაბულა 96. მოჭიქული კერამიკა  
ტაბულა 101-2. მოპოვებული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები  
ტაბულა 103-4. ბრტყელი კრამიტების ფრაგმენტები  
ტაბულა 104. თიხის ჭურჭლის ყურები  
ტაბულა 106. შვლის რქა  
ტაბულა 116. ღარიანი კრამიტები, ირიბად ჩალარული სარტყლებით  
ტაბულა 112-4. ბრტყელი კრამიტების ნატეხები  
ტაბულა 113. ქუსლამოღარული ჯამების ნატეხები  
ტაბულა 115-6. მოპოვებული არტეფაქტები  
ტაბულა 121-3,5. თიხის ჭურჭლის ნატეხები  
ტაბულა 124. სამშენებლო ქვის დეტალი  
ტაბულა 126. ხარის ნალები.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება ვანის მუნიციპალიტეტის  
სოფ. ზედა ციხესულორში

მადონა მშვილდაძე, თეო ბუბუტეიშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ციხესულორში 2017 წლის 21 ივლისიდან 4 სექტემბრის ჩათვლით არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა ა(ა)იპ „ბაგინეთი“-ის არქეოლოგიური ექსპედიცია.

გათხრის ნებართვა გაიცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის გურამ ყიფიანის სახელზე „ბაგინეთი“-ს გამგეობის თავმჯდომარის გივი ყიფიანის 2017 წლის 20 ივნისის 47 წერილის საფუძველზე - სანებართვო მოწმობა ნ/17/2.

2017 წელს არქეოლოგიური ექსპედიციისათვის გათხრები სოფ. ციხესულორში წარმოადგენდა საველე კვლევა-ძიების მე-5 სეზონს.

წინა წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა<sup>1</sup> განამტკიცა ის აზრი, რომ ამ ტერიტორიის სახით საქმე გვაქვს კოლხეთის უძველეს და უმდიდრეს ქალაქთან სურიუმ-სურიონთან. მას იხსენიებს პლინიუს უფროსიც და კლავდიოს პტოლემეაიოსიც. ამ უკანასკნელმა ქალაქის მდებარეობა, მის მიერ სამყაროში დადგენილი 8000 პუნქტს შორის, განსაზღვრა გრადუსებითა

და მინუტებით. მისი მონაცემები ემთხვევა დღევანდელ ციხე-სულორს, ანუ სურ-ორს, ე.ი. სურიონს.

წლებანდელი გათხრების ძირითადი მიზანი იყო ქალაქის დასავლეთი საზღვრების დადგენა. საქმე ისაა, რომ ამ ტერიტორიას შუაზე ჰკვეთს (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაგან) ღრმა და წყლიანი ხევი (მულუნა ხევი). კულტურული ფენების შესახებ ხევის მარცხენა მხარეს ინფორმაცია არ არსებობდა. დასადგენი გვქონდა ქალაქის საზღვრები გრძელდებოდა ხევის

დასავლეთითაც, თუ იგი სურიუმის (სურორის) გეოგრაფიულ საზღვარს წარმოადგენდა. ექსპედიციას სხვა მიზნებიც ჰქონდა: მეტი ინფორმაცია მოეპოვებია 2015 წელს გამოვლენილი რომაული აბანოს (ახ. წ. III ს.) შესახებ. აგრეთვე გამოვევლინებინა კულტურული ფენების რაობა ქალაქის სამხრეთ ფერდზე.

ექსპედიციას წინასწარ ჰქონდა შერჩეული სამი ძირითადი პუნქტი.

A მონაკვეთი (GPS კოორდინატები: N – 02.91488, E – 46.62976) პირდაპირ მიგვანიშნებს საფორთიფიკაციო პლატფორმაზე, რომელიც გარკვეულ დომინანტს წარმოადგენდა გარემოში, ამასთანავე გამოიკვეთა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამოყრილი კვადრების სიმრავლე, რაც თავისთავად მიანიშნებს განადგურებულ საკედლე წყობებზე (იხ. ანაზომი I- IV).

D მონაკვეთში მარნის ნაშთები გამოიკვეთა. ზოგიერთი ქვევრი ჩაკირული იყო, ზოგ შემთხვევაში კი კირის მაგივრობას წვრილი კენჭებისგან შედგენილი სარტყელი ასრულებდა. არ ჩანს, რომ მარანი ერთ პერიოდს (ვთქვით განვითარებულ შუასაუკუნეებს) განეკუთვნებოდა.

<sup>1</sup> ix. g. yifiani, m. mSvildaZe, vanis municipalitets sof. zeda cixesuloris teritoriaze arqeologiuri kvleva-Ziebis angariSi, humanitarul kvlevaTa Jurnal „kadmosi“ N5, ilias saxelmwifo universiteti, Tbilisi 2013. gv. 334-381; g. yifiani, m. mSvildaZe, vanis municipalitets sof. zeda cixesuloris teritoriaze arqeologiuri kvleva-Ziebis angariSi, humanitarul kvlevaTa Jurnal „kadmosi“ N6, ilias saxelmwifo universiteti, Tbilisi 2014. gv. 493-529; g. yifiani, m. mSvildaZe, an. dulariZe, vanis municipalitets sof. zeda cixesuloris teritoriaze 2014-2015 wlebis arqeologiuri kvleva-Ziebis angariSi, humanitarul kvlevaTa Jurnal „kadmosi“ N7, ilias saxelmwifo universiteti, Tbilisi 2015. gv. 435-490;

ზოგიერთი მათგანი (ღია ვარდისფერი კეცი, რელიეფური სარტყელი, ამფორისებური ქუსლი) შესაძლოა 7-8სს-ბითაც დათარიღდეს. ყოფილი მარანი ამასთანავე ადგილობრივი მოსახლის ქ-ნ ნანა ბაღდავაძის წინა ეზოს წარმოადგენს, რამაც გამოიწვია ის, რომ ეზოს ნიველირების გამო განადგურდა ქვევრის ზედა მოცულობანი (იხ. ანაზ. II-IV; ფტ. 5-10). ადგილობრივთა თქმით ამ ტერიტორიაზე სულ ცოტა 30 ქვევრი დაითვლებოდა (XXს-ის 50-იან წლებში). ახლა ძნელია იმის თქმა თუ რომელ ფეოდს ეკუთვნოდა ესოდენ დიდი რაოდენობის ქვევრებით შედგენილი მარანი, საეროს თუ საეკლესიოს. მომავლისათვის ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ იმერეთის მეფემ ალექსანდრე III-მ სოფ. სულორი (სუორი) კათოლიკე მისიონერებს უბოძა, თეათის ორდენს (კასტელის ცნობა).

საგულისხმო იყო ის, რომ ერთ-ერთი ქვევრის ჩადგმისას (დამონტაჟებისას) დაუზიანებიათ ელინისტური ხანის კრამიტყრილი. აქ სოლენტა (კერამიდთა, სხვადასხვა სტანდარტის) მრავალი ფრაგმენტი დადასტურდა, რაც ნაწილობრივ მაინც მიანიშნებს იმას, რომ მონუმენტური ნაგებობანი მულუნა ხევის მარცხენა ნაპირზეც იგებოდა და შესაბამისად ქალაქიც იყო განფენილი (იხ. ანაზ. V).

ამ ტერიტორიის მესამე პუნქტი ძველ ნავენახარისა და განახლებული ვენახის ფართობია, სადაც საცდელ თხრილში (E მონაკვეთი, GPS კოორდინატები: N – 02.91474, E – 46.62969) გამოვლინდა ძვ. წ. IV-IIIსს-ის კერამიკის ფრაგმენტები - ქოთნები და ჯამები (იხ. ანაზ. VI);

შესაძლებლობა მოგვეცა გაგვენახლებინა გათხრები ადგილობრივი მოსახლის ზაურ კორძაძის ეზოში (იხ. 2015 წლის ანგარიში, რომელიც ჩაბარდა ძველთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს და გამოქვეყნდა რეცენზირებულ ჟურნალ „კადმოსი“-ში - 2015, 7, სადაც ჩვენს მიერ მიკვლეულ და ნაწილობრივ შესწავლილი რომაული თერმების ფრაგმენტები წარმოვადგინეთ (ახ.წ. IIIს-ე).

ამჟამადაც შესასწავლად მცირე მონაკვეთზე მოგვიხდა მუშაობა, რადგან საცხოვრებელი სახლი პირდაპირ ადგას აბანოს ძირითად დარბაზებს (GPS კოორდინატები: N – 02.92602, E – 46.630650). გამოვლინდა უკიდურესი ქვედა სტრუქტურის კარის ღიობი და მისი პილონები რომაული ბეტონის აქტიური გამოყენებით. წყობა შერეულია - ქვის ბლოკებს ზემოდან ეფენება კერამიკულ პლინტუსთა წყობა (მათი ზომებია: 33.5x27.5x04; 34.5x28x04).

დადასტურდა დარღვეულ კედელთა ნაშთებიც. მათში შერეული იყო ახ.წ. III საუკუნისათვის დამახასიათებელი ბრტყელი კრამიტები და კალიპტერები, აგრეთვე ორმაგკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტი. პლინტუსები მარკირებულია თითის ანაბეჭდებით. ერთ-ერთ მათგანზე კი, აშკარად ვარდულის გამოსახულებაა დაშტამპული (იხ. ანაზ. VII-XI; ფტ. 41-31; დან. I-II).

შეძლებისდაგვარად კვლევა-ძიება ვაწარმოეთ ყორღანოს მთის კალთებზეც (ეს ყველაზე მაღალი პუნქტია სოფ. ციხესულორის გარემოში, ზღ. დ. 225.25მ.). მისი საფუძვლიანი შესწავლა საინტერესო სურათს მოგვცემდა, მაგრამ ამჟამად ტერიტორია თითქმის მთლიანად თანამედროვე სასაფლაოდაა ათვისებული. იგი ნამდვილი გეოგრაფიული დომინანტია. მაინც მოხერხდა ამ მთის დასავლეთი (G მონაკვეთი, GPS კოორდინატები: N – 02.92455, E – 46.62229) და სამხრეთ-დასავლეთი ფერდობების შესწავლა (H მონაკვეთი, GPS კოორდინატები: N – 02.92463, E – 46.62158; N – 02.92473, E – 46.62127). დასავლეთ ფერდზე, მიწის ნაყარში გამოვლინდა რკინის სახნისი (იხ. ანაზ. XII; ფტ. 421-422), რომელიც ზოგადად IV-IIIსს-ით შეიძლება რომ დათარიღდეს (იხ. თ. მიქელაძე, ლ. ძიძიგური. საირხის - წყაროსთავზე მიკვლეული ორი ნიმუში, სამწუხაროდ გამოუქვეყნებელი) და სხვ.

გაცილებით საინტერესო სურათი გამოიკვეთა სამხრეთ-დასავლეთ ფერდზე, სადაც დადასტურდა ნაგებობის ნაშთი. აქვე აღმოჩნდა იმპორტული და კოლხური ამფორების არაერთი ფრაგმენტი (ქუსლები, ყურები და კედლის ფრაგმენტები), შელესილობათა (ბათქაში) ფრაგმენტები, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ საკელე მორების დიამეტრები განისაზღვროს და სხვ. (იხ. ანაზ. XIII-XV; ფტ. 32-34, 351-352, 361-362, 371-372, 38-41). ამავე მონაკვეთში ძვ.წ. IV-IIIსს-ის კოლხური ქვევრიც გამოვლინდა, შავად გამომწვარი, მერიდიანული ქედებით. ცენტრალურ არეში ოთხი პარალელური ქედით (ასეთი ქვევრის ფრაგმენტი არაერთია მიკვლეული. იხ. ვანი V) და ზოგადად V-IVსს-თაა დათარიღებული. ეს თარიღი პირობითია. ჩვენს მიერ დადასტურებული ქვევრი in Situ-ს შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი მოცულობის ზედა ნაწილი ვერ გამოვლინდა (იხ. ანაზ. XI, XVII; ფტ. 43-451-452).

### ანაზომითა აღწერილობა

I - გეგმები - A, B, C მონაკვეთები.

II - გენერალური გეგმა - A, B, C მონაკვეთები და მარანი, 1-6 ქვევრები. III - ქვევრები - გეგმები ჭრილი 1.

IV - ქვევრი 5

V - ქვევრი 4-ის ჩადგმისას ამოყრილი კოლხური კერამიკების (ძვ. წ. III-IIIსს.) ფრაგმენტები.

VI - მონაკვეთში გამოვლენილი კერამიკული ფრაგმენტები.

VII - რომაული თერმების ფრაგმენტი (გეგმა) I - საცხოვრებელი სახლის კიბისქვეშა სივრცე. II - საასენიზაციაო ორმო. III - ღობე და საავტომობილო გზა.

VIII - 1. კარის პილონები, ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. 2. კარის დასავლეთის პილონი. 3. კარის აღმოსავლეთის პილონი.

IX - პლინტუსთა ფრაგმენტები თითების ანაბეჭდებით.

X - ბრტყელი კრამიტის ფრაგმენტები.

XI - გვიანანტიკური ხანის კაპიტელები.

XII - სახნისი (რკინა).

XIII-XV - ყორღანოს მთის სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ ფერდზე მიკვლეული არქეოლოგიური მასალა.

XVI - კოლხური ქვევრის ფრაგმენტები ძვ. IV-IIIსს. XVII - კოლხური ქვევრი, მისი ქვედა მოცულობა.

### ფოტოილუსტრაციების აღწერილობა

1-4. A მონაკვეთი, ბაღდავაძეების კარმიდამო.

5. ქვევრი 5.

6. ქვევრი 1.

7-9. ქვევრი 4, 3, 6.

10. ქვევრი 5.

11-13. მონაკვეთში გამოვლენილი კერამიკული მასალა.

14. რომაული თერმების პილონები.

15. რომაული თერმების აღმოსავლეთი პილონი.

16. რომაული თერმების დაშლილი კედელი.


17. დასავლეთის პილონი და მისი წყობა.
18. პილონებსშორისი ყრილი.
- 19-20. პლინტუსები წყობაში.
- 21-25. თითის ანაბეჭდები პლინტუსებზე.
26. „ვარდულით“ აღნიშნული პლინტუსის ფრაგმენტი.
- 271-272. ორმაგკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტი.
- 28-31. თერმების სივრცეში, ყრილში გამოვლენილი ბრტყელი და ღარიანი კრამიტები.
- 32-34. ჭრილი და ფენათა განლაგება ყორღანოს მთის სამხრეთის კალთაზე.
- 351-352. ქერსონესური (?) ამფორის ქუსლი.
- 361-362. ქვევრის ძირი ყორღანოს სამხრეთი ფერდიდან.
- 371-372. ხელსაფქვავის ფრაგმენტები.
- 38-41. ადგილობრივი, კოლხური კერამიკისა და ბათქაშის ფრაგმენტები ყორღანოს სამხრეთის ფერდიდან.
- 421-422. რკინის სახნისი ყორღანოს სამხრეთ-დასავლეთის ფერდიდან.
43. ქვევრის ძირის ნაწილი ყორღანოს სამხრეთის ფერდიდან.
44. ქვევრის ძირის ფრაგმენტები.
- 451-452. ქვევრის კედლის ფრაგმენტები.



### დანართი ალფბეროგა

I-II - რომაული აბანოს 3 D ასახულობანი.


ა ნ ა ზ ო მ მ ბ ო


I














V


VI









0 10 50 100cm




0 10 50 100cm




IX




X





XI







1




2




3




XIII





XIV



XV




XVI



0 5 10 20 cm

XVII



0 5 10 20 30 40 50 cm



1



2





3

4



5



6





11



12



13



14



15



16



17



18



19



20





21



22



23



24



25



26



27-1



27-2



28



29



30



31



32



33



34



35-1



35-2



36-1



36-2



37-1



37-2





38



39



40-1



40-2



41



42-1



42-2



43



44





45-1


45-2



VI



VII



## ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების ინვენტარიზაცია.<sup>1</sup>

"საუკუნეთა განმავლობაში უდაბურობისა გამო წამოზრდილი ტყე-ბუჩქნარის სიღრმეში ჯერ კიდევ მრავლად იმალება ნანგრევები, რომლებიც სამწუნაროდ დღემდე არავის აღუწერიაო" - წერდა პლატონ იოსელიანი მცხეთის სიძველეების შესახებ 200-ოდე წლის უკან. მიუხედავად სისტემატური და სისტემური არქეოლოგიური კვლევა-ძიების თითქმის საუკუნოვანი ისტორიისა, დღესაც იგივეს თქმა შეიძლება საქართველოს ბევრი პუნქტის, მათ შორის ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ჯერაც უცნობი ძეგლების მიმართ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი - ისტორიული თორი, ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, რამდენიმე მნიშვნელოვან ტერიტორიულ ერთეულს მოიცავს, რომლებიც არც თუ უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე; ესენია, გუჯარეთის, შავწყალასა და საკუთრივ ბორჯომის, იგივე მტკვრის ხეობები. ამ უკანასკნელი ერთეულის საზღვრები ვრცელდებოდა სოფ. ტამისკრიდან სოფ. დვირამდე.

საკვლევი ტერიტორია ადამიანის მიერ ათვისებულია უძველესი დროიდან (პალეოლითი) და ცხოვრება, სხვადასხვა ინტენსივობით (რიგ შემთხვევაში არც თუ უმნიშვნელო დროითი ხარვეზებით), დღემდე გრძელდება.

თორის ქვეყანა ყურადღებას იქცევს ძალზედ მეტყველი ტოპონიმებითა და ჰიდრონიმებით, რომლებიც თვალნათლივ მიუთითებენ ერთის მხრივ, ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში, უძველესი დროიდან ადამიანის სამეურნეო საქმიანობის მრავალფეროვნებასა და მრავალმხრივობაზე; მეორეს მხრივ, სხვადასხვა ქართველური ნაკადების შეხვედრებსა და ურთიერთკავშირებზე.

უძველესი დროიდან თორის ქვეყნის მნიშვნელობა განისაზღვრებოდა მისი უაღრესად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით; სწორედ ასეთმა მოხერხებულმა მდებარეობამ განაპირობა საფეხმავლო თუ საქარავნე გზების სიმრავლე, რომელთა მეშვეობითაც თორელები უკავშირდებოდნენ ცალკერძ შიდა და ქვემო ქართლს, ცალკერძ ჯავახეთს; ბორჯომის ხეობაზე გადიოდა წინა აზიიდან საქართველოსა და ჩრდ. კავკასიაში მიმავალი ერთ-ერთი საქარავნო გზა. ამ ფაქტის ნივთიერ საბუთებად გვევლინება სხვადასხვა დროისა და ქვეყნების საფასეების განძები და სხვა ყურადსაღები არტეფაქტები, აღმოჩენილი ხეობის არაერთ პუნქტში.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ძეგლების ნაწილი არაერთგზის გამხდარა წყაროთმცოდნეობითი, პალეოგრაფიული, ისტორიულ - გეოგრაფიული, არქეოლოგიური თუ ეთნოლოგიური მიმართულებით კვლევის საგანი.

ამ კვლევების შედეგები ასახულია ქართველი და უცხოელი ავტორების ათობით სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარულ შტუდიებში; თუმცა, ისევე როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, აქაც ჯერ კიდევ საკმაოა საკვლევი - შესასწავლი.

იგივე მდგომარეობაა ძეგლების აღრიცხვის თვალსაზრისითაც - მკვლევარის თვალსაწიერის მიღმაა დარჩენილი არაერთი ნასოფლარი, ნასახლარი და ნივთიერი კულტურის სხვა

<sup>1</sup> ექსპედიციის სავლე და კამერალური საქმიანობა განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პროგრამული დაფინანსებით. ექსპედიციის შემადგენლობა: თემურ ბიბილური - ხელმძღვანელი; ივანე ბიბილური - არქეოლოგი; გიორგი ლაზარაშვილი - ისტორიკოსი; ლაშა ტრაპაიძე - არქიტექტორი; ზურაბ გაბუნია - მხატვარი; ლაშა ქარაია - კომპიუტერული უზრუნველყოფა.

მოწმობანი; სააღრიცხვო დოკუმენტაციის არცთუ მცირე ნაწილი შექმნილია დიდი ხნის წინ და ისინი, ბუნებრივია, საჭიროებენ განახლებას.

ჩვენი ექსპედიციის ხანმოკლე დროის მანძილზე, ვნახეთ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე კარგად ცნობილი ძეგლები და დავაფიქსირეთ ახალიც.

ჩვენი იმთავითვე მიზნად დავისახეთ თითოეული ნაცნობი თუ უცნობი ობიექტის მაქსიმალური სისრულით ხილვა და მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოჩენა. სწორედ ასეთი მიდგომის წყალობით ვნახეთ კომპილელის ნამოსახლარისაკენ მიმავალი გზის ფილაქვით მოგებული ცალკეულ მონაკვეთები; გამოვთქვით ვარაუდი, რომ ეკლესიად მიჩნეული ნაგებობა ხევის თავში, ნამოსახლარის უკიდურეს სამხრეთ და მაღალ წერტილში, ყველა პარამეტრით, მათ შორის მდებარეობით, მეტად კომპია, ვიდრე საკულტო ნაგებობა (კომპად მიიჩნევა ხსენებულ ნაგებობას ხელოვნებამცოდნეობის დოქტორი გიორგი ჭანიშვილიც). ვფიქრობ, ამადაც უწოდებს ხალხი ამ ადგილს სწორედაც რომ "კომპიდელეს" და არა ვთქვათ, "საყდრიდელეს" (იქვე), ან "მონასტრის ხევს" (მცხეთაში) და ა.შ.

სოფ. ლიკანის ჩრდ.-დას. მდებარე ნამონასტრალის უმუალო სიახლოვეს დავაფიქსირეთ ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტი, როგორც ქვის სამტეხლო და სახელოსნო; აქაც, ისევე როგორც კომპიდელეს, სვინი ძირისა თუ ნაჩეხების შემთხვევაში, დავადგინეთ ნამოსახლარის ზომები, განვითარების მიმართულება და ა. შ.

ჩვენს მიერ იქნა აღწერილი ქვაბისხევისწყლის ხეობაში ექვსი ნამოსახლარი, თუმცა მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. აღარაფერს ვამბობ ქვაბულების მთელ სისტემაზე, რომლებიც არათუ არავის გაუხდია სპეციალური კვლევის საგნად, გაკვრითაც კი არ შეხებია მათ. არადა, სწორედ ამ გამოქვაბულებს უნდა უმაღლოდეს ქვაბისხევი თავის სახელწოდებას.

ექსპედიციის ერთ - ერთ უმთავრეს მიზნად დავისახეთ სამეცნიერო, სამეცნიერო - საცნობარო თუ სხვა სახის ლიტერატურაში, საკვლევ რეგიონში არსებული ძეგლების ლოკალიზებისას დაშვებული ხარვეზების გამოსწორება-აღმოფხვრა.

თვალსაჩინოებისათვის დავიმოწმებ ამონარიდებს რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ნაშრომიდან:

ა) ნადიკრებისა და ხევიწის ნამოსახლარები (ჭობისხევის მახლობლად) ერთ-ერთ ნაშრომში მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებულადაა მიჩნეული [რჩეულიშვილი ლ. ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხები, გვ. 130,133]; ბ) უკანასკნელ წლებში გამოსულ ძალზედ საჭირო და მნიშვნელოვანი ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომში "ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი", არაერთი ტოპონომისა თუ ჰიდრონიმის ადგილმდებარეობა, არასწორადაა მითითებული (ნუა, დვირის ციხე, საკვირიკე). თუმცა, დასახელებული ნაშრომები არაა კერძობითი შემთხვევა და მსგავსი უზუსტობები გვხვდება სხვაგანაც.

ბ) Google My Maps - ი შეცდომით ს. დვირის მიდამოებში ახდენს დაბა აბასთუმნის ციხისა და ალექსანდრე ნეველის სახ. ეკლესიის ლოკალიზებას.

გ) ქართული ვიკიპედია. "ჭობისხევი - სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დვირის თემში. მდებარეობს მდინარე ქვაბისხევის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) ნაპირებზე "(sic!).

ვიმეორებ, ეს კერძობითი შემთხვევები არაა; მსგავსი "ლაფსუს ლინგვა" არაერთი შეიძლება მოიძებნოს...

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს უკვე გათხრილი ძეგლების სავსე და კამერალური დოკუმენტაციის ნაკლებანებობა; კერძოდ, რიგი არქეოლოგიური ობიექტების სავსე დოკუმენტაცია ვერ იძებნება, ან ისეა დანაწევრებულ-არეული, რომ მისი ხელახალი

"არქეოლოგიური კვლევა საჭირო". მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ბანისხევის (რველის) სამაროვანი, რომელსაც ორგზის არ "გაუმართლა" - ჯერ გასული საუკუნის 10-იან წწ., ხოლო შემდეგ იმავე საუკუნის 60-იან წწ.

ნივთიერი თუ სულიერი კულტურის ძეგლებისადმი მიძღვნილი განმაზოგადებელი ნაშრომების შესწავლა, დიახაც, რომ ფრიად საშური საქმეა; თუმცა, ეს შრომა დიდწილად ფუჭი, ხოლო კვლევის შედეგები მცდარი იქნება, თუ არ განხორციელდა ამ კონკრეტულ რეგიონში არსებული ყველა ისტორიული ძეგლის/ობიექტის გამოვლენა, მაქსიმალურად სრული აღრიცხვა, ფიქსაცია, მათი რაგვარობისა და გავრცელების არეალის ასევე მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვრა.

კონკრეტული პროექტის ფარგლებში სავსე სამუშაოები იმდაგვარად იყო დაგეგმილი, რომ მაქსიმალური სიზუსტით განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა დროისა და სახის არქეოლოგიური ობიექტების/ძეგლების გადამოწმება; სავსე გასვლებისას გამოვავლინეთ ახალი, მკვლევართათვის დღემდის თვალთმომარებელი წარსულის ნაშთები.

და მართლაც, სავსე გასვლებისას რამდენიმე პუნქტში დავაფიქსირეთ სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ობიექტი.

სავსე და კამერალური სამუშაოების დასრულების შემდეგ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს ისტორიული ზემო ქართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის - თორის ქვეყნისა და მიმდებარე რაიონების ტერიტორიაზე არსებული წარსულის სხვადასხვა დროის მოწმობები; უპირველეს ყოვლისა არქეოლოგიური ძეგლების/ობიექტების მაქსიმალურად სრული ილუსტრირებული ნუსხა, პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციითურთ (სააღრიცხვო ბარათები, ფოტო და რიგ შემთხვევაში, გრაფიკული ილუსტრაციებით, საზღვრებით, ბიბლიოგრაფიითა და ა. შ.). ცხადია, სავსე გასვლებისას გვერდს ვერ აუვლიდით სხვა სახის ნაშთებსაც; იქნებოდა ეს მიწისზედა საფორთიფიკაციო და საკულტო კომპლექსები, თუ საცხოვრისები.

ქვემოთ მოცემულია ექსპედიციის მიერ გავლილ მარშრუტზე გამოვლენილ - შესწავლილი ობიექტების მოკლე დახასიათება მიკრორაიონებისა და ცალკეული პუნქტების მიხედვით.

### **ლიკანი**

სოფ. ლიკანის ჩრდ. და ჩრდ.-დას. მოდამოებში არსებული ხევები უაღრესად მდიდარია სხვადასხვა დროის ისტორიული ძეგლებით, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავთ შუასაუკუნეების თითქმის ყველა ეტაპის ნამოსახლარებს. უდავოა, დღევანდელისოფლის მიმდებარე ტერიტორიები, დაფარული ხშირი და შერეული ტყით, ადრეშუასაუკუნეებიდან მაინც, ძალზედ მჭიდროდ იყო დასახლებული. რიგ შემთხვევაში, მანძილი ნამოსახლართა შორის 2-3 კმ. არ აღემატებოდა. გარდა ამისა, საკვლევი მიკრორაიონი ყურადღებას იქცევს ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების მრავალფეროვნებით, რომლებიც გარკვეული დროითი საზღვრების დადგენის საშუალებას იძლევიან. და მაინც, აქ დღეს არსებული ქორონიმები, იშვიათი გამონაკლისის გარდა (შესაძლოა ასეთია "ურიების წყალი" = "ურიების ხევს"), საკმაოდ გვიანდელია და ჩნდება, უკეთეს შემთხვევაში, XIX ს. 30-იანი წლებში, როდესაც ხელახლა (უკვე მერამდენედ) იწყება შემოსევებისა (თურქები) და ყაჩაღური დარბევებისაგან (ძირითადად დაღესტნიდან) გაუკაცრიელებული ადგილების დასახლება.

კოშკილეულს ნამოსახლარი. ს. ლიკანიდან 3,5 კმ.



ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. ლიენის შ მხარეს არსებულ კოშკილელებს მარცხენა ნაპირის დამრეც ფერდობზე შექმნილ ხელოვნურ ტერასებზე. სახელწოდება, ვფიქრობ, დაკავშირებულია უკიდურეს სამხრეთ ნაწილში აგებული კოშკთან, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში - ეკლესიადაა მიჩნეული (იხ. ზემოთ, გვ. 2).

ნამოსახლარი, რამდენიმე ნიშნით ამ ტიპის დასახლებებს შორის ერთ-ერთ გამორჩეულ ობიექტად შეიძლება მივიჩნიოთ. მოკლედ თითოეული ნიშნის შესახებ: 1. კოშკილელებსა და ბალაგნების ხერთვისიდან დასახლებისაკენ მიმავალი გზის ცალკეულ მონაკვეთებზე ქვის საფარი ფიქსირდება. ეს თავისთავად გამოარჩევს ამ ნამოსახლარს; 2. ნამოსახლარს ჩრდილოეთის მხრიდან გასდევს საკმაოდ მძლავრი თავდაცვითი კედელი, რომლის სიგანე 1,3 და 1,8 მ. შორის მერყეობს. 3. თავდაცვითი სისტემის ორგანულ ნაწილს შეადგენს დასახლების უკიდურეს სამხრეთ ნაწილში აგებული კოშკი, რომელიც ამ ლოკალურ რაიონს კარგად აკონტროლებდა .

დასახლებას მხრიდან იცავდა საკმაოდ მძლავრი გალავანი, რომელიც აღმართული იყო მდ. კოშკილელებს ფრიალო ნაპირზე; O - მხრიდან - დამრეცი რელიეფი და მასზე გალავნის მონაკვეთი; S მხრიდან, როგორც უკვე ავღნიშნე, კოშკი და ძალზედ დამრეცი რელიეფი.

კოშკილელებს დასახლების ზომებია 124 (N - S) x 50 (W - O) მ.; ცალკეული კომპლექსი შედგება ქვით ნაგები კედლით შემოზღუდული ეზოსა და საკუთრივ საცხოვრებელი ერთიანი სახლისაგან. ეზოში შესასვლელი ყველა შემთხვევაში სახლის ფასადის მოპირდაპირე მხარესა აქვს დატანილი.

ყველა შენობა ნაგებია ადგილობრივი კლდის ნაფლეთი, ნახევრად ან სრულად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებით; გვხვდება კარგად რუსტირებული ეგზემპლარებიც. ცალკეული ეგზემპლარების ზომები: 0,88 x 0,7; 0,62 x 0,56 x 1,32; 0,4 x 0,62 x 0,56; 0,84 x 0,36 x 0,45; 1,4 x 0,21 (N 3 კომპლექსი); 1,4 x 0,7 x 0,9; 1,7 x 0,7 x 0,9; 1.65 x 0,54 x 0,55 ... (N 5 - "დარბაზი").

ცალკეული ნაგებობების ზომები: N 1 - 6,7 (N - S) x 5,0 (W - O) მ.; N 3 - 7,5 (N - S) x (W - O) მ.; შიდა პერიმეტრი - 4,6 x 4,0 მ.; N 5 („დარბაზი“): ეზოს ზომები - 7,7 (N - S) x 14,0 (W - O) მ.;

დამატებითი პარამეტრების მიღება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ტერიტორიის მწვანე საფარისაგან გაწმენდის, არქეოლოგიური და არქიტექტურული კვლევის განხორციელების შემდეგ.

შენობების უმეტესობა მთლიანადაა დანგრეული და მხოლოდ გეგმა თუ წაიკითხება; ისიც, იმ შემთხვევაში, თუ შენობები და მიმდებარე ფართობი გაიწმინდება მწვანე საფარისაგან (წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები, სხვადასხვა სახის ბუჩქნარი, ასევე სხვადასხვაგვარი ხავსის საოცრად სქელი ფენა).

ზოგიერთი ნაგებობის კედლების ქვები კოშკილელებშია ჩაცვენილი; თუმცა, ქვების ნაწილი იმდაგვარადაა დავარდნილი, რომ არის შესაძლებლობა მათი თავდაპირველი მდგომარეობის განსაზღვრისა.

ნახსენები მწვანე საფარისა და ჩამოწოლილი მიწის ფენისაგან განთავისუფლების შემდეგ, მეტ-ნაკლები სიზუსტით შესაძლებელი გახდება დასახლების საზღვრებისა და დამატებით კიდევ რამდენიმე შენობის გეგმარების დადგენა.

ბიბლიოგრაფია

ბერიძე ვ. სამცხის ხუროთმოძღვრება. თბილისი. 1955;

მაკალათია ს. ბორჯომის ხეობა. თბილისი.1955;

რჩეულიშვილი ლ. ძველი ნასახლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში. ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები. თბილისი. 1994

**სვინი ძირის ნასახლარი** (ბალაგნების ხევი, ს. ლიკანიდან 4,5 - 5,0 კმ.). მდებარეობა - ბალაგნების (სოჭის) ღელის მარცხენა ნაპირის აყოლებზე, 60 - 65 მ.მანძილზე. უშუალოდ კომპლექსების დაწვრილებით აღწერას არ შეუძლებით, რადგან ეს ყველაფერი მოცემულია პროფ. ლ. რჩეულიშვილის ნაშრომში "ძველი ნასახლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში" [ქართული ხელოვნების საკითხები. თბილისი. 1994].

ყურადღებას შევაჩერებ იმ მომენტებზე, რომლებიც არც ბატონ ლევანთან და არც სხვა ავტორებთან არაა ნახსენები. კერძოდ, ა. ნასახლარს W მხრიდან იცავს საკმაოდ მძლავრი კედელი (სიგანე 1,5-1,8 მ.), რომელიც ფაქტობრივად მდინარემდე ჩადის. კედლის სიგრძე N-S ღერძზე - 60,0 მ.; ბ. სვინი ძირში, მეორე ნამოსახლარიცაა, რომელიც 200-ოდე მეტრითაა დაშორებული 1-ლისაგან. გასარკვევია, ესაა დამოუკიდებელი დასახლება, თუ ერთიანი დასახლების "კვარტალი"; გ. სვინი ძირის ნამოსახლარის, ისევე როგორც ამ ტიპის სხვა პუნქტების შენობები ნაგებია ადგილობრივი კლდის ფლეთილი ქვით, რომელთა ნაწილი სხვადასხვა ხარისხითაა დამუშავებული. ქვების ზომები: 0,9 x 0,3 x 0,6; 0,97 x 0,35 x 0,86; 0,74 x 0,25 x 0,45...; შენობების ზომები ფაქტობრივად იგივეა, რაც კოშკილე და ნაჩეხებში - 3,4 x 3,0; 4,5 x 3,5 მ. წყობა ჰორიზონტალური, მშრალი.

გამოირჩევა 3 კომპლექსი, რომლის ზომებია 7,0 (W-O) x 4,5 (N-S) მ.; 2 კომპლექსის ეზოში, შიდა მხრიდან, დავაფიქსირეთ ქვიშაქვის მომცრო (0,3 x 0,3 x 0,03 მ.), თხელი ფილებით მოპირკეთებული "საკულტო"(?) ორმო (ღმ. - 0,6; სიღრმე - 0,55 მ.). 1983 წ. მსგავსი ორმო შევისწავლეთ ზადენგორაზე (ადიგენის მუნიციპალიტეტი), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელის შიდა მხარე კარგად გამომწვარი და ვერტიკალური კანელურებით შემკული თიხის კედლებით იყო მოპირკეთებული [Т. Бибилури и др. Работы Заденгорского отряда (Месхет-Джавахетская экспедиция). ПАИ в 1984-1985 гг.. Тбилиси. 1987]

ნამოსახლარი დანგრეულია, თუმცა საკმაოდ კარგადაა შემონახული იმისათვის, რომ გაწმენდის შემთხვევაში მაქსიმალური სიზუსტით განვსაზღვროთ ამ კონკრეტული დასახლების ბევრი საყურადღებო საკითხი. კომპლექსები, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, დაფარულია წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებით, ბუჩქნარით, ხავსისა და ბალახის სქელი ფენით.

და კიდევ - სვინი ძირის ნამოსახლარი მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, სადაც აკრძალულია ყველანაირი ხის მოჭრა; ეს გარემოება გარკვეულ საფრთხეს უქმნის ნამოსახლარში შემავალ ნაგებობებს, რადგან წაქცევის შემთხვევაში ისინი აზიანებენ კომპლექსებს.

**ნაჩეხების ნამოსახლარი** მდებარეობს ბალაგნების ხევის შუა წელს ოდნავ ზევით, სვინის ძირის ნამოსახლარის დასავლეთით დაახ. 2,5 კმ-ზე. დასახლება მდებარეობდა ხელოვნურად შექმნილ სამ ტერასაზე, რომელთაგან ორი განაშენიანებული იყო; I. 21,0 მეტრი სიგანის ქვედა ტერასის დანიშნულება უცნობია, თუმცა, მისი კავშირი დასახლებასთან უდავოა. მეორე ტერასის სიგანე 11,5 მ.

სვინი ძირის ნამოსახლარისაგან განსხვავებით, აქ კომპლექსები შედარებით უკეთაა შემონახული, რაც თავის დროზე საგანგებოდ აღნიშნა პროფ. ლეო რჩეულიშვილმა. თუმცა, აქ მაინც შეინიშნება საკმაოდ მასშტაბური დაზიანებების კვალი, რაც გამოწვეული იყო ხის

გეგმიური ჭრისათვის გზის გაყვანა - გაფართოების სამუშაოებთან. აქაც, ისევე როგორც კოშკილელისა და სვინი ძირის ნამოსახლარების შემთხვევაში, კომპლექსი შედგება ეზოსა და რამდენიმე სათავსისაგან; საცხოვრებელი სახლების ფართობიც სამივე ნამოსახლარზე ერთნაირია -  $2,7 \times 3,5$ ;  $3,0 \times 3,0$ ;  $4,3 \times 5,3$  მ.

სანიმუშოდ აღვწერთ მეორე და მესამე ტერასების რამდენიმე კომპლექსს.

II ტერსა. 1 კომპლექსი. ეზოს ზომები -  $13,6$  (N - S) x  $6,4$  (W - O) მ; ეზოს კედლების ხილული (ნაწილი მიწითა და ნემომპალითაა დაფარული) სიმაღლე -  $1,0$  მ. საცხოვრებელი სახლის შიდა სივრცე  $4,3 \times 5,3$  მ. კომპლექსის წინ, მის შ მხარეს მდებარეობს ცრუ გუმბათით გადახურული 6 კუთხა ნაგებობა, რომლის შიდა სივრცე მოპირკეთებულია ფილაქვის თხელი ფილებით. ფილის სიგანე -  $0,7$ ; სისქე -  $0,04$ ;  $0,07$ ; სიმაღლე -  $1,25$  მ. სათავსი ნაგებია იგივე ჯიშის ფილაქვის მომცრო კვადრებით.

III ტერსა. 1 კომპლექსი: ეზოს ზომები -  $15$  (N - S) x  $4,9$  (W - O); კედლის სიგანე -  $1,5$  მ. საცხოვრებელი ნაგებობის აზომვა ვერ მოხერხდა;

2 კომპლექსი: ეზოს ზომები -  $7,0$  (N - S) x  $9,0$  (W - O); კედლის სიგანე -  $1,5$  მ. საცხოვრებელი ნაგებობის -  $3,2$  (N - S) x  $2,5$  (W - O); შემორცენილი სიმაღლე -  $1,6$ ; კედლის სიგანე -  $0,8$ ; კარების -  $1,0$  მ. "ნაჩეხების" საცხოვრებელი სახლებიც ნაგებია მშრალი წყობით და ყველა მათგანი ერთნაირია.

"ნაჩეხების" ნამოსახლარი უდავოდ დაზიანებულია, თანაც საკმაოდ, ამ ხეობაში გასული საუკუნის 70-80-იან წწ. ე. წ. "კარპატელთა" მიერ ხე-ტყის გამოსატანად გზის გაფართოებისას. ჩვენს სინამდვილეში, ხის ე. წ. "სოციალური ჭრის" გამო შესაძლებელია ნაგებობების კიდევ უფრო მეტად დაზიანება

**ლიკანის ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსი;**  $2,8$  კმ. მდებარეობა - სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ხევის მარცხენა ნაპირზე, რომელიც მოიხსენიება ახლების წყლადაც და საყდრის ხევადაც.

ამ ტერიტორიაზე მდებარეობს რამდენიმე, ფუნქციონალური თვალსაზრისით განსხვავებული ობიექტი: 1. საცხოვრებელი ნაგებობები - დიდი ალბათობით, უკლებლივ ყველა - ბერ-მონაზონთა სენაკები; 2. ღვთისმშობლის სამნავიანი და გვიანდელ სამრეკლონი ეკლესია; 3. საძვლე(?), 4. ნაგებობები, რომელთა გეგმარება და შესაბამისად, დანიშნულება მათი ძლიერ დაზიანების გამო ვერ გავარკვეით; 5. ქვის სამტეხლო და სახელოსნო.

სამონასტრო კომპლექსის ყველა ნაგებობა ნაშენია იქვე მოპოვებულ-დამუშავებული კლდისა და მდინარეული რიყის ქვით, მშრალი წყობით ან კირხსნარზე. ნაგებობები აქაც, ისევე როგორც კოშკილელესა, სვინი ძირსა, ნაჩეხებსა და ქიმადის ნამოსახლარებზე, ტერასულადაა განლაგებული. რამდენიმე შენობის წინ სხვადასხვა ზომის ეზოა, რომლებიც ზემოთ ნახსენებ ძეგლებზე დაფიქსირებულებთან შედარებით, გაცილებით მცირე ფართობისაა (  $6,5 \times 4,5$ ;  $6,7 \times 3,8$ ;  $5,5 \times 4,8$ ).

ზომებით გამოირჩევა III ტერსის 8 ნაგებობის ეზო -  $11,0$  (N - S) x  $8,0$  (W - O) მ. ეზოსთან ერთად, სიდიდით გამოირჩევა ნაგებობაც, რომელიც განიერი ღერეფნით ერთმანეთთან დაკავშირებული ორი სათავსისაგან შედგება. 1-ლი ოთახის ზომები:  $3,5$  (N - S) x  $2,5$  (W - O); სიმაღლე -  $2,5$  მ.; მე-2 ოთახის ზომები:  $3,5$  (N - S) x  $3,5$  (W - O); სიმაღლე -  $2,5$  მ. კომპლექსი დამხრობილია W - O გრძივ ღერძზე. ორივე ოთახს შესასვლელი დატანილი აქვს სამხრეთის მხრიდან. 3 ოთახის შესასვლელის ზომებია: სიგანე-  $0,6$ ; სიღრმე  $0,65$  (N - S) მ.; გაცილებით შთამბეჭდავია აღმ. შესასვლელი, რომლის სიგანეა  $0,8$ ; სიღრმე -  $1,3$  (N - S);

არქიტრავის ქვა 0,9 ხ 0,2 ხ 0,5 მ. შესასვლელი ორსაფეხურიანია - ზედა საფეხურის სიმაღლე - 0,2; ქვედა - 0,3. ზღურბლის ქვის ზომები: სიგრძე - 0,63; სიმაღლე - 0,2; სიგანე - 0,45 მ. ნაგებია კლდის ნაფლეთი დაუშუშავებელი, ზერელედ და კარგად დამუშავებული ქვებით. სამშენებლო ტექნიკა შერეული: მშრალი წყობა და დულაბი; წყობა - თარაზული; აქა-იქ დარღვეული. აღმ. ოთახის თითქმის შუა ნაწილში - ადამიანის თავის ქალა და ლულოვანი(?) ძვლებია დაწყობილი, იგივე ვითარებაა ოთახის W კუთხეში. დიდი ალბათობით აღნიშნული კომპლექსი სწორედ ის საძვალეა, რომელიც აღწერის გარეშე ნახსენებია ლიტერატურაში [ლ. რჩეულიშვილი. მით. ნაშრ.]

ტერასების მიხედვით ნაგებობების რაოდენობა განსხვავებულია; თვალში საცემია, რომ II ტერასაზე თითქმის არ იკითხება ნაგებობების გეგმარება, რაც გამოწვეულია ერთის მხრივ, მწვანე საფარის მოძალებით, მეორეს მხრივ, და, ეს გამსაკუთრებით თვალში საცემია - მათი მეორადი გამოყენებით ან სრული დემონტაჟით.

დიდი ალბათობით, თუ გაგრძელდა ისტორიული ძეგლის ტერიტორიაზე მოქმედი სასაფლაოს ფუნქციონირება, დაზიანდება და დიდი ალბათობით დაინგრევა ახალ-ახალი კომპლექსები.

ამ, მეტად მნიშვნელოვანი ძეგლის გადასარჩენად აუცილებელია: ა. მოქმედი სასაფლაოსათვის იქვე სხვა ფართობის გამოყოფა; ბ. ძეგლის ტერიტორიიდან არსებული საფლავების გადატანა (გარდა იმ საკრძალავებისა, რომლებიც სასულიერო პირებს ეკუთვნოდათ); გ. ტერიტორიის განთავისუფლება ძეგლისათვის უცხო სეგმენტებისაგან;

დ. გაწმენდითი არქეოლოგიური სამუშაოები, ნაგებობების მაქსიმალურად სრულად გამოსავლენად და მათი ფუნქციის განსასაზღვრად; ე. საკონსერვაციო პროექტის მომზადება-განხორციელება.

ამ სამუშაოთა ჩატარება, წარსულისადმი პატივის მიგებისა და ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპლექსის გადარჩენის გარდა, იმდაცაა საჭირო, რომ იგი მდებარეობს საკმაოდ აქტიურ ტურისტულ გზაზე; ძეგლის ასეთ მდგომარეობაში არსებობა კი, რბილად რომ ვთქვათ, საკუთარი ისტორიისადმი ჩვენს არაცივილურ დამოკიდებულებაზე მიუთითებს. და კიდევ ერთი, ძალზედ მნიშვნელოვანი და სამწუხარო გარემოება - საკულტო ნაგებობას მინიჭებული აქვს ძეგლის სტატუსი, მთლიანად სამონასტრო კომპლექსს არა. იგივე ვითარებაა კოშკიდან შემთხვევად. მეტი აბსურდი წარმოუდგენელია.

**მეყავრიშვილის მიწის ნამოსახლარი.** ს. ლიკნიდან დაახ. 4,5 კმ. დასახლება გაშენებული იყო ბალაგნების, იგივე სოჭის ხევის (ტოპონიმი ბალაგნებიხევი, მისი ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, უდავოდ გვიანდელია, სავარაუდოდ XIX ს. მეორე ნახევრისა) მარცხენა ნაპირზე არსებულ დაგაკებასა და მის ზემოთ ხელოვნურად შექმნილ ტერსებზე. დასახლებას მდინარის მხრიდან (W - O) საზღვრავს საკმაოდ მასშტაბური გალავანი, რომლის 50 მეტრამდე სიგრძის მონაკვეთის დაფიქსირება მოვახერხეთ. გალავნის სიგანე 1,5 მ. აღწევს. გალავნის უკიდურეს აღმოსავლეთ კიდეში, სამხრ. მხრიდან მომცრო ზომის ქვებით ნაგები სწორკუთხა მინაშენია (1,0 x 1,5); ფრთხილი ვარაუდის სახით - სადარაჯო კოშკი (?). გალავნის შუა ნაწილში (O - დან - 25 მ.) თითქოს ნათლად იკითხება 1,8 მ. სიგანის შესასვლელი.

ნამოსახლარის II და, განსაკუთრებით III ტერასები, საკმაოდ მჭიდროდაა განაშენიანებული. აქ რამდენიმე საკმაოდ რთული გეგმარების კომპლექსი იკვეთება; თუმცა, დამატებითი და საგანგებო კომპლექსური კვლევის გარეშე, რაიმე შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება სრულიად დაუშვებლად მიმაჩნია. ნამოსახლარს შთამბეჭდავი ფართობი უკავია.

ვფიქრობ, სასურველი, მეტიც, აუცილებელია შეიქმნას ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების კომპლექსური კვლევის პროგრამა, რაც მოგვცემდა საშუალებას: ა. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლები; ბ. მათი სრული შესწავლისა და გამაგრება - რეაბილიტაციის შემდეგ, მივიღებდით შეშეცნებითი თვალსაზრისით სრულიად უნიკალური ობიექტების ერთობლიობას, რომელთა გამოყენება ძალზედ სასარგებლო იქნებოდა საგანმანათლებლო და ტურისტული მიმართულებით.

**ქიმაძის ნამოსახლარი.** 5,5-6,0 კმ. ს. ლიკანიდან, ბალაგნების (სოჭის) ხევის ზემო წელში. ნამოსახლარს ჩვენი მეგზურის, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკის ბორჯომის მონაკვეთის მთავარი მცველის ბატონ რეზო ქიმაძის საპატივცემულოდ მისი სახელი ვუწოდეთ, რომელმაც სრულიად უცნობი ძეგლი გვანახვა. ქიმაძის ნამოსახლარი სოჭის ხევის (= ბალაგნების ხევი) ზემო წელში, მისი მარცხენა ნაპირის მკვეთრად დამრეც სამხრეთ გვერდზე მდებარეობს.

დასახლება გაშენებული იყო ხელოვნურად შექმნილ სამ ტერასაზე. სამივე ტერასაზე ნაგებობები თითქმის თანაბრად იყო განაწილებული. აქაც, ისევე როგორც "ნაჩეხებში", სვინი ძირისა და კოშკიღელეს ნამოსახლარებზე, თითოეული კომპლექსი შედგება ეზოსა და საკუთრივ საცხოვრებელი ნაგებობისაგან.

I ტერასა. 1. ეზოს ზომები 13,2 (SW - NO) x 8,6 (NW - SO); კედლის სიგანე - 1,1 მ. საცხოვრებლის ანაზომების აღება ვერ მოხერხდა; II ტერასა. შენობის ნაშთი 1. გარე ზომები: 6,0 (W - O) x 3,5 (N - S); შენობის ნაშთი 2. 4,0 (W - O) x 3,5 (N - S); შენობის ნაშთი 3. 6,0 (W - O) x 2,6 (N - S); II ტერასას აქვს 3 მ. სიგანის შესასვლელი; I და II ტერასებს შორის 11,0 მეტრის სიგანის ცარიელი არეა. III ტერასა. შენობის ნაშთი 1. 4,5 (W - O) x 3,0 (N - S); ამავე ტერასაზე, 1 ნაგებობიდან 42 მ-ზე ფიქსირდება კიდევ ერთი "კვარტალი", გაცილებით უკეთ შემონახული, რომელიც N-S მიმართულებით ვრცელდება 23 მ. მეტ-ნაკლები სიზუსტით დავაფიქსირეთ 5 შენობა. შენობა 1. 5,0 (W - O); x 3,8 (N - S); აღმ. მხარეს შემორჩენილია წყობის სამი რიგი. ქვების ზომები: 0,5 x 0,25 x 0,3; 0,36 x 0,2; 0,5 x 0,37 x 0,25 მ.; შენობების უმეტესობა დანგრეულია; მთელი ფართობი სამივე ტერასაზე დაფარულია მწვანე საფარის საკმაოდ სქელი ფენით და, რელიეფიდან გამომდინარე - მიწით.

დროთა განმავლობაში ნამოსახლარის ეროზია ნელა, მაგრამ მაინც გაგრძელდება. საჭიროა გაწმენდითი სამუშაოს ჩატარება, რაც მოგვცემს საშუალებას დავადგინოთ ნამოსახლარის საზღვრები, განვსაზღვროთ დასახლების გეგმარება და გავარკვიოთ როგორც მთლიანად ნამოსახლარის, ასევე ცალკეული კომპლექსების ფუნქცია.

**ჭობისხევი.** ისტორიული სოფელი ბორჯომის ხეობაში, მდიდარი სხვადასხვა ეპოქის ისტორიული ძეგლებით - ქვის ხანიდან, ვიდრე გვიან შუასაუკუნეებამდე. ამთავითვე ვიტყვი, რომ ჭობისხევისა და მიმდებარე ტერიტორიების კვლევას საგანგებო, ამასთან, კომპლექსური საველე სამუშაოები სჭირდება; მარტო ტოპონიმები რად ღირს: ჭობისხევი, დაბაძველი, ლარები, კახი (იგივე - კახისის( ტბა), ხვეწი და ა.შ. ჭობისხევის მიდამოებში დღესაცაა შემორჩენილი სხვადასხვა დროის რამდენიმე კოშკი, ნაციხვარი, საკულტო კომპლექსი თუ ნასოფლარი; ასევე მრავლადაა ნამოსახლარების ნაშთები დაბაძველში, დიდსა და პატარა ლარებში... აქ მოკლედ შევეხები მხოლოდ ორ მნიშვნელოვან კომპლექსს, რომლებზეც გასული საუკუნის 70-80 - იან წწ. სხვადასხვა მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა წარმოებდა; ესენია ნადიკრები და გოგიჩაანთ ღელე.

### **ბიბლიოგრაფია**

ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქ-ს ც-ა; IV. თბილისი. 1973

ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი. 1985

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. I. თბილისი. 1963

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. ბილისი. 1990

ნადიკრები. I კომპლექსი

ნადიკრები სამეცნიერო ლიტერატურაში გასული საუკუნის 70-იანი წწ. დასაწყისიდან ჩნდება, როდესაც ამ ძეგლზე სავსე სამუშაოები აწარმოა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თორი-ლიკანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელ. გ. ნასიძე). ექსპედიციის მიერ განხორციელებული სავსე სამუშაოების შედეგად გამოვლინა რამდენიმე საცხოვრებელი კომპლექსი საკმაოდ რთული გეგმარებით [ნასიძე გ. აღმოსავლეთ საქართველოს შუასაუკუნეების ნამოსახლარები არქეოლოგიური მასალების მიხედვით. სად. ნაშრ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი. 1975; რჩეულიშვილი ლ. ძველი ნასახლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში. კრებ.: ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხები. თბილისი. 1994];

პროფ. ლევან რჩეულიშვილი ნაშრომში საუბრობს აქ გამოვლენილი კომპლექსების შესახებ, თუმცა არაფერს ამბობს, თუნდაც გაკვრით, იქვე არსებულ საკმაოდ მასშტაბური ქვით ნაგები კონსტრუქციის შესახებ, რომელიც აქ არსებულ ნამოსახლარს ორად ჰყოფს. მე მას პირობითად, "გალავნად" მოვიხსენიებ,, რადგან სხვა, მეტ-ნაკლებად მისაღები ფუნქციის მისადაგება არ მესახება რეალურად. "გალავანი" დამხრობილია N - S ღერძზე; შემორჩენილი (?) სიგრძე - 110 -115 მ., სიგანე - 5,0 - 5,5 მ. (!); შემორჩენილი სიმაღლე - მონაკვეთში - 3,8; - 2,3 მ. "გალავანი" ნაგებია საშუალო ზომის ქვებით (0,9 x 0,5; 1,1 x 0,5; 1,5 x 1,0 ). კონსტრუქციაში შენიშნება ერთი უცნაურობა - შუა ნაწილში, O და W კიდეებს შორის, კედლის მთელ სიგრძეზე ოდნავი ჩაღრმავება. ეს რომ გზად მივიჩნიოთ, მაშინ დასაშვებია, რომ O და W კიდეები წარმოადგენდნენ მის დამცავ ბორღურებს.

ერთი სიტყვით, აქაც, ისევე როგორც ბევრი სხვა ძეგლის შემთხვევაში, ვიდრე რაიმე განმაზოგადებელი ხასიათის დასკვნებს გავაკეთებთ, ჯერ გულდასმითა და კომპლექსურადაა შესასწავლი.

### **ბიბლიოგრაფია**

ნასიძე გა. აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ნასახლარები არქეოლოგიური მასალის მიხედვით. სად. ნაშრ., თბილისი. 1975;

რჩეულიშვილი ლ. ძველი ნასახლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში. ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები. თბილისი. 1994;

მელივა თ. გოგიჩაანთ ღელის კომპლექსი. სამაგისტრო ნაშრ., თბილისი. 2011

გოგიჩაანთ ღელის ნამოსახლარი. სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან კარგად ცნობილი ძეგლი, რომელიც თავისი მასშტაბებით, უდავოდ სცილდება ჩვეულებრივი სასოფლო დასახლების ტიპს. დასახლება ტერასულია, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა თორის ქვეყნისათვის; ცხადია, ეს განპირობებულია, რელიეფით. სხვადასხვა სიგანის ყველა ტერასა (შემორჩენილია 5), ხელოვნურადაა შექმნილი; ტერასებზე, განაშენიანებულ ფართობებს შორის, გვხვდება ცარიელი არეები, რომელთა ფუნქციის გარკვევა არავის უცდია. მსგავსი ვითარებაა ბალაგნების (იგივე სოჭის) ხევის ნამოსახლარებზეც.

გოგიჩაანთ ღელის ნამოსახლარი საკმაოდ დაზიანდა გასულ საუკუნეში გზის გაყვანისას, როდესაც მშენებლობამ O - W ხაზზე დაახლოებით 120 - 130 მ. სიგრძესა და 5-6 მ. სიგანეზე გაჭრა ნამოსახლარი და შეიწირა რამდენიმე ათეული სახლი.

გოგიჩაანთ ღელის დასახლება გაშლილი იყო აღმ.-დასავ. მიმართულებით დაახლოებით 120 - 140, ჩრდ. - სამხ. კი 400 მეტრზე. მას სამი მხრიდან (O,W,N). დასახლებას ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან შემოსდევდა მშრალი წყობით ნაგები საკმაოდ ღონიერი კედელი (სიგანე - 2,2 მ.);

გოგიჩაანთ ღელის ნამოსახლარი, როგორც უკვე ვთქვი, არაერთგზის მოექცა მკვლევართა ყურადღების არეში და მის შესწავლას საყურადღებო კვლევებიც მიეძღვნა. თუმცა, არაა დადგენილი დასახლების საზღვრები; არაა გარკვეული ცალკეული კომპლექსებისა და მთლიანად დასახლების არსი; მისი ცხოვრების ხანგრძლივობა; დამოკიდებულება მეზობელ დასახლებებთან და ა. შ.

### **ბიბლიოგრაფია**

ნასიძე გადმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ნასახლარები არქეოლოგიური მასალის მიხედვით. სად. ნაშრ., თბილისი. 1975;

რჩეულიშვილი ლ. ძველი ნასახლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში. ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები. თბილისი. 1994;

მელივა თ. გოგიჩაანთ ღელის კომპლექსი. სამაგისტრო ნაშრ., თბილისი. 2011

სოფ. ჭობისხევის მიდამოებსა და შედარებით დაშორებულ ადგილებში, როგორც უკვე ავლინებ, არაერთი საინტერესო ძეგლია, რომელთა უმეტესობა ზედაპირულად ან საერთოდ არაა შესწავლილი.

სამწუხაროდ, ერთის მხრივ დროის უკმარისობის, ხოლო მეორეს მხრივ, სრულიად არასახარბიელო კლიმატური პირობების გამო (თოვლი, ლიპყინული) შეუძლებელი შეიქმნა მათი არათუ შესწავლა, ნახვაც კი.

**ღვირი** მდებარეობს ბორჯომის ხეობაში, მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადის ღვირულის ორივე ნაპირზე; ღვირი - ბორჯომის ხეობის საკმაოდ ძველი დასახლებული პუნქტი, სადაც მიკვლევულ-შესწავლილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი (ადგილი ბორნიღელე); მისი თანადროული კვირაცხოვლის სამაროვანი ღვირიდან სამიოდე კილომეტრში; სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ღვირის განძი, რომელიც შეიცავდა XI ს. ბიზანტიელი იმპერატორების კონსტანტინე VIII (1025-1028 ), კონსტანტინე X დუკას (1059-1067) და რომანოზ IV დიოგენეს (1067-1071) 43 ოქროს მონეტასა და ერთ არაბულ ვერცხლის ღირჰემს.

ღვირსა და შემოგარენში დაფიქსირებულია, ადრე, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების რამდენიმე ნამოსახლარი. მათ შორის ერთი, პირველად აღწერილი ჩვენი ექსპედიციის მიერ. სოფლის დასავლეთით, ფრიალო კლდეზე აგებულია ციხე, რომელიც კეტავდა მტკვრის ხეობაზე გამავალ მნიშვნელოვან სავაჭრო (და არა მხოლოდ) გზას.

ღვირის შესახებ ინფორმაცია დაცულია როგორც ქართულ ნარატიულ საისტორიო წყაროებში, ასევე, ოსმალეთის იმპერიის ოფიციალური სტატისტიკის დოკუმენტში - "გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში".. ღვირის ისტორია პირობითად რამდენიმე, შეიძლება ითქვას, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პერიოდად დაიყოს. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ღვირისა და შემოგარენის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების კვალი სადღაც შუა ბრინჯაოს დროის დასაწყისიდან ფიქსირდება და თითქმის უწყვეტად მოდის

ადრეანტიკურ - ადრეელინისტური ხანის მიჯნამდე; შემდეგ ჩანს წყვეტილი (ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე) რამოდენიმე ასწლეული; ადრე და განვითარებული შუასაუკუნეების მიჯნიდან XVI-XVII სს. მიჯნამდე - კვლავ ცხოვრების კვალი; ისევ წყვეტილი XIX ს. 30-იან წწ. თითქმის ყველა ამ მოვლენამ ასახვა ჰპოვა ნივთიერი კულტურის ძეგლებში.

#### **ბიბლიოგრაფია**

ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქ-ს ც-ა; IV. თბილისი. 1973  
ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი. 1985  
ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. I. თბილისი. 1963  
ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი. 1990  
მუსხელიშვილი ლ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში. "მაცნე". 2. თბილისი. 1965

ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. III. თბილისი. 1958

ცუხიშვილი ი. ღვირის განძი. ენციკლოპედია "საქართველო". ტ. 2. 2012 წ; გვ. 395, 396

#### **კვირაცხოვლის სამაროვანი**

სამაროვანი განფენილი იყო ხელოვნურად შექმნილ 4 - 5 მ. სიგანის სამ ტერასაზე; ტერასების კიდე გამაგრებული იყო მდ. მტკვრის რიყის ქვებითა და სპეციალურად შერჩეულ-მოტანილი დიდი ლოდებით.

სამაროვნის კვლევა განახორციელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელ-ლი ი.მ.კ. . ლამბაშიძე). 1979/83 წწ. საველე სამუშაოების დროს შესწავლილ იქნა ძვ.წ. XV-XIV და ძვ.წ. XIII-XII და ძვ. წ. VIII - VI სს. 104 საკრძალავი. სამაროვანი ძირითადად ფუნქციონირებდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში; გამონაკლისს წარმოადგენდა ქვედა ტერასაზე შესწავლილი შუაბრინჯაოს ხანის სამი სამარხი და სამრავალკაცო სამარხი 95, რომელიც ძვ. წ. V - IV სს. დათარიღებული.

საკრძალავების სახეობა - ქვაყრილიანი ორმოსამარხები; დაკრძალვის წესი - ინჰუმაცია, ემბრიონის მდგომარეობაში; დამხრობა - სხვადასხვა მიმართულებით. გამორჩეული იყო სამარხების ერთი ჯგუფი, რომლებშიც ჩასვენებული იყვნენ ქალები. ამ საკრძალავებს სხვებისაგან გამოარჩევდათ ერთგვაროვანი დამხრობა (თავით სამხრეთისაკენ) და სამარხეული ინვენტარის აშკარად რელიგიური ხასიათი (ბრინჯაოსაგან დამზადებული დისკოსებურთავიანი საკინძები, დიდი ჭვირული დისკოები...). პროფ. გიორგი ნიორაძემ ბრინჯაოს ჭვირული დისკოები მზის ქალღვთაებას დაუკავშირა. ეს, სრულიად მართებული მოსაზრება გაიზიარეს ყვერბილის, რველის, კვირაცხოვლის, ბორნიღელეს სამაროვნების გამთხრელებმა და ინტერპრეტატორებმა.

#### **ბიბლიოგრაფია:**

ლამბაშიძე ი. სამცხე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში. (ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური მასალების მიხედვით). საღის. ნაშრომი. თბილისი. 1999 წ.

კვირკვია რ. "ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძვ.წ. VIII-VII სს.)". თბილისი. 2009

**ბორნიღელეს სამაროვანი.** საველე არქეოლოგიურ კვლევას ანხორციელებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი მესხეთ-ჯავახეთის ექსპედიცია (ხელ-ლი ი.მ.კ. ო.ლამბაშიძე). 1983- 1988 წწ. მანძილზე, მრავალარუსიან სამაროვანზე



გაითხარა ძვ. წ. XVI-XIV, ძვ. წ. VIII-VII, ძვ.წ. III სს. 120-ზე მეტი სამარხი და სამარხის ნაშთი.

სამაროვანზე საკრძალავთა ორი სახეობა (ორმო და ქვითნაგები სამარხები) და ორი ქვესახეობა (ორმოსამარხები და ქვებით შემოსაზღვრული ორმოსამარხები) დაფიქსირდა. სამაროვანზე გვხვდებოდა როგორც ინჰუმაციური, ასევე კრემაციული დაკრძალვის წესი. ერთ (N 76-1) სამარხში კი გამოყენებული ყოფილა ინჰუმაციაც და კრემაციაც. იყო კვერზე დაკრძალვის ფაქტიც.

სამაროვნის მახლობლად, გასული საუკუნის 60-იან წწ., თბილისი - ახალციხის საავტომობილო გზის გაყვანისას გაკეთებულ ჭრილში ჩანს კლდის საშუალო სიდიდის ქვების მშრალი წყობის ნაშთები და თიხნარი ფენა; ზედაპირზე კი - ცალკეული ქვებისა (დამუშავების კვალით) და ნიადაგის ჩაღრმავებების კვალი. უდავოა ამ ადგილას ნამოსახლარის არსებობა.

სამაროვანი ბოლომდე არაა შესწავლილი; შესაბამისად, არის საშიშროება, რომ კერძო საკუთრებაში გადასვლისა და ინტენსიური მიწის სამუშაოების, მათ შორის ღრმა პლანტაჟის შემთხვევაში, მოხდეს სამარხების დაზიანება-განადგურება. იგივე ითქმის გზის მეორე მხარეს, სავარაუდოდ, ნამოსახლარის შესახებაც.

სამაროვანზე მოპოვებული მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სამარხული ინვენტარი დაცულია ბორჯომის მხარეთმცოდნეობით და საქართველოს ეროვნულ მუზეუმებში.

#### **ბიბლიოგრაფია**

Гамбашидзе О. и др. ПАИ за 1986, 1987, 1991, 1997 гг.

ღამბაშიძე ო. სამცხე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში (ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური მასალების მიხედვით). სად. ნაშრომი. თბილისი. 1999 წ.

კვიციანი რ. "ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში (ძვ.წ. VIII-VII სს.)". თბილისი. 2009

კლდიაშვილი ა. ბორჯომის ხეობის ბრინჯაოს დისკოების ფუნქციისათვის. აკადემია. თბილისი

საკვირიკეს ნასოფლარი. სოფ. დვირიდან 3,5 კმ.

"საკვირიკე" კომპლექსური ძეგლია, რომელშიც გაერთიანებულია მინიმუმ სამი სეგმენტი: გზა; მონასტერი (სენაკები; სამნავიანი ბაზილიკა), ნასოფლარი;

ა. ღროის თვალსაზრისით, ცხადია, ყველაზე ადრეულია გზა, რომელიც ჯერ კიდევ გამოსაკვლევიან;

ბ. მონასტერი. 1.სენაკები, რომელთა შორის გასარჩევაა ადრეული და მომდევნო ეტაპის ნაგებობები, განთავსებულია ხელოვნურად შექმნილ ორ ტერასაზე; თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ რამდენიმე შემთხვევაში, ტერასებს შორის ზღვარი თითქოს წაშლილია. დაზუსტებით იქნა, მხოლოდ სავლეთ კვლევის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

სენაკად მიჩნეულ ნაგებობებს შორის განირჩევა კლდის სხვადასხვა ზომის დაუმუშავებელი, ზედაპირულად და სრულფასოვნად დამუშავებული ქვით ნაშენი კომპლექსები; წყობა უმეტეს შემთხვევაში თარაზული, თუმცა აქა-იქ გვხვდება შერეული ტექნიკაც. ნაგებობების უმრავლესობაში გამოყენებულია კირხსნარი. ხსენებული სათავსებიდან თვალში საცემია ორი, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული სიმყარით ნაგები განიერი კედლებით (1,2 მ.).

ბაზილიკის სამხ.-დასავლეთით, მისგან 2,7 მ. დაშორებით მდებარეობს საკმაოდ დიდი (15,8 x 8,5) ნაგებობა, რომლის აღმოსავლეთი მხარე რკალისებრი (აფსიდისებური) მოყვანილობისაა

(რკალის სიღრმე 3,1 მ.); კიდევ ერთი ნაგებობა, ოღონდ სწორკუთხა, აუგიათ ბაზილიკის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს (12,5 x 8,7 მ.).

ნაგებობების მესამე ჯგუფს შეადგენენ შედარებით მომცრო სათავსები, რომლებიც, სწორედაც რომ კელიები უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად ტერიტორიის არაერთგზის დათვალიერებისა, სამაროვანს ან თუნდაც ერთეული საკრძალავის კვალს ვერ მივაგენით.

აქ მდებარე საკულტო ნაგებობისა და, საზოგადოდ, დასახლებული პუნქტის შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი წერდა: "ჩანს საკვირიკე ძველად მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა მტკვრის პირას დიდ გზაზე, რომელიც ამ ადგილას ხილით გადალახავდა მდინარეს..."; და იქვე, "... ვგონებ, რომ გიორგი მერჩულეს თხზულებაში მოთხრობილი ეპიზოდი სწორედ ამ პუნქტს გულისხმობს" [სის, 1, გვ. 250]. საუბარია გრიგოლ ხანძთელის მოწაფის ქრისტეფორეს მიერ კვირიკეწმინდის მშენებლობაზე.

ისტ. მეცნ. დოქტ. დავით ბერძენიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: "აღსანიშნავია, რომ კვირიკესთან დაკავშირებული სახელწოდება თორში სხვაგან არ ჩანს არც ისტორიულად და არც თანამედროვე ტოპონიმიში. დვირის მიდამოებში კი ასეთი 8 ტოპონიმი" [ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბილისი. 1985, გვ.15].

განსვენებული მეცნიერის ეს ბოლო ინფორმაცია, რბილად რომ ვთქვათ სადაოა, რადგან არც დვირის და არც ქვაბისხევის მოსახლეობამ ამ ერთი საკვირიკის გარდა, სხვა პუნქტი (ტოპონიმი, ჰიდრონიმი) ამ სახელწოდებით არ იცის.

"გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ნახსენები კვირიკეწმინდის საკითხი, ვფიქრობ, ბოლმდე გადაწყვეტილი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი მას აიგივებს ახალდაბის სიახლოვეს მდებარე ფოთოლეთის კომპლექსთან [რეზო ხვისტანი. „მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის“. თბილისი, 2009წ. იქვე ბიბლიოგრაფია].

თეორიული სამეცნიერო დავა როგორ დასრულდება, უცნობია; ის კი ცხადზე უცხადესია - ადრეშუასაუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მშენიერი ძეგლი - კვირიკეწმინდის სამნავიანი ბაზილიკის მდგომარეობა სავალალოა: ცენტრალური ნავი უმძიმეს მდგომარეობაშია; მხატვრობა ხელყოფილია (დაცხრილული ტყვიით, დაჩეხილი ნაჯახით...); სამხრეთის ნავი თითქმის მთლიანადაა დანგრეული.

ნაგებობების უმეტესობა ძლიერაა დაზიანებული, არქიტექტურული დეტალები რიგ შემთხვევაში ადგილნაცვალია, გადავლილია ბუჩქნარი, სხვადასხვა სახის ხავსის სქელი ფენა, შიდა სივრცეებსა და კედლებზე ამოსულია მრავალწლოვანი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები.

რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს ბაზილიკის სრული კვლევა-დიაგნოსტიკა და გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, რათა თავიდან ავიცილოთ მეტად მნიშვნელოვანი ძეგლის სრული დაღუპვა; 2. უნდა შემუშავდეს ნამოსახლარის კომპლექსური კვლევისა და შემდგომი რეაბილიტაციის პროექტი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სავალე კვლევა არაერთ საინტერესო ინფორმაციას მოგვცემს ამ მეტად მნიშვნელოვან, თუმცა, შეიძლება ითქვას, სრულიად შეუსწავლელი ძეგლის შესახებ.

### **ბიბლიოგრაფია**

ბერძენიშვილი ნ. სის.1

ბერძენიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები.

ბიბლიური თ. ძეგლი შველას ითხოვს. გაზ. "კომუნისტი". 1978

ბიბლიური თ. ძეგლი შველას ითხოვს. გაზ. "ბორჯომი". 1978

### ღვირის ციხე

მდებარეობს სოფლის დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე წამომართულ მაღალ ფრიალო კლდეზე. ორ იარუსიანი ციხე ნაგებია კლდის სხვადასხვა ჯიშის საშუალო სიდიდის ქვებით, რომელთა უმეტესობა მეტ-ნაკლებად დამუშავებულია. კედლების წყობა შერეულია. ქვედა იარუსის კედელი ფართო ღიობით მტკვარს გადაჰყურებს. ციხის ზედა იარუსს სამი მხრიდან (O,S, W) შემოუყვება 4,0 - 4,5 მ. სიგანის თხრილი, რომლის სიგრძე ქარაფებამდე 77,0 მეტრია. თხრილს ჩრდილოეთის მხრიდან საზღვრავს კლდე, რომელსაც ეფუძნება ციხე, ხოლო O, W და S მხრიდან ვერტიკალურად ჩადგმული დიდი ზომის ლოდები.

ღვირის ციხის მახლობლად, მისგან SSW მხარეს ფიქსირდება ტოპონიმი "ურიების ქოხები", თუმცა თვით ნამოსახლარის კვალი ძნელად თუ იკითხება. ციხის ზედა იარუსის აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე დაფარულია ჯაგნარით, რომელიც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ნაგებობის აღქმას; მეორე იარუსის სამხრეთ-დასავლეთი კედლის საფუძველი გამოქარულ-გამორეცხილია და არაა გამორიცხული, დროთა განმავლობაში მოხდეს ციხის ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოშლა.

### ბიბლიოგრაფია

ბერძენიშვილი ნ. სის.1

ბერძენიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები.

**ქვაბისხევი** — სოფელი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ღვირის თემში. მდებარეობს მდინარე ქვაბისხევის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) ნაპირებზე. ზღვის დონიდან 980 მეტრი, ბორჯომიდან 18 კილომეტრი.

ქვაბისხევი სხვადასხვა კონტექსტში იხსენიება ქართულენოვან მატრიანებსა და "გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში". ქვაბისხევის მიდამოები მდიდარია სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნივთიერი კულტურის ძეგლებით. მაგ., მხოლოდ ქვაბისხევის წყლის ხეობაში ათამდე ძეგლია (ნამოსახლარები, საფორთიფიკაციო, საკულტო კომპლექსები). მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, უამინდობისა და დროის სიმციროს გამო, მხოლოდ რამოდენიმე მათგანის პირველადი შესწავლა მოვახერხეთ.

აქ მოკლედ შევეხებით ორ ნამოსახლარს, რომლებიც უშუალო კავშირში არიან მნიშვნელოვან პუნქტებთან.

1. **ღემოთის ციხის ნამოსახლარი.** ღემოთის ციხე სხვადასხვა ამბებთან კავშირში, რამოდენიმე გზისაა ნახსენები ქართველ მემატიანეებთან (ლეონტი მროველი, ჟამთააღმწერელი, ვახუშტი ბაგრატიონი). ასე მაგ., ლეონტი მროველი ახ. წ. I ს. ქართველთა და არმენიელთა ზავის ამბების გადმოცემისას გვაუწყებს: "...სომეხთა უკუმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე ღემოთისა, ჯავახეთი და არტანი". „ქვაბის ქევის (ქვაბისხევის წყალი - თ.ბ.)...“

„დასავლით, მტკვრის კიდევად, არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი (ვეგონებთ ამას ღემოთის ციხედ, რომელი აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან, და განავსნა სპითა შემწედ წუნდისათვის და შურად ოძრახოსა და ლომსიასათვის, და რათა ვერდარა ვიდოდნენ სპანი ქართლისანი მას ზედა, ვინათგან ჯავახეთი ეპყრა მას ვე).“ [ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქ-ს ც-ა, IV. თბილისი. 1973 გვ. 662].

დამოწმებული ამონარიდებიდანაც ნათლად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა ღემოთი საუკუნეების განმავლობაში.

დემოთის ციხესთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, სახელდობრ, მისი ლოკალიზება მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი გახდა.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, როგორც უკვე ვიცით, დემოთი მდებარეობს სოფ. ქვაბისხევის მახლობლად; ქვაბისხევთანვე აკეთებს მის ლოკალიზებას ექვთიმე თაყაიშვილი [Три хроники...с. 196, прим. 3].

ამ მოსაზრების საწინააღმდეგო თეზა აქვს გამოთქმული აკად. ივანე ჯავახიშვილს: "მისი (დემოთის ციხის) მდებარეობა არც ვახუშტის სცოდნია დაჭეშმარიტებით...სადღაც ღაღოს მთაში (კურცხანის ხეობა, ადიგენის მუნიციპალიტეტი - თბ.) აგრეთვე დემოთი" [ ქართველი ერის ისტორია, II. გვ. ].

დემოთის ციხის ლოკალიზების საკითხი, თითქოს საბოლოოდ გადაიჭრა მას შემდეგ, რაც აკად. ნიკო ბერძენიშვილმა 1948 წ. ქვაბისხევის წყლის ხეობის შუა წელში მიაკვლია ციხეს, რომელიც გააიგივა ვახუშტისეულ დემოთთან: გავიხსენოთ - "ქუაბის ჯევის ...დასავლით, მტკვრის კიდეზედ, არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი(ვგონებთ ამას დემოთის ციხედ...".

მე აქ აღარ ჩავუღრმავდები ამ საკითხს, რადგან მისი განხილვა სცილდება მოცემული თემის ფარგლებს და დაუბრუნდები კონკრეტულ საკითხებს - ჩვენი ხანმოკლე ექსპედიციის შედეგების სპეციალისტებისათვის გაცნობას.

დემოთის ციხის ორივე მხარეს, საკმაოდ დიდ ფართობზე მდებარეობს ნამოსახლარი, რომელიც, ჩემი აზრით, უბრალო სოფლის დასახლებაზე მეტია. ჩვენ დავაფიქსირეთ სამი უბანი, რომელთაგან ერთი გაშენებული იყო ციხის ჩრდილო მხარეს, ფერდობის შუა და ქვედა ნაწილში. მისი საერთო ფართობი შეადგენდა 23400 კვ. მ. (156 მ. - N-S; 150 მ. - W-O). ნამოსახლარი და შესაბამისად ციხეც, სამი მხრიდან შემოსაზღვრული იყო ფრიალო კლდეებით, ხოლო ჩრდილოეთიდან მას იცავდა საკმაოდ მძლავრი კედელი, რომლის სიგანე 2,5-დან 3,5 მეტრამდე მერყეობდა. წყობა უპირატესად მშრალი, თუმცა, გვხვდება კირხსნარიანი მონაკვეთებიც. შემორჩენილია კედლის 18,5 და 39,0 მ. სიგრძის ორი მონაკვეთი, რომელთაგან უკანასკნელი კლდეს ებჯინება.

დემოთის დასახლების ორი "კვარტალი" დაფიქსირდა ციხის SOO მხარეს; მათ შორის 90 - 100 მეტრამდე ცარიელი არეა. 2 კვარტალი ციხის SOO კედლიდან დაახ. 50-55 მ. გრძელდება. სახლები საერთო იერსახით ახლოს არიან თორის ქვეყნის ადრემუასაუკუნეების ნაგებობებთან (თორის ნადარბაზევი, გოგიჩაანთ ღელე, კოშკიღელე, "ნაჩეხები" და ა. შ.).

უცნაურია ის გარემოება, რომ ნარატიულ წყაროებში ციხესთან ერთად არ იხსენიება საკმაოდ დიდი დასახლება, რომელიც უშუალოდ მის ძირშია გაშენებული. აქ ერთადერთი ახსნა შეიძლება მოიძებნოს - ჩვენი მემატეიანეები ერთ ორგანიზმად თვლიდნენ ციხესა და დასახლებას; თუმცა, კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ ამ ნამოსახლარს არ ახსენებს არცერთი მკვლევარი, ვინც კი დემოთის ციხის შესახებ წერდა.

ნამოსახლარის დიდი ნაწილი დანგრეულია; თუმცა, მიწის, ნეშომპალის, ხავისა და საზოგადოდ, მწვანე საფარისაგან განთავისუფლების შემდეგ, კომპლექსების მნიშვნელოვანი ნაწილის გეგმარებისა და ფუნქციის განსაზღვრა შესაძლებელი იქნება. მეტიც, ამ, საკმაოდ ვრცელი და საკმაოდ რთული გეგმარების ნამოსახლარის გაწმენდა - შესწავლა ბევრი, აქამდე ამოუხსნელი ამოცანის გარკვევაში დაგვეხმარებოდა. ჩვენ აქ კიდევ ერთი საყურადღებო სეგმენტი დავაფიქსირეთ -- დემოთის ციხის სამხრეთი კარიბჭე, რომელიც საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი; ყოველ შემთხვევაში იმდენად, რომ თავისუფლად იკითხება ორი კუტი კარისა და მთავარი კარიბჭის შესასვლელი. კარიბჭე მდებარეობს დემოთის ციხის SOO მხარეს,

მისგან 50-55 მ.დაშორებით. შემორჩენილია კარიბჭის ქვედა ნაწილი, რომელიც შედგენილია კლდის უხეშად დამუშავებული დიდი ლოდებით. კარიბჭის სიგანე - 8,5 მ., საფეხმავლო, იგივე კუტი კარებების სიგანე - 1,5; 0,65 მ. კარიბჭისა და საფეხმავლო შესასვლელების ასაგებად გამოყენებული ლოდების ზომები: NO მხარე - 1-ლი ქვა: სიგრძე - 2,7; სიმაღლე - 1,3; სისქე - 2,6 მ.; მე-2 ქვა: სიგრძე - 2,2; სიმაღლე - 1,7; სისქე - 2,9 მ.; SW მხარე - 1-ლი ქვა: სიგრძე - 1,7; სიმაღლე - 2,0; სისქე - 1,2 მ.; მე-2 ქვა: სიმაღლე - 2,0; სისქე - 3,1 მ. კარიბჭის NO და SW მხარეს ცუდად, თუმცა, მაინც იკითხება გალავნის კვალი.

## 2. ნამოსახლარი ადგილ "სეპოს ნაჩეხში".

სამი ნამოსახლარი "მსხლების", "თეთრიღელესა" და "სეპოს ნაჩეხი" ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს მდებარეობენ (იხ. შესაბამისი სააღრიცხვო ბარათები). იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ერთი დიდი დასახლების დამოუკიდებელ უბნებს წარმოადგენდნენ. ასე მაგ., "მსხლებისა" და "თეთრი ღელეს" ნამოსახლარები ერთი ბორცვის ორ ურთიერთსაპირისპირო მხარეს იყო გაშენებული, ხოლო "სიპოს ნაჩეხი" 400 -ოდე მეტრითაა დაშორებული "თეთრი ღელეს" ნამოსახლარს.

ნამოსახლარი გაშენებულია W-SO მიმართულებით 62 (I ტერასა) და 65 (II ტერასა) მ. SW - მიმართულებით 26,0 მ.

აქაც, მსგავსად ბორჯომის ხეობის (და, არა საზოგადოდ თორის ქვეყნის) სხვა პუნქტებისა, დასახლება გაუშენებიათ სამ ტერასაზე. განსხვავება იმაშია, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ბუნებრივი ტერასები უფრო გამოკვეთეს ხელოვნური ჩარევის გზით. მეტ-ნაკლებად თვალნათლივ ნასახლარები იკითხება მეორე ტერასაზე, რომელზეც დავაფიქსირეთ 8 სახლი ეზოთი; ანუ იგივე სურათი რაც კოშკიღელეზე, სვენი ძირში, ნაჩეხებში და ა. შ. - ქვის მშრალი წყობით ნაშენი ღობე ( 0,9 - 1,2 მ. სიგანის) + ქვით, მშრალი წყობით ნაგები, უპირატესად, ერლოიანი სახლი. ნახსენები ძეგლებისაგან განსხვავებით "სიპოს ნაჩეხის" შემთხვევაში, ეზოს ფართობი შედარებით პატარაა: 5,7 x 4,5 (1კომბ.); 6,5 x 5,6 ( 2); 5,0 x 2,6 ( 4); 6,9 x 5,9 ( 5).

ნამოსახლარი, ისევე როგორც ამ ტიპის სხვა ძეგლები, შემორჩენილია ნანგრევების სახით და დაფარულია მრავალწლიანი ხეებით, ბუჩქნარით, ხავსის, ბალახისა და ნემომპალის სქელი საფარით. ეს გარემოება ართულებს ძეგლის სრულფასოვან აღქმას, თუმცა გაწმენდა-გამოკვლევის შემდეგ აქ ბევრი რამის ახლებურად გააზრება შეიძლება.

**საკირე.** დვირიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს ერთი, მეტად მნიშვნელოვანი მიკრორაიონი, რომელიც აერთიანებს სამ სოფელს საკირეს, ტაძრისს, დგვარსა და მათ მიმდებარე სანახებს. ესაა მიკრო ქვეყანა, რომელზეც გადიოდა შიდა და ქვემო ქართლიდან მომავალი უმნიშვნელოვანესი გზა.

ჩვენი საექსპედიციო გავლებისას მოვახერხეთ მხოლოდ ერთი სოფლის - საკირის მიდამოებში არსებული არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული არსებული ძეგლების კვლევა. სოფელი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, გამორჩეულია ისტორიული ძეგლების სიმრავლით; თუნდაც, კოდიანის მთის მიდამოებში არსებული მეგალითური კომპლექსების, ძველი გზის მონაკვეთებისა და საყდრივაკის ხსენებაც საკმარისია, რომ ნათქვამის რეალობაში დავრწმუნდეთ.

**ციხეების მე-2 გორა.** ადგილს, სადაც მდებარეობს საკირის ციხე, საყურადღებო სახელით იცნობს მოსახლეობა - "ციხეები" და სრულიად მართებულადაც - საკირის ციხის მოპირდაპირე მხარეს, მისგან აღმოსავლეთით 200-ოდე მეტრში წამომართულია გორაკი,

რომლის ქვედა კალთები, ძირის გარშემო დავაკება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თხემი გაჯერებულია სხვადასხვა სახის ნანგრევებით.

გორაკის ქვედა ტერასაზე დავითვალეთ შვიდიოდე ნასახლარი, თუმცა შესაძლოა ეს რიცხვი შეიცვალოს. ნამოსახლარის ზომებია (ჩვენს მიერ დაფიქსირებული) 56,0 მ. (ჭ - ); 18,0 (N - S) მ. გეგმაში სწორკუთხა ყველა ნაგებობა ნაშენია ადგილობრივი კლდის ნაფლეთი ქვით, მშრალ წყობაზე. 1 ნაგებობის ნაშთის ზომებია 10,0 ხ 5,5; კედლების შემორჩენილი სიმაღლე - 0,8 მ. (ორი რიგი).

ქვედა ტერასის ნასახლარსა და გორაკის ფრიალო კლდოვან კალთას შორის - ჰორიზონტალური ტერასა, ყოველგვარი ნაშთების გარეშე. დასახლებიდან გორაკზე საკმაოდ ფართო გზა (ბილიკზე გაცილებით ფართო) ადის.

გორაკის თხემის ფართობია 437 კვ. მ. (W - O -35,0; N - S - 12,5 მ.); მასზე დავაფიქსირეთ: ა. სწორკუთხა ნაგებობა, კედლები ნაშენი ადგილობრივი კლდის მოლურჯო ფერის საშუალო ზომის ქვებით (0,5 x 0,4 x 0,4; 0,5 x 0,3 x 0,3...), შემტკიცებული დუღაბით; ბ. გორაკის შ მხარეს შექმნილი ტერასის (17,0 - W - O; 5,5 - N - S) უკიდურეს სამხრეთ კალთას შემოუყვება დიდრონი ქვებით ნაგები გალავანი. გალავნის სედა სივრცე დაყოფილია უჯრედებად, რომელთა ფუნქციის გარკვევა ძეგლის გაუთხრელად შეუძლებლად მიმაჩნია. ყველაზე დიდი სათავსის ზომებია 6,0 (W - O), 5,5 (N - S) მ.

გორაკის სიმაღლე ზღვის დონიდან - 1433 მ., რაც 2-ოდე მეტრით მაღლაა იმ გორაკზე, რომელზედაც აღმართულია საკირის ციხე. აღნიშნული ადგილი სრულად აკონტროლებდა ქართლიდან, თორი-ციხიჯვრის გავლით, სამცხე-ჯავახეთისაკენ მიმავალ სტრატეგიულ გზას. აქ არსებული დასახლებების მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ ციხიდან 200-ოდე მეტრის დაშორებით ნავთობის ტრასის გაყვანისას ჩატარებული კვლევისას გამოვლინდა საკმაოდ დიდი სამეთუნეო საწარმო-ვიფქრობ, აქ ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა, ნივთიერ საბუთს შემატებს ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილ სახელს "საკირები".

**საყდრივაკე** - ამ ტიპის სხვა კომპლექსების მსგავსად, რამდენიმე სეგმენტისაგან შედგება: ა. ბერ-მონაზონთა საცხოვრებელი სენაკები; ბ. სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები; გ. სამაროვანი; დ. საკუთრივ ტაძარი და ე.გზა. დროის თვალსაზრისით, შედარებით ადრეული უნდა იყოს ცხადია გზა, შემდეგ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები.

სამონასტრო კომპლესი მდებარეობს ხრამისხევის მარჯვენა და სხანალისხევის მარცხენა ნაპირებს შორის აღმართული საყდრივაკის მაღალი გორაკის თხემზე, რომლის ვიწრო ბუნებრივი დავაკება ხელოვნურადაა გაფართოებული და ამ გზით მიღებულ ფართობზე (55 მ. N -S ხაზზე, 44 მ. W - O ხაზზე) კომპაქტურადაა განთავსებული ზემოთ ნახსენები ყველა სეგმენტი.

აღნიშნული ტერიტორიის სამხრეთი მხარე მთლიანადაა აქვს დათმობილი საცხოვრებელ და სხვა სახის ნაგებობებს; მათგან ჩრდილოეთით, საგანგებოდ დატოვებულ ბუნებრივ შემადლებზე აღუმართავთ ერთნაგიანი ეკლესია. საყდრივაკის სამონასტრო კომპლექსს, სხვა თანადროული და მსგავსი კომპლექსებისაგან გამოარჩევს ორი მნიშვნელოვანი დეტალი: 1. საკულტო ნაგებობის ასაგებად გამოყენებულია დუღაბი; სხვა ნაგებობების შემთხვევაში - მხოლოდ მშრალი წყობა (მსგავსი ვითარება დადასტურდა ლიკანის მონასტრის შემთხვევაშიც); 2. ეკლესიის ასაგებად უპირატესად ბაზალატის ქვებია გამოყენებული, სხვა ნაგებობების - მხოლოდ ანდეზიტური წარმოშობის და ქვიშაქვის რუხი ფერის ქვები.

საყდრივაკეზე განიჩევა რამდენიმე ტიპის ნაგებობა, რომელთა შორის NOO - SWW გრძივ ღერძზე დამზობილი კომპლექსი ( 2), რომელიც რამდენიმე, სხვადასხვა ფართობის ოთახისაგან შედგება. ზომებია: 5,1 (W-O) x 10.1(N-S); 7,2 (W-O) x 8,2 (N-S); 7,8 (W-O) x 5,5 (N-S); 4,2 (W-O) x 7,8 (N-S); ერთ-ერთ ( 4) სენაკს (?) ერდოიანი გადახურვა და წინა ეზო აქვს (მსგავსად ლიკანის მოდამოების ნასახლარებში არაერთგზის დაფიქსირებული ვითარებისა). ეზოს შესასვლელიდან შენობამდე - 4,1 მ.; სწორკუთხა დარბაზის ზომებია 4,0 x 4,0 მ-ზე, ერდოს დიამეტრი - 0,8 - 0,8 მ.

ძნელია იმის თქმა, რომ ეს ერთიანი ნაგებობაა; უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ესაა ცალკეული სენაკები მიჯრით მიდგმული ერთმანეთზე, რომელშიც ორ ოთახს მომიჯნავე კედელი აქვთ.

მანძილი ეკლესიის სამხრ. ფასადიდან აღწერილი კომპლექსის განივ კედლამდე 8,2 მ.

ეკლესიის W კუთხიდან 2 - 3 მ. დაშორებით ქვებით შემოსაზღვრული რამდენიმე ოვალი დავაფიქსირეთ. დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლება, თუმცა გამოვთქვამთ ძალიან, ძალიან ფრთხილ ვარაუდს, იმის თაობაზე, რომ შესაძლოა ისინი განსასვენებლებს წარმოადგენდნენ.

ასეთია მოკლე აღწერა ამ მეტად საინტერესო და არ შევცდები თუ ვიტყვი - მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლისა, რომლის შესწავლა მხოლოდ წაადგებოდა საქმეს.

ნამონასტრალის დიდი ნაწილი იმდენადაა დაფარულ - ჩახერგილი წაქცეული ხეებით და ჯაგნარით, რომ ხშირ შემთხვევაში ძნელდება ნაგებობათა გეგმარებაში და მათ ფუნქციაში გარკვევა.

აშკარა საფრთხე, ვთქვათ, საერო ფუნქციის მატარებელი ძეგლებისაგან განსხვავებით, არ ემუქრება - აქ გასაგები მოხეზების გამო არჭრიან ხეს და სამშენებლოდ არ ეზიდებიან ქვას. თუმცა, არ იქნებოდა ურიგო, მომხდარიყო მისი ტერიტორიის თუნდაც წაქცეული და სრულიად დამპალი ხეებისაგან, ზედმეტი მიწისა და ნეშომპალისაგან განთავისუფლება.

**ზალიკამიწის ნამოსახლარი.** "ზალიკამიწის ნამოსახლარად" წოდებული ობიექტის გაცილებით სწორი სახელი იქნებოდა "სახანალის ხევის ნამოსახლარი"; ფაქტობრივად, ნამოსახლარი მდებარეობს სახანალიხევისა და ხრამდელეს ხერთვისში. გაშენებულია NNO - SSW ღერძზე. ნამოსახლარის განაპირა აღმოსავლეთი მხარე საყდრივაკის სამონასტრო კომპლექსიდან პირდაპირი ხაზით დაახლოებით 150 - 200 მ. დაშორებითაა.

ორ, არც თუ მკვეთრად გამოკვეთლ ტერასაზე გაშენებულ ნამოსახლარზე (ნამონასტრალზე?) სამი საინტერესო სეგმენტი გამოიკვეთა: ა. საკუთრივ საცხოვრებელი და სხვა სახის ნაგებობები; ბ. ეკლესია და გ. გზა, ორმხრივი ბორდიურებით. I ტერასაზე 5-6, ხოლო II ტერასაზე - 5 - 7 ნაგებობა დავაფიქსირეთ; თუმცა, ტერიტორიის გაწმენდისა და სათანადო კვლევის ჩატარების შემდეგ შეიცვლება არა მარტო რიცხვი, არამედ მეტ-ნაკლები სიზუსტით განისაზღვრება ცალკეული შენობის ფუნქცია.

აქაც, ისევე როგორც საყდრივაკის შემთხვევაში, საკულტო ნაგებობის მშენებლობისას გამოყენებულია დულაბი, ხოლო სხვა შემთხვევაში მშრალი წყობაა; აქაც, ისევე როგორ სადრივაკეში, გაცილებით დიდი ქვებია გამოყენებული: 1,2 x 0,9 x 1,0; 1,45 x 0,6 x 0,6; 1,2 x 0,8 x 0,7; 2,0 x 0,9 x 0,6; 1,45 x 0,93 x 0,3; 3,1 x 1,8 x 1,3 მ.

ნამოსახლარზე გამავალი გზა, მონაკვეთია სტრატეგიული გზისა, რომელიც ქართლის დამაკავშირებელი იყო სამცხე-ჯავახეთთან.

სავარაუდო თარიღად მივიჩნევ ადრე შუასაუკუნეებს; თუმცა, კვლევამ შესაძლოა კორექტივი შეიტანოს ჩემს ვარაუდში.

### **ქვყარილები-"ციკლოპური" ციხე-ნამოსახლარი.**

მღებარეობს კოდიანის მთის (თრიალეთის ქედი, მტკვრის მარჯვენა შენაკადების - ბორჯომულისა და დვირულას წყალგამყოფი) ჩრდ. კალთაზე, უახლოესი დასახლებული პუნქტი სოფ. საკირე - 3,8 კმ.

მნიშვნელოვანი მეგალითური ძეგლი. ამ უზარმაზარი სისტემის შესაქმნელად გამოუყენებიათ ბუნებრივი ნაშალ-ნალვარევი მასები; კერძოდ, სხვადასხვა ჯიშის, ზომისა და ფორმის ქვები, რომელთა წონა, რიგ შემთხვევაში რამდენიმე ასეულ კილოგრამს აღწევს. 2002 წლის ექსპედიციის მონაწილეებს სრულიად სამართლიანად აქვთ აღნიშნული, რომ "როგორც ჩანს, ძეგლის ზოგად გეგმარებაში ჭარბობდა მრგვალი სტრუქტურები.

კომპლექსებს შორის გამოირჩევა 45-50 მ. დიამეტრის ქვყარით შექმნილი წრიული ნაგებობა, რომელიც ფაქტობრივად მოქცეულია ორ, და შ (ეს უკანასკნელი უფრო მასიურია) ნაშალ-ნალვარევი ფენას შორის; ნალვარევის W მონაკვეთი გადაუქცევიათ ზღუდედ.

ძირითადი (დედა) კომპლექსიდან NWW-მხარეს, 500-550 მ. დაშორებით, კიდევ ერთი კომპლექსია (2), რომლის ერთ მხარედ ნაშალ-ნალვარევის განშტოებაა გამოყენებული. განშტოების სიგანე სხვადასხვა მონაკვეთში 7-დან 9-მეტრამდე მერყეობს. 2 კომპლექსის შიდა არე ქვების ორი რიგითაა გადატიხრული და გამოყოფილია სამი, თითქმის თანაბარი ფართობის არე; არეებს შორის მანძილი 18-20 მ. 2 კომპლექსის გარეთ, O-მხარეს 6-7 მეტრი დიამეტრის ნაგებობაა, მის გარე პერიმეტრზე კი, თითქოს ქვყარილიანი სამრხები (?).

ციკლოპური კომპლექსები შემორჩენილია უმთავრესად კედლების ერთი რიგის დონეზე; თუმცა გვხვდება რამდენიმე რიგის მქონე კედლის ნაშთებიც. სავარაუდო თარიღი - ძვ. წ. II ათასწლეული.

კოდიანის კომპლექსები, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ტრასის წინასწარული კვლევის ანგარიშის ავტორები, "მეგალითური კულტურის გრანდიოზული ძეგლია, როგორც დაკავებული ტერიტორიით და ცალკეული ნაწილების სიდიდით, ასევე გამოყენებული ლოდების მასიურობით" [ავტორთა კოლექტივის ანგარიში "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი..., გვ. 187 ].

ერთი საშიშროება - მილსადენის გატარება - მონტაჟი მოხსნილია; დარჩა მეორე, მეტად არასასიამოვნო და მომეტებული საფრთხის მატარებელი გარემოება - ნალვარევი, რომელიც თავის დროზე გამოყენებულ იქნა ციკლოპური კომპლექსების ასაგებად, შეიძლება იქცეს ამავე კომპლექსების დაზიანება - განადგურების მიზეზად.

ნალვარევი შედგება სხვადასხვა ჯიშისა და სახეობის ქვებისაგან, რომელთა შორისაა მშენებლობის (და არა მხოლოდ) სხვადასხვა სტადიაზე ხშირად გამოყენებადი ბაზალტი. ადგილობრივთა მონაყოლიდან, ცხადი გახდა, რომ აქ წლების მანძილზე ინტენსიურად ხდებოდა ბაზალტის მოპოვება -გატანა. ამ პროცესმა, გარკვეულწილად, დააზიანა კიდევ კომპლექსები. ბაზალტის მოპოვება-გატანის უკონტროლო პროცესი შეიძლება დროთა განმავლობაში შეიძლება კიდევ უფრო მომეტებული ხიფათის შემცველად იქცეს უნიკალური კომპლექსებისათვის.

**გზები.** ისტორიული თორი შეიძლება ითქვას დაქსელილი იყო მშვენივრად მოწყობილი სხვადასხვა მნიშვნელობის გზებით, რომლებიც სუკუნეების მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არა მარტო მხარის, არამედ, საზოგადოდ, ქვეყნის ცხოვრებაში.



ჩვენი საველე გასვლებისას რამდენიმე ცნობილი და ერთი-ორიც შეიძლება ითქვას, უცნობი გზა მოვიხილეთ.

ერთი მნიშვნელოვანი გზა, შიდა ქართლიდან გადიოდა თორზე; თორიდან კი კოდიან-საკირის გავლით მიემართებოდა სამცხე-ჯავახეთისაკენ.

საკირის მიდამოებში ამ ისტორიული გზის ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი გამოიკვლია ბაქო-ჯეიჰანის ტრასის შემსწავლელმა კომპლექსურმა ექსპედიციამ [ იხ. ანგარიში]. ჩვენ ენახეთ ნახსენები მონაკვეთი და დამატებით ახალი სეგმენტები.

საინტერესო და კარგად შემონახული მონაკვეთი დავაფიქსირეთ ე. წ. ზალიკა მიწის ნამოსახლარის" ტერიტორიაზე. ფაქტობრივად, ის მიუყვებოდა სახანალოს ხევის ნაპირს (სამიოდე მეტრის დაშორებით) და პერიმეტრზე კვეთდა დასახლებას. გზას, ისევე როგორც სხვა მონაკვეთებზე, ორივე მხრიდან მიუყვებოდა ვერტიკალურად ჩაღმული კლდის საკმაოდ დიდი ქვების ბორღურები.

ასევე მოწყობილი გზა დავაფიქსირეთ ჭობისხევის მიდამოებში არსებული სამოსახლოების ნადიკრები 1 და მომეტებულად, გოგიჩაანთ ლელის ნამოსახლარის მისადგომებსა და ტერიტორიაზე. კიდევ უფრო საინტერესო დეტალი დავაფიქსირეთ კოშკილელის ნამოსახლარისაკენ მიმავალ გზაზე - მისი ცალკეული მონაკვეთები მოგებული იყო კლდის სხვადასხვა ზომის და ფორმის ფილებით.

სწორედ ნადიკრებისა და გოგიჩაანთ ლელის პირდაპირ, მტკვრის მარცხენა კლდოვან ნაპირს მიუყვება საკმაოდ განიერი გზა, გაჭრილი კლდოვან მასივში. დარწმუნებული ვარ, შემდგომი, საგანგებო კვლევა ბევრ საინტერესო დეტალს შემატებს ჩვენში გზების მშენებლობა - მოწყობის შესწავლას.

**ქვის დასამუშავებელი სახელოსნოები.** ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმატებად, სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე უცნობი ობიექტების მიკვლევა-დაფიქსირებაა; ამ რიგის ძეგლებს მივაკუთვნებთ ქვის ორი საწარმოს (ამ ცნების ყოველგვარი გაზვიადების გარეშე) აღმოჩენას ლიკანსა და ქვაბისხევში.

ლიკანის ქვის საწარმო შედარებით ლოკალური იყო დროსა და სივრცეში; ის, ფაქტობრივად, ემსახურებოდა სამონასტრო კომპლექსისა და შემდგომში, ბერ-მონაზონთა კელიების ასაშენებლად თუ მათი განსასვენებლებისათვის საჭირო ქვებით უზრუნველყოფას.

კარიერად გამოყენებულია ლიკანის სამონასტრო კომპლექსის W მხარეს კლდოვანი გორაკი, რომლის სამხრეთ და აღმოსავლეთ კალთებზე კარგად ჩანს ქვის ბლოკების მოჭრის კვალი. მოჭრილი ქვის ნაწილი აქვე მუშავდებოდა; ნათქვამის დასტურია, კვადრების მოჭრის შემდეგ დარჩენილი საწარმოო ნარჩენები და ნახევრად დამუშავებული ქვები. კარიერის ნაწილი კარგადაა შემორჩენილი - ნათლად ჩანს კლდის მასივიდან ცალკეული ბლოკების მოჭრის კვალი; შემონახულია რამდენიმე, ძალზედ საინტერესო საწარმოო ნაშთი და დამუშავებული თუ ნახევრად დამუშავებული ქვები.

ობიექტს, ისევე როგორც მთლიანად სამონასტრო კომპლექსს, არცთუ უსაფუძვლო საფრთხეს უქმნის აქ არსებული მოქმედი სასაფლაო, რადგან არც თუ იშვიათია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტიდან (ნამოსახლარი, კარიერი) ქვების მეორადი გამოყენების ფაქტი. ზემოთაც ვთქვი და აქაც გავიმეორებ - აუცილებლად უნდა დაისვას საკითხი მოქმედი სასაფლაოსათვის სხვა ადგილის გამოყოფის თაობაზე. ამ, ჩემის აზრით, გადაუდებელი ღონისძიებების არ გატარების შემთხვევაში, სამონასტრალის უნიკალურ კომპლექსებს, ისევე

როგორც განსახილველ ობიექტს, ნაწილობრივი ან მთლიანი განადგურების საფრთხე ემუქრებათ.

მსგავსი სახელოსნო, ოღონდ გაცილებით მასშტაბური, აღმოვაჩინეთ ქვაბისხევისწყლის ხეობაში, ადგილ დიდ კაკლების მახლობლად ტყეში. ქვაბისხევისწყლის მარცხენა ნაპირის გაყოლებაზე, ზემო წელიდან მდ. მტკვართან შეერთებამდე, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკის ქვაბისხევის მონაკვეთის მცველის, ბატონ კუკური სარალიძის დახმარებით რამდენიმე სრულიად ახალ ძეგლს მივაკვლიეთ. მათ შორისაც კი, თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბებით გამოირჩევა ადგილ "დიდკაკლებთან", ქვაბულების შუა ტერასის დონეზე (ზ. დ. 1017 მ.) ქვის სამტეხლო და დასამუშავებელი საწარმო; ესაა, დაახლოებით 2500 კვ. მ. ფართობზე შემონახული ადგილობრივი კლდის ქვის მოჭრა-დამუშავების ფაქტობრივად მთლიანი ციკლის ამსახველი სურათი. კლდის მასივის სხვადასხვა დონეზე მშვენივრად ჩანს ქვის ბლოკების მოჭრის კვალი დაგაფიქსირეთ დასამუშავებლად გამზადებული ქვის სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ლოდები; ნახევრად და სრულად დამუშავებული ქვები და რაც ყველაზე საოცარია, სარეალიზაციოდ გამზადებული დასაწყობებული ქვები; იქვეა ქვაბული, რომლის ჭერიც თითქმის მთლიანადაა გაშავებული ჩვენთვის გაურკვეველი მზინავი მასით. არ ვიცი რა კავშირშია ერთმანეთთან აღნიშნული გამოქვაბული და აღწერილი საწარმო; შესაძლოა შემდგომმა კვლევამ რამე სიახლე შეიტანოს აღნიშნულ საკითხში.

ექსპედიციის დროს ერთი ქვის საწარმო, როგორც უკვე ითქვა, ვნახეთ ლიკანში, თუმცა მასშტაბები აქ განუზომლად დიდია.

ამ მეტად მნიშვნელოვან ობიექტს ამ ეტაპზე არავითარი საფრთხე არ ემუქრება; თუ რა თქმა უნდა ვისმეს მაინცდამაინც ამ ადგილიდან არ მოუნდა მშენებლობისათვის ქვის წალევა. და მაინც, აუცილებლად მიმაჩნია განვაცხადო, რომ საჭიროა: ა. ჩატარდეს ამ უაღრესად საინტერესო ობიექტის კომპლექსური კვლევა.

#### **დასკვნის მაგიერ.**

ჩვენი ექსპედიციის ხანმოკლე დროის მანძილზე, ვნახეთ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე კარგად ცნობილი ძეგლები და დავაფიქსირეთ ახალიც. ცნობილ ძეგლებზე თავდაპირველად მივიღოდი იმ განზრახვით, რომ გვენახა, ხომ არ მოხდა რაიმე ცვლილება მკვლევართა მიერ მათი ბოლო მონახულების შემდეგ და დავკვზუსტებინა გეოგრაფიული კოორდინატები. სინამდვილეში კი, ჩვენ, ფაქტობრივად, ახლად აღმოვაჩინეთ თითქოს და ყველასათვის კარგად ცნობილი მრავალგზის გამოქვეყნებული ძეგლები.

ასე მოხდა კომპილელეს ნამოსახლარის შემთხვევაში, როდესაც აღმოვაჩინეთ, რომ კომპლექსისაკენ მიმავალი გზა საგანგებოდ იყო მოგებული კლდის ქვიშაქვის ფილებით; ეკლესიად მიჩნეული ნაგებობა ხევის თავში, ნამოსახლარის უკიდურეს სამხრეთ და მაღალ წერტილში, ყველა პარამეტრით, მათ შორის მდებარეობით მეტად კომპია, ვიდრე საკულტო ნაგებობა (კომკად მიიჩნევს ხსენებულ ნაგებობას ხელოვნებამცოდნეობის დოქტორი გიორგი ჭანიშვილიც).

ნათქვამის საბუთად გამოდგება: ა. ტოპონიმი "კომპილელე"; ბ. ნაგებობაში კარები დატანილი აქვს დასავლეთიდან; ეს ბუნებრივია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ შენობაში შესვლა ძალზედ რთული და გარკვეულწილად სასიფათოცაა, რადგან კარებსა და ქარაფს შორის ნადავის მხოლოდ საშიშად ვიწრო ზოლია დარჩენილი.

ასევე ძალზედ კარგადაა ცნობილი სოფელ ლიკნის ჩრდ.-დას. მდებარე ნამონასტრალი, რომელსაც სხვადასხვა საკითხების კვლევისას არაერთი მკვლევარი შეეხო; თუმცა მათ თვალს

მიფარებული აღმოჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტი, როგორც ქვის სამტეხლო და სახელოსნო; აქაც, ისევე როგორც კოშკილეულს, სვინი ძირისა თუ ნაჩვენების შემთხვევაში, არაა მოცემული ნამოსახლარის ზომები, მათი განვითარების მიმართულება და ა. შ.

მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა ქვაბისხევის წყლის ხეობის ნამოსახლართა უმრავლესობა, ხოლო მარიამწმინდის ეკლესიასა და დემოთის ციხეზე მსჯელობისას, სიტყვა არ თქმულა აქ არსებულ საკმაოდ ვრცელ ნამოსახლარებზე; არადა შეუძლებელი იქნებოდა მათი არ შენიშვნა, ვინც ერთხელ მაინც მივიდოდა ამ ძეგლებზე...

აღარაფერს ვამბობ ქვაბულების მთელ სისტემაზე, რომლებიც არათუ არავის გაუხდია სპეციალური კვლევის საგნად, გაკვრითაც კი არავინ შეხება.

სრული დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ აუცილებელია დაწყებული კვლევის გაგრძელება და მისი ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესასწავლია ლოკალური რაიონები, სადაც სულ მცირე ორ ათეულამდე არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ძეგლია შესასწავლი.

### **ბიბლიოგრაფია**

საისტორიო წყაროები

ლეონტი მროველი. ცხორება ქართველთა მეფეთა ... ქ-ს ც-ა; -I.თბილისი.1955

ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქ-ს ც-ა; -I.თბილისი. 1955

ვახუშტი ბაგრატიონი.აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქ-ს ც-ა; IV.თბილისი.1973  
ორბელიანი პ. ამბავი ქართლისანი. ელ. ცაგარეიშვილის გამოცემა. თბილისი. "მეცნიერება . 1981

საველე ანგარიშები

Бибилури Т. и др. Работы Заденгорского отряда (Месхет – Джавахетская экспедиция). ПАИ. 1984-1985. Тбилиси. 1987;

საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი. ბაქო - თბილისი - ჯეიჰანის მილსადენის დერეფნის არეალში მიწისზედა ძეგლების შესწავლა. II და III ფაზის შესწავლის შედეგები. ანგარიში. თბილისი. 2002/2003 წწ.

მონოგრაფიები, სტატიები

აბულაძე ვ. ბორჯომის ხეობის წარსული და აწმყო. თბილისი. 1983

აბულაძე ილ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი. 1973

ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი - თორი, ჯავახეთი. გამ. "მეცნიერება". თბილისი. 1985

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. 1. თბილისი. 1964

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. მეორე გამოცემა. რედ. დ. ბერძენიშვილი. გამ. "მეცნიერება". თბილისი. 1990

ბიბილური თ. ძეგლი შველას ითხოვს. გაზ. "კომუნისტი". 1978

ბიბილური თ. ძეგლი შველას ითხოვს. გაზ. "ბორჯომი". 1978

ბიბილური თ. მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ძეგლები საქართველოდან. ალბომი მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ძეგლები საქართველოდან. ა. მოშჩინსკისთან თანაავტორობით. შესავალი წერილი - რუსულ ენაზე; ალბომი -ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენებზე. მოსკოვი. 2001

გვერდწითელი რ. ზოგიერთი მეთოდური მოსაზრება ძველი ნასოფლარებისა და საცხოვრებელი არქიტექტურის არქეოლოგიური გამოვლენისა და დაცვის შესახებ. ძეგლის მეგობარი. 29. თბილისი. 1972

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გ. გელაშვილის გამოცემა. 1. თბილისი. 1962

ზედგენიძე გ. თორელ-ჯავახელთა და ჯაყელ-მესხთა სამამულო მფლობელობის შესახებ. კრებ. "ივ. ჯავახიშვილი". თბილისი. 1977

ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე. თბილისი. 1954

კვიციანი რ. დაკრძალვის წესები ბორჯომის ხეობაში ძვ. წ. VIII- VI სს. ძიებანი, 4. თბილისი, 1999, გვ. 37 – 43

კვიციანი რ. ბორჯომის ხეობა რკინის ფართო ათვისების ხანაში ძვ. წ. VIII- VI სს. დისერტაცია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

მაკალათია ს. ბორჯომის ხეობა. თბილისი. 1957

მაკალათია ს. მესხეთ-ჯავახეთი. თბილისი. 1938

მელიქსეთ - ბეგი ლ. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი. 1938

მეფისაშვილი რ. გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. თბილისი. 1963, IV

ნასიძე გ. აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ნასახლარები არქეოლოგიური მასალის მიხედვით. თბილისი. 1975

რჩეულიშვილი ლ. ძველი ნასახლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში. საავტორო კრებული "ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები". თბილისი. "მეცნიერება". 1994

სიხარულიძე ი. მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის. "საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული". II. თბილისი. 1964

ლამბაშიძე ი. სამცხე ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში (ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური მასალის მიხედვით). სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 1999 წ.

ლამბაშიძე ო., ტატიშვილი თ. მასალები თორის წინაფეოდალური ხანის ისტორიული გეოგრაფიისათვის. "საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული". VI. თბილისი. 1982

შოშიაშვილი ნ. თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი. კრებ. "შოთა რუსთაველი". თბილისი. 1966

ციციშვილი ი. ქართული არქიტექტურის ისტორია. თბილისი. 1955

ჯიქია ს. ბორჯომის სახელწოდებისათვის. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი". 1961, 7 სექტემბერი

ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. III. თბილისი. 1958

Бабаликашвили Н. Т. Еврейская эпитафия из Боржоми. "აღმოსავლური ფილოლოგია". II. თბილისი. 1972

## კომკილეღს ნამოსახლარი



გზა ბალაგნების (სოჭის) ღელესა და კომკილეღს  
ხერთვისიღან ნამოსახლარისაკენ



კომკიდელეს ნამოსახლარი. S კიდე



კოშკილე.1 ტერა; N 2,3



კოშკილე.1 ტერასა; N 4



კომკიდელე.1 ტერასა; N 6



კომკიდელე.1 ტერასა; N 6 და N 7






კომკიდელე.1 ტერასა; N 7



კომკიდელე.1 ტერასა; N 7



ლიკანის ღვთისმშობლის სახ. ნამონასტრალი





### სვენი ძირის ნამოსახლარი





135


"ნაჩეხების ნამოსახლარი"



139



მეყავრიშვილის მიწების ნამოსახლარი.



## "ქიმპის ნამოსახლარი"



ნასოფლარის ქვედა, 1-ლი ტერასის სახლების ნაშთები

## ჭობისხევი. გოგიჩაანთ ღელის ნამოსახლარი



ნაგებობა ზედა ტარასაზე

ნაგებობა შუა ტარასაზე



"დარბაზი"





არქიტექტურული დეტალები

### ჭობისხევი. ნადიკრები 1



"გალავნის" ცენტრ. მონაკვეთი

ღვირი. საკვირიკე



N 1 შენობის SO კედელი



N 2 ნაგებობა



"აფსიდიანი" ნაგებობის ნაშთი.



### ცენტრალური ნაგი



### ღვირის ციხე



ღვირის ციხე. ხედი NNW - დან

ციხის მეორე იარუსის კედლის გამოქარულ

## ვაშლიღელეს ნამოსახლარი



## ქვაბისხევი. დემოთის ციხის ნამოსახლარი



## ქვის სამტეხლოები

### 1. ლიკანი





ქვაბისხევი



143



საკირე. კოდიანი. წრიულქვაყრილიანი კომპლექსი



## ბიორბი III სპილენძის მონეტების ტექნოლოგიისათვის (სპექტრული ანალიზის შედეგები)

გაერთიანებული საქართველოს მეფეების, მათ შორის გიორგი III (1156-1184 წწ.) ეპოქაში, დიდი რაოდენობით იჭრებოდა სპილენძის საფასეები, სხვადასხვა ტიპისა. ისინი წარმოდგენილია არა მარტო საქართველოს მუზეუმების ნუმიზმატიკურ ფონდებში, არამედ თავმოყრილია მოყვარულ, კერძო კოლექციონერთა ხელში. ჩვენი პუბლიკაციის მიზანია სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ მოყვარულ ნუმიზმატთა კოლექციებში თავმოყრილი მეფე გიორგი III სახელით ე.წ. „უწესოდ“ მოჭრილი საფასეები, სპილენძის მონეტები (ტაბ. 5; 6) და დავადგინოთ მათი ქიმიური შემადგენლობა სპექტრული ლაბორატორიული ანალიზის მეშვეობით. ვარაუდობენ, რომ „უწესოდ მოჭრილ“ ასეთ მონეტებს სავაჭრო გარიგებების, ანუ აღებ-მიცემობის დროს წონით და არა თვლით იღებდნენ (კაპანაძე დ. 1969, გვ. 71). გიორგი III მონეტის შუბლზე მისი სახელის ასომთავრული ინიციალია, არაბულ ვარდულებში ჩართული ხვები გვამცნობენ, რომ ის ეკუთვნის „მეფეთა მეფე გიორგი-ს, მესიის მახვილს“. ზურგზე არაბული წარწერაა ვარდულის ხვეულებში: “ალ მუკტაფი ლიამრ ალლაჰ, მართლ-მორწმუნეთა მბრძანებელი.“ XI საუკუნის საქართველოში მოჭრილ მონეტებზე არაბული ზედწერილების არსებობა ზოგ მკვლევარს ქართველ მეფეთა უცხოელ დამპყრობლებზე დამოკიდებულების ნიშნად მიაჩნია, მაგრამ დ. კაპანაძე აღნიშნავდა: „... აკად. ი. ჯავახიშვილმა ეს მოსაზრება უარყო; მისი აზრით, ეს ღონისძიება გამოწვეულია სურვილით, რომ ქართულ ფულს მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებშიაც ჰქონოდა გასავალი“ (კაპანაძე დ. 1950 წ. გვ. 49).

გიორგი III სწორი ფორმისა და დადგენილი წონის მონეტასაც ჭრიდა. მასზე გამოსახულია ტახტზე ფეხმორთხმით მჯდარი ჯვრიან გვირგვინოსანი, მარჯვენა ღონიჯემოყრილი მეფე, რომელსაც მარცხენა ხელზე შევარდენი აზის. (ხშირად მარცხენა ხელი აქვს ღონიჯით და მარჯვენაზე შევარდენი). არაბული ზედწერილი: მეფეთა მეფე, გიორგი ძე დემეტრესი. მესიის მახვილი“ (დუნდუა გ. ჯალალანია ი. 2009, გვ. 36). მონეტის მოჭრის თარიღი ქორონიკონით.

XII საუკუნის სპილენძის ქართული მონეტების ქიმიური შემადგენლობის დადგენის მიზნით, სპექტრალური ანალიზით კვლევის დროს, ჩვენი ყურადღება მიიპყრო გიორგი III უწესოდ მოჭრილ მონეტებში ( ცხრ. VI ) ვერცხლის შემცველობის არსებობამ. ჩვენს ხელთ არსებული 16 მონეტიდან 12 ცალში ვერცხლი დაფიქსირდა. მათგან ერთში -- 10,71 % და მეორეში -- 5,09 % რაოდენობით. დანარჩენ 10 ცალში ვერცხლის შედარებით უმნიშვნელო წილი აღმოჩნდა. 4 ცალში ვერცხლის შემცველობა სპექტრალური ანალიზის აპარატმა არ აჩვენა. ამ მონეტებთან ერთად ჩვენ იმავე ეპოქის 140 მონეტა გამოვიკვლიეთ. სპექტრალურმა ანალიზმა არც ერთ მათგანში ვერცხლის შემცველობა არ დააფიქსირა ( ცხრ. I-VI ). ცდომილების გამოსარიცხად მონაცვლეობით ვატარებდით ექსპერიმენტს -- ავერსზე, რევერსზე; სხვადასხვა ადგილებში: ცენტრში, კიდეებთან ახლოს. შედეგი არ შეცვლილა.

ერთი მონეტა გავჭერთ სუბერატიულობის დასადგენად -- შემადგენლობა ფიზიკურად ერთგვაროვანი იყო, შრეები არ დაფიქსირებულა. (სურ. 6).

ანტიკური პერიოდის მონეტებზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ვერცხლის შემცველობის რემედიუმის დიაპაზონი საკმაოდ დიდი იყო (სურ. 1; 2.), ამიტომ გამოითქვა მოსაზრება -- ვერცხლის 10 პროცენტის რაოდენობა სპილენძის მონეტას სავარაუდოდ თეთრ შეფერილობას

მისცემდა. ამ ეჭვის გასაფანტად პრაქტიკოს ოქრომჭედელთან -- ხვიჩა კოპალეიშვილთან ერთად ჩავატარეთ ექსპერიმენტი: 5 გრამ სპილენძის ზოდს შევურიეთ 1 გრამი სუფთა ვერცხლი და გავაბრტყელეთ -- მეტნაკლებად მონეტის ფორმა მივეცით. შედარებისთვის სუფთა, მინარევების გარეშე სპილენძის მეორე ზოდიც გავაბრტყელეთ. სხვაობა ვიზუალურად თითქმის შეუმჩნეველი აღმოჩნდა (სურ. 5.). თეთრი შეფერილობა გამოირიცხა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებული გიორგი III დროინდელი საკვლევი მონეტების გარკვეული ნაწილი ე.წ. „კეთილშობილი“ მწვანე პატინით (კოლექციონერი ნუმიზმატების ტერმინი) იყო დაფარული, რომელსაც სპეციფიკური რუხი შეფერილობა ჰქონდა (ტაბ. 5; 6.).

საყოველთაოდ ცნობილი „ვერცხლის კრიზისის“ პერიოდში საქართველოში ვერცხლის ფულის ემისია შეწყდა, „რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ მოჭრილი ვერცხლის ფული მისი ფარგლებიდან გატანილი იქნებოდა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ვერცხლის მონეტა აქაც გაქრა და მის ნაცვლად სპილენძი გაჩნდა, რომელსაც იძულებითი „ვერცხლის“ კურსი ჰქონდა.“ -- (დ. კაპანაძე 1950 წ. გვ. 46). ეს მონეტები ვერცხლის დრამის ნაცვლად იხმარებოდა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. მკვლევარებმა იმთავითვე გამოვრიცხეთ სახელმწიფო ზარაფხანის გამიზნული როლი აღნიშნულ მონეტებში ვერცხლის შემცველობის მანიპულირებაზე. ქართულ სპილენძის დრამებში დაფიქსირებული ვერცხლის შემცველობა მხოლოდ მადნის ხასიათით არ უნდა აიხსნას, რადგან აუცილებლად საყურადღებოა მონეტების ერთგვაროვნება. კერძო კოლექციებში არსებული ამ ეპოქის სპილენძის მონეტების მოკვლევამ შემდეგი სურათი მოგვცა: დემეტრე I (1125-1156 წწ.) დროს მოჭრილ მონეტებშიც ფიქსირდება მოვერცხლილი სპილენძის ფული. ჩვენთვის რამოდენიმე ასეთი ცალკე ცნობილი. ისინი არავის შეუსწავლია. იმდროინდელი ყალბისმქმნელები საკმაოდ დაოსტატებულან, ხოლო სპილენძის მონეტის მოვერცხლა გავრცელებული პრაქტიკა ჩანს საქართველოშიც! კოლექციონერებისთვის ცნობილია მეფე თამარის, ლაშა გიორგის, გიორგი III და რუსუდანის სპილენძის მონეტებიც კი, რომლებიც ვერცხლის ფენით არის დაფარული. ცნობილია შემთხვევითი მონაპოვრები, სადაც განძებში ვერცხლის ღირებულებთან ერთად მოვერცხლილი სპილენძის მონეტებიც გვხვდება. ვერცხლი ძვირად ფასობდა და სპილენძის მონეტების დაფერვა სარფიან საქმედ ქცეულა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონეტების სურათები სიქების მრავალფეროვნებაზე და შესაბამისად, ალებ-მიცემობის მდიდარ პრაქტიკაზე ცხადად მეტყველებს. მასალის ვიზუალურად უკეთ აღქმისათვის მონეტების ნატურალური ზომები არ დაგვიცავს. აქვე გთავაზობთ კერძო ნუმიზმატიკურ კოლექციებში დაცული რომის იმპერიის დროინდელი ბილონების (სურ. 1; 2.), პართიული ყაიდის მოკალეული სპილენძის მონეტის (სურ. 3.) და მონღოლების მმართველობის პერიოდის (სურ. 4.) საქართველოში მოჭრილი სპილენძის მოვერცხლილი მონეტის ფოტოებს. ეს მაგალითები ცხადად მეტყველებენ იმაზე, რომ ყალბი ფულის მჭრელები, დამამზადებლები დიდ ეკონომიურ ზიანს აყენებდნენ ქვეყანას.



**ბიოგრბი III ღა ბაერთიანებული საქართველოს სხვა მეფეების ღროის  
სპილენძის მონეტების ქიმიური შემადგენლობა.**

<b>ცხრილი I. მეფე რუსუდანის მონეტები</b>									
<b>N</b>	<b>ზომა</b>				<b>შემადგენლობა %</b>				
	<b>D</b>		<b>H</b>	<b>M</b>	<b>Cu</b>	<b>Pb</b>	<b>Sn</b>	<b>Ni</b>	<b>Fe</b>
1	24.2	25	1.1	3.86	97.3	2.7			
2	23.2	26	1.1	4.36	96.88	2.69	0.43		
3	25.1	22.3	0.9	2.59	99.01	0.9			0.09
4	23	24	1.7	4.69	98.5	1.5			
5	27	26	1.7	6.15	99.4	0.6			
6	26	25	1.3	4.32	96.76	3.24			
7	24	25	1.7	5.53	98.25	1.61		0.14	
8	27	28	1.5	6.83	97.08	2.68			0.24
9	23.4	26	1.3	4.43	96.7	3.14			0.16
10	26	26.5	1.7	7.29	98.01	1.57	0.42		
11	25	25.5	1.8	4.39	96.95	2.77			0.28
12	26	26.1	1.5	4.29	98.75	1.14		0.11	
13	24.9	26.1	1.55	5.4	97.81	1.77		0.1	0.32
14	23.9	24.1	1.85	7.05	98.65	1.21	0.14		
15	25	27	1.6	5.9	98.65	1.19	0.16		
16	23.5	24.5	1.7	4.4	98.54	1.23	0.23		
17	22.8	26	2.4	8.62	99.31	0.69			
18	22.5	25	1.45	4.07	99.45	0.46		0.09	
19	25	27.5	1	3.61	99.5	0.5			
20	25.5	27	1.2	4.63	95.96	3.8			0.24
21	23	24.5	1.5	4.47	99.47	0.53			

22	22.5	25.3	1.8	6.01	97.28	2.57			0.15
23	23	24	2.2	6.27	95.76	4.12		0.12	
24	27.7	29.1	1.6	8.13	99.35	0.52		0.13	
25	27.5	29	2.1	9.16	99.59	0.33		0.08	
26	27	30	1.7	8.31	99.55	0.33		0.12	
27	27.1	27.5	1.5	7.55	99.21	0.69		0.1	
28	25	28	1.9	7.25	99.22	0.78			
29	27.1	29	1.6	7.74	99.51	0.39		0.1	
30	25.1	26.1	1.4	5.74	99.45	0.55			
31	23.9	26	1.4	4.52	99.32	0.68			
32	26	27	1.4	5.26	98.1	1.81		0.09	
33	24	24.9	2.5	9.35	99.4	0.52		0.08	
34	22.5	24.1	1.4	4.57	98.48	1.3			0.22
35	24.5	24.9	1.3	4.03	97.23	2.77			
36	24.5	25.7	1.5	5.08	98.26	1.74			
37	24.1	26	1.3	4.51	96.86	2.83			0.31
38	23.7	26.5	2.7	9.49	96.71	3.16		0.13	
39	23.9	25	1.4	3.99	98.78	0.95			0.27
40	23	25.5	2.5	7.87	99.01	0.06	0.13	0.8	
41	24	26.5	1.4	5.05	99.28	0.5		0.22	
42	22.7	25.1	2	6.04	98.89	1.11			
43	23.9	25	2.7	9.05	99.4	0.52			0.08
44	23.5	24.2	1.1	3.69	97.88	2.02		0.1	
45	23.8	24.5	1	2.64	98.3	1.52	0.18		
46	25	28.5	1.5	5.67	99.83	0.17			
47	21	22.7	0.9	2.36	98.83	0.7	0.47		
48	26	28	1.7	6.64	99.11	0.89			

49	23	23.1	1.3	3.13	98.3	1.43	0.17	0.1	
50	23.5	24	0.9	2.45	98.27	1.58	0.15		
51	25	26	1.4	5.55	97.03	2.89			0.08
52	25	25.7	2.3	8.55	99.35	0.55		0.1	
53	23.9	25.2	1.5	5.45	99.63	0.37			
54	25	26.7	1.4	5.11	98.66	1.34			
55	25.1	26.5	1.5	5.44	97.42	2.58			
56	23.9	24.3	1.7	5.91	99.15	0.76		0.09	
57	21.7	24	1.2	3.16	97.54	2.3	0.16		
58	25.5	25.6	1.7	5.14	97.4	2.43			0.17
59	24.1	25.3	1.7	4.55	99.71	0.21		0.08	
60					98.42	1.49		0.09	
61					99.13	0.79		0.08	
62					99.65	0.25		0.1	
63					97.64	2.25		0.11	
64					98.35	1.48		0.09	0.08
65					99.6	0.4			
66					99.08	0.92			
67					97.27	2.48		0.08	0.17
68					98.74	1.26			
69					99.44	0.32		0.18	0.06
70					99.32	0.68			
71					99.24	0.76			
72					99.55	0.45			
73					97.45	2.21	0.16	0.08	0.1
74					98.83	1.17			
75					99.43	0.43		0.14	

76					96.45	2.94	0.29	0.11	0.21
77					98.76	0.98	0.26		
78					97.79	1.85			0.36
<p>ცხრილებში მოცემული ქიმიური ანალიზები შესრულებულია საქ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგ. ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) აშშ წარმოების თანამედროვე (2007 წ.) სპექტრალურ აპარატზე</p>									

ცხრილი II. თამარ მეფე					
N	შემადგენლობა %				
	Cu	Pb	Sn	Ni	Fe
1	99.01	0.79		0.2	
2	98.26	1.61			0.13
3	95.09	4.72	0.19		
4	98.39	1.61			
5	98.39	1.41		0.1	0.1
6	84.01	15.99			
7	96.93	2.74	0.17		0.16
8	98.92	1.08			
9	99.33	0.45			0.22
10	99.46	0.54			
11	99.53	0.38			0.09
12	97.3	2.7			
13	95.88	3.31		0.2	0.61
14	97.19	2.61		0.2	
15	99.71	0.29			
16	98.12	1.52	0.21	0.15	

ცხრილი V. ილდეგიზიდები (აზერბაიჯანი)					
N	შემადგენლობა %				
	Cu	Pb	Sn	Ni	Fe
1	98.5	1.42		0.08	
2	97.56	2.03	0.18	0.07	0.16
3	98.29	1.63			0.08
4	98.5	1.23		0.12	0.15
5	98.42	1.58			
6	99.51	0.42			0.07
7	99.5	0.41		0.09	
8	98.84	1.05			0.11
9	99.14	0.79			0.07
10	99.12	0.8		0.08	
11	98.85	0.75		0.11	0.29
12	99.11	0.7			0.19
13	98.2	1.61		0.19	
14	98.92	0.99		0.09	
15	99.65	0.26		0.09	
ცხრილი VI. ჯალალ ედ-დინი					

17	99.46	0.54			
18	96.96	2.54		0.5	
19	97.92	1.84		0.24	
<b>ცხრილი III            მეფე გიორგი IV ლაშა</b>					
21	98.87	1.13			
22	98.63	1.37			
23	99.49	0.51			
24	97.99	2.01			
25	96.59	3.41			
26	99.13	0.87			
27	83.64	13.13			3.23
28	96.7	2.47	0.74		0.09
29	98.82	0.1	0.26	0.82	
30	98.48	1.52			
31	97.65	2.35			
32	98.71	1.18			0.11
33	98.35	1.54			0.11
34	96.82	2.55			0.63
35	98.96	1.04			
36	95.1	4.49		0.19	0.22
37	96.06	3.94			
<b>ცხრილი IV.    ბაქარი</b>					
1	99.6	0.4			
2	99.03	0.9			0.07

1	95.81	0.91	3.21		0.07
2	95.37	1.36	3.27		
3	99.08	0.6			0.32
4	98.42	1.58			
5	97.86	1.44	0.7		
6	98.6	1.4			
7	99.68	0.32			
8	99.15	0.56	0.18	0.11	
<b>ცხრილი VII.    მეფე გიორგი III</b>					
	<b>Cu</b>	<b>Pb</b>	<b>Sn</b>	<b>Ar</b>	<b>Fe</b>
1	97.05	1.33	0.22	1.4	
2	96.67	2.44		0.89	
3	95.73	3.04	0.95		0.28
4	93.38	3.83	0.17	2.62	
5	81.36	17.34		0.75	0.55
6	99.37	0.63			
7	89.95	8.33		1.72	
8	68.22	30.66		1.12	
9	87.88	6.47	0.56	5.09	
10	90.17	8.94	0.89		
11	93.58	6.29			0.13
12	95.14	4.19		0.67	
13	97.48	0.75		1.77	
14	85.68	11.76		2.56	
15	88.3	0.99		10.71	
16	80.66	16.9		1.39	1.05

ტაბულა 1.



ტაბულა 2.



ტაბულა 3.






ტაბულა 4.



ტაბულა 5.



ტაბულა 6.



ტაბულა 7.



ტაბულა 8.



ტაბულა 9.



ტაბულა 10.



სურ 1.



სურ 2.




სურ 3.

სურ 4.



სურ 5.

სურ 6.





ერეკლე II-ს სახელის დაწერილობის შესახებ

მინდა შეგახსენოთ, რომ ქართული ნუმიზმატიკის შესწავლა დაიწყო XVIII საუკუნეში, როდესაც 1782 წ. ადლერმა ქ. რომში გამოაქვეყნა საქართველოში მოჭრილი მონეტა, სხვა აღმოსავლურ მონეტებთან ერთად.<sup>1</sup> მ. ბროსემ ვრცელი ნაშრომი ქართულ ნუმიზმატიკაზე 1835-1836 წლებში ორ ნაწილად გამოსცა: «Dissertation sur les monnaies Georgiennes etc». «Нумизматические факты Грузинского царства» გამოსცა მ. ბარათაევმა, 1844 წელს. მრავალი სტატია აქვს გამოცემული ასევე ი. ბართოლომეის, 1839-1861 წლებში. ვ. ლანგლუამ 1852 წ. გამოსცა ქართული ნუმიზმატიკის სისტემური მიმოხილვა, რომელზეც ე. ა. პახომოვი წერს: В. Ланглюа выпустил свои первый, крайне неудачный, систематически обзор монет Грузии, повторив в нем большинство ошибок кн. Баратаева и других предшественников. 1910 წ. გამოიცა ე. ა. პახომოვის ფუნდამენტალური მონოგრაფიის «Монеты Грузии» პირველი ტომი. 1970 წელს დაიბეჭდა დ. კაპანაძის მიერ რედაქტირებული ე. ა. პახომოვის სრული ნაშრომი, რომელიც დღემდე აქტუალურია. 1969 წ. დაიბეჭდა დ. კაპანაძის დიდი ნაშრომი «ქართული ნუმიზმატიკა», როგორც დამატებითი სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის.

ცხადია, კვლევები ამ ნაშრომების შემდეგ არ შეწყვეტილა. ქართველი და უცხოელი მკვლევარები შეისწავლიან საქართველოს ნუმიზმატიკურ ძეგლებს და აქვეყნებენ წიგნად ან სტატიების სახით.

მინდა შემოგთავაზოთ ჩემი კვლევა ერეკლე II-ს (1762-1798 წ.) სახელის დაწერილობის შესახებ და ამისათვის გადავხედოთ, როგორ კითხულობენ ჩვენი წინამორბედი მკვლევარები ერეკლე II-ს სახელს მის მონეტებზე.

მ. ბარათაევი ერეკლე II-ს სახელს შემდეგნაირად კითხულობს:

ე რ ე კ ლ ე<sup>2</sup>

1. 2. 3.

e P e K L e (Ираклий)

e R e C L e (Heraclius)



ანუ ბარათაევი ექვსი ასოს მაგივრად ერეკლეს სახელის ქარაგმაში კითხულობს მხოლოდ სამ ასომთავრულ ნიშანს rkl (რკლ). ამ ქარაგმის ასეთი წაკითხვა უეჭველად შეცდომაა.

ე. ა. პახომოვი ამ მონეტებს შემდეგნაირად კითხულობს:

№ 138. АЕ, шаури, d = 38 - 40mm., p = 44,9 grm.

Лиц. Ст. – В ободке из двух гладких кругов и цепи звезд между ними, вписана четырехосевая розетка, в центральном квадрате которой помещена легенда асомтаврули, с

<sup>1</sup> (Е. А. Пахомов, Монеты Грузии Тбилиси, 1970г. gv.6).

<sup>2</sup> М. Баратаев. Нумизматические факты Грузинского царства. Разряд IV, ст. 11

титлом над нею: erkle = erekle т.е. Эрекле (Ираклий). оба е слиты с соседними буквами в монограммы. В двух верхних сегментах украшения, а в двух нижних: Еπδ 9 // 11 ჳბჟჟN 7 / т.е чекан Тифлиса. 1179

როგორც ვხედავთ, პახომოვი ქარაგმაში ხედავს მხოლოდ ხუთ ასოს, მეორე «ე»-ე ასოს მხოლოდ ვირტუალურად ამატებს წაკითხვისას. შემდეგი მონეტა, №141 მან ასე აღწერა:



№ 141. АЕ, полубисти, d = 22 - 24mm., p = 8.0 - 8.75 grm.


Лиц. Ст. – В фигурном овале имя Ираклия, как на №№ 138 – 140: erkle с титлом наверху (оба е слиты с соседними буквами); по сторонам овала – по крупной звезде. Ниже, под горизонтальной чертой, в две строки: /117 ჳბჟჟN 9/Еπδ т.е чекан Тифлиса, ободок гладкий. Диаметр матрицы около 25 mm.

ამ შემთხვევაშიც, პახომოვი ქარაგმაში კითხულობს მხოლოდ ხუთ ასოს-«erke»-«ერკლე» და წაკითხვისას არ ამატებს მეორე «ე»-ე ასოს.

ე. ა. პახომოვის მიერ აღწერილ ერეკლეს შაურს-№138 დ. კაპანაძემ აღწერს შემდეგნაირად:


№211. შუბლი: რთულ ჩარჩოში მოთავსებული ბაგრატიონთა საგვარეულო დერბი: გვირგვინი, სფერო, სკიპტრა და მახვილი; ზურგი: სხვადასხვა მოყვანილობის ჩარჩოში მოთავსებული მეფე

ერეკლეს სახელი ასომთავრულად: ქვემოთ სპარსულად: „იჭედათბილისს 1179“ (=1765-66)<sup>1</sup>



როგორც ვხედავთ, დ. კაპანაძემ გვერდი აუარა ერეკლეს სახელის ქარაგმის წაკითხვას და ყველაფერი ისევე ბუნდოვანი დატოვა როგორც მისმა წინამორბედებმა.

განვიხილოთ ერეკლე II ორი მონეტა: შაურიანი რომელიც ქ. სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო ერმიტაჟის კოლექციაშია, ინვენტარი №14522, სურათი 1 და ბისტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექცია, ინვენტარი №5308, სურათი 2.



<sup>1</sup> დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. 1969 წ. გვ. 151.



სურათი 1.

შაურიანის შუბლზე გამოსახულია ასომთავრული ქარაგმა, რომელიც სამი ბლოკისაგან შედგება, თითოეულ მათგანში გაერთიანებულია ორი ასო, ერთი ხმოვანი და ერთი თანხმოვანი. იხ სურათი 3.




სურათი 3.

სწორედ ამ სამმა ბლოკმა შეიყვანა შეცდომაში მ. ბარათაევი და ანალოგიური ქარაგმა წაიკითხა სამ ასომთავრულ ასოდ: «rkI» - «რკლ». ე. ა. პახომოვმა, რატომღაც, ანალოგიური ქარაგმა წაიკითხა როგორც ხუთი ასომთავრული ასო: «erkle» - «ერკლე». დ.კაპანაძემ ამ ქარაგმას სათანადო ყურადღება არ დაუთმო. მოდი, დავშალოთ ქარაგმა და ასო-ასო წავიკითხოთ მასზე გამოსახული ასომთავრული ნიშნები. სურათი 4.



სურათი 4.

პირველ ბლოკში კარგად იკითხება ერეკლეს სახელის მეორე ასო «რ»-«რ». ამ ასოს დაწერილობა ეჭვს არ იწვევს. სურ. 4. ნახ. 3. სახელის პირველი ასო, რომელიც წაიკითხულია როგორც «e»-«ე» სინამდვილეში უნდა იყოს ასო «i»-«ი», რადგან ამ ასოს გრაფიკულ გამოსახულებას აკლია ზედა ჰორიზონტალური ხაზის ცენტრიდან ქვემოთ მიმართული მოკლე ვერტიკალური ხაზი. სურ. 4. ნახ. 2. თუ ვნახავთ ამავე პერიოდში მოჭრილ გიორგი XII-ს მონეტის ასევე დაშლილი ქარაგმის ბოლო ასოს, რომელიც უდაოდ უნდა იყოს ასო «i»-«ი», ყოველგვარი ეჭვი იფანტება. სურ. 5. ნახ. 6.



სურათი 5.


მეორე ბლოკში გაერთიანებული ორი ასოდან კარგად იკითხება ასო «k»-«კ». სურ. 4. ნახ. 5. ასოების ამ ბლოკის გრაფიკას აქვს მარცხენა მხრიდან ცენტრში მცირე შვერილი, რომელიც იხრება ქვევით და მალევე მთავრდება მსხვილი წერტილით ბოლოში. როდესაც მას ვაცილებთ «k»-«კ» ასოს, მარცხენა

ნაწილს ქარაგმიდან იკითხება ასო «ა»-«ა». სურ. 4. ნახ. 4. ამგვარად, ქარაგმის ორი ბლოკიდან მივიღეთ ოთხი ასომთავრული ნიშანი «irak»-«ირაკ». მესამე ბლოკში უკვე თავისუფლად შეგვიძლია ამოვიკითხოთ ასოები «ს»-«ლ» სურ. 4. ნახ. 6. და «ი»-«ი» სურ. 4. ნახ. 7. სახელის ბოლო ასო «ი»-ს გრაფიკა სახელის პირველი ასოს აბსოლუტურად იდენტურია. ამგვარად, ვღებულობთ სრულ წარწერას მონეტაზე: «irakli»-«ირაკლი». სურ. 4. ნახ. 8.

განვიხილოთ ერეკლე II-ს კიდევ ერთი მონეტა, სურათი 2. ამ ტიპის მონეტებზე ქარაგმა უფრო გაშლილია და ცალკეული სამი ბლოკი უფრო დამაჯერებლად მოსჩანს. ასევე კარგად და დამაჯერებლად მოაჩნს მეორე ბლოკში ასო «ა»-«ა». სურ. 6. ნახ. 4. ყველა ასო ზუსტად ისეა განლაგებული, როგორც შაურიანზე. სურათი 3. ერეკლე II მესამე ტიპის მონეტის ქარაგმაც ამ მონეტების იდენტურია და ზუსტად იმეორებს მათ გრაფიკას. სურათი 7. წარმოდგენილი მასალის მიხედვით, დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერეკლე II მონეტებზე მოთავსებული ქარაგმა



სურათი 2.



სურათი 6.



სურათი 6.

იკითხება როგორც «irakli»-«ირაკლი» და არა «erekle»-«ერეკლე».

ქართულ ნუმიზმატიკურ მასალებში არის მონეტების ისეთი ცალები, სადაც წარწერები არასწორადაა შესრულებული (შემობრუნებული ასოები, სარკისებურად შესრულებული წარწერა, ან შეცდომით დაწერილი e-i ,e-v). ყველაზე ხშირად მსგავს შეცდომები ქართულ-ბიზანტიური ტიპის ვერცხლის მონეტებზე გვხვდება. შეცდომები ჩნდება ხანდახან შუა სუკუნეების მონეტებზე (XII-XIII ს.) და დაკნინებულ მონეტებზე (XIV-XVI ს.). არის ასევე ცნობილი ბაქარის მონეტა, სადაც არაბული ზედწერილი სარკისებურად იკითხება. ყველა ეს შეცდომა შეგვიძლია მივაწეროთ სიქის მომჭრელს, რადგან ეს მონეტები მხოლოდ ცალებია და არ წარმოადგენს რამე სამონეტო ტიპს.

ერეკლე II-ს მონეტებზე შეცდომები ჩნდება მხოლოდ თარიღის დაწერილობისას, სადაც ევროპული თარიღი არ ემთხვევა ჰიჯრით მოცემულ თარიღს. დანარჩენ შემთხვევებში ერეკლე II-ს მონეტების სიქები უზადოდაა

შესრულებული, ქარაგმის გრაფიკული გამოსახულება სამივე ტიპის მონეტაზე ყოველთვის სტანდარტულად ერთნაირია.

არ შეიძლება არ ვახსენოთ გეორგიევსკის ტრაქტატი, სადაც მეფე ერეკლე II მოხსენებულია როგორც ირაკლი: “აზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, .....“.

*მადლობას ვუხდით ბატონ ირაკლი ფაღაფას  
კოლეგიალური მხარდაჭერისათვის.*

გამოყენებული ლიტერატურა:

М. Баратаев Нумизматические факты Грузинского царства. Санктпетербург 1844 г.

Пахомов Е. А. Монеты Грузии. Тбилиси. 1970.

დავით კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი 1969.

რეცენზია

ბუჩაკა შილიკაშვილის წიგნზე „ბანკოტები და ფასიანი ქაღალდები საქართველოში“

„ბანკოტები და ფასიანი ქაღალდები საქართველოში“ დაისტამბა ქუთაისში 2015 წელს და მიეძღვნა ქართული ლარის გამოშვების 20 წლისთავს.

წიგნი შედგება 8 თავისაგან: პირველ თავში წარმოდგენილია რუსეთის იმპერიის საკრედიტო ბილეთები, მეორე თავში დროებითი მთავრობის ფული, მესამე-ამიერკავკასიის კომისარიატის ბონი, მეოთხე თავი ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონებს, მეხუთე თავი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ფულად ნიშნებს, მეექვსე თავი სსრკ ბანკოტებს, მეშვიდე თავი-საქართველოს რესპუბლიკის კუპონებს, ხოლო მერვე თავი ქართულ ლარს. ნაშრომში წარმოდგენილი ქაღალდის ფული მოიცავს 1882-2000 წწ. ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ტექსტი სრულად არის წარმოდგენილი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რაც საშუალებას იძლევა ამ საფუძვლიანი შრომის გაცნობისა საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

წიგნს თან ერთვის მდიდარი საილუსტრაციო მასალა – 321 ფერადი ფოტო, რომლებზეც გამოსახულია სხვადასხვა ეპოქის ქაღალდის ფული, ბანკოტები, ფასიანი ქაღალდები, აქციები, დოკუმენტები. აგრეთვე საკითხის ძირითადი ბიბლიოგრაფია. ნაშრომს ამშვენებს გ. ფილიპაშვილის ბიოგრაფია და ფოტოები პირადი არქივიდან. ამ ფრიად მნიშვნელოვანმა გამოცემამ ობიექტურად დაიმსახურა სპეციალისტების მაღალი შეფასება და აღიარებული იქნა როგორც ღირსშესანიშნავი მოვლენა ქართულ ბონისტიკაში. ნაშრომი უდავოდ საგულისხმო შენაძენია ბონისტიკით დაინტერესებული მეცნიერებისა თუ ფართო საზოგადოებისათვის.

## არქეოლოგიის დაუღალავი მკვლევარი

2017 წელს აღინიშნა ცნობილი ქართველი არქეოლოგის და სამუზეუმო მოღვაწის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის სერგო ნადიმაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი. სერგო ნადიმაშვილი შიდა ქართლსა და მის მიმდებარე რეგიონებში ჯერ კიდევ 1930-იან წლებში აწარმოებდა საველე ძიებით კვლევებს, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების და არქეოლოგიური ძეგლების აღმოსაჩენად. წლების მანძილზე მის მიერ ქართლში გამოვლენილი და აღნუსხული იქნა ისტორიული, არქეოლოგიური და ხელოვნების 2500-მდე ძეგლი (მათ შორის 327 მიწისქვეშა არქეოლოგიური ძეგლი). სერგო ნადიმაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, ცხინვალის სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რომლის დირექტორი იყო თითქმის 50 წელი (1952–2001).



სერგო ილიას ძე ნადიმაშვილი დაიბადა 1917 წლის 28 ოქტომბერს (ძვ. სტ.) გორის მაზრის სოფ. ტყვიავში. 1925 წ. ს. ნადიმაშვილმა სწავლა დაიწყო თბილისის მეორე საცდელ-სანიუმო სკოლაში, ხოლო 1932 წელს სწავლა გააგრძელა ამიერკავკასიის გეოლოგიურ ჰიდრო-გეოდეზიურ ტექნიკუმში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1936 წელს. 1934 წელს ს. ნადიმაშვილი მონაწილეობდა ძამის გეოლოგიური კვლევითი პარტიის მუშაობაში (ხელმძ. პროფ. პეტრე გამყრელიძე). 1935 წელს კი მონაწილეობა მიიღო აგარაკის სპილენძ-მოლიბდენის მოსინჯვით გეოლოგიური პარტიის მუშაობაში (ხელმძ. გ. შონია). ამავე წელს, საქართველოს მხარეთმცოდნეობის საზოგადოების დავალებით, ს. ნადიმაშვილი პატარა და დიდი ლიახვის ხეობებში აწარმოებდა ფეოდალური ხანის ძეგლთა ფიქსაცია-აღწერას; 1936-41 წწ. ასეთსავე მუშაობას ეწეოდა შიდა ქართლში, შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმის დავალებით.

1936 წელს სერგო ნადიმაშვილმა, აკად. ივანე ჯავახიშვილის და ლევან მუსხელიშვილის რეკომენდაციით, მონაწილეობა მიიღო თრიალეთის ცნობილი არქეოლოგიური ექპედიციის მუშაობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკად. ბორის კუფტინი. ამ დროიდან ს. ნადიმაშვილი აკად. ბ. კუფტინის თითქმის ყველა ექსპედიციის აქტიური მონაწილე იყო (1936-52). 1938 წლიდან 1952 წლამდე ს. ნადიმაშვილი იყო არქიტექტურულ საქმეთა სამმართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების რწმუნებული გორის რაიონსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“. 1938-41 წწ. ს. ნადიმაშვილი მუშაობდა გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, უმცროს მეცნერ თანამშრომლად. 1938 წელს იგი მუზეუმის დავალებით შიდა ქართლის ტერიტორიაზე აწარმოებდა საველე არქეოლოგიურ კვლევას და ეს მუშაობა გააგრძელა 1940-იან წლებშიც, რის შედეგადაც მრავალი უცნობი არქეოლოგიური ძეგლი გამოავლინა ქართლში. ს. ნადიმაშვილის მიერ მიკვლეულ არქეოლოგიურ ძეგლზე – ტყვიავის ყორღანი „ხარის გორა“ 1938 და 1940 წლებში, გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ს. მაკალათიას

ხელმძღვანელობით და ს. ნადიმაშვილის მონაწილეობით, წარმოებულ იქნა არქეოლოგიური გათხრები და გამოვლინდა ძვ. წ. III ათასწ. II ნახ. დასაწყისის სამარხები.

1938-39 წწ. ს. ნადიმაშვილი სწავლობდა გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდგომ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე (1939-1942).

გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა სერგო ნადიმაშვილი 1939 წელს მიაგვლინა მდ. ფრონის, ძამის, ლიახვის ხეობებში, ნატახტარ-გორის გზის მშენებლობაზე, სადაც მან მრავალი უცნობი ყორღანული სამარხი, ნეკროპოლი და ნამოსახლარი დააფიქსირა, ასევე შეკრიბა მოსახლეობაში არსებული ცალკეული არქეოლოგიური ნივთები, რითაც გაამდიდრა მუზეუმის ფონდები. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს დავალებით, 1939 წელს ს. ნადიმაშვილმა გორის ციხეზე ჩაატარა საზონდაჟო, დაზვერვითი გათხრები (გორის ციხის რესტავრაციასთან დაკავშირებით) ციხის სამხრეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებზე. გორის ციხის მთავარი ჭიშკრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, 7,5 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა ელინისტური და რომაული ხანის (ძვ. წ. II-I – ახ. წ. I სს.) კულტურული შრეები. იქვე აღმოჩნდა იქნა ფეოდალური ხანის (VI–XVIII) მატერიალური კულტურის ნაშთები. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მოზღვავებული მიწის ნაყარში აღმოჩნდა ანტიკური ხანის ლეგა ფერის კერამიკის ნიმუშების ფრაგმენტები და წვრილმარცვლოვანი, მონაცრისფრო ქვიშა-ქვის კაპიტელი, ქალის თავის ჰორელიეფური გამოსახულების ფრაგმენტი. 1940 წელს ს. ნადიმაშვილი მონაწილეობდა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში (ექსპედიციის ხელმძღვანელი – აკად. ბ. კუფტინი). 1941-42 წწ. სერგო ნადიმაშვილი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და აკად. ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით კამერალურად ამუშავებდა თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოძიებულ არქეოლოგიურ მასალებს.

გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დავალებით, 1943 წლის ნოემბერში ს. ნადიმაშვილმა შიდა ქართლში, კერძოდ ტირიფონის ველზე, გამოავლინა და აღრიცხა მრავალი არქეოლოგიური ძეგლი: ყორღანები, ნამოსახლარები, ნეკროპოლები. მან მოსახლეობაში მოიძია შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, ასევე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რითაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა მუზეუმის ფონდები. სერგო ნადიმაშვილმა 1944-45 წლებში მონაწილეობა მიიღო გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ მოწყობილ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მდ. ფრონის ხეობაში (ექსპედიციის ხელმძღვ. პროფ. ს. მაკალათია). სოფ. დვანში გაითხარა ძვ. წ. VII–VI სს. სამაროვანი. ამავე წლებში პარალელურად მუშაობდა ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების გამგედ. 1945 წელს (ავვისტო–ნოემბერი) ს. ნადიმაშვილი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მარშრუტულ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მეცნიერ მუშაკად, სამხრეთ ოსეთსა და ზემო იმერეთში (ექსპედ. ხელმძ. აკად. ბ. კუფტინი). 1946 წელს გორის ციხეზე მეწყერის შედეგად გამოჩნდა ციხის ძველი კედლის ნაშთები. ს. ნადიმაშვილის მიერ გამოვლინდა ქვიშაქვის კვადრებით მოპირკეთებული ალიზის კედელი, შავი და ლეგა ფერის კერამიკის სხვადასხვა ფრაგმენტები (ძვ. წ. I ათასწ. II–I). 1946 წელს სერგო ნადიმაშვილმა მუშაობა განაგრძო აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, მეცნიერ თანამშრომლად. მან მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის მიერ მოწყობილ არქეოლოგიურ ექსპედიციებში თრიალეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“, კერძოდ: 1946 წ. – ცხინვალის „ნაცარგორას“, 1947 წ. – თრიალეთში „ხადიკის ყორღანის არქეოლოგიურ გათხრებში. 1950-51 წწ. ს. ნადიმაშვილი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ.



ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის და სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილედ (ხელმძღ. აკად. ბ. კუფტინი).

1952 წელს სერგო ნადიმაშვილი დაინიშნა გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორად. იმავე წელს მისი ხელმძღვანელობით მუზეუმში გაიხსნა მხარის უახლესი ისტორიის სტაციონარული ახალი ექსპოზიცია, რომელზეც წარმოდგენილი იყო რეგიონში დაბადებულ გამოჩენილ ადამიანთა მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

1953 წელს გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა ურბნისში, „ხიზანაანთ გორაზე“, მუზეუმის დირექტორის სერგო ნადიმაშვილის ხელმძღვანელობით ჩაატარა საზონდაჟო არქეოლოგიური გათხრები (ძეგლის აზომვა და ფოტოფიქსაცია – არქიტექტორი ვლადიმერ წილოსანი). აქ, 24 კვ. მ ფართობზე გამოვლინდა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი, სადაც აღმოჩნდა ადრებრინჯაოს პერიოდის ხელით ნაძერწი კერამიკის ნიმუშები, დანახშირებული მარცვლეული და ყურძნის წიპწები, ასევე სხვა არქეოლოგიური მასალა. ამ აღმოჩენამ დაადასტურა ძველ ისტორიულ წყაროთა ცნობები საქართველოს, როგორც უძველესი მიწათმოქმედების და მევენახეობის კულტურის კერის შესახებ. არქეოლოგიური მასალის კამერალური დამუშავების შემდეგ (რესტავრატორები – ოლია კიროვა, ტატიანა შვეიაკოვა, ოსტეოლოგიური მასალის მკვლევარი – ანასტასია ციციშვილი), ს. ნადიმაშვილმა მოამზადა მოხსენება შიდა ქართლის ადრებრინჯაოს ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ, რომელიც 1955 წლის 4 მაისს წაიკითხა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ქ. ლენინგრადის განყოფილების შუა აზიის და კავკასიის სექტორის სხდომაზე. მოხსენებას დიდი შეფასება მისცეს აკად. ვ. სტრუვემ, პროფ. ბ. პიოტროვსკიმ, პროფ. ა. იესსენმა, მოწვეულმა სტუმრებმა: აკად. ნ. მეშჩანინოვმა, ისტ. მეცნ. დოქტორმა ა. ოკლანდნიკოვმა. 1955 წლის 21 მაისს ქ. მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ნეოლითის და ადრებრინჯაოს სექტორის სხდომაზე ს. ნადიმაშვილმა წაიკითხა მოხსენება გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ გაწეული არქეოლოგიურ კვლევის შედეგების შესახებ. ს. ნადიმაშვილმა ეს მოხსენება აგრეთვე წაიკითხა: საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის სექტორის სხდომაზე (20. 05. 1955), ალ. პუშკინის სახელობის მოსკოვის სახვითი ხელოვნების მუზეუმის ძველი აღმოსავლეთის განყოფილების სხდომაზე (26. 05. 1955), აკად. ტიმირიაზევის სახ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბოტანიკის კათედრის სხდომაზე (27. 05. 1955).

1956 წელს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ქ. მოსკოვში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე გახდა. იქ, საქართველოს პავილიონში მოეწყო სოფ. ურბნისში, „ხიზანაანთ გორაზე“ აღმოჩენილი ძვ. წ. III ათასწლეულის არქეოლოგიური მასალის ამსახველი ფოტო-გამოფენა სახელწოდებით – „საქართველო – მევენახეობის და მარცვლეული კულტურების ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა“. გამოფენის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მუზეუმის დირექტორი, არქეოლოგი ს. ნადიმაშვილი, რომელიც დაჯილდოვდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბრინჯაოს მედლით.

1956 წლის 7 აპრილს ქ. ლენინგრადში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ლენინგრადის განყოფილების სამეცნიერო სესიაზე ს. ნადიმაშვილმა წაიკითხა მოხსენება გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ შიდა ქართლში ადრებრინჯაოს ხანის ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის შესახებ. 1956 წლის 19 აპრილს ს. ნადიმაშვილმა შიდა ქართლის და, კერძოდ, „ხიზანაანთ გორას“

არქეოლოგიური შესწავლის შედეგებზე მოხსენება წაიკითხა ქ. ლენინგრადში, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის მემცენარეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მარცვლეულ კულტურათა განყოფილების სამეცნიერო-საწარმოო თათბირზე. 1956 წლის 5 მაისს ს. ნადიმაშვილმა ქ. მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ნეოლითის და ბრინჯაოს სექტორის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება შიდა ქართლის არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაციის შესახებ.

1956 წლის შემოდგომაზე გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა მუზეუმის დირექტორის, არქეოლოგ ს. ნადიმაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო უძველესი ნასოფლარ-ნაქალაქარის, „გუდაბერტყა-ციხიაგორას“ არქეოლოგიური გათხრები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ გათხრების საერთო ხელმძღვანელად დაინიშნა აკად. შალვა ამირანაშვილი. 1957 წლის 9 მარტს ს. ნადიმაშვილმა „გუდაბერტყა-ციხიაგორას“ 1956 წლის გათხრების შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს მიერ ჩატარებულ სემინარზე. 1957 წლის აპრილში ს. ნადიმაშვილი „გუდაბერტყა-ციხიაგორას“ 1956 წლის გათხრების შედეგების შესახებ მოხსენებით წარსდგა ქ. მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის პლენუმზე და იმავე ინსტიტუტის ნეოლითის და ბრინჯაოს სექტორის სხდომაზე (06. 04. 1957). 1957 წლის 18 აპრილს ს. ნადიმაშვილმა „გუდაბერტყა-ციხიაგორას“ 1956 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგების შესახებ მოხსენება წაიკითხა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების შუა აზიის და კავკასიის სექტორის სხდომაზე. „გუდაბერტყა-ციხიაგორას“ 1956 წლის გათხრების შედეგების შესახებ ს. ნადიმაშვილმა მოხსენება წაიკითხა მემცენარეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მარცვლეულ კულტურათა განყოფილების სამეცნიერო-ტექნიკურ თათბირზე (ქ. ლენინგრადი, 22. 04. 1957). სხდომაზე დამსწრე მეცნიერებმა დიდი შეფასება მისცეს გუდაბერტყა-ციხიაგორაზე ძვ. წ. III ათასწლეულის მარცვლეული კულტურების: ხორბლის სხვადასხვა ჯიშის, ქერის და, განსაკუთრებით, ჭვავის უძველესი ნიმუშების აღმოჩენას.

1961 წლის 11 მაისს ჩატარდა გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის II (დილის სხდომა) და III (სადამოს სხდომა) სამეცნიერო სესია, მიძღვნილი მუზეუმის დაარსებიდან 25-ე საიუბილეო თარიღთან. სესიებზე მოხსენებებით გამოვიდა მუზეუმის დირექტორი ს. ნადიმაშვილი.

1961 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე ს. ნადიმაშვილმა წაიკითხა მოხსენება უძველეს ნასოფლარ-ნამოსახლარ „გუდაბერტყა-ციხიაგორაზე“ 1956 და 1960 წლებში გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგების შესახებ. 1961 წელს გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელი – აკად. შ. ამირანაშვილი, გათხრების ხელმძღვანელი – ს. ნადიმაშვილი) „გუდაბერტყა-ციხიაგორას“ ნასოფლარ-ნამოსახლარზე მიაკვლია სამაროვანს და მარცვლეულის შესანახ ორმოებს. ს. ნადიმაშვილმა ამ აღმოჩენათა შესახებ 1962 წლის 5 ივლისს მოხსენება წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე.

1963 წელს გორის ახალგაზრდა მწერალთა კრებულში „ლიახვი“ დაიბეჭდა ს. ნადიმაშვილის სამეცნიერო ნაშრომი „გუდაბერტყა-ციხიაგორა“. 1966 წელს გორის

სალიტერატურო კრებულში „ლიახვი“ დაიბეჭდა ს. ნადიმაშვილის სამეცნიერო გამოკვლევა „ობსიდიანის ეტიმოლოგიისათვის ქართულში“.

1967 წლის 20 დეკემბერს გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ს. ნადიმაშვილი სსრკ კულტურის სამინისტროს მიერ დაჯილდოვდა სამკერდე ნიშნით – „საუკეთესო მუშაობისთვის“. 1968 წლის 2 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორს, ს. ნადიმაშვილს მიანიჭა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

1971 წელს გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა ს. ნადიმაშვილის ხელმძღვანელობით უძველეს ნასოფლარ-ნამოსახლარზე – „გუდაბერტყა-ციხიაგორა“ ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები (გათხრების საერთო ხელმძღვანელი – აკად. შ. ამირანაშვილი). „გუდაბერტყა ციხიაგორაზე“ სერგო ნადიმაშვილმა არქეოლოგიური კვლევა-ძიება განაგრძო 1978-79 წწ. სექტემბერ-ნოემბერსა და 1989 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

წლების მანძილზე სერგო ნადიმაშვილი კონსულტაციებს უწევდა მეცნიერებს, ასპირანტებს, საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს, შიდა ქართლის ისტორიისა და არქეოლოგიის სხვადასხვა საკითხების შესახებ.

გაზეთ „ეკო დაიჯესტის“ 2000 წლის 18 მაისის ნომერში დაიბეჭდა სტატია გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის და მისი დირექტორის, სერგო ნადიმაშვილის სამეცნიერო და სამუზეუმო საქმიანობის შესახებ.

2001 წლის ნოემბერში საქართველოს კულტურის ფონდის მიერ (ფონდის თავმჯდომარე – მერაბ ბერძენიშვილი) გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კონსულტანტი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, არქეოლოგი სერგო ნადიმაშვილი წარდგენილი იქნა აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიაზე.

2002 წლის 18 თებერვალს გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კონსულტანტი, ს. ნადიმაშვილი მიიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამართულ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა აკად. ბორის კუფტინის დაბადებიდან 110 წლისთავს. ს. ნადიმაშვილი სესიაზე სიტყვით გამოვიდა აკად. ბორის კუფტინის და მისი მეუღლის, ჰიანისტ ვალენტინა სტეშენკო-კუფტინას ცხოვრება-მოდგაწეობის შესახებ.

სერგო ნადიმაშვილი გარდაიცვალა 2009 წლის 22 დეკემბერს, ქ. თბილისში.

2016 წელს ქ. გორის ს. მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა გამოსცა სერგო ნადიმაშვილის სამეცნიერო მოხსენებათა ერთი ნაწილის კრებული – „ქართლის არქეოლოგიური ძეგლები“.

2017 წლის 10 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ჩატარდა სერგო ნადიმაშვილის დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სერგო ნადიმაშვილს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, წარმოჩენისა და დაცვის საქმეში.

## დიმიტრი ერმაკოვის წერილები ბრაზინია პრასკოვია უვაროვასადმი

### შესავალი

დიმიტრი ერმაკოვის საავტორო ფოტოანაბეჭდებისგან განსხვავებით, რომლებიც ათასობით არის შემონახული საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში და კერძო კოლექციებში, მისი ხელნაწერი წერილები ძალიან ცოტაა გადარჩენილი სრულიად გასაგები მიზეზით.

ჯერჯერობით მიკვლეულია დ.ერმაკოვის 10 ფაქსიმილური წერილი მოსკოვში სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. წერილების ადრესატია მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე გრაფინია პრასკოვია უვაროვა. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ამ წერილების მიკროფილმები (იხ. პრასკოვია უვაროვას ფონდი 62,63,64,65,66,67,68, 69,70,71.).

ცნობილია, რომ დ.ერმაკოვი ხშირად ასრულებდა “მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების” და მისი თავმჯდომარის გრაფინია პ. უვაროვას დავალებით ისტორიული, არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების და იქ დავანებული საეკლესიო ნივთების და წიგნების ფოტოგრაფიულ ფიქსაციას. სწორედ ამ ფოტოფიქსაციასთან დაკავშირებული თანამშრომლობის ფაქტებს ასახავს დ. ერმაკოვის ფაქსიმილური წერილები.

წერილებში მოხსენიებული არიან მეცნიერები: დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ლევ ლოპატინსკი და სხვ.

წერილები დაწერილია 1892 და 1911 წლებს შორის. ზოგიერთი შესრულებულია დ. ერმაკოვის სატიტულო ფურცელზე.

წერილები საკმაოდ ლაკონურია, რაც მათი საქმიანი ხასიათითაა განპირობებული. დ.ერმაკოვი მისთვის დამახასიათებელი სიზუსტით მოახსენებს პ. უვაროვას შესრულებული ფოტო სამუშაოების და მათი ფინანსური მხარეების შესახებ, რაც თავისთავად უტყუარი და მნიშვნელოვანი ცნობებია.

ჩვენს მიერ შესწავლილი ათივე წერილი შესრულებულია დიმიტრი ერმაკოვის მიერ გაკრული ხელით, რაც მეტ-ნაკლებად ართულებდა ტექსტის ზუსტ წაკითხვას.

მიუხედავად ამისა, დ. ერმაკოვის კალიგრაფიის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩვენს მიერ მოხერხდა ყველა წერილის სრული ამოკითხვა.

მკითხველს წერილებს ვთავაზობთ უმნიშვნელო ცვლილებებით, თანამედროვე რუსული ენის გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით.

Ваше Сиятельство,

При жизни Д.З. Бакрадзе, много было сделано по его поручению для Вашего Сиятельства фотографических снимков с древних находок, кажется в Сухум Кале, изображавших бронзовые предметы. Не припомню хорошо, почему часть предметов этих осталось у меня, а именно:

1. Бронзовое ко(п)ье
2. «-----» ятагань
3. рукоятка сабли
4. глиняный горшок

За высланные Вашему Сиятельству снимки мне следовало получить 18 руб., которых я не получил.

Доводя до Вашего сведения об имеющихся у меня предметах древности, прошу приказать к(ому) их передать, или выслать.

А так же, от кого могу по(лу)чить следуемые мне 18 (руб.).

С истинным почтением и таковою же преданностью

Имею Честь быть Вашего

Сиятельства покорной слугой

25<sup>го</sup> января (18)92 г.

Д. Ермаков Тифлиси

Тифлиси, Марта 15 дня 1905 г.

Ваше Сиятельство,

Милостивая Государыня

Прасковья Сергеевна!

Высланные Вам г. Такаишвили, Оконский образъ и Тбетское евангелие, те самые, которые я должен был выслать Вам. Он взял у меня с тем, что бы сделать описания и вернуть обратно мне. Но, почему то он предпочел выслать Вам.

На лето у меня есть приглашение архитекторов. Но, так как от Вас не имею ответа относительно моей командировки, я не смею ее принять, а потому покорнейше прошу Ваше Сиятельство не отказать уведомить меня состоится ли моя командировка?

С совершенным почтением

Д. Ермаков

Тифлиς, Марта 26 дня 1905 г.

Ваше Сиятельство,  
Милостивая Государыня  
Прасковья Сергеевна!

Желая услужить Вам, я посылаю еще одну коллекцию из 22 снимков – Оконский образ и Тбетское евангелие. Еще раз повторяю, г. Такаишвили взял у меня 22 снимка для описания и должен был их вернуть мне для отправки Вашему Сиятельству. Почему он отправил снимки сам, а не передал мне, как это было условлено, когда он брал их от меня, я не умею Вам сказать. Деньги за снимки Оконского образа и Тбетского евангелия я получил, но только за первые снимки, а за посланные не получал и не знаю кому их поставить в счет?

С совершенным почтением,  
Д. Ермаков

Тифлиς, Мая 24 дня 1907 г.

Ваше Сиятельство,  
Прасковья Сергеевна!

Имею честь сообщить Вам, что уже заказанные Вами снимки я сделал, как в Тифлисе в Метехском замке, церковь, равно и Мцхетские три церкви. Осталось снять в церкви Пресвятого Креста на скале против Мцхета, три иконы на алтарной стене для которых мне нужно сделать леса, так как они (находятся) очень высоко. Не откажите выслать обещанный 27<sup>го</sup> прошлого апреля аванс в сто руб.

Не найдете ли Ваше Сиятельство возможным отпустить мне 500 руб. на поездку с г. Такаишвили в Тортумский округ, куда он выезжает 1<sup>го</sup> июля.

За эти деньги я обещаю Вам привезти 200 снимков. Я уже был там 20 лет тому назад, когда был еще мокрый способ фотографирования. Эти три церкви Эешкь Ванкь, Хахо Ванкь и Ишхан Ванкь, это что то особенное, как по архитектуре, так же и (по) орнаментам высшей степени красивый. Их нужно снять детально, я уверен что снимков придется сделать до 300. Вам каждая стоимость обойдется по 2 р. 50 к. Зная всю пр(елесть) этих снимков, я охотно в Тифлисе закрою свою фотограафию на полтора месяца. По получению моего письма, если Вы прими(те) мое предложение, прошу Вас телеграфировать мне Ваше согласие, дабы я мог ра(спо)рядится заранее приготовиться к отъезду.

С совершенным почтением  
Д. Ермаков

Тифлиς, Сентябрь 22 дня 1910 г.

Императорскому Археологическому обществу в Москве

Имею честь сообщить, что нынешним летом, Е.С. Такаишвили, Архитектор С.Г. Клдияшвили и я совершили путешествие по Сванетии где снято много церквей, образов, церковной утвари, виды, типы, древности; а так же Адышское евангелие девятого века (на пергаменте). Снято оно начиная с переплета и все страницы, которых в евангелие 400. Величина пластинки 18x24 сант. Кроме всех снимков сняты много все(го) находящиеся в церкви Квирике и Ивлиты о(бра)за и церковная утварь.

Доводя до Вашего сведения о нашем пр(ебы)вании в Сванетии, где снято более тысячи с(ним)ков, есть между ними такие, которые фотографированы впервые. Величина снимко(в) есть 24x30, 18x24, 15x21, 13x18 сан. Все они очень удачные.

С совершенным почтением  
Д. Ермаков

Тифлиς, Ноября 14 дня 1910 г.

Ваше Сиятельство,  
Милостивая Государыня  
Прасковья Сергеевна!

Сегодня выслал 12 миниатюр, которые Вы поручили мне снять в Сионском музе(е). При всем прилагаю счет и покорнейше прошу приказать выслать мне следуемые деньги, по возможности не задерживая их.

В счет я добавил один снимок, который я забыл внести в первый счет.

Это были два рисунка, из которых один я переснял, а другой, Ваше Сиятельство приказали снять.

С совершенным почтением  
Д. Ермаков

Тифлиς, Декабрь 1 дня 1910 г.

Ваше Сиятельство,  
Милостивая Государыня  
Прасковья Сергеевна!

Вчера отправил Вашему Сиятельству письмо, относительно возможной по Вашему усмотрению увеличению цены за высланные мною снимки Адышского евангелия, а сегодня

получил Ваше письмо о высылке (мною) видов Эриванского Сардаровского Дворца, которые и высылаю.

Пользуясь случаем, еще раз позволяю себе повторить мою покорнейшую просьбу выраженную во вчерашнем моем письме.

С совершенным почтением

Д. Ермаков

Большой ----- 80 к.

Малый ----- 60 к.

-----

1р. 40 к.

P.S. Посылаю снимки Сардаровского Дворца в Эриване, один, как это было в старину с спускающими ....., а другой, в том виде, как он теперь.

Тифлиси, Января 28 дня 1911 г.

Ваше Сиятельство,  
Милостивая Государыня  
Прасковья Сергеевна!

Сегодня высылаю Ваш заказ, который задержался не по зависящим от меня обстоятельствам.

№517 евангелие находится в соборе. Я совершил все формальности, чтобы получить его, но к сожалению, одного из членов, г. Станишевского нет в городе, а без него нельзя вскрыть сундук, где имеется его печать. Как только он приедет, я не медля сделаю два снимка, которые не достают для дополнения вашего заказа.

С совершенными почестиями

Д. Ермаков

Тифлиси, Февраль 14 дня 1911 г.

Ваше Сиятельство,  
Милостивая Государыня  
Прасковья Сергеевна!

Приношу Вам мою глубокую благодарность за высланные мне деньги через Л.Г. Лопатинского, которые я получил. При сем посылаю два снимка из Евангелия №517. В январь 28<sup>го</sup> я выслал Вам снимки и счет на 58 р. 40 к., за два высылаемых сегодня 6 руб., и того 64 р. 40 коп., которых покорнейше прошу выслать мне.



Высланные 30 января 10 больших и 16 малых негативов надеюсь получили в целости. Так как они внесены в мои каталоги, то прошу по окончании их надобности прислать мне.

Ваше Сиятельство, позвольте Вам рекомендовать художника Юлия Карловича Стр(а)уме. Он замечательно копирует всевозможные митиатюры и заглавные буквы из Евангелия. Он может быть в Эчмиадзине, где сделал несколько копии армянских заглавных букв, дивно хорошо. Он служил в Кавказском Кустарном отделе и все его работы принадлежат отделу. Ефимий Семенович обещал дать ему для пробы миниатюру из Евангелия, которую как образец его работы вышлем Вам. Надеюсь, что Вы как знаток таких работ, оцените его.

С совершенными почтениями  
Д. Ермаков

Тифлиси, Март 3 дня 1911 г.

Ваше Сиятельство,  
Милостивая Государыня  
Прасковья Сергеевна!

Вчера выслал Вам работу художника Ю.К. Страуме, а так же список имеющихся у него в этом роде рисунков. Каждый рисунок он считает по 15 руб. в красках, а которые без красок по 10 руб. Таковых рисунков он Вам повысылал. Смею надеяться, что Ваше Сиятельство не будете мною недовольны за мою рекомендацию.

Если они Вам не пригодятся, покорнейше прошу Вас приказать выслать их мне обратно. Высланные деньги я получил. Приношу мою благодарность.

С совершенным почестиями  
Д. Ермаков

### კომენტარები

დიმიტრი ერმაკოვის პირველივე წერილიდან ირკვევა, რომ იგი 1892 წლამდეც ანხორციელებდა ფოტოგადაღებებს გრაფინია პრასკოვია უვაროვასთვის, ცნობილი ისტორიკოსის, არქეოლოგის და ეთნოგრაფის დიმიტრი ბაქრაძის დაკვეთით.

დ. ბაქრაძე 1892 წლისათვის უკვე ორი წლის გარდაცვლილი იყო და, ამიტომ, დ.ერმაკოვი უშუალოდ დაუკავშირდა პ. უვაროვას (თუმცა წყვეტის ინტერვალი საკმაოდ დიდია) და მოახსენა მასთან დაცული არქეოლოგიური არტეფაქტების და მათი ფოტოების შესახებ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს უფრო საბაბი იყო პ. უვაროვასთან და მოსკოვის საიმპერატორო საზოგადოებასთან თანამშრომლობის აღდგენისათვის. როგორ გადაწყდა ამ წერილში აღნიშნული პრობლემები ჩვენთვის უცნობია, რადგანაც შემდეგი წერილი უკვე 1905

წლითაა დათარიღებული. მასში საუბარია ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების შესახებ. ამ რელიქვიების ფოტოგადაღებასთან დაკავშირებით ამკარად შეინიშნება დამაბული ურთიერთობა დ. ერმაკოვსა და ე. თაყაიშვილს შორის, რომელიც შემდეგშიც თავს იჩენდა ხოლმე დროდადრო.

უნდა ითქვას, რომ ოქონის ხატის იდენტიფიკაციისათვის კვლევა-ძიებას აწარმოებდა ბევრი მეცნიერი: მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშვილი, პრასკოვია უვაროვა და სხვა. ცნობილია ოქონის ოთხი ხატი- პ. უვაროვას მიერ გორში, ოქონის ღვთისმშობლის ეკლესიაში ნახული ხატი, რომელიც წარმოადგენს ფერწერულ ტრიპტიხს დეისუსის გამოსახულებით; გორის მაზრის სოფელ ოქონაში, ახალ ეკლესიაში პ. უვაროვას მიერ ნახული ღვთისმშობლის ჭედური ხატი ქართული მხედრული წარწერით და იქვე, მესამე ხატი, სპილოს ძვალზე ინკრუსტირებული ტრიპტიხი შუა კარედზე დეისუსის გამოსახულებით. ეს მესამე ხატი მიიჩნია პ. უვაროვამ ნამდვილ, ბიზანტიურ ხატად.<sup>1</sup> მეოთხე ხატი – ოქონის ჯვარცმა, ასევე ჭედურია და შემკულია ძვირფასი ქვებით და წმინდა ნაწილების უჯრებით. ე. თაყაიშვილმა კვლევა-ძიების შემდეგ, აღნიშნული ოქონის ჯვარცმა მიიჩნია დედოფალ ელენესეულ ხატად, რომელიც მას XI საუკუნეში ბიზანტიიდან საქართველოში მზითვად ჩამოუტანია და სწორედ ამ ოქონის ჯვარცმის ერმაკოვისეული ფოტოები გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა.<sup>2</sup>

ასევე მნიშვნელოვანი კვლევა-ძიება ჩაატარა დ. ერმაკოვის ფოტოების მიხედვით ე. თაყაიშვილმა ტბეთის სახარების შესწავლისათვის და მიიჩნია, რომ იგი შავშეთის (ამჟამად თურქეთის ტერიტორია) ტბეთის ეპისკოპოსის იოანე მტბევარის დაკვეთით გადაწერა იოანე ფუკარალის ძემ გიორგი III-ის მეფობის დროს, სავარაუდოდ 1161 წლის შემდეგ. ე. თაყაიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ტბეთის სახარების ჭედური ყდა დამზადებულია ოქრომჭედლების ბემქენ და ბექა ოპიზარების მიერ, რომლებიც თავის მხრივ მან მამა-შვილად ჩათვალა.<sup>3</sup>

ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების ფოტოგადაღება დ. ერმაკოვმა თბილისში განახორციელა. ცნობილია, რომ ეს რელიქვიები 1724 წელს მეფე ვახტანგ VI-მ რუსეთში ემიგრირებისას წაიღო სხვა საგნებთან ერთად და მხოლოდ 1889 წელს დაბრუნდა უკან საქართველოში, ვახტანგ VI-ის შვილთაშვილის ანა ტოლსტაიას მეოხებით და ბინა დაიდო მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტერში. 1905 წლისათვის, როდესაც ისინი დ. ერმაკოვმა ფოტოებზე აღბეჭდა, რელიქვიები დროებით მიბარებული ჰქონდა თავად-აზნაურთა გიმნაზიის კომიტეტს, გიმნაზიის ეკლესიისათვის შემდგომ (აშენების შემდეგ) გადასაცემად.<sup>4</sup>

ამჟამად ოქონის ჯვარცმის ხატი ინახება საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში, ხოლო ტბეთის სახარება კი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

შემდეგ (მეოთხე) წერილში დ. ერმაკოვი ჩამოთვლის იმ ისტორიულ ძეგლებს, რომელთა ფოტოგადაღებაც შეასრულა პ. უვაროვას დავალებით 1907 წელს თბილისში და მცხეთაში. ასევე, დ. ერმაკოვი ატყობინებს პ. უვაროვას ე. თაყაიშვილის მოსალოდნელი ექსპედიციის შესახებ

<sup>1</sup> Материалы по Археологии Кавказа (МАК), вып. IV, Москва, 1894 г., стр. 172.

<sup>2</sup> Мак, вып. XII, Москва, 1909 г., стр. 117-172.

<sup>3</sup> Мак, вып. XII, Москва, 1909 г., стр. 151-162; ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების შესახებ იხილეთ ასევე ე. თაყაიშვილის წერილები პ. უვაროვასადმი. ორიგინალები დაცულია მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო მიკროფილმების სახით კი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში პ. უვაროვას ფონდში (№101, №102, №103).

<sup>4</sup> Мак, вып. XII, Москва, 1909 г., стр. 162.

თურქეთში, თორთუმის ხეობაში (კოლა-ოლთისში). როგორც ცნობილია, დ. ერმაკოვი ამ მხარეში ადრეც იმყოფებოდა და მოხიბლული იყო ოშკის, ხახულის და იშხანის არქიტექტურული სილამაზით და სურდა მათი დეტალური ფოტოფიქსაცია.

ე. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით ექსპედიცია კოლა-ოლთისში შედგა 1907 წელს და მიმდინარეობდა 1 ივლისიდან 20 აგვისტომდე. ექსპედიციის დამფინანსებელი მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოება და მისი თავმჯდომარე პ.უვაროვა გახლდათ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო ექსპედიციის ფოტოგრაფად არა ცნობილი და გამოცდილი დ. ერმაკოვი იქნა მიწვეული, არამედ მოყვარული ფოტოგრაფი, თბილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი ელუარდ ლიოზენი.<sup>1</sup>

სავსებით ცხადია, რომ ეს არჩევანი ფინანსური პრობლემების გამო გაკეთდა. დ.ერმაკოვი ამ პერიოდისთვის უკვე საყოველთაოდ აღიარებული პროფესიონალი იყო და, შესაბამისად, ძვირადღირებულიც. მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ მისი არ მიწვევა სხვა (პირადი) მოტივებითაც ყოფილიყო გამოწვეული.

აქვე უნდა ითქვას, რომ ელუარდ ლიოზენი საქართველოს ისტორიით და, განსაკუთრებით, ქართული ენის შესწავლით იყო ძალიან გატაცებული. იგი არჩეული იყო მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილ წევრად, რომლის სხდომებშიც იგი მუდმივად იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ე.ლიოზენმა კოლა-ოლთისის ექსპედიციაში დაკისრებულ მოვალეობას თავი წარმატებით გაართვა და 100-მდე ფოტო გადაიღო.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ 1907 წლის 28 მაისს (აქტი 35) დ. ერმაკოვი აირჩიეს „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ ნამდვილ წევრად.<sup>3</sup> საინტერესოა, რომ იმავე სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვები, საზოგადოების წევრებად არჩეული იქნენ ასევე ცნობილი ენათმეცნიერი კორნელი კეკელიძე და არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი. საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ დ. ერმაკოვი წევრობის კანდიდატად წარდგენილი იქნა წინა სხდომაზე 1907 წლის 11 იანვარს, რომელსაც ესწრებოდა თვით პრასკოვია უვაროვა, როგორც მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე.<sup>4</sup> ცხადია, რომ დ. ერმაკოვს მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა პ. უვაროვასთან და ამ უკანასკნელმა მშვენივრად იცოდა დ. ერმაკოვის შემოქმედებითი ღვაწლის შესახებ და, შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება პირადად წარედგინა იგი „საზოგადოების“ წევრობის კანდიდატად. აქვე უნდა ითქვას, რომ განსხვავებით ელუარდ ლიოზენისა, რომელიც ბეჯითად და მუდმივად ესწრებოდა „საზოგადოების“ ყველა სხდომას, დ. ერმაკოვი იშვიათად მიდიოდა ამ სხდომებზე. ცნობილია სულ სამი შემთხვევა დ. ერმაკოვის მონაწილეობისა „საზოგადოების“ კავკასიის განყოფილების სხდომებში, როგორც ამ საზოგადოების ნამდვილი წევრისა: 1910 წლის 9 ოქტომბრის სხდომაზე,<sup>5</sup> 1911 წლის 29 იანვრის სხდომაზე<sup>6</sup> და 1915 წლის 16 აპრილის სხდომაზე.<sup>7</sup>

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938 წ., გვ. 4.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7.

<sup>3</sup> Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества (ИКОМАО), вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №35, стр. 20.

<sup>4</sup> ИКОМАО, вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №34, стр. 20.

<sup>5</sup> ИКОМАО, вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №53, стр.47.

<sup>6</sup> ИКОМАО, вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №55, стр. 50.

<sup>7</sup> ИКОМАО, вып. IV, Тифлис, 1915 г., протокол №74, стр. 11.

ასეთი პასიური დასწრება ალბათ განპირობებული იყო დ.ერმაკოვის მოუცლევლობით და მისი მუდმივი მოგზაურობით.

მოგვიანებით, 1910 წელს დიმიტრი ერმაკოვის და ექვთიმე თაყაიშვილის ერთობლივი ექსპედიცია მაინც შედგა, მაგრამ ამჯერად უკვე ლენხუმ-სვანეთში. ე. თაყაიშვილი წერდა: „ექსპედიციაში მოვიწვიე მთელს კავკასიაში კარგად ცნობილი ფოტოგრაფი დიმიტრი ერმაკოვი“.<sup>1</sup> ძვირადღირებული ფოტოგრაფის სვანეთის ექსპედიციაში მიწვევა შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ექსპედიციის ხარჯები მთლიანად დაფარა ცნობილმა მეცენატმა, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა პავლე თუშანიშვილმა,<sup>2</sup> რომლის ინიციატივითაც იყო ერმაკოვი შერჩეული.

ლენხუმ-სვანეთის 1910 წლის ექსპედიცია მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა და დ. ერმაკოვის მიერ მისივე ცნობით 1000-ზე მეტი ფოტო იქნა გადაღებული – არქიტექტურული და ისტორიული ძეგლები, ტიპაჟები, პეიზაჟები და სხვა. ამავე ექსპედიციის დროს დეტალურად, ფურცელ-ფურცელ (400 გვერდი) იქნა გადაღებული ცნობილი ადიშის ოთხთავი (897წ.), სულ 200 ფოტო.<sup>3</sup>

ადიშის სახარების ფოტოგადაღებასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი საინტერესო ცნობას იძლევა – თურმე ექსპედიციის წევრები, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ მესტიაში, სოფელ ადიშში ვერ ასულან, რადგანაც მოულოდლენად ზაფხულში დიდი თოვლი მოსულა. ე. თაყაიშვილის თხზვნიტ სვანებს სახარება მესტიაში ჩამოუტანიათ, რაც თავისთავად არაორდინარული ფაქტია, ვინაიდან სვანები ერიდებოდნენ რელიქვიების ადგილმონაცვლეობას. ასე და ამგვარად, სწორედ მესტიაში შეუსრულებია ადიშის ოთხთავის ფოტოგადაღება დ. ერმაკოვს.<sup>4</sup> ადიშის ოთხთავი ამჟამად ინახება მესტიის სახელმწიფო მუზეუმში.

ცალკე თემაა ე. თაყაიშვილისა და დ. ერმაკოვის ურთიერთობა, რომელიც საკმაოდ ზანგრძლივად გრძელდებოდა და ხშირად დაძაბულადაც მიმდინარეობდა. 1905 წელს ოქონის ხატის და ტბეთის სახარების ფოტოებთან დაკავშირებულმა უთანხმოებამ დ. ერმაკოვსა და ე. თაყაიშვილს შორის, თავი იჩინა 1910 წლის სვანეთის ექსპედიციის დროს. გულნატკენი ექვთიმე მოგვიანებით ნიკო მარს წერდა: „დიდი შრომა გამოვიარე. უჩემოთ არავის ეკლესიაში არ შეუშობდნენ. ერმაკოვის მიზეზობას და „პრეტენზიას“ საზღვარი აღარ ჰქონდა, სამჯერ ისეთი სკანდალი მოახდინა, რომ კინაღამ მოკლეს. მე დავაშოშმინე სვანები... მასალა დიდძალი შეგვკრიბე. ეხლა ერმაკოვი მე კი არ მამღვეს სურათებს, უნდა კიდევ ბევრი ფული დასტყუოს თუშანოვს და ჩემი მოსაცემი სურათების ფული მას გადაახდევინოს, სხვებზე კი სურათებს ყიდის.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937 წ., გვ. 3.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.

<sup>3</sup> МАК, вып. XIV, Москва, 1916 г.

<sup>4</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937 წ., გვ. 4; ადიშის სახარების შესახებ იხილეთ ასევე ე. თაყაიშვილის წერილები პ. უვაროვასადმი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიკროფილმების სახით დაცული უვაროვას იმავე ფონდში №105, №123, №124, №127.

<sup>5</sup> ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888-1931 წწ.), თბილისი, 1991 წ., გვ. 246. ეს წერილი (№146) თარიღის გარეშეა გამოქვეყნებული. იგი დაწერილი უნდა იყოს 1910 წლის 4 ნოემბრის შემდეგ, რადგანაც ე. თაყაიშვილი ახსენებს – “უვაროვას ქალი ეხლახან აქ (თბილისში, ი.წ.) იყო“-ო. გრაფინია უვაროვა ნამდვილად იყო თბილისში 1910 წლის 4 ნოემბერს და ესწრებოდა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომას საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში (იხ. протокол №54 ИКОМОА, вып. III, 1913 г., стр. 49). წერილი დაწერილია არა უგვიანეს 1910 წლის 10 დეკემბრისა, რადგანაც 10 დეკემბრითაა დათარიღებული ნიკო მარის პასუხი ე. თაყაიშვილის აღნიშნულ წერილზე.

განსაცვიფრებელია ცნობა იმის შესახებ, რომ დ. ერმაკოვი სვანეთის ექსპედიციაში მოუმზადებელი წასულა, თუმცა იგი წინასწარ იყო გაფრთხილებული ე. თაყაიშვილის მიერ მოსალოდნელი სირთულეების შესახებ. კერძოდ, რომ სვანეთის პატარა ეკლესიებში შიდა გადაღებებისთვის მცირე ზომის ფოტოკამერა და სპეციალური ფოტობიექტივის წაღება იყო საჭირო. ლატალის თემის სოფელ მაცხოვრის ეკლესიაში მუშაობასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი წერდა: „ფოტოგრაფიულად გადმოღება ფრესკების შეუძლებელი იყო, ვინაიდან შესაფერისი აპარატები არ ჰქონდა ერმაკოვს“.<sup>1</sup> ასევე საკვირველია ცნობა იმის შესახებ, რომ დ. ერმაკოვს სვანეთის ექსპედიციაში წაუღია ზომით დიდი ნეგატივების „პლასტინკები“, რომლებიც მის კამერაში არ ეტეოდა და იგი იძულებული იყო დიდი ჯაფის ფასად ხერხით დაეპატარაებინა ისინი.<sup>2</sup>

მოუხედავად სირთულეებისა, 1910 წლის ლენხუმ-სვანეთის ექსპედიცია წარმატებით ჩატარდა და უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მასალა იქნა მოპოვებული.

შემდეგ (მეექვსე) წერილში დ. ერმაკოვი აღნიშნავს სიონის საეკლესიო მუზეუმში დაცული მინიატურების ფოტოგადაღებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს მუზეუმი შექმნილი იყო ქართველი მეცნიერების დიმიტრი ბაქრაძის და მოსე ჯანაშვილის ინიციატივით.

მეშვიდე წერილში საუბარია ისევ ადიშის ოთხთავის ფოტოების ანაზღაურებაზე. როგორც ჩანს, ვინაიდან 200 ფოტოზე მეტი იქნა გადაღებული ადიშის სახარებისა, პ.უვაროვამ აღუთქვა დ. ერმაკოვს ანაზღაურება პუბლიკაციისათვის. სამწუხაროა, რომ ეს წერილი, ანუ წინაღობა – 30 ნოემბრის წერილი არ არის შემონახული.

დ. ერმაკოვი ასევე ახსენებს ერევნის სარდარის სასახლის ფოტოებს, რომელთა საფასური-80 კაპიკი დიდში და 60 კაპიკი პატარაში საკმაოდ დაბალი ფასი იყო, რადგანაც დ. ერმაკოვი ჩვეულებრივად ფოტოებს 1,5-2 მანეთად და უფრო ძვირადაც ჰყიდდა. ე. თაყაიშვილი ნ. მარს წერდა: „ხანძრის სურათი შესანიშნავად კარგად გაგაკეთებინე. როინოვის ფოტო ეხლა აღარ არის, ერმაკოვს გადავადებინე და ძვირათ გადაიღო, ორ-ორ მანეთად თითო“.<sup>3</sup>

შემდეგ (მერვე) წერილში დ. ერმაკოვი 517 სახარების ფოტოგადაღებასთან დაკავშირებით მოიხსენიებს ივანე სემიონოვის ძე სტანიშევსკის, რომელიც მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილი წევრი იყო. 517 სახარება ამჟამად ინახება საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.<sup>4</sup>

შემდეგ (მეცხრე) წერილში დ. ერმაკოვი მოიხსენიებს ცნობილ ენათმეცნიერს და კავკასიოლოგს ლევ გრიგორის ძე ლოპატინსკის. იგი თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ლევ ლოპატინსკი დღიდან დაარსებისა ანუ 1901 წლის 21 მარტიდან იყო უცვლელი თავმჯდომარე მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. მისი საერთო რედაქტორობით გამოვიდა შრომათა კრებულის ხუთი ტომი,<sup>5</sup>

<sup>1</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937 წ., გვ. 351.

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.

<sup>3</sup> ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა, თბილისი, 1991 წ., გვ. 193.

<sup>4</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II., ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, თბილისი, 2004 წ., გვ. 87-89.

<sup>5</sup> Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, Тифлис, вып. I (1904 г.), вып. II (1907 г.), вып. III (1913 г.), вып. IV (1915 г.) вышли под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Е.С. Такашвили; вып. V (1919 г.) вышел под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Л.М. Меликсет-Бекова, и последний выпуск VI (1921 г.) под общей редакцией Л.М. Меликсет-Бекова и Д.П. Гордеева.

რომლებიც ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენენ კავკასიის ისტორიით დაინტერესებული მეცნიერებისთვის და ფართო საზოგადოებისათვის.

ამავე მეცხრე წერილში დ. ერმაკოვი მოიხსენიებს ამ პერიოდისთვის სრულიად უცნობ მხატვარ იული კარლის ძე სტრაუმეს, რომელიც, როგორც დ. ერმაკოვი აღნიშნავს, საკმაოდ კვალიფიცირებული და ნიჭიერი იყო. როგორც ჩანს, დ. ერმაკოვს ე. თაყაიშვილისთვისაც წარუდგენია სტრაუმე, რომელსაც, თავის მხრივ, საცდელად მიუცია მინიატურები გადასახატავად.

შემდეგში იული სტრაუმეს წილად ხვდა შეესრულებინა უზარმაზარი სამუშაო კავკასიის ხალხთა შემოქმედების აღნუსხვა-ჩახატვაში და „კავკასიის ხალხთა გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის“ თბილისში შექმნაში.<sup>1</sup> ამჟამად თბილისში, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში ინახება იული სტრაუმეს მიერ შესრულებული კავკასიური ხალიჩების და სხვა ნაწარმის პირი-ნახატები ორ ალბომად. იული სტრაუმე წარმოშობით ლატვიელი იყო და 1921-1922 წლებში ჰქონდა პატივი ყოფილიყო საქართველოში ლატვიის ვიცე-კონსული.<sup>2</sup>

ბოლო, მეათე წერილში დ. ერმაკოვი ისევ იული სტრაუმეს უწევს რეკომენდაციას პ. უვაროვას წინაშე. უნდა ვიფიქროთ, რომ დ. ერმაკოვს სტრაუმესთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა და ძალიან იყო მოწადინებული მისი შრომითი მოწყობით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტრაუმეს მატერიალურად ძალიან უჭირდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ფრანგი მეუღლის შენახვა და დამატებითი შემოსავალი მისთვის ჰაერით საჭირო იყო.<sup>3</sup>

განხილული წერილებიდან ირკვევა, რომ დ. ერმაკოვს აქტიური საქმიანი ურთიერთობა ჰქონია პრასკოვია უვაროვასთან და „მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურ საზოგადოებასთან“ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დ. ბაქრაძის საშუალებით, ხოლო 1892 წლიდან კი უშუალოდ. წერილებში შეინიშნება დ. ერმაკოვის ორგანიზაციული ნიჭი და პასუხისმგებლობის (თუმცა ყოველთვის არა) გრძნობა – იგი ჩვეული პედანტობით ყოველ წერილში ატყობინებდა გრაფინია პრასკოვია უვაროვას შესრულებული სამუშაოების და მათი ღირებულების შესახებ.

ღმიტრი ერმაკოვი საკმაოდ ძვირადღირებული და სიცოცხლეშივე ძალიან ცნობილი ფოტოგრაფი იყო. ამაზე მეტყველებს მის მიერვე 1896 და 1901 წლებში გამოცემული თავისი ფოტოკოლექციების კატალოგები, რომელთა საშუალებითაც იგი ანხორციელებდა თავის ბიზნესს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> დაწვრილებით იული სტრაუმეზე იხილეთ – ლაიმა კლავინა, იული სტრაუმე, 2004 წ., გამომცემლობა „ზინანტე“, რიგა, ლატვია.

<sup>2</sup> ლაიმა კლავინა, დასახელებული ნაშრომი.

<sup>3</sup> ლაიმა კლავინა, დასახელებული ნაშრომი.

<sup>4</sup> Фотографии Д.И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа, 1896 г.; Фотографии Д.И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, продолжение каталога 1896 года, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа, 1901 г.

## რეზიუმე

დიმიტრი ერმაკოვის ფაქსიმილური წერილები “მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების ხელმძღვანელის გრაფინია პრასკოვია უვაროვასადმი ასახავს საქმიან ურთიერთობას ფოტოგრაფსა და “არქეოლოგიურ საზოგადოებას” შორის.

ჯერ კიდევ 1880-იანი წლებიდან დიმიტრი ერმაკოვი იღებდა ისტორიული და არქეოლოგიური არტიფაქტების ფოტოებს “არქეოლოგიური საზოგადოებისათვის” ცნობილი ისტორიკოსის და არქეოლოგის დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) შუამავლობით, ხოლო 1892 წლიდან დ. ერმაკოვმა გააგრძელა მუშაობა საზოგადოებისათვის უშუალოდ გრაფინია პრასკოვია უვაროვას ხელმძღვანელობით.

დ. ერმაკოვი წერილებში მისთვის დამახასიათებელი პუნქტუალობით მოახსენებს პ. უვაროვას შესრულებული ფოტოგრაფიული სამუშაოებისა და მათი ფინანსური მხარეების შესახებ. ზოგიერთი ინფორმაცია შეეხება ისეთი უნიკალური არტიფაქტების ფოტოგრაფირების დეტალებს, როგორცაა ოქონის ხატი, ტბეთის და ადიშის (897წ.) ოთხთავები და ა.შ.

წერილებში საუბარია თბილისისა და მცხეთის ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების შესახებაც. ფართოდაა ასახული ურთიერთობა დიმიტრი ერმაკოვსა და ცნობილ მეცნიერს, საქართველოს ისტორიული და ეთნოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელსა და პრეზიდენტს ექვთიმე თაყაიშვილს (1863-1953) შორის და განსაკუთრებით მათი ცნობილი 1910 წლის სვანეთის ექსპედიციის განმავლობაში.

მკითხველი წერილებში შეხვდება ინფორმაციებს სხვა მეცნიერთა შესახებაც, როგორცაა ცნობილი ლინგვისტი და კავკასიოლოგი ლევ ლოპატინსკი (1842-1922), რომელიც უცვლელი ხელმძღვანელი იყო მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. ასევე, იმავე საზოგადოების კიდევ ერთი წევრის და სიონის საეკლესიო მუზეუმის თანამშრომელი ლევ სტანიშევსკი; ასევე, იმავე საზოგადოების წევრი და არქიტექტორი სიმონ კლდიაშვილი (1865-1920); ასევე, ერთ-ერთი შემქმნელი კავკასიის ხალხთა გამოყენებითი ხელოვნების და რეწვის სახელმწიფო მუზეუმისა თბილისში, მხატვარი და ფოტოგრაფი იული სტრაუშე (1874-1970).

წერილების ორიგინალები ინახება მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში რუსეთში, ხოლო მათი მიკროფილმები კი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

მოცემული წერილები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს დიმიტრი ერმაკოვის შემოქმედების მკვლევართათვის და ფართო დაინტერესებული პირებისათვის.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. ადიშის სახარების შესახებ იხილეთ ასევე ე. თაყაიშვილის წერილები პ. უვაროვასადმი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიკროფილმების სახით დაცული უვაროვას იმავე ფონდში №105, №123, №124, №127.
2. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1938 წ.
3. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937 წ.
4. კლავინა ლაიმა, იული სტრაუშე, 2004 წ., გამომცემლობა “ზინანტე”, რიგა, ლატვია.
5. ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888-1931 წწ.), თბილისი, 1991 წ.

6. ოქონის ხატისა და ტბეთის სახარების შესახებ იხილეთ ასევე ე. თაყაიშვილის წერილები პ. უვაროვასადმი. ორიგინალები დაცულია მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო მიკროფილმების სახით კი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში პ. უვაროვას ფონდში (№101, №102, №103).
7. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, II., ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციისა, თბილისი, 2004 წ., გვ. 87-89.
8. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества (ИКОМАО), вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №35.
9. ИКОМАО, вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №34.
10. ИКОМАО, вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №53.
11. ИКОМАО, вып. III, Тифлис, 1913 г., протокол №55.
12. ИКОМАО, вып. IV, Тифлис, 1915 г., протокол №74.
13. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, Тифлис, вып. I (1904 г.), вып. II (1907 г.), вып. III (1913 г.), вып. IV (1915 г.) вышли под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Е.С. Такаишвили; вып. V (1919 г.) вышел под общей редакцией Л.Г. Лопатинского и Л.М. Меликсет-Бекова, и последний выпуск VI (1921 г.) под общей редакцией Л.М. Меликсет-Бекова и Д.П. Гордеева.
14. МАК, вып. XII, Москва, 1909 г.
15. МАК, вып. XIV, Москва, 1916 г.
16. Материалы по Археологии Кавказа (МАК), вып. IV, Москва, 1894 г.
17. Фотографии Д.И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа, 1896 г.
18. Фотографии Д.И. Ермакова, каталог фотографических видов и типов Кавказа, Персии, Европейской и Азиатской Турции, продолжение каталога 1896 года, Тифлис, Паровая типография Штаба Кавказского военного округа, 1901 г.



### შორეთის მონასტრის ძეგლის რეაბილიტაციის ღონისძიებები



შორეთის სამონასტრო კომპლექსი ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. არასდროს ქცეულა სპეციალური კვლევის საგნად, თუ არ ჩავთვლით საისტორიო წყაროების მწირ ცნობებსა და XIX-XX საუკუნის მეცნიერთა თუ მოხალისეთა დაზვერვით ექსპედიციებს რეგიონში.

1985 წლის მიწისძვრის შედეგების შესწავლის მიზნით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის 1986 წლის ექსპედიციამ მესხეთის სხვა ძეგლებთან ერთად შეამოწმა შორეთის მონასტრის მდგომარეობა. სეისმოლოგთა დასკვნას თან ერთვის ძეგლთა დაცვის მთავარი სამართველოს უფროსის, პროფ. ი. ციციშვილის რეცენზია, შორეთის კომპლექსის პრევენციული კვლევა-კონსერვაციის აუცილებლობის შესახებ. ძეგლთა დაცვის სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანებიდან 1986 წელს შორეთში მივლინებულ იქნა არქიტექტორ-რესტავრატორთა და ხელოვნებათმცოდნეთა ჯგუფი თამარ ნემსაძის ხელმძღვანელობით.


1987 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს საისტორიო საზოგადოების (თავმჯდომარე აკად. ა. აფაქიძე), ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართული

კულტურის ფონდის ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა ასპინძისხევის ერთობლივი კომპლექსური ექსპედიცია (ხელ-ი მ. დათუკიშვილი). ექსპედიციის საერთო კოორდინაცია დაევალებოდა მესხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას (პროფ. ო. ღამბაშიძე) და თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრას (პროფ. გ. ლორთქიფანიძე).

ექსპედიციაში 1987 წლიდან სპეციალური სტატუსით მიწვეულ იქნა არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფი, თ. ნემსაძის ხელმძღვანელობით, ხოლო ექსპედიციის კონსულტანტად და წმენდითი სამუშაოების არქეოლოგიური მეთვალყურეობის გასაწევად სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკის განყოფილების გამგე პროფ. გ. გაფრინდაშვილი.

1988 წლის 13 ივნისს, ძეგლთა დაცვის სპეციალურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმს და არქეოლოგიურ კომისიას წარუდგინა საგარანტიო წერილი, რომ შორეთის სამონასტრო კომპლექსსა და ოთის კარის ეკლესიაზე წარმოებული წმენდითი სამუშაოების პარალელურად იწარმოებდა კონსერვაცია.

1987-92 წწ., ექსპედიციის საანგარიშო მოხსენებები სხვადასხვა დროს მოსმენილ იქნა საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე. ექსპედიცია 1992 წლის ცნობილ მოვლენათა გამო რამდენიმე წლის განმავლობაში მოხალისეთა ენთუზიაზმის ამარა მიმდინარეობდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. 1992 წელს დაარსდა ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტი (სამეცნიერო საბჭოს თავ-რე აკად. გ. ლორთქიფანიძე), ინსტიტუტმა აღადგინა ასპინძისხევის კომპლექსური ექსპედიცია, მეტ-ნაკლები ინტენსიურობით შესაძლებელი იქნა 1992-2004 წწ შეზღუდული მასშტაბის არქეოლოგიური კვლევისა და გადაუდებელი, პრევენციული კონსერვაციის განხორციელება.





2005 წლიდან ექსპედიციამ განაახლა ინტენსიური მუშაობა. ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის კონცეპტუალური მოსაზრებები შორეთის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის შესახებ 2005 წელს განიხილეს და მოიწონეს საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ (№67, 14.07.2005), და საქართველოს კულტურის, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭომ (№046, 13.08.07), გაიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიის (№ 49, 01.08.2005) და საქართველოს კულტურის, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (№ 43, 29.08.2005) ნებართვები. შორეთის კომპლექსის აზომები გაგრძელდა 1987 წლიდან, წმინდითი სამუშაოების პარალელურად და დასრულდა 2009 წელს, გამოყენებულ იქნა ინსტიტუტის მიერ LiDAR ლაზერული სკანირების შედეგად (2007-2008 წწ) მიღებული ციფრულ მონაცემთა ბაზა.

2009-2013 წწ არქიტექტორ რესტავრატორების: თ. ნემსაძისა და რ. გურამიშვილის ავტორობით, ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 3D Scanstudio-სა და ახალგაზრდა არქიტექტორთა მონაწილეობით, ძეგლთა დაცვის სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დასრულებულ იქნა შორეთის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტი, ხოლო 2015-დან ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ქართული კულტურის გადარჩენის ფონდ „ქართუ“-ს: მხარდაჭერით, შეთანხმებული პროექტის ფარგლებში ინსტიტუტის მიერ მიმდინარეობს შორეთის კომპლექსის სრული რესტავრაცია. (2015-2018 წწ).


ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 3D Scanstudio-სა და ახალგაზრდა არქიტექტორთა მონაწილეობით, ძეგლთა დაცვის სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დასრულებულ იქნა შორეთის სამონასტრო კომპლექსის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტი, ხოლო 2015-დან ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ქართული კულტურის გადარჩენის ფონდ „ქართუ“-ს: მხარდაჭერით, შეთანხმებული პროექტის ფარგლებში ინსტიტუტის მიერ მიმდინარეობს შორეთის კომპლექსის სრული რესტავრაცია. (2015-2018 წწ).



ვახუშტი ბატონიშვილი სამცხე-საათაბაგოს „საჩინო ადგილების“ აღწერისას ხეობას ასე ახასიათებს: „...ერთვის მტკვარს ასპინძისხევი აღმოსავლეთიდან, გამოსდის კოდიანის ანუ ჯავახეთის მთას. ამის შესართავთან არს ხიდი მტკვარსა ზედა. ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი. ასპინძის ზეით, ჩრდილოთ კერძოდ, არს მგელ-ციხე, მაგარი, დიდშენი. ამავე ხეგზედ, ოთას, არს კლდეთა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი სახიზრად. ოთას ამ ხეგს ერთვის ჯაბოეთის ხევი. გამოსდის ჯავახეთის მთას. და ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირსა არს შორაპანს მონასტერი უგუბნათო, შევნიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით და აწ ცარიელი.“ (26; 665-667).

შორეთის სამონასტრო კომპლექსი, VI-XV საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ძეგლი, წარმოადგენს კედლის მოზაიკით შემკულ, რამდენჯერმე აღდგენილ და გადაკეთებულ ორსართულიან ლავრას, სამხრ. აღმ. მინაშენი ეკლესიით, სამხრ-დას. კრიპტაზე დაშენებული კარიბჭით, საძვალე-სამრეკლოთი, სკრიპტორიუმით, მცირე სამლოცველოიანი ციხე-სიმაგრით, ქვითკირით ნაშენი და კლდეში ნაკვეთი სენაკებით. მდებარეობს ასპინძის რაიონში, ასპინძისხევიში, სოფ. ოთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 5-6 კმ დაშორებით, ჯავახეთის ზეგანის მსაზღვრავ ტყიან და კლდოვან ფერდობზე, მდინარე შორეთის(შოლოთის)წყლის სათავეში, კონტასციხისა და ზედაველას გასწვრივ წარმოშობილ ბუნებრივ, კლდოვან ქვაბულში. მე-5 კატეგორიის სამანქანო გზა სოფელ ოთიდან ექსპედიციისა და ასპინძის სატყეო მეურნეობის ძალისხმევითა ტაძრამდე მიყვანილია 1991 წლიდან და მრავალჯერ შეკეთებული დღემდე ფუნქციონირებს. ძეგლი წარმოადგენს რთულ არქიტექტურულ ნაგებობას. მთავარი ეკლესია, VI-VII საუკუნის საკულტო ნაგებობის (სავარაუდოდ ადრექრისტიანული ეკლესიის) ნაშთებზეა აშენებული რასაც მოწმობს ორივე საძვალისა და სატრაპეზოს კედლის წყობა და საკურთხეველის ქვეშ კარებში ჩაშენებული მენჯილის (ქვის სვეტი სტილიზებული ჯვრით) ორი ფრაგმენტი. მთავარი ეკლესია - ორეკლესიანი ბაზილიკა ფოროვანი ბაზალტითაა აგებული და არაუგვიანეს IX-X საუკუნით თარიღდება. XII-XIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო ლავრის ფუნდამენტური გადაკეთება და გაფართოება. დასავლეთით მდებარე უაფსიდო, ფასადები და ინტერიერი კარგად დამუშავებული თლილი ქვით ნაგები,

ეკლესიით, ორსართულიანი სამრეკლოთი, სკრიპტორიუმით, მცირე სამლოცველოიანი ციხე-სიმაგრით, ქვითკირით ნაშენი და კლდეში ნაკვეთი სენაკებით. მდებარეობს ასპინძის რაიონში, ასპინძისხევიში, სოფ. ოთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 5-6 კმ დაშორებით, ჯავახეთის ზეგანის მსაზღვრავ ტყიან და კლდოვან ფერდობზე, მდინარე შორეთის(შოლოთის)წყლის სათავეში, კონტასციხისა და ზედაველას გასწვრივ წარმოშობილ ბუნებრივ, კლდოვან ქვაბულში. მე-5 კატეგორიის სამანქანო გზა სოფელ ოთიდან ექსპედიციისა და ასპინძის სატყეო მეურნეობის ძალისხმევითა ტაძრამდე მიყვანილია 1991 წლიდან და მრავალჯერ შეკეთებული დღემდე ფუნქციონირებს. ძეგლი წარმოადგენს რთულ არქიტექტურულ ნაგებობას. მთავარი ეკლესია, VI-VII საუკუნის საკულტო ნაგებობის (სავარაუდოდ ადრექრისტიანული ეკლესიის) ნაშთებზეა აშენებული რასაც მოწმობს ორივე საძვალისა და სატრაპეზოს კედლის წყობა და საკურთხეველის ქვეშ კარებში ჩაშენებული მენჯილის (ქვის სვეტი სტილიზებული ჯვრით) ორი ფრაგმენტი. მთავარი ეკლესია - ორეკლესიანი ბაზილიკა ფოროვანი ბაზალტითაა აგებული და არაუგვიანეს IX-X საუკუნით თარიღდება. XII-XIII საუკუნეში უნდა მომხდარიყო ლავრის ფუნდამენტური გადაკეთება და გაფართოება. დასავლეთით მდებარე უაფსიდო, ფასადები და ინტერიერი კარგად დამუშავებული თლილი ქვით ნაგები,





გამდინარე მდინარე ფარავნიდან), დასავლეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირით შემოსაზღვრული “ნახევარკუნძულისა”, რადგან მტკვარი თმოგვიდან დასავლეთისკენ მიედინება ფარავნის ხერთვისიდან, ახალციხესთან უხვევს ჩრდილოეთით და ფოცხოვის ხერთვისიდან აწყურთან უკვე აღმოსავლეთისკენ მიედინება. ასპინძა-ღობიეთამდე ჯავახეთი მტკვრის მარცხენა სანაპიროზეც ვრცელდებოდა აბოცსა და ერუშეთამდე.



სამცხისა და ჯავახეთის ბუნებრივ დასავლეთ საზღვარს მტკვარი წარმოადგენდა, ჯავახეთიდან ოთა-საბოთარისა და თორის გამოცალკევებულ მაგრამ საერისთავთ-ერისთავოში ინტეგრირებული აღმინისტრაციული ერთეულების გაჩენით, ჯავახეთშივე შეიქმნა მიკრო-ქვეყნები (ფეოდის (მამულის), ან სახვეისუფლო-საერისთაოების სახით, ერისთავთ-ერისთავით სათავეში, რომელიც მენაპირეობდა და ვეზირის ან სარდლის



სახელსაც ფლობდა ტრადიციულად), მამულების ნაწილი სამეფო დომენია, ნაწილი ეკლესიისა. ჯაყელთა გაძლიერებისა და გაათაბაგების შემდგომ და შალიკაშვილებთან მრავალწლიანი მახარო მის შემდგომ, “საზღვარმა” ასპინძისხევის (მდ. ოთისწყალი/სანისლოს) მარცხენა სანაპიროს ციცაბო, კლდოვან მთებზე გადმოიწია, საიდანაც ჯავახეთის ზეგანი იწყება. ასპინძისხევის კლდეკარს ვარაზასციხე იცავს, აქედან ტაბაწყურ-თრიალეთის გზა ერთის მხრივ სანისლო-თეთრობზე შავი კლდის მიმართულებით გრძელდება, მთავარი მიმართულება ზემო ინთორიდან აზაგრეთისკენ (ზვარეთი) მიდის, შემდეგ სამხრეთით ალასტან-საროს და ჩრდილოეთით შარვაშეთ-ტაბაწყურისკენ.

ღართა-მამაწმიდის გზას ციხისჯვარისკენ (თორი) მიყვავართ. გზა აქ კოდიანზე გადადის. ”ცხრაწყაროს უღელტეხილი გვიან გატანილი გზაა, ამიტომ ჯავახეთიდან თორში გადასვლა უმეტესად ციხისჯვრით ხდებოდა, რომელიც გაცილებით დაბალია და ადვილად გადასალახი” (17; 99) გზის სიძველეს ადრეფეოდალური მენძილები და ქვაჯვარები მოწმობენ, რომლის არსებობა ჯავახეთის ზეგანზე გადასასვლელ საურმე გზაზე მდებარე შორეთშიც დადასტურებულია არქეოლოგიური კვლევის დროს.



ხეობის უძველესი სათემო სახელწოდება სავარაუდოდ ბოთა(ბოლი), აქედან კი საბოტარი (საბოთარი) უნდა ყოფილიყო: “შეეუბნეს ნაქურდეველთა და საბოტარელთა, მოიყვანეს ლაშქარნი კახეთით და გასცეს უფლისციხე...” (82, 173) იგივე სახელწოდება (“ტ”-ს “თ”-თი ჩანაცვლებით მეორდება ვანის ოთხთავის ანდერძ-მინაწერში: “...შემოსწირა... ჩვენ, საბოთარსა და შორათელთა, პირველ ხატსა მაცხოვრისასა და წმინდასა გიორგი შორეთისასა და წმინდასა ნიკოლოზს” (23; 80) შესაძლოა ”საბოთარი”-დან იქნა მიღებული გვიანფეოდალური ოთარი, ოთარაი, ოთა. “ოთარი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა



“შალიკაშვილთა აქეს” (78; 34) “ოლიდაშვილთა (მტკვრის ხეობაში ტოპონიმის “ოლოდის ქუაბების” არსებობა, დაკავშირებული უნდა იყოს ოლიდაშვილ/ ალადაშვილებთან და ასპინძისხევთან), აქუს ოთარა სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა” 78; 80), “შალიკაშვილის ზემბადის შვილმა მითივ ნაქონები ოთის ციხე წარუღო” (78; 34), “სახარება დაიწერა... ქართველთა გავარში, სოფელში, რომელსაც ჰქვია ოთა” (1; 86). ასპინძისხევი ძველთაგან საეკლესიო, მცხეთის საკათალიკოსო მამული იყო, როგორც ვიცით, XI საუკუნიდან ჯავახეთის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილი “მტკვარამდე”, თანდათან სამეფო დომენად იქცა

უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მდებარეობის გამო; ასპინძისხევი კოდიანით, თეთრობით, ზედაველათი და ზვარეთით, გზაჯვარედინზე მდებარეობდა პიტიახშია, ბაღუაშია, თორველ-სამძივართა, ჩორჩანელ-ჯაყელთა, თმოგველ-წუნდელთა, “შაროველ ხელმწიფეთა”, ოძრხელ სეფეწულთა და “ალასტნელ მეფე-უფლისწულთა” მამულებს შორის. გზები ციხესიმაგრეთა მძლავრი სისტემით კონტროლდებოდა: კოდიანის უღელტეხილი თორის ციხისჯვრის ციხით, სამცხის მხრივ ჩიტკიბებების ციხით და მამაწმიდის კლდეკართან სანისლო-თეთრობისკენ ვარაზას ციხით.

ჯავახეთში მიმავალი საურმე გზა ოთისა და ზემო ინთორის ციხეებით. აზავრეთის გზა, რომელსაც ოთიდან და დამალადან მომავალი საურმე გზები უერთდებიან, შორეთის ციხით, დამალის მიმართულებით კი კოხტას ციხით. ასპინძისკენ მიმავალი გზაზე ოთართა საციხისთავო რეზიდენცია – ოთის ციხე მდებარეობს, საფორტიფიკაციო ნაგებობების ნაშთები შეინიშნება აგარის ნასოფლართან, ასპინძას კი საკუთრივ ასპინძისციხე იცავდა. ციხე-სიმაგრეთა ეს მძლავრი სისტემა უშუალოდ და სათვალთავო კოშკების მეშვეობით უკავშირდებოდა ერთმანეთს.




ხევი განსაკუთრებით მდიდარია ეკლესია-მონასტრებით: აგარის ეკლესია (ყიზილ-დერესა), ღართის, სანისლოს, ოთის მარიამ წმინდის, მამაწმიდის, ქვემო ინთორის ეკლესიები, ბეთლემისა და შორეთის მონასტრები.

შორეთის მონასტერი საურმე გზების გზაჯვარედინზე მდებარეობს, უწინ აქ არაუგვიანეს VI-VII საუკუნეების სასახლო მენძილი (სვეტი, “ჭორატი”) მდგარა, (88; 406) “ქვაკაცა აგებული,



ჭორტი არს ქვა აგებული უკიროდ, კაცთა უმაღლესად, ნიშნად, რათამე დასანიშნელოდ”, მოკვლეულია შორეთში 1987 წ. წმინდითი სამუშაოების წარმოებისას. სვეტი ორად არის გაჭრილი და ჩაშენებულია საკურთხეველის ქვეშ, პირველ სართულზე სატრაპეზოდან გამავალი აღმოსავლეთის კარებში. (საკითხის დასმისთვის დაგეგნო, რომ საინტერესო კვლევის საგანია “ჭორატი”-ს ლაზურ-ზანური ფორმა, აქვს თუ არა “ო” პრეფიქსი, შეიძლება დაეუკავშიროთ ტოპონიმების: ოშორა-შორეთი ეტიმოლოგიურ კვლევას, საყურადღებოა ივანე გვარამაძის ჯავახური “ჭაიტა” და მარი ბროსეს “ტაიჯი (ტაიჭი)”.

მეცნიერთაგან ყველაზე ძველი ცნობა ვახუშტი ბაგრატიონის ეკუთვნის: „ასპინძის ხევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი უგუნბათო, შუენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფის კენჭით და აწ ცალიერი” (82; 677). 1847 წელს აკად. მარი ბროსემ იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში. „Не имея времени для польных изельдованой. Я избрал преимущественно те мьста, котория по мненю моему и богаче древностями и меньше доступны путешественникам” (44; №40). შენობას ბროსე არ აღწერს „სიცივისა და უდროობის გამო“. საინტერესოა ფაქტი, რომ თოვლის სიმაღლეს ეკლესიის კარიბჭეზე მდებარე ნიკოლოზ ორბისძის ლაპიდარული წარწერა ჰქონდა დაფარული და შეუმჩნეველი დარჩა მკვლევარს.



ქა შანიშვიჭიქიკაქუქიშვიდუაშნვიანდჳეჟა

ცქლქნ:ქაქიშვიტოქიქანდქეჟაქაქუქიშვიდუაშნვიანდჳეჟა

კასანკუქკაქაშნვიანდჳეჟაქიშვიტოქიქანდქეჟაქაქუქიშვიდუაშნვიანდჳეჟა

1. (იესო)ქ(რისტ)ე .: ძეო ღ(ვთ)ისაო მეოხებითა მშობელისა შე(ნი)სა(ი)თა შ(ეიწყალ)ე //
2. საბა-ნ(ი)კ(ოლო)ზ ძე ვარაზ-ზაკურ ოთა(რის)ძისა .: მაშენებელი წ(მიდ)ისა ამის ეკლ //
3. ესისა მოსახელისა შ(ე)ნისა და წ(მიდ)ისა გ(იორგ)ი(სა) და ნ(ი)კ(ოლო)ზ(ი)სა შეწევითა //

1881 წელს ივანე გვარამაძე “ვინმე მესხის” ფსევდონიმით წერდა: “ხიზაბავრის ტყეში ყოფილი ჭაიტას («ჭაიტა»-ს უწოდებს შორეთს) ეკლესიის მცირედი ზედწარწერაც ვიღაცას წაუღია, ამაზედ ეწერა: ნიკოლოს ორბელის ძე ხუცესთ-ხუცესი. ეს ადრე მონასტრად ყოფილა კოდიანისა და ნახევარჯავახეთის მცხოვრებთა: ქვეშ ეკლესიისა არის ორი სართული სენაკები ქვითკირით ამოტანილნი 8 თუ 9 და ზედა მესამე სართულად ერთ გვერდზედ ეკლესია; იატაკი სრულ მინაქარის მწვანე ჩინური ნაგები, აღსაგლის კარს შუა სრულ ლიბრი მარმარილოს ძეგლები და ოთხი ყურე კედელი სრულ მუზაიტის კენჭით ჩაწყობილი ხატები. ამ ათის წლის წინ ეს ნაშითი ჩვენ წინაპართა დიდებისა კიდევ დამხვდა; ახლა სრულ გატიაღებულა:...” (28)

1902 წელს შორეთში ასული ე. თაყაიშვილი, განიხილავს მას როგორც «въ высшей степени привлекательнымъ и живописнымъ». მონასტრის დასაველეით «Возвышается высокий скалистый пикъ, увьчанный еще более высокою башнею. Это крепость Шолота, или Шоретис Цихе». 2

შემდეგ მოიხსენიებს ვარაზის ციხეს. «Между этими двумя твердынями приютился Шоретский монастырь» (10;10) ყურადღებას ამახვილებს იმ უცნაურ გარემოებაზე, რომ გვემა მთავარი ეკლესიისა ჯვრის ტიპისაა, დასავლეთისაკენ წაგრძელებული, თითქოს ყველა პირობაა გუმბათის დასადგმელად შექმნილი, მაგრამ გუმბათი მაინც არ დაუდგამთ. მიუთითებს მოზაიკის ნაკვალევზე: «Нашли несколько стеклянных кубиков, которые должны были служить материалом для мозаики». (41;13), ე. თაყაიშვილი მონასტერს XII-XIV საუკუნეებით ათარიღებს (41;13).



საგვარეულო სახელად ქცეული, როგორც «თარი», ფუძით «თა», საბოლოო, ფუძით «ბოთა», ან «ბოქთა». ტოპონიმი ბოქთა დადასტურებულია ასპინძისხევში, ნასოფლარში შემორჩენილია დიდი რაოდენობით სამშენებლო ქვის გროვები, სავარაუდოდ აბულის, შაორის, ოლდანის, საროს უძველეს, ე.წ. “მშრალი წყობით” აშენებულ საფორთიფიკაციო ნაგებობათა მსგავსი ობიექტის ნაშალი, ბოქთის გორა-ნამოსახლარიდან მიმდებარე ხეობაში უწესრიგოდ ჩაყრილი. ნასოფლარის ზუსტ სახელწოდებას არ ვიცნობთ, მისი არსებობა მხოლოდ ძველ რუსულ წყაროებში მოვიპოვებთ (Бохта), XIX საუკუნის “პენტოურ”-

ბერძნულენოვან ხიზანთა ზეპირმეტყველებიდან ჩაწერილი.

შორეთი მოხსენებულია რამდენიმე ხელნაწერი პერგამენტის მინაწერში:

1. უმნიშვნელოვანესია ვანის ოთხთავის მინაწერი: “მე-274 კაბადონის პირველ გვერდზე მხედრულის ხელით სწერია (XIII-XIV ს.) «წ. შემოსწირა: წმინდა: ესე ოთხთავი: პატრონმან ნათამან ჩვენ: საბოთარსა: და შორეთელთა: პირველ ხატსა მაცხოვრისასა: და წ-ისა გ-ი შორეთისასა და წ-ისა ნკ-ს” 23 (82; 21, 86; №1335), ამ მინაწერზე დაყრდნობით ე. თაყაიშვილი ასკვნის, რომ მთავარი ხატი მაცხოვრის სახელობისაა, რასაც ადასტურებს შორეთის «ფარული» და 2017 წ. გამოვლენილი ლაპიდარული წარწერა: «(იესო) ქ(რისტე)ე...მოსახელისა შენისა...». (იხ. ქვემოთ).

2. და 3. შემოწირულობანი კოზმან და პავლე არსენის ძე უგრეხელიძეთა გვარებს იხსენიებენ ანდერძებში. სწირავენ “შორეთას”, ან “წმ. გიორგის შორეთისასა”. (62, 203)

4. ხელნაწერთა ანდერძებს დაემატა ე. თაყაიშვილის მიერ 1917 წელს შო მღვიმის მონასტრიდან ჩამოტანილი თეოფილე ხუცეს-მონაზონის მიერ თარგმნილი ასკეტური კრებული “მამათა ცხოვრების” მინაწერი: “ითარგმნა ... სახელითა და მეოხებითა... და წმიდის გიორგისი შორეთისაითა ... ნუ ვინ გამოაჰუბს ხატსა ღვთაებისასა და წმიდასა გიორგის შორეთისასა” (87, №1342). ამ ანდერძს ყურადღება პირველად ექსპედიციის წევრმა ო. მაისურაძემ მიაქცია 1992 წ.

შორეთის შესასვლელთან არსებული წარწერის პირველი სრული და სწორი წაკითხვა ეკუთვნის გიორგი ბოჭორიძეს, გამოქვეყნება ე. ბერიძეს: „ორბ(ელ)ისძეს ნიკოლოზს, გალატოზთ უხუცესს შეუნდგენ ღმერთმან, ამინ.“



ეკლესიის შესახებ ბერიძე ამბობს: „ვარჩიეთ ეკლესია არ განგევილა, რადგანაც მის შესახებ ზუსტი და საბოლოო დასკვნის გამოსატანად, მისი შრეების გასარჩევად, ძეგლის საფუძვლიანი გაწმენდა და თვით გათხრაც კი იქნებოდა საჭირო, მით უფრო, რომ შენობა თავისი ტიპითაც მეტად თავისებურია.“ (25; 214) გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებულია „სათესველი შორეთა, შორეთა“. აღწერილია მხოლოდ როგორც სათესველა. (6, 148)

პარხლის ფასადზე 17 სტრიქონიან მხედრული, XIII-IV საუკუნის წარწერაში (94; 94-95) იხსენიებიან საბა მღვდელმთავართ უხუცესი, პატრონი კათალიკოზი ნიკოლოზი (ე.თაყაიშვილის ვარაუდით 1240-1273 წლებში

მოღვაწე ნიკოლოზ კათალიკოზი), და “საბადრი შვილი”. ვინ უნდა იყოს “საბადრის შვილი”, რომ ესოდენ მაღალი რანგის სასულიერო პირებთან ერთად ბრძანებას იძლევა პარხალში და წარწერაში მღვდელმთავართუხუცესისა და კათალიკოზის შემდეგ იხსენიება?

“ ... 5. მღვდელთ მოძღუა ... (ქალწულთაითა: ესე დაწერილი: მე საბა: მღვდელ მთრ

6. თ უხუცესმა ... (პატრონმა წმნ: ქ კ-ზმნ: ნკ-ზ: და საბადრის შვილმა

7. მიბრძანეს ...” (94; 94-95)

ქცხოვრების “საბოტარელთა”, ვანის ოთხთავის “საბოთარი“-სა და პარხალში მოხსენებულ “საბადრის შვილი“-ს ურთიერთკავშირი დასაშვებია, მით უმეტეს, რომ შორეთის იმპოსტის რელიეფურ წარწერაში მოხსენიებული კათალიკოსის სახელი შესაძლოა ნიკოლოზი იყოს. (წარწერა

ჩამოტეხილია, რელიეფური ასომთავრული გრაფემების მხოლოდ ქვედა ნაწილებია შემორჩენილი და ძნელი ამოსაცნობი, ანუ “მქლ” და “ნკზ” იდენტურია).

ვახუშტის შორაპანი (“არს შორაპანს მონასტერი...”) პროფ. გურამ გრიგოლიასა და მეუფე ანანიას ჯაფარიძის მოსაზრებით, სრულიადაც არ არის შემთხვევით ნახმარი. მაგისტრალურ გზებზე მოწყობილი იყო გამაგრებული პუნქტები, ქალაქები, “შორაპნები”, («სარაპანის»-ები), ინფრასტრუქტურით, საფორთიფიკაციო და საკულტო ნაგებობებით. «შაპრ/საპრ» ქალაქია სპარსულად, ხოლო “პაან/პაგან” უფალი (მფარველი, მცველი, გამგებელია), საუკეთესო ძველქართული თარგმანი სარაპანისა “უფლისციხეა”. საგულისხმოა ვიკიპედიაში “სატრაპის” ეტიმოლოგიური განმარტება:

“The word SATRAP is derived via Latin *satrapes* from Greek *satrápēs* (σατράπης), itself borrowed from an Old Iranian \*xšaθra-pā/š-. In Old Persian, which was the native language of the Achaemenids, it is recorded as *xšaçapāvan* (literally "protector of the province"), *xšaça* ("realm" or "province") and *pāvan* ("protector") and is the origin of the word "kshatriya". In modern Persian the descendant of *xšaθrapāvan* is *shahrbān* (شهربان), but the components have undergone semantic shift so the word now means "town keeper" (*shahr* [شهر] meaning "town" + *bān* [بان] meaning "keeper").



“მარზპანი” სხვადასხვა განმარტებით “საზღვრის მცველს” და “სანაპირო ქვეყნის უფალს” ან “უფლის ნაცვალს” ნიშნავს.

X-XI საუკუნეში ბოქთა დაიმცრო და ოთაში აიგო ახალი ფეოდალური სახლის რეზიდენცია - ოთის ციხე რაბათით, საბოთარი-ოთა-ოთარი და ოშორა-სარო/შარო-შაროეთი/შორეთი კი გაერთიანებულ ერთეულად, მიკრო ”ქუეყანად” ჩამოყალიბდა, ანუ: აპინძისხევი ოშორით, კოლიანით, ტაბაწყურით, ზვარეთით, სარო-სამსარის გასწვრივ ფარაგენისწყლის მარჯვენა სანაპირო ფლატემდე, რაც ამ მხარის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს აბულ-სამსარის ქედამდე, გვირგვინდება აბულის ციხით, შესაძლოა ამ ფეოდალური სახლის იურისდიქცია ვრცელდებოდა გარკვეულ პერიოდში თორზე, დემოთის ციხეზე, აწყურზე, ფერსათის მთაზე, მტკვრის ხეობაზე ტაშისკარამდე და იმიერ ქართლზე. შესანიშნავად მოგვეხსენება, რომ იმერეთი «იმიერ ქართლი» იყო და აფხაზთა სამეფოს მიერ ქართლის ანექსიამდე (ანუ ლეონ II-მდე) შორაპნის, მარგვეთის, ჩიხის ერისთავები ქართლის ერისთავებად მოიარჩებოდნენ. მიჰრი და არჩილი იმიერ ქართლში, ეგრისში, აფხაზეთში, სვანეთსა თუ კახეთში, სპერში, კლარჯეთსა თუ ჯავახეთში, საკუთარ მამულში იყვნენ, სამეფოსა და სარწმუნოებას იცავდნენ დამპყრობლებისგან.

«კოლიანის საბატონო» სტრატეგიული თვალსაზრისით ერთიანი, უალტერნატივო და ეკონომოკურად დაკავშირებული მიკროქვეყანა იყო, რომელიც სავარაუდოდ შეიქმნა ისტორიულად უკვე ადრევე არსებულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულის საზღვრებში, «სახელმწიფოში», რომელსაც არაუგვიანეს VIII-IX საუკუნეებისა (შესაძლოა მანამდეც, VI საუკუნიდან, სპარსელთა მძლავრობის დროიდან, როცა ხოსროვანთა მეფობა მოსპევს, ერისთავებს მამულები დაუმტკიცეს და «უმეტეს ქართლში» გაბატონებულნი «პბრძოდნენ ბერძენთა»), ეს სახელმწიფო «ოშორა»/«შაროეთი»-ს (ჯავახეთის შორაპან/სარაპანისის) სახელწოდებით იყო ცნობილი, ცენტრით სარო (შარო)-ში, რომლის ეტიმოლოგია სპარსულ-ფალაურ «შაპრ» (ქალაქი)-იდან მომდინარეობს. ანალოგიური წარმომავლობისაა რუსთველის «გულან-შარო» (სპარს. «გულან»-გარდი და «შარო»-ქალაქი,

გავიხსენოთ თანამედროვე «ფერეიდუნ-შაჰრ»-ი, ირანის მარტყოფი). ბაგრატ შაროელ ხელმწიფის (მამულის აფხაზეთში მქონე) ქალი თხოვდება აშოტ კუროპალატის უფროს ძეზე - ადარნასეზე, ჩიხაში აშოტ კუროპალატის შვილიშვილი გიორგი I აღწეფელი ძმისშვილს ქართლის ერისთავად ნიშნავს, ანუ აფხაზეთის სამეფოს უერთებს (ეს ტერიტორია ლიხამდე ისედაც ლეონ II-ს დროიდან აფხაზეთში მოექცა, მაგრამ არ ვიცით ჩიხის ერისთავის იურისდიქცია ამიერქართლსა და თორჯავახეთზეც თუ ვრცელდებოდა, და სადამდე მიდიოდა). შაროელთა განაყოფი შტო ივანე და შემდეგ ადარნასე შავლიანები აფხაზეთის ტახტზე ადიან IX საუკუნეშივე. შავლიანები უზურპატორებად ითვლებიან თუმცა შესაძლოა დედის მხრივ თეოდოსი II-ის (აშოტ კუროპალატის სიძის) ასულის მხრივ ლეგიტიმურობასაც ფლობდნენ აფხაზეთის ტახტზე, რადგან მხოლოდ გიორგი I აღწეფელის ქვრივის მხარდაჭერით, ივანე შავლიანს არავინ აპატიებდა დემეტრე II-ის ძეთა მკვლელობას და ტახტზე ასვლას, ვერც გუარამ მამფალს დაუმოყვრდებოდა ყოვლად არალეგიტიმური უზურპატორი. ბაგრატ დემეტრეს ძე ბიზანტიელთა ჯარის დახმარებით იბრუნებს ტახტს, ცხადია ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშ. ეს პიპოთეტური მოსაზრება «შავლიანების დედის ხაზით თეოდოსი II-ს ასულისგან ჩამომავლობისა», რომელსაც თავის მხრივ დედა აშოტ კუროპალატის ასული ჰყავდა, ეკუთვნის მ. ბირკაძეს (მარკოზ ურქითს). ჩვენი შემხვედრი პიპოთეტური მოსაზრებაა, რომ შავლიანთა სახლი ბაგრატ შაროელ ხელმწიფის სახლის განაყოფია და ამ ფეოდალური სახლის მამული სწორედ ზემო ჯავახეთია სამხრეთით და დასავლეთით მტკვარამდე, წუნდამდე, აღმოსავლეთით ფარავანამდე, ჩრდილოეთით კი თანამედროვე არგვეთის ჩათვლით (რაც იმ დროს ჯერ კიდევ იმიერ ქართლად მოიაზრებოდა, მაგრამ ფაქტიურად აფხაზეთი იყო, როგორც საგანგებოდ აღნიშნავს მერჩულე), გიორგი I-ის მიერ ჩიხაში ძმისშვილის გაერისთავება, შესაძლოა სწორედ მეზობელი ფეოლის დაპყრობას, შაროელ/შავლიანთა წინააღმდეგ მიმართულ აქტს წარმოადგენდა.

«შაროელ ხელმწიფეთა» სახლი საგვარეულო სახელით ვარაზ-ბაკური (სახელი ბაგრატ ბაგრატონთაგან დამოყვრებითვე «ნასესხები» ჩანს) ვფიქრობთ, რომ შაროელ ხელმწიფეთა სახლი ხოსროვან-ბაკურეანთა ჩამომავალი უნდა იყოს, არჩილისა ან მიჰრის შვილებისაგან, არჩილს ცოლად ბაგრატონი ჰყავდა (მირდატ ვახტანგის ძის შთამომავლობიდან), ამგვარი მრავალჯერადი დანათესავებიდან უნდა მომდინარეობდეს «შაროელთა» ლეგიტიმაცია ლეგიტიმაცია ჯავახეთშიც და აფხაზეთშიც.

აშოტ კუროპალატი თეოდოსის II-ს (სიძეს) კახეთის წინააღმდეგ სამხედრო დახმარებას უწყევდა, მაგრამ ბუდა თურქის შემოსევისას ბაგრატ კუროპალატი (აშოტის ძე) უკვე არაბთა მხარეს იბრძვის აფხაზეთის სამეფოს დემეტრე II-ს (დისშვილის წინააღმდეგ), უფროსი ძმა ადარნასე, ბაგრატ შაროელის ყოფილი სიძე არ ერევა კონფლიქტში, ხოლო ბაგრატის კუროპალატის უმცროსი ძმა გუარამ მამფალი პირიქით ჯავახეთს იპყრობს, მაგრამ იბრძვის არაბების წინააღმდეგ და ეხმარება აფხაზთა მეფეს (დისიძეს), რომელიც თავის მხრივ ცდილობს ქართლის დაუფლებას. აშოტ კუროპალატის ერთ სავარაუდო შვილიშვილის ივანეს ძეს ადარნასე შავლიანს ცოლად მოჰყავს მისივე მეორე შვილიშვილი გუარამ მამფალის ასული, ხოლო რაც შეეხება ბიზანტიური ჯარით დაბრუნებულ აშოტ კუროპალატის მესამე შვილიშვილს ბაგრატ დემეტრე ძეს, რომელიც უზურპატორ ადარნასეს სიკვდილით სჯის, დაქვრივებულ გუარამ მამფალის ასულს ცოლად ირთავს, ცოლისძმა – განდევნილი ნასრე გუარამ მამფალის ძე ჩამოყავს კონსტანტინეპოლიდან, მორთავს ოსებს და ეწყობა მტრებს: ტაო-კლარჯეთის ხელმწიფეთ, ლიპარიტ ბაღუაშსა და ანისის მეფეს.

გუარამ მამფალმა ოძრხე, ჯავახეთი და თრიალეთი დაიქვემდებარა, როგორც ჩანს შაროელ ხელმწიფეთა ადარნასესთან უკვე დამოყვრებულმა სახლმა (თუმცა ადარნასეს მიერ ცოლის «განტყვევებით» დამცირებულმა, მაგრამ გრიგოლ ხანძთელის მიერ ღირსება აღდგენილმა), «იპატრონა» გუარამ მამფალი და ეს ურთიერთობა მოგვიანებით შავლიანებთან დამოყვრებაშიც გამოიხატა, თუმცა 80-იან წლებში ვითარება რთულდება, გადმოდის არგვეთიდან ლიპარიტ ბაღუაში, იპყრობს თრიალეთს სკვირეთამდე და იპატრონებს დავით კუროპალატს, რომელსაც მოტყუებით ჰკლავს ნასრა, რადგან თრიალეთში ბაღუაშის გაბატონებისთვის პასუხს სწორედ დავით კუროპალატს მოჰკითხავს. დავითის ღალატით (მიტყუებით) მოკვლისთვის ნასრას განდევნიან ბიზანტიაში, ბაგრატ I-ის მიერ დაბრუნებულს კი ისევ ამარცხებენ და ჰკლავენ ასპინძის მიდამოებში. არ არის ცნობილი თუ რა ბედი ეწია ამ დროის განმავლობაში «შაროელ ხელმწიფე ბაგრატს» მის შთამომავლებსა და მის სახელმწიფოს, მით უმეტეს, რომ ნასრას ყოფილი სიძე ადარნასე შავლიანი ბაგრატ I-მა ჩამოაგდო აფხაზეთის ტახტიდან, სიკვდილით დასაჯა და თვითონ შეირთო ცოლად ნასრას დაქვრივებულს და.





ახალქალაქის განვითარების, აღმშენებლობის შემდგომ პერიოდს. როგორც ჩანს კოდიანი, შარვაშეთი და სარო-სამსარი ავტონომიურ მიკროქვეყანად რჩებოდა და უწინარეს ყოვლისა საუფლისწულო დომენთან იყო ინტეგრირებული, უადრესად სტრატეგიული მდებარეობის წყალობით მუდამ ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მყოფი ეტყობა სამეფო ოჯახის სანდო დასაყრდენს და ეკლესიის ერთგულ მოკავშირეს წარმოადგენდა (სოფლების დიდი ნაწილი ასპინძისხევსა და ზვარეთში სვეტიცხოვლის საკუთრებაა).



თორელი) და შემდეგ უკვე ახალ საგვარეულო სახელად დაემკვიდრებინა იგი. რაც შეეხება საკუთარ სახელს შალვა-ს (შავლეგოს), შესაძლოა «შაროელი»-სგან მომდინარეობდეს, შაროელი-შარველი (თანამედროვე ჯავახურ დიპლექტზე «საროელი» გამოითქმის «სარველ-ად», შაროელიდან მოდის შარვაში (ლაზურ-მეგრული ფორმა), შავლეგო და შალვა, გვარი «შავლიანი» შალვადან უნდა მომდინარეობდეს, ხოლო თავდაპირველი ფორმა შაროელ-შარველი უნდა ყოფილიყო, შარვაშეთის ქედი თორსა და ჯავახეთში და შარვაშიძე გვარი აფხაზეთში სწორედ შაროელ-შავლიანებისგან უნდა მომდინარეობდეს.

ახალქალაქი («ახალ-ქალაქი» გულისხმობს ზემო ჯავახეთში ძველი ქალაქის (ძველი რეზიდენციის) არსებობას, რომელსაც სავარაუდოდ სარო (შარო, შაროეთი, შორაპანი) უნდა რქმეოდა, წუნდის ზეობის დროს ფარავნის მარჯვენა ფლატეზე იყო მოქცეული, სახელმწიფოდ



ნასრას დამარცხების მოკვლის შემდეგ, «დავით კუროპალატის სისხლისგან უბრალთ», შემონაზუნებული გუარამ მამფალი ძმებს და ნათესავებს განუყოფს მამულს. ამ დროს, შესაძლოა კოდიანს, ასპინძისხევსა და შარვაშეთს, ზემო ჯავახეთს (ზეგანს ფარავნისწყლამდე) კვლავ «შაროელთა» სახლი ფლობს, მით უმეტეს, რომ სავარაუდოდ ნასრას წინააღმდეგ გამოვიდოდნენ და ასპინძისხევთან მის განადგურებაშიც მიიღებდნენ მონაწილეობას.

XI საუკუნეში ჯავახეთის ერისთავებად ფარსმან თმოგველი და ზვიად მარუშიანი ჩანან, მაგრამ ეს უკვე ეხება კონსტანტინე III-ის მიერ ჯავახეთის შემოერთებისა და

XII საუკუნის ბოლოს თაღპიონზე ახალციხელები ჩნდებიან, საკუთარი სახელები: შალვა და ივანე თორელთა საგვარეულოში არც მანამდე, არც შემდეგ არ გვხვდება. (XI ს. ვარაზ-ბაკური გამრეკელის თიკუნი: «გამრეკელი» საკუთარ სახელად გვხვდება თორელებში, მაგრამ შესაძლოა ვარაზ-ბაკურის შთამომავალი თორელებზე გათხოვილი ქალის მიერ იყოს დამკვიდრებული სამხივარ-თორელთა გვარში, ცხადია რძლის თუნდაც სახელგანთქმული წინაპრის (ან მამის) სახელს პირმშოს, მემკვიდრეს არ დაარქმევდნენ შესაბამისად არანაკლებ სახელოვანი ფეოდალები, მაგრამ შესაძლოა დაწინაურებულიყო გამრეკელის სახელის მატარებელი უმცროსი ძე (გამრეკელი

დაემკვიდრებინა იგი. რაც შეეხება საკუთარ სახელს შალვა-ს (შავლეგოს), შესაძლოა «შაროელი»-სგან მომდინარეობდეს, შაროელი-შარველი (თანამედროვე ჯავახურ დიპლექტზე «საროელი» გამოითქმის «სარველ-ად», შაროელიდან მოდის შარვაში (ლაზურ-მეგრული ფორმა), შავლეგო და შალვა, გვარი «შავლიანი» შალვადან უნდა მომდინარეობდეს, ხოლო თავდაპირველი ფორმა შაროელ-შარველი უნდა ყოფილიყო, შარვაშეთის ქედი თორსა და ჯავახეთში და შარვაშიძე გვარი აფხაზეთში სწორედ შაროელ-შავლიანებისგან უნდა მომდინარეობდეს.

იწოდებოდა, სავარაუდოდ «გუგარქი-გოგარენეს» ანუ სომხურ სახელმწიფოთა ექსპანსიის დროსაც ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. X-XI საუკუნიდან როგორც ჩანს ზემო ჯავახეთის ეკონომიკურმა ცენტრმა ახალქალაქში გადმოინაცვლა, თმოგვი საკარგავია, ქვემო ჯავახეთში ხერთვისი, წუნდა, ყველის ციხე ძლიერ ცენტრებად არიან ჩამოყალიბებული, აწყურში-თორსა და გუჯარეთში სამხივარნი ჩანან, XII საუკუნეში მტკვრის მარჯვენა ნაპირით შემოსაზღვრული «ყურე-ნახევარკუნძული» სავარაუდოდ «შაროელთა» ჩამომავალ ახალციხელების მამულია, რომლის იურისდიქცია ჯაყელთა ხარჯზე ახალციხის მიმართულებით იზრდება, ხოლო აზავრეთ-ალასტან-კოხტა-სარო-

სამსარ-შარვაშეთის-კოდიანით შემოსაზღვრული მხარე საუფლისწულო დომენად არის ჩამოყალიბებული. კვლევის საგანია შაროელთა სახლისა და ორბელიანთა ურთიერთკავშირი.

სერგი მაკალათიას მიერ ჩაწერილ შოთა რუსთაველის შესახებ ჩაწერილ მესხურ ლეგენდაში ასპინძისხეველ კოდიანის მებატონის მამულები «წალკამდე სწვდება» ანუ დანარჩენ ზემო ჯავახეთსა და თრიალეთზეც ვრცელდება... ვინ არის კოდიანის მებატონე ვარაზ-ბაკურ ოთარი? სამშვილდელ «ნათესავით პიტიახში» ვარაზ-ბაკურის შთამომავალი? თუ ხოსროვან-ბაკურენი? შორეთის ლაპიდარულ წარწერაში მოხსენებული XII-XIII ს. ვარაზ-ბაკურ ოთა(რის)ძე სწორედ საბოთართა და შაროელ-შორეთელ-შორეთელთა ჩამომავალია, სამშვილდეში მოკალათებულ სომეხ



ბაგრატუნთა პირველი «მწურთნელი» ხომ ისევ ვარაზ-ბაკურ გამრეკელია XI საუკუნეში, აბიკვის ორივე წარწერის XII ს. ვარაზ-ბაკურ ერისთავთა ერისთავია. შორეთის ვარაზ-ბაკურს ოთა(რის)ძის, წინაპრთა სახლის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ ბაგრატ შაროელი ხელმწიფე, იოანე და ადარნასე შავლიანები აფხაზეთის მეფენი, შარვაშიძენი (აფხაზეთის ერისთავი დოთალო და დარდინ რუმის ამირსპასალარი), შალვა და ივანე ახალციხელები.

ნიკო მარი ფიქრობდა, რომ «შაროელი» და «შარვაშიძე» ერთმანეთს უდრის და შარვაშიძე შაროელის მეგრულ-ჭანური ფორმიდან შაროში-დან მომდინარეობს. ჩვენი აზრით სვანურ დიალექტში შაროელი/შარვაში შარველ-შავლიანად ტრანსფორმირდა, რაც დიალექტთა თავისებურებების

გათვალისწინებით სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, თუმცა არ იქნა გაზიარებული მეცნიერთა მიერ და უპირატესობა მიენიჭა მოსაზრებას შარვაშიძეთა შარვანშაჰიდან (დავით აღმაშენებლის სიძე) მომდინარეობის შესახებ.

გიორგი მერჩულის ცნობა «შაროელ ხელმწიფის» შესახებ, ცხადია საშუალებას გვაძლევს პარალელი გავატაროთ «ელარჯ ხელმწიფეებთან», აშოტ კუროპალატის რძალი, ადარნასე მეფის პირველი მეუღლე შაროელ ხელმწიფის ასულია და გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულებიდან კარგად ჩანს თუ როგორ იცავს უსამართლოდ განდევნილი დედოფლის ღირსებას მსცოვანი გრიგოლ ხანძთელი. მონაზვნად აღკვეცილ დედოფალს «ბევრელს» უწოდებენ მონასტერში, ესეც საგულისხმოა, რადგან ტოპონიმი ბავრა (ბავრელი-ბევრელი) ორ ადგილას დასტურდება ჯავახეთში, ბევრეთი აგრეთვე ტოპონიმია (ამჟამად დედათა მონასტერი) საორბელო თრიალეთში ვერეს ხეობაში (სკვირეთში). რაც შეეხება «შაროელს», ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებით რაჭას («შაორი») უნდა უკავშირდებოდეს, ცხადია იმ მოტივითაც, რომ შაროელი ხელმწიფის ასულს «მამულში, აფხაზეთში» აბრუნებენ, და რაჭა აფხაზეთის სამეფოშია ამ დროს, მაგრამ ერთის მხრივ «ხელმწიფის» სტატუსი საკუთრივ შაორის (რაჭის) მებატონეებთან არსად დასტურდება, ამას გარდა, ჯავახეთში, ფარავნის ტბასთანაც მდებარეობს ტოპონიმი «შაორი», უძველესი, მშრალი წყობით აგებული ციხე-სიმაგრე. «შაროელი ხელმწიფე» უკავშირდებოდეს ტაო-კლარჯეთთან გეოგრაფიულად უფრო ახლოს მდებარე, მეზობელ მიკრო ქვეყანას (რეგიონს) – საროს, რომლის პოლიტიკურმა ცენტრმა (დედაქალაქმა) შემოინახა სახელწოდება სარო და წარმოდგენილია ნაქალაქარი საროს უძველესი ციხე-სიმაგრისა და რეგიონის, უფრო ადრინდელ, ერთმანეთთან დაკავშირებულ საფორთიფიკაციო, საკულტო, საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსის სახით, რაც ცხადყოფს მძლავრი, რეგიონული სახელმწიფო-ადმინისტრაციული ცენტრის არსებობას.

ტოპონიმი «სარო» ირანული «შარო»-დან («შაჰრ-ო/ო»), ქალაქი, გალაგნიანი ადგილი, იგივე მეთოდოლოგიით არის წარმოშობილი, როგორც ქართულ სუფიქსიანი ინდოევროპულ/ხეთური «ღართ-ა» ან «ქართ-ა». შორეთის მონასტრის არქეოლოგიური კვლევის პარალელურად დაზვერვითი სამუშაოები მიმდინარეობდა სოფ. ოთასა და მის შემოგარენში, გამოვლენილია გვიანბრინჯაოს ხანის ყორღანული სამარხები, ქვასამარხები, მძლავრი საფორთიფიკაციო ნაგებობის ნაშთები შორეთისკენ მიმავალ გზაზე ე.წ «სათრითავის» გადასახვევისკენ, კოხტას ციხისკენ მიმავალ საურმე გზისკენ, «სათარი» კი დამახინჯებული შესაძლოა «საბოთარი» იყოს, «სათრისთავი» ანუ «საბოთრის» თავი, XI-XIV სს, მიწისძვრებისა და პერმანენტული შემოსევების შედეგად შორეთის ციხე-სიმაგრისა და «საბოთარი»-ის ორი მესამედი მაინც ჩამოქცეული ჩანს, შესაძლოა «სათარ/საბოთარი» აღდგენას ვეღარ დაეკვემდებარა ნამოსახლართურთ და გავერანდა, რეზიდენცია კი სწორედ ამ დროს იქნა ოთაში გადმოტანილი მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

შორეთის მონასტრის მომდევნო ხეობაში უხეშად გათლილი ქვის შენობა დგას, სავარაუდოდ ციხე, იკვეთება რამდენიმე გოდოლი, მაგრამ შესაძლოა საკულტო ნაგებობაც იყოს, ზემო ინთორის ნასოფლართან, კლდის ქიმზე. თუ ვარაზას ციხე-შორეთის ციხე და ოთის ციხე ერთმანეთს ვიზუალურად ხედავენ და სიგნალის გადაცემაა შესაძლებელი, ზემო ინთორის ციხე ამ სისტემაში

არ ზის, ის სხვა ეპოქისაა, გაცილებით უფრო ადრეული პერიოდის, სავარაუდოდ «სათარ/საბოთარის ციხის», ჩიტიკიბეების, ოლდანის და «ბოქთის ციხის» დროინდელი.

მეცხრე IX-XI საუკუნეებში სახეზეა აფხაზეთის მეფეების გააქტიურება ქართლის მიმართულებით, არგვეთის მიმდებარე თორი და ჩრდილო ჯავახეთის ზეგანი თრიალეთითურთ ჭეშმარიტი კარიბჭე და სტრატეგიული პორფოსტია. სიმპტომატურია შავლიანთა გამეფებისთანავე ლიპარიტ ბაღვაშის არგვეთიდან თრიალეთში გადასვლა, ბაგრატის დაბრუნებისა და ადარნასე შავლიანზე შურისძიების შემდეგ შესაძლოა შეთანხმებულიც იყო ეს გადასვლა. «შაროელი ხელმწიფის» დროს აფხაზეთის სამეფოს საზღვრებში აღნიშნული რეგიონი (სარო, შარო, შაროეთი) შესაძლოა თამამად მოვიზაროდ, მით უმეტეს, რომ სავარაუდოდ შაროელთა შტო აფხაზეთში გამეფდა, ბაგრატის ბიზანტიიდან დაბრუნებამ რადიკალურად შეცვალა Status Quo, მაგრამ აფხაზეთის სამეფოს იურისდიქცია X საუკუნიდან სწრაფად განივრცო მეტნაკლები წარმატებით ჯავახეთზე, ბაგრატ მესამე კუმურდოს კტიტორადაც მოგვევლინა.



კოლიანის მთა (ვახუშტის მიხედვით «ჯავახეთის მთა») არის შარვაშეთის (ზოგ წყაროში «შარვაშეთი») წყალგამყოფი ქედის შემადგენელი ნაწილი, «შარვაშეთი» ცხადია «შაროეთი»-დან მომდინარეობს, ამა-სთანავე თანამედროვე სოფ. ციხისჯვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვაბულში, ცხრაწყაროს უღელტეხილისკენ, მდებარეობს თერმული «შერანშაიანთ წყარო» (იხ. «მესხური მატრიანე»).

მიუხედავად ბიზანტიის იმპერატორთა პერმანენტული ექსპანსიისა საქართველოზე, განსაკუთრებით მე-9 საუკუნიდან კლარჯეთსა და აფხაზეთში, უნდა ვივარაუდოთ, რომ შენარჩუნებულ იქნებოდა ადგილობრივი არისტოკრატის, კერძოდ საქართველოს სამეფო ოჯახის სეფაწულთა მმართველობა ბიზანტიის დროშებქვეშაც, ანუ ქართველი ერისთავი, მეფე იღებდა არქონტის, პატრიკიოსის, კუროპალატის, მაგისტროსის ან სხვა რამ წოდებას და ინარჩუნებდა ხელისუფლებას, რაც გაგრძელდა მე-12 საუკუნემდე.

IX-X სს საუკუნეებში ზემო ჯავახეთის ნაწილი – შაროეთი («შაროელ ხელმწიფის» სამფლობელო მოიცავდა წუნდა-ხერთვისიდან ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით მდინარე ფარაგნიდან დასავლეთისკენ მტკვარამდე რეგიონს, კოლიანს, ტაბაწყურს, სარო-ხიზაბაგრა-ალასტან-გოკიას, სამსარ-აბულს, შარვაშეთს, თორს ტაშისკარიდან დემოთამდე, მტკვრის ჩრდილო შენაკადების ამოღმართ იმიერ ქართლამდე-არგვეთამდე. დასავლეთით «ზღვამდე სპერისა» და ჩრდილოეთით კავკასიონის ქედამდე აფხაზეთი იყო, ლიპარიტმა მიუხედავად თავისი «ქვეგამხედვარობისა», მარგვეთიდან თრიალეთში შესვლითაც კი აფხაზეთის სამეფო განავრცო, უცნობია შავლიანთა და ბაღვაშთა ურთიერთობა.

მთავარი ტაძრის ინტერიერიდან და კარიბჭიდან გატანილი მიწა გაიცრა და დიდი რაოდენობით აღმოჩნდა მოზაიკის კენჭები, მდიდარი ფერების გამით. სწორედ ეს იყო ვახუშტის „სოფიის კენჭი“, იგ. გვარამაძის „მუზაიტის კენჭი“ ან ე.თაყაიშვილის „Секлянные кубики“ რამდენიმე ცალი რომ უპოვია მოგზაურობისას, შორეთის მოზაიკას განიხილავს აგრეთვე ხელოვნებათმცოდნე დიმიტრი გორდევგი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულ ხელნაწერში, (წყარო მიმითითეს აკად. გ. ლორთქიფანიძემ და პროფ. გ. გრიგოლიამ).

თავად ეკლესია ნაგებია კარვად გათლილი ნაცრისფერი ქვით. სამრეკლო და სამლოცველო ეკლესიის სამხრეთ კედელზეა მიშენებული. სამრეკლო სამლოცველო სამსაფეხურიან ცოკოლზე დგას. ეკლესიის ძირითადი ნაწილი შიგნით ჯვაროვან სივრცეს ქმნის. სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს გაკეთებულია უბეები ჯვრის მკლავებით, რომლებიც გადახურულია მთავარი კამარის პარალელური კამარებით. საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით მოთავსებულია სამკვეთლო, სანათლი და სხვა დამატებითი სათავსები, რომელთაგან ერთ-ერთი უკავშირდებოდა ეკლესიის ქვედა დარბაზს. შეინიშნება მხატვრობის ფრაგმენტები კონქში და კამარის საბრჯენ თაღზე. კონქში გამოსახული იყო შუაში მაცხოვარი, წმ. მირიანი და იოანე ნათლისმცემელი. ფრაგმენტების საერთო გამა მოცისფრო-მოყავისფროა. 1849 წელს აკად. მარი ბროსემ იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში. მიუხედავად “სიცივისა და უდროობისა”, სხვა საყურადღებო ცნობებთან ერთად ძეგლის ლაპიდარული წარწერების აღწერილობაც დაგვიტოვა. მათგან ყველაზე საყურადღებოა კათალიკოზ მიქაელის რელიეფური წარწერა:

როგორც მ. ბროსე მოგვითხრობს (45, 177) მას თავის ადგილზე დადებული უნახავს და წასაკითხად ჩამოუღია რელიეფური წარწერა: ” Ⲕⲓ ⲧⲓ ⲕⲓⲠ ⲛⲈⲚⲘⲘ Ⲡⲓ ⲕⲔ ⲔⲓⲔ ” - “იესუ ქ(რისტი)ე, ძეო ღვთისაო შ(ეიწყალ)ე კ(ათალიკო)ზ(ი) მ(ი)ქ(ე)ლ”.

აღნიშნული წარწერა ბაქრადის, თაყაიშვილის, ბოჭორიძისა და ბერიძის სამეცნიერო ექსკურსიების დროს დაკარგულად ითვლებოდა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ე. თაყაიშვილი,

მაგრამ 1987 წელს ჩვენი ექსპედიციის მიერ იქნა მოძიებული გვიანდელ ხანაში ეკვდურად გადაკეთებული მცირე სამლოცველოს – მონასტრის საძვალის კარიბჭესთან, ნაშალი მიწის ფენის ადებისას. წარწერა კაპიტელის ან კარნიზის ფრაგმენტზეა ამოკვეთილი, ორ მხარეს. ცალ მხარეს ძლიერ დაზიანებულია და საკუთარი სახელი აღარ იკითხება, თუმცა დარჩენილ ასოთა ფრაგმენტების მიხედვით შესაძლოა იყოს **ჩხ ჰქ**, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა იკითხებოდეს **” ჰქ - მელქისედეკ”**. წარწერის ძირითადი ნაწილი კარგად არის შენახული. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ასო **”ვიე”**, რომელიც თითქმის თავშეკრულია, თუმცა წარწერა პალეოგრაფიულად შედარებით გვიანდელია თავსეკრულე **”ვიე”-სთვის**. წარწერა თავისი რელიეფურია, (სამხრეთ ფასადზე კრიპტაზე დაშენებული კარიბჭის ტიმპანის უნდა იყოს), პალეოგრაფიულადაც საკმაოდ განსხვავდება, ვფიქრობთ უფრო ადრინდელი უნდა იყოს სხვა ლაპიდარულ დანარჩენ წარწერებზე.

მ. ბროსეს ეკუთვნის კიდევ ერთი ფრაგმენტული წარწერის აღმოჩენა:

**” ... ბეც ითისბძე ... ნქმიდბ ოსი უხესიბ ”**

**“სახელითა ღვთისაითა აფაშენეთ წმიდა ესე ეკლესიაი”**

1995 წ. სატრაპეზოს გათხრებისას მიკვლეულ ფრაგმენტებზე შესაძლოა ამ წარწერის კვალი იყოს შემონახული, შესაძლოა ბროსემ ზუსტი წაკითხვა არ მოგვცა, ან ფრაგმენტები დაზიანებულია და აღარ იკითხება სათანადოდ. ზემოხსენებული ფრაგმენტები მონასტრის ქვის კანკელს ეკუთვნის და შეფუცდებით მის რეკონსტრუქციას.

1988 წელს ჩვენი ექსპედიციის მიერ აღმოჩნდა სრულიად უცნობი წარწერა სამრეკლოს სამხრეთ დასავლეთ კედლის გათხრისას, ნაშალი მიწის ფენაში, ზედაპირთან ახლოს. ეს არის ჩამომტვრეული კუთხის კარნიზის ფრაგმენტი სამრეკლოს პირველი სართულის კარნიზიდან.

**QQ ყუყუი ჩხ**

**”უფალო შეეწიე ნიკოლოზს”**, თუ პირველად ასო **კ-ს** წავიკითხავთ შესაძლოა იყოს კონსტანტინე. მაგრამ უფრო ნიკოლოზი უნდა იყოს (ასოები ერთმანეთშია ჩახაზული).

1989 წელს ექსპედიციის მსვლელობისას, სატრაპეზოს არქიტექტურული ანალიზისას გაჩნდა ეჭვი, რომ დასავლეთის მხრიდან მშრალი წყობით ამოქოლილი კედელი კარი უნდა ყოფილიყო. არის კონტური სჩანდა სვეტოვების ანაზომშიც. მიწის არცთუ დიდი ფენის ადებამ მოსაზრების სისწორეში დაგვარწმუნა, გამოჩნდა მარჯვენა იმპოსტის ქვა ჩამოტეხილი ფასადით, მარცხენა იმპოსტის ქვაზე კი აღმოჩნდა მშვენიერი ასომთავრული წარწერა მცირედ დაზიანებული, თუმცა სრულიად იკითხება:

**ქი ყი ჩხ ცვ**

**ქე შ-ე ნკვ ცდ. (ქრისტე, შეიწყალე ნიკოლოზ ცოდვილი).**

1995 წ. ექსპედიციის მიერ მთავარი ტაძრის პირველი სართულის (სატრაპეზოს) წმინდითი სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდა ქვევრები, სავარაუდოდ მარანი, სატრაპეზოს სიღრმეში კი ქვის კანკელის დღემდე უცნობი ფრაგმენტები. კანკელზე შესრულებულია ნუსხა – ხუცური წარწერა. შესაძლოა ეს იყოს ერთი ნაწილი მარი ბროსეს მიერ მიკვლეული ფრაგმენტებისა, რადგან სატრაპეზოს დიდი ნაწილი, რამდენიმე სენაკი გამოუკვლეველია და ნაშალი მიწით სავსე.

რაც ამ წარწერიდან ჩანს, უმთავრესია კანკელის წარწერის თარიღი: ქკს : ტ – ქორონიკონს ტ (300) სამწუნხაროდ თარიღის დანარჩენი ნაწილი ჩამოტეხილია, მაგრამ კანკელის წარწერა თარიღდება არაუადარეს 1081 არაუგვიანეს 1180 წლით (ე. ი. მეცამეტე მოქცევის მესამე ასწლეულით).

პირვანდელი დარბაზული ეკლესია VIII-IX საუკუნეებით თარიღდება. რაც შეეხება წარწერის დანარჩენ ფრაგმენტებს, იმდენად დაზიანებულია წარწერა, რომ ძნელად იკითხება. აღსანიშნავია ერთი ფრაგმენტი: **...მანში - მნ”**, სამონასტრო კომპლექსის გაწმენდისას გამოირკვა, რომ ინტერიერიც მდიდარია ლაპიდარული წარწერებით.

მოზაიკის ნაშალი ფენის ქვეშ, ინტერიერის ჩრდილოეთ კედლის თაღოვან ნიშაში იკითხება ასომთავრული წარწერა **...”ΕΡΕΒΕΝΣ”** ჩვენი სავარაუდო წაკითხვით: **”შეეწიე მხატვარ ხარებასა”**... ამ წარწერით დასტურდება ფაქტი, მოზაიკის ოსტატის ქართველობისა. ჩანს, ქართული ასომთავრულით ის ავსებდა მოზაიკურ დეკორს, ე. ი. ადგილი აქვს გარკვეულ ტრადიციას. მიუხედავად იმისა, რომ მოზაიკის ფრაგმენტები დღესაც შემორჩენილია კამარაზე, თაღებზე და ნაწილობრივ კედლებზე მკვლევართა უმეტესობას შორეთის მოზაიკა არ შეუმჩნევიათ (მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, გ. ბერიძე). ჩვენს მიერ შორეთში მოზაიკის გამოვლენა და დაფიქსირება რამდენიმე კენჭის პოვნით დაიწყო; წყაროებში შემონახული ინფორმაციიდან გამომდინარე სერიოზული ყურადღება მიექცა ტაძრიდან გატანილი მიწის გულდასმით განხრეკას-გაცრას. ამ მიზნით შორეთის მოზაიკის დეტალები ისეთი რაოდენობით შეგროვდა, რომ ამჟამად რეალურია წმ. გიორგის ეკლესიის მოზაიკური **”ყურე-კედლის”** რესტავრაცია.

საინტერესოა კიდევ ერთი ახალი, გამოუქვეყნებელი ასომთავრული წარწერა: **ჰჰ-ღჰ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ** (მამათმთავარი) ინტერიერში, საკურთხეველიდან რიგით მესამე თაღზე სამხრეთ მხარეს მოთავსებულ ფრესკაზე.



შესაძლოა მონასტრის წარწერაში მოხსენებული საბა-ნიკოლოზი იგივე საბა მაწყვერელი იყოს, რომელმაც დაუწესა მამამისს ოთარ ვარაზას, (იგივე ვარაზ ბაკურ-ოთარს), ”საუკუნო აღაპი” ჯვრის მონასტერში, რადგან სხვაგვარად ძნელი ასახსნელია – ამ ორი პიროვნების ურთიერთკავშირი აღაპებში.

შორეთის არქეოლოგიური კვლევის დროს ნაპოვნია ბაზალტის საპირე ქვის ფრაგმენტი, აღამიანის რელიეფური გამოსახულებით, რომელიც შესაძლოა ქტიტორის გამოსახულებად მივიჩნიოთ. ეკლესიის გვერდით (მარჯვნივ) დგას

და საგარაუდოდ გონიო უჭირავს მარცხენა ხელში. ქტიტორის გამოსახვა დამახასიათებელია მხოლოდ უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატისთვის, მაგრამ ფაქტი, რომ ქტიტორს გონიო უჭირავს, გვაიძულებს დავუბრუნდეთ შორეთის კიდევ ერთ ლაპიდარულ წარწერას, რომელიც დღემდე შემონახულია მონასტრის კარიბჭეზე:

”ქ. ორბისძეს (ან ორბელისძეს) ნიკოლოზს გალატოთ უხუცესს შეუნდგენ ღმერთმან ამინ”.

საინტერესოა ორი რამ:

1. თავისთავად გვარი “ორბისძე” – ორბ-ელ-ის ძე ( ბ-ს თავზე ქარაგმა შეიმჩნევა მ.დ.),

2. ორბ(ელ)ისძის გალატოთ უხუცესობა, ტოლფასია ხუროთმოძღვართუხუცესისა, დიდმოხელეა აღნიშნავს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეფის (ან კათალიკოს-პატრიარქის დაქვემდებარებაში).

2003 წელს სამრეკლოს წმინდითი სამუშაოების დროს აღმოჩნდა მარმარილოს ფილაზე საგარაუდოდ XIV-XV სს შესრულებული წარწერა: “ დიდსა ეკლესიასა შინა არა ჯერ არს მკუდართა ფლუაი, რამეთუ ცოდვაი დაეყენა მკუდ ... “. წარწერა ცუდად იკითხება, აზრის წყვეტაა, საგარაუდოდ კიდევ ერთი წარწერის ფრაგმენტი უნდა იყოს სადმე, ან უბრალოდ დაუშთავრებელი დარჩა, რადგან ზუსტად იგივე ჯიშის ქვის ფილა იქვეა ჩასმული წარწერის ამოუკვეთავად. წარწერა მეტყველებს, რომ მიძიმე წლებში, მონღოლთაგან “შეუვალ” მონასტრებზე მოზავაგებულ “მამულთა უკანგამომწირველებს” მაღალფარდოვანი შეგონებებით ებრძოდა ეკლესია, რათა მონასტერი საგვარეულო საძვალედ არ ექცია ადგილობრივ ფეოდალს შემდგომ ქონებრივი პრეტენზიების წასაყენებლად. ამავე დროს წმინდითმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ დიდ ეკლესიის პირველ სართულზე შესაძლოა სატრაპეზო იყო (ქვევრები აღმოჩნდა, ხოლო საფლაგების კვალიც არ არის, როცა ეკლესიის გარშემო მრავალ ფენად არის წარმოდგენილი სამაროვანი. აღნიშნული წარწერა არა მარტო შინაარსობრივად, პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც გვიანდელია, და გამოკვეთილია თეთრობის მარმარილოზე (ან მსგავს) ქვაზე.

ცალკე განხილვის საგანია ხომ არ არიან ერთი და იგივე პიროვნება საბა-ნიკოლოზი და ნიკოლოზ ორბისძე, მით უმეტეს, რომ ნიკოლოზის სახელზე კიდევ ვხვდებით წარწერებს მონასტრის კედლებზე, კერძოდ სატრაპეზოს შესასვლელში. “ქ. შეიწყალე ნიკოლოზ ცოდვილი”, “შეეწიე ნიკოლოზს”, ქტიტორის გამოსახვა ხელში გონიოთი ეკლესიის რელიეფთან სწორედ ამ აზრისკენ გვიბიძგებს, აქვე არ შეიძლება არ იქნას გათვალისწინებული პარხალის ზემოგანხილული წარწერა, საბას, კათალიკოს ნიკოლოზის, საბადრიშვილისა და საბოთარის ურთიერთმიმართება.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ საბა-ნიკოლოზ-ვარაზ-ბაკურ-ოთართა, ნიკოლოზ-ორბისძე-ორბელისძეთა და შაროელ ხელმწიფეთა ურთიერთკავშირს განსაკუთრებული კვლევა სჭირდება, აქვე უნდა იქნას განხილული აძიკვის წარწერა.

თამარ მეფის მიერ ბიზანტიაში საგანგებოდ შეკვეთილი ოთხთავი შეწირულ იქნა შორეთისადმი არტანუჯელთა რძლის მიერ, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ სწორედ შორეთის სკრიპტორიუმში იქნა გადაწერილი ვანის ოთხთავის ასლი, რომელიც დღეს ეჩმიაძინში (ან შესაძლოა უკვე მატანადარანში) ინახება.

საინტერესოა მ. ბირკაძის ვარაუდი, რომ თურქებთან მეზობელი გიორგი ალასტანელის მამა ანდრონიკე არა დავით მერვის ან გიორგი მეხუთის, არამედ საქართველოში ლტოლვილი ტრაპიზონის იმპერატორის ძეა, სარგის ჯაყელის მამიდაშვილი და გიორგი ბრწყინვალის (დედით ჯაყელის) დეიდაშვილი, სეფეწული, რომელსაც შესაძლოა მამულად ან საკარგავად მისცემოდა ალასტანი, სწორედ მეფეთა მეფის უფროს ძმათა (საგარაუდოდ მრავალი პრეტენზიის მქონე) შთამომავლობისა და ტაძრულის შესავიწროებლად. აქედან გამომდინარე შესაძლოა დაუშვათ შორეთის მოზაიკის ბიზანტიურ/ტრაპეზუნული წარმომავლობა/ნათესაობა (შორეთის მოზაიკა საკმაოდ იდენტურია ტრაპეზუნის აია-სოფიის ტაძრის მოზაიკისა), XIX ს. ბოქთასა და ციხისჯვარში ბერძნულენოვანი ”პონტოელი ბერძნების” ყოფნა და შორეთის მონასტრის საქართველოს ბერძნულ მოსახლეობაში ესოდენი პოპულარულობა, ღვთიშობლის შობის დამისთევა, რასაც ნებისმიერ დროს, უზორობაშიც ტრადიციულად ხალხმრავლობით აღნიშნავდნენ ბერძნები, გარკვეულწილად დაკავშირებული იყოს ტრაპიზონელი უფლისწულის, მისი ოჯახისა და ამაღლის შემოხიზნვასთან ალასტანსა და ასპინძისხეგ-ზემო ჯავახეთში.

ამავე დროს უნდა იყოს აშენებული შორეთის სამრეკლო, რომელიც მონასტრის ქტიტორთა წარწერაზეა მიშენებული, და არატრადიციული ჩუქურთმებითაა შემკული, ანალოგიურია მხოლოდ ურავლის ხეობის სამრეკლოსი.

ლაპიდარულ წარწერებში დასტურდება ჯვრის მონასტრის ალაპებში მოხსენებულ ფეოდალთა სახელები და სადაურობა: საბა-ნიკოლოზი და ოთარი ვარაზა (ვარაზ-ბაკური ოთარაის ძე), რომელთაც როგორც შორეთის მონასტრის ქტიტორებს და (საბ)ოთარებს, შაროელ ხელმწიფეთა ჩამომავლებად (ხოსროვან-ბაკურეანებად) და შალიკაშვილთა ფეოდალური სახლის წინაპრებად მივიჩნევთ.

მონასტრის საძვალის ქვის გარე პერანგისა და არქიტრავის დეკორი აგრეთვე განსაკუთრებულია და საყურადღებო პარალელის გაგლება შეიძლება შუასაუკუნეების ევროპულ დეკორთან, ნუმიზმატურ ნიშნებთან (ბრიტანული ორფუნტიანის რევერსზე გამოსახულ კელტურ კოსმოგონიურ სიმბოლიკასთან).

დასასრულ, უნდა გამოითქვას სამონასტრო ცხოვრებისგან მოწყვეტილი, მაგრამ არქეოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებო ვარაუდი, რომ შესაძლოა მონასტერი დაშენებული იყოს ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე, ტაძრის პირველი სართულის დას. ნაწილი კვეთში ტრაპეციის ფორმის კედლებითა და რეკონსტრუირებული დას. შესასვლელით, ძალზედ მოგვაგონებს დროშოს, სამრეკლოს სამხრეთ აღმოსავლეთით გამოვლენილი უხეშად გათლილი ქვის წრიული კედლის ნაშთები, მრავალრიცხოვანი მიწისქვეშა აკლდამები და კრიპტები მიუთითებენ უძველესი სამაროვნის ნაშთების არსებობაზე. ბრინჯაოს ხანის ქვაყუთები, სამაროვანი ყორღანული სამარხები გამოვლენილია სოფ. ოთაში, წყალსაცავის ტერიტორიაზე, ქვემო და ზემო ინთორის ნასოფლარებთან.

ასპინძისხევის ისტორია ხეთებისა და ტრასა ეპოქამდე ნათლად იკვეთება 2008-2009 წ. სოფ. ოთის ყორღანებიდან მოკვლეული მასალის მიხედვით (ვ. ლიჩელი, გ. გრიგოლია), შესაძლოა უფრო ადრეული პერიოდის გამომზეურებაც. სოფელი ოთა, ბოქთისა და ინთორის ნასოფლარები მდიდარია ბრინჯაოს ხანის აკლდამა-სამარხებით, შესაძლოა შორეთის ნამონასტრული სწორედ უძველესი დროიდან წარმოადგენს საკულტო დანიშნულების ადგილს და ცხადია შემორჩენილი უნდა იყოს აკლდამა-სამარხებიც. აღნიშნული თვალსაზრისით კომპლექსი სრულიად შეუსწავლელია, მოითხოვს დამატებით კვლევას, რადგან არქეოლოგია არ გასცილებია მცირედი გამონაკლისის გარდა პირობითი ნულის ზედა წმენდით სამუშაოებს და ამ ეტაპზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა არის შესაძლებელი.



დამოწმებული ლიტერატურა, საისტორიო წყაროები და საარქივო მასალები:

1. ა. აბდალაძე. "სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ". თბ. 1978.
2. ალ. ფრონელი. დიდებული მესხეთი. გორი. 1914
3. აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ. 1971.
4. Ahmed Acar. Tarichte Hamshigulari. Ankara. 1995.
5. გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბილისი 1992.
6. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, სჯიქიას გამოცემა. ტ.2. თბ. 1941
7. გიორგი ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, კავკასიოლოგიური სერია, 2006 წ.
8. გ. მამულია. პატრონყმობა. თბ. 1987.
9. გ. ზაზაძე, ასპინძისხევის ექსპედიციის წევრი, სამავისტრო ნაშრომი "გზები", ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2006 წ.

10. გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ-II, თბილისი, 1965
11. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში. I. თბ. 1962.
12. Географическо-статистический словарь Росииской империи т.III. СПб. 1867.
13. Географическо-статистический словарь Росииской империи т.V. СПб. 1869.
14. დ.კოჭორიძე. სამცხე-ჯავახეთი – წარსული და დღევანდელი. თბ.1987.
15. Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства. Тиф. 1875 г.
16. Д. Бакрадзе. Археологические путешествия по Гурии и Адчарь.СПб. 1878. с.80.
17. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბ. 1985.
18. დ. კოჭორიძე. – სამცხე-ჯავახეთი. წარსული და დღევანდელი. თბ. 1987წ.
19. დ. ნინიძე, პროვინციის მეფეები XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბილისი 1995.
20. E. Takaisvili, Antiquites Georgiennes. Table des Matieres du tome X, Extrait de Bizantion, Bruxelles, 1935.
21. Е.А.Вейденбаум, «Кавказские этюды» Т. 1901
22. ე. თაყაიშვილი 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1960.
23. ე.თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი წ.1. ტფ.1907.
24. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს), თბილისი 1962.
25. ვ. ბერიძე – სამცხის ხუროთმოძღვრება. – თბ. 1956წ.
26. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ბ. ბერძენიშვილის რედ. თბ.1941.
27. ვ. გამრეკელი. “თუ როგორ ვიპატივეთ ქართული ენა სრულის გაუქმებისაგან წმინდა მარინეს ეკლესიაში. ახალციხე. 1905
28. ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე) „მესხური ფელტონი“, გაზ.„დროება“ №98. 1881.
29. თოვმა მეწოფეცი, ლანგ თემურის ომების ისტორია. თბ. 1987.
30. თ.ყაუხჩიშვილი, სტარბონის გეოგრაფია. თბ. 1957.
31. თ.ჟორდანიას, ქრონიკები. ტ.2. 1897.
32. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ.1. თბ. 1960.
33. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ.4. თბ. 1967.
34. ივ.ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები. ტფ. 1919.
35. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტ.3. თბ. 1966.
36. ივ.ჯავახიშვილი, თხზ. თორმეტ ტომად. ტ.2. თბ.1983.
37. ივ. ჯავახიშვილი. – ქართველი ერის ისტორია. ტ. II. – თბ. 1965 წ.
38. ლ. ჭილაშვილი. კახეთის ქალაქები,(XIV–XVII), თბილისი, 1980
39. ლ. მარუაშვილი. – საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია – თბ. 1970წ.
40. მ. დათუკიშვილი. შორეთის მონასტრის ქტიტორი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბილისი 2000.
41. Материалы по археологии Кавказа. Вып. XII М 1909. Христианские памятники, экспедиция Э. Такашвили 1902 г.
43. М. Brosset, Hist. de la Georgie, I, 2,
44. Результаты путешествия г. Акад Броссе по Грузии газ. «Кавказ» №40. 1 октябрь 1849.
45. М.Броссет, Rapports sur un Voyage Archeologique dans La Georgie et dans L'Armenie. St-Petersburg 1851
46. მ. დათუკიშვილი, ასპინძისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თ. თოდუას რეცენზიით. სადიპლომონაშრომის ნაბეჭდი ასლი. 1988 წ. ქართულ-კავკასიური ინსტიტუტის არქივი.
47. მ. დათუკიშვილი. შორეთის ლაპიდარული წარწერები. თსუ “კულტურის ისტორიის საკითხების” III, თბილისი 1997 წ.
48. Межкавказские политические и торговые связи вост. Грузии. Тб.1980.
49. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები – თბ. 1981 წ
50. ქართლის ცხოვრება. ტ. II – ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით – თბ. 1959წ.
51. ბ. ბერძენიშვილი. – გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. – თბ. 1971 წ.
52. ნატო გენგიური. კუპელჰალე. თბილისი. 2005
53. Н. Марр. Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка СПб 1908,
54. ბ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ.2. თბ. 1965.

55. ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ.2. თბ. 1953.
56. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ.1. თბ. 1964.
57. პავლე ინგვროს შესავალი სტატია, სომხური ეპოსი, დავით სასუნცი, თბ. 1930
58. თ. ხერხეულიძე, შემოკლებული ისტორია ირაკლი მეორისათვის. ტფ. 1894.
59. П. Иоселиани. Описание древнего города Тифлиса. Тиф. 1866.
60. პავლე ინგვროს საქართველოს საზღვრები, კონსტანტინოპ.: 1918 წ.
61. რ. ბერიძე, „ასპინძა ისტორიულ წყაროებში“, გაზ. „ასპინძა“ 17,18/06-1987.
62. ს. ჯიქია გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ტ.3. თბ. 1958
63. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ-II, 1964, ი. სიხარულიძე, “მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის”.
64. Сборник материалов для описания Тифлисской губернии под ред. К. Л. Зиссермана. т. I вып. I. Тиф. 1870.
65. სცია, ფ-73, ს-158,
66. სულხან-საბა ორბელიანი, “ლექსიკონი ქართული”, II, ილია აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1993
67. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.3. თბ. 1979.
68. ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი. თბ. 1938
69. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფა. 1966 წ. თბილისი.)
70. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I – თბ. 1970წ.
71. საქართველოს ისტორიის ქრონიკები. თბ. 1980
72. სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება
73. ს. ხოსიტაშვილი, ასპინძის ომი. თბ. 1972.
74. სცია, ფ-223, ს 37, გვ. 7
75. სცია, ფ-73, ს.158, გვ.25 V/
76. ქართლის ცხოვრება. ტ. I ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით – თბ. 1955 წ
77. ქართლის ცხოვრება, ტ.1. ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ. 1955.
78. ქრ. შარაშიძე. სამხრეთ-საქართველოს ისტორიის მასალები. (XV-XVI სს.) თბ., 1961.
79. ქ. ლორთქიფანიძე, გ. ლორთქიფანიძე ”ამდელ აჭარი და ხიმშიაშვილების გვარის ისტორია, თბილისი, 2004 წ.
80. ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ. 1966.
- 80/1. ქართლის ცხოვრება, ტ II, თბილისი 1959
81. ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.
82. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედ. თბ. 1942.
83. შოთა ლომსაძე. მესხეთ-ჯავახეთი, თბ. 1975,
84. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. თბილისი 1956.
85. Хаханашвили, М. Этнографическое обозрение, 1891, №3
86. ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბილისი, 1953
87. ხელნაწერთა აღწერილობა, II თბილისი, 1948
88. Халил Умаров-Гозалишвили. Месхетинская трагедия, Самоиздание. 1983.
89. ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი, მესხთა ტრაგედია, ”კავკასიური სახლი”, თბილისი 2005
90. ხელნაწერთა აღწერილობა, I თბ, 1953.
91. VI საეკლესიო კრების კანონების ქართული თარგმანი, გამ., ა. ხახანაშვილისა.



შედეგები

<b>გურამ ლორთქიფანიძე.</b> სამამულო არქეოლოგიის ნაცადი წინამძღოლი.....	5
<b>გურამ ლორთქიფანიძე.</b> ანდრია აფაქიძის შრომები.....	13
<b>გურამ ლორთქიფანიძე.</b> კავკასიის ქვის ხანის არქეოლოგიის პატრიარქი (ვასილ ლიუბინი 100 წლის ვახდა).....	33
<b>გურამ ყიფიანი.</b> აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის ემბლემის წარმომავლობა და შინაარსი.....	34
<b>გივი ინანიშვილი.</b> უძველესი სამთამანდო წარმოების ძეგლები პრეისტორიულ საქართველოში (საყდრისი).....	37
<b>თემურ ბიბილური.</b> რომაული იმპორტი ქართლის (იბერიის) სამეფოში.....	43
<b>შოთა ირემაშვილი.</b> წოდორეთის მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია (ვათხრების მოკლე ანგარიში).....	58
<b>გურამ ყიფიანი.</b> არქეოლოგიური კვლევა-ძიება ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა ციხესულორში .....	75
<b>თემურ ბიბილური.</b> ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების ინვენტარიზაცია.....	109
<b>გონა გერაძე.</b> გიორგი III სპილენძის მონეტების ტექნოლოგიისათვის.....	150
<b>გოგა გაბაშვილი.</b> ერეკლე II-ს სახელის დაწერილობის შესახებ.....	168
<b>ალექსანდრე ნონეშვილი.</b> რეცენზია_გურამ ფილიპაშვილის წიგნზე „ბანკნოტები და ფასიანი ქაღალდები საქართველოში“.....	173
<b>ალექსანდრე ნონეშვილი.</b> არქეოლოგიის დაულალავი მკვლევარი.....	174
<b>ილია ნადიმაშვილი.</b> დიმიტრი ერმაკოვის წერილები გრაფინია პრასკოვია უვაროვასადმი.....	179
<b>აღმომჩენა</b>	
<b>მალხაზ დათუკიშვილი.</b> შორეთის მონასტრის ქტიტორის ლაპიდარული წარწერა .....	192